იქცევა სავლე პავლედ? A3 | დედაქალაქი C | ლიტერატურა D

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 23 ნოემბერი, 2002 წელი. №174 | ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

"შევარდნაძე თავისი კლანისთვის უძრავი ქონების გადაცემით არის დაინტერესებული"

პრაღის სამიტზე შევარდნაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველო ნატო-ში გაწევრიანებას ითხოვს, ჩვენს ინტერესებს ემსახურება და მხოლოდ დადებით შეფასებას იმსახურებს. ამ შეფასების პარალელურად, აუცილებელია, ვუპასუხოთ კითხვას: როგორ ხდება, რომ შევარდნაძე, საქართველოს დიქტატორი, რომელიც, თავისუფალ საქართველოში "მოღვაწეობის" ჩათვლით, რუსეთის ერთგულ მსახურად წარმოგვიდგება, დღეს მკვეთრ პროდასავლურ ნაბიჯს დგამს?

A2

ეკონომიკა

„იტერას" გასაიდუმლოებული ბიზნეს-გეგმა „აზოტის" გადარჩენის ერთადერთი გზაა

სხვადასხვა სამთავრობო უწყებებში ჯერ კიდევ მიმდინარეობს იმ ბიზნეს-გეგმის განხილვის პროცესი, რომელიც რუსულმა კომპანია "იტერამ" წარუდგინა ქონების მართვის სამინისტროს სააქციო საზოგადოება "აზოტის" ასამუშავებლად.

A4

უცხოეთი

ბინ ლადენის გარშემო რკალი ვიწროვდება

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ რამდენიმე ხნის წინ დაკავებული "ალ ქაიდას" წევრის ვინაობა დაასახელა. მისი სახელია – აბდ ალ-რახმი ალ-ნაშირი. იგი სპარსეთის ყურეში "ალ ქაიდას" ტერორისტულ საქმიანობას ხელმძღვანელობდა და უშუალო კონტაქტი ჰქონდა მსოფლოს ნომერ პირველ ტერორისტთან - ოსამა ბინ ლადენთან.

A5

სამართალი

როდის დაარღვია კანონი მოსამართლემ?

"ადამიანი გაასამართლო იმ დანაშაულისთვის, რომელზეც სისხლის სამართლის საქმე არ არის აღძრული, იგივეა, რომ ექიმი იჩემებდეს იმ პაციენტის განკურნებას, რომელიც ავად არც ყოფილა", - ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატი არჩილ ჩოფიკაშვილი.

A7

შაბათობები

სიურპრიზები სადამისთვის

ჟურნალ "ნიუ იორკერის" ბოლო, 18 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა საინტერესო ინტერვიუ დენიელ გურისთან. გური აშშ-ს ერთ-ერთი წამყვანი სამხედრო ტვინის ცენტრის - ლექსინგტონის ინსტიტუტის ანალიტიკოსია. ეს ინსტიტუტი პენტაგონის სიახლოვეს მდებარეობს. გური სამხედრო საქმის ნამდვილი გურუა. ბუში-მამის პრეზიდენტობის პერიოდში ის პენტაგონში მუშაობდა და სტრატეგიული კონკურენციის ოფისის დირექტორი იყო.

A8

ამინდი

თბილისი	20
ქუთაისი	22
ბათუმი	23
სოხუმი	22
ფოთი	23

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1850
ევრო	2.1900
გირვანქა სტერლინგი	3.4545
რუბლი	0.0687

საქართველომ ნატო-ს კარზე დააკაკუნა

როდის გაგვიღებენ კარს, უცნობია...

პრეზიდენტები ნატო-ს სამიტზე

რევაზ ბახტაძე

"ნატო-ს სამიტი საქართველოს ყოველი მოქალაქის ყურადღების ცენტრშია. ისინი იმედოვნებენ, რომ ეს ჩვენი ქვეყნისათვის შემობრუნების წერტილად იქცევა. მათთვის დემოკრატია და თავისუფლება უზენაეს ფასეულობებს წარმოადგენს", - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს სამიტზე და ოფიციალურად გამოხატა საქართველოს სურვილი, გახდეს ნატო-ს წევრი.

22 ნოემბერს პრაღის სამიტზე სამწუთიანი მოხსენებით პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ბოლო მოუღო საქართველოს საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის შესახებ მიმდინარე დებატებს და ევროატლანტიკურ სივრცეში სრული ინტეგრაცია საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიად გამოაცხადა.

გუშინ პრეზიდენტი შევარდნაძე შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს 10 წუთით შეხვდა. ლიდერებმა პანკისში ჩატარებულ ანტიტერორისტულ ოპერაციასა და ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაზე" ისაუბრეს. "ყველაფერი კარგად მიდის და ამერიკა საქართველოს გვერდით იდგება", - უთხრა პრეზიდენტმა ბუშმა შეხვედრის ბოლოს ედუარდ შევარდნაძეს.

"24 საათის" საერთაშორისო მიმომხილველი შოთა უტიაშვილი პრაღიდან იუწყებოდა, რომ ნატო-მ, შესაძლოა, საქართველოსთან ინდივიდუალური თანამშრომლობის პროგრამა დაიწყოს. ამ ახალი მოდელის თანახმად, წევრობის მსურველი სახელმწიფო მხოლოდ იმ ვალდებულებებს აიღებს, რომლის შესრულებაც მას შეუძლია. ეს პროცესი დროში გაწელილია, თუმცა, ეს საშუალებას მისცემს საქართველოს, ნატო-ს სტანდარტებს ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდეს. სამიტზე მიღებული დეკლარაციის მეშვიდე პუნქტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისათვის ახალი ინდივიდუალური პროგრამების შემუშავება მოხდება.

ჯერჯერობით უცნობია ნატო-ს ოფიციალური პასუხი საქართველოს განცხადებაზე. ქართული დელეგაციის

გაგრძელება A2 გვერდზე

ვატიაშვილის ნალმზე ხაბურძანია არ აფეთქდა

გუშინ პარლამენტში დიდი სკანდალი მზადდებოდა, რომელსაც შეეძლო უკიდურესად დაეძაბა ქვეყანაში ისედაც გამწვავებული პოლიტიკური სიტუაცია, მაგრამ სენსაცია არ შედგა. საკანონმდებლო ორგანომ არადამაჯერებლად მიიჩნია დეპუტატ ჯუმბერ პატიაშვილის მტკიცება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოები აპირებენ, ხელყონ კონსტიტუციური ნორმები და მეთვალყურეობა და კონტროლი დაუწესონ რიგი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, აგრეთვე, მართლმადიდებელი ეკლესიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას. დეპუტატებმა პატიაშვილის არგუმენტებს "ხმა არ მისცეს" და ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, გაიზიარეს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას განმარტება იმის შესახებ, რომ მსგავსი ქმედებების დაგეგმვასა და, მითუმეტეს, განხორციელებაში მისი უწყების დადანაშაულების საფუძველი არ არსებობს.

გიორგი ასანიშვილი

არადა, პატიაშვილი, თითქოს, მხოლოდ "დოკუმენტების ენაზე" საუბრობდა. მისი თქმით, სახელმწიფო უშიშროების სტრუქტურის თანამშრომელმა მას გადასცა 24-გვერდიანი საიდუმლო დოკუმენტი, კერძოდ, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის 2002 წლის სამუშაო გეგმა, რომელშიც ზემოთ ნახსენები ანტიკონსტიტუციური მიზნები იყო ფორმულირებული. დეპუტატმა სმენადგადაქცეულ კოლეგებს გააცნო დოკუმენტის ფრაგმენტი, რომელშიც პოლიტიკური მოძრაობა "ერთობის" წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებზეა საუბარი.

"ერთობაში" მიმდინარე პროცესების შესწავლის, კონტროლისა და უახლოესი გეგმების შესახებ წინმსწრები ინფორმაციის მოპოვებისა და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან და პოლიტიკურ ძალებთან მისი შესაძლო კავშირების გამოსავლენად, შეძენილ იქნას ოპერატიული წყაროები," - მოჰყავს ციტატა პატიაშვილს.

გაგრძელება A3 გვერდზე

სამეგრელოში კრიმინალებს კავიტულაცია გამოუცხადეს

"სამეგრელოში რამდენიმე შეიარაღებული ფორმირება მოქმედებს, რომლებსაც გადანაწილებული აქვთ გავლენის სფეროები. თვითოეული ირწმუნება, რომ "ზევით" მფარველი ჰყავს და ხელშეუხებლობის გარანტიაც აქვს მიღებული. რა უნდა გავაკეთოთ ასეთ სიტუაციაში? ვინმემ ეს ყველაფერი ხმამაღლა მაინც ხომ უნდა თქვას. თუმცა, თქმითაც არაფერი შეიცვლება", – ეს სიტყვები სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის კაბინეტში ითქვა, სადაც გენერალური პროკურატურის გასვლითი კოლეგია ჩატარდა.

თამარ კაკიტაძე

ამბობენ, სამეგრელოში კრიმინოგენული სიტუაცია საგანგაშოაო. ამას, რეგიონის დანაშაულის ამსახველი სტატისტიკის მიხედვით, მაინცდამაინც ვერ იტყვი. თუ გასულ წელს 1131 დანაშაული იყო რეგისტრირებული, წელს 1147 ფაქტია ოფიციალურად დაფიქსირებული. წმინდა არითმეტიკული გამოთვლით, დანაშაულმა 16 ერთეულით მოიმატა, მაგრამ ეს არ გახლავთ ის არგუმენტი, რისთვისაც პროკურატურის მაღალჩინოსანნი საქართველოს ყველაზე რთულ რეგიონს ენვივნენ.

გაგრძელება A7 გვერდზე

"24 საათის" სტუმარია ლევან თედიაშვილი

ბესო გალოვანი/ "24 საათი"

B1

საპარლამენტო პანორამა

პარლამენტი უდისციპლინო დეპუტატებს ბრძოლას უცხადებს: საკანონმდებლო ორგანოს მიერ გუშინ მიღებული გადაწყვეტილებით, სხდომების გამცდენი დეპუტატების მიმართ ფინანსური სანქციები გატარდება, მათ ხელფასიდან გარკვეული თანხა დაექვითებათ და იგი სამლოცველოს მშენებლობას მოხმარდება.

საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე როსტომ დოლიძე პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას მიესალმება, თუმცა არ მალავს, რომ ცოტა გაოცებულია: **"პარლამენტის ბიუროს ყოველთვიურად წარედგინება დისციპლინარული დარღვევების ნუსხა, მაგრამ გადაწყვეტილების არმიღების მიზეზი ყოველთვის მოიძებნება ხოლმე."**

რეგლამენტის მიხედვით, თუ დეპუტატი გააცდენს სამ სხდომას (პლენარულს ან საკომიტეტოს), მას ამ დღეების ხელფასი არ უნდა მიეცეს და პლუს, ხელფასის საერთო თანხის 15 პროცენტი დაექვითოს. **"კანონი რომ სრულდებოდეს, ზოგიერთ პარლამენტარს ისეთი ოდენობის**

გაგრძელება A3 გვერდზე

მთავრობა რუსულ დენს, აზერბაიჯანულ გაზს და მეცხრე ბლოკის ჩართვას ელის

გვანცა კვინიკაძე

"ეი-ი-ეს თელასის" გენერალურ მენეჯერთან იგნასიო ირიბარენთან სახელმწიფო მინისტრისა და მთავრობის თითქმის მთელი ეკონომიკური გუნდის მიერ გამართული საგანგებო დახურული შეხვედრის გამო, გუშინ ენერგეტიკული შტაბის სხდომა საათნახევრიანი დაგვიანებით დაიწყო. შტაბის სხდომაზე კი, რომელიც მასმედიისთვის ღია იყო, ხელისუფლებამ რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის დაწყებისთვის მზადყოფნისა და "თბილსრესის" მეცხრე ენერგობლოკის მომავალი კვირიდან ჩართვის სურვილის შესახებ განაცხადა. განიხილეს გაცილებით არარეალისტური პროექტიც, რომელიც აზერბაიჯანიდან ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისთვის მილსადენების მზადყოფნას შეეხებოდა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ თავად აზერბაიჯანი ბუნებრივი აირის მკვეთრ დეფიციტს განიცდის, რომელსაც რუსული "იტერასგან" ყოველწლიურად ოთხი მილიარდი კუბური მეტრი გაზის შესყიდვით ივსებს, ცხადია, რომ მილსადენების გამართვა აზერბაიჯანიდან ამ საწვავის მოწოდების სანუგეშო პროგნოზის საფუძველს ვერ იძლევა.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 შაბათობები

B2 კულტურა | B3 ანკეტა | B4-B5 დიასპორა | B6 განცხადებები | B7 სპორტი | B8 სხვადასხვა

საქართველოს მოსახლეობის 56 პროცენტი მხარს უჭერს ევროკავშირში გაწევრიანებას

სამაგიეროდ, მას საკუთარი ხელისუფლების არ სჯერა

"ჩვენი მოსახლეობა ოთხჯერ უფრო მეტად ენდობა ევროგაერთიანებასა და საერთაშორისო ინსტიტუტებს, ვიდრე საკუთარ ხელისუფლებას. მოსახლეობის დიდი ნაწილი - 56 პროცენტი მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას" - ყოველივე ეს ცხადი გახდა არასამთავრობო ორგანიზაცია "ევროპული სახლის" სოციოლოგიური ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად. საქართველოს მოსახლეობის სწრაფვას ევროკავშირისადმი დადებითი შეფასება მისცეს ინგლისის ლორდთა პალატის წევრებმა, რომლებიც "ევროპული სახლის" მიერ მოწყობილ გუშინდელ პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ.

ვერიკო თევზაძე

სოციოლოგიური კვლევის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ, საქართველოს მოსახლეობის 76 პროცენტის აზრით, ქვეყანა სწორი გზით არ მიდის. მხოლოდ ათი პროცენტი ფიქრობს ამის საპირისპიროს. სავალალოა, რომ ათი წლის წინ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს მოსახლეობის 35 პროცენტი დადებითად აფასებდა. დღეისთვის ოპტიმისტთა რაოდენობა ათ პროცენტამდე შემცირდა.

ქვეყანაში არსებულ მწვავე პრობლემათაგან მოსახლეობა პირველ რიგში ასახელებს უმუშევრობას (22 პროცენტი), შემდეგ მოდის კორუფცია (21 პროცენტი), მას მოსდევს სიღარიბე და პოლიტიკური არასტაბილურობა. მოსახლეობას ასევე სერიოზულ პრობლემად მიაჩნია მცირე შემოსავლების არსებობა, დანაშაულობანი საზოგადოებაში, ეთნიკური პრობლემები და ა.შ.

რთულ და დუხჭირ ყოფაში მოსახლეობის 79 პროცენტი იმედს ეკლესიაზე ამყარებს, 63 პროცენტი ტელევიზიას ენდობა, ხოლო 40 პროცენტი – რადიოს, ბეჭდვით პრესას და ევროგაერთიანებას.

მოსახლეობას საკუთარი ხელისუფლების არ სჯერა, ნდობის ფაქტორი განსაკუთრებით მცირეა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსადმი (საქართველოს პარლამენტს მოსახლეობის მხოლოდ ათი პროცენტი ენდობა).

შეკითხვებს, რომლებიც სოციოლოგიური კვლევის სამსახურმა ჩვენს მოსახლეობას დაუსვა, წელიწადში რამდენჯერმე სცემს პასუხს ევროგაერთიანებაში შემავალი 15 ქვეყნის მოსახლეობა. საქართველოში ევროგაერთიანების შესახებ ცოდნის მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამორჩება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს. ორი ძირითადი ინსტიტუტი, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში იცნობენ, არის ევროკომისია და ევროპარლამენტი.

სამაგიეროდ, ევროგაერთიანება, თავად ამ გაერთიანების ქვეყნების მოსახლეობასთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობის თვალში ბევრად უფრო პრესტიჟულია. ჩვენში ევროგაერთიანებისადმი მოსახლეობის 56 პროცენტს დადებითი დამოკიდებულება აქვს, საშუალო ევროპული მაჩვენებელი კი 49 პროცენტია.

"ევროპული სახლის" წარმომადგენლებმა გაიხსენეს ათი წლის წინ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები, როცა ჩვენი მოსახლეობა ევროგაერთიანებისადმი მკვეთრად უარყოფითად იყო განწყობილი. არასამთავრობო ორგანიზაცია დიდ წარმატებად მიიჩნევს საზოდოებრივი აზრის სასიკეთოდ შემობრუნებას, ქართული საზოგადოების ჯანსაღ დამოკიდებულებას ევროპული ღირებულებებისადმი.

მოკლედ

თბილისი. საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა გუშინ, გამოიტანა დადგენილება თურქულ სეინერ "შაკირ ბაბასათვის" 200 ათასი ლარის სარჩელის წარდგენის შესახებ, რომელიც ქვეყნის ტერიტორიალურ წყლებში, 19 ნოემბერს, მხოლოდ გამაფრთხილებელი სროლის შემდეგ დააკავეს.

ამის შესახებ, საქართველოს სასაზღვრო უწყების შტაბის უფროსმა კორნელი სალიამ განაცხადა. მისი თქმით, ამჟამად, სეინერი, მისი ეკიპაჟი და მგზავრები, ფოთში იმყოფებიან. თუ თურქული მხარე ჯარიმის გადახდაზე უარს იტყვის, მაშინ გემის კონფისკაცია მოხდება, - განაცხადა კორნელი სალიამ. მან აღნიშნა, რომ უკანონო რეწვისათვის დამატებითი ჯარიმა თურქებს შეუძლია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ წარუდგინოს. სეინერს, რომელიც თურქულ-აფხაზურ ერთობლივ თევზმჭერ ფირმა "ამლაგურს" ეკუთვნის, სოხუმიდან თურქეთში 6 ტონა თევზი გადაჰქონდა.

აფხაზური მხარის მონაცემებით, გემს ბიჭვინთიდან 38 მილში ქართველმა მესაზღვრეებმა შეუტიეს, რის შედეგადაც ბორტზე მყოფნი დაიჭრნენ. აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში ქართველ მესაზღვრეთა მოქმედებას "მეკობრული" უწოდა. თბილისის მტკიცებით, გამაფრთხილებელი სროლების შედეგად სეინერზე არავინ არ დაჭრილა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ლეიბორისტული პარტიის სარჩელის განხილვაზე პრეზიდენტი შევარდნაძე უნდა გამოცხადდეს. ამ გადაწყვეტილებას დარბაზი ოვაციებით შეხვდა.

პროცესზე პრეზიდენტის მიწვევის თაობაზე შუამდგომლობა მოსარჩელე მხარემ დააყენა. შეგახსენებთ, რომ ლეიბორისტული პარტია პრეზიდენტსა და პარლამენტს სტრატეგიული დანიშნულების ენერგეტიკული ობიექტების გასხვისებისთვის ედავება და იმ ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს, რომელთა საფუძველზეც გაიყიდა "თელასი". მოსარჩელე ასევე ითხოვს ელექტროენერგიაზე ტარიფის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას. როგორც საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის მუდმივმა და სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბელა სირბილაძემ განაცხადა, პრობლემა მართლაც სერიოზულია, მაგრამ პრეზიდენტი არაფერ შუაშია - მოპასუხედ პარლამენტი და სემეკი უნდა გამოცხადდნენ და არა პრეზიდენტი.

სირბილაძე მიიჩნევს, რომ მოპასუხე მხარედ პრეზიდენტი ხელოვნურად არის ჩართული. მისივე თქმით, პრეზიდენტი გამოცემულ ნორმატიულ აქტში ერთმნიშვნელოვნად ამბობს, რომ არ უჭერს მხარს მონოპოლიზაციას. „მე თან მაქვს პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება და წარვუდგენ სასამართლოს", - აცხადებს სირბილაძე.

ლეიბორისტთა ლიდერის შალვა ნათელაშვილის თქმით, პრეზიდენტი ისეთივე მოქალაქეა როგორც სხვა, ამიტომ უნდა მიიღოს ნებისმიერი მიწვევა. ნათელაშვილი დაჟინებით ითხოვს პროცესზე შევარდნაძის მისვლას და აცხადებს, რომ ყველანაირად ეცდება, იძულებული გახადოს პრეზიდენტი, მივიდეს საკონსტიტუციო სასამართლოში. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. დაბა ხარაგაულის ყოფილი გამგებელი დავით სახვაძე ხარაგაულში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებას მოითხოვს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დავით სახვაძემ განაცხადა, იმ შემთხვევაში, თუ ხარაგაულში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არ ჩატარდება, მაშინ იქაური მოსახლეობა თბილისში ჩამოვა და საპროტესტო აქციებს გამართავს.

მისი თქმით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება, რომ დაბა ხარაგაულში აღარ უნდა გაიმართოს თვითმმართველობის არჩევნები და იქ საპრეზიდენტო მმართველობა დაინიშნება, არის მოსახლეობისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლების ჩამორთმევა. დავით სახვაძის მტკიცებით, ხარაგაულში არჩევნების არჩატარებით დაინტერესებულია სოციალისტური პარტია. როგორც იგი აღნიშნავს, პარტიის ლიდერს ვახტანგ რჩეულიშვილს ხარაგაულის გამგებლად სოციალისტური პარტიის ხარაგაულის ორგანიზაციის თავმჯდომარის გიორგი ლაცაბიძის დანიშვნა სურს, რის თაობაზეც სოციალისტთა ლიდერი უკვე შეუთანხმდა პრეზიდენტს. სახვაძის განცხადებით, მან დღეს სარჩელით მიმართა უზენაეს სასამართლოს, რომელშიც მოითხოვს ხარაგაულში ხელახალი არჩევნების დანიშვნას. **კავკასა-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების უფროსი, ოთხვარსკვლავიანი გენერალი რიჩარდ მაიერსი დღეს სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ეწვევა. გენერალი მაიერსი თბილისში მეუღლითურთ ჩამოვა.

ვიზიტის მიზანს საქართველოს უსაფრთხოების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, კრიზისულ სიტუაციებში საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების და ქვეყანაში არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გაცნობა წარმოადგენს.

ვიზიტის ფარგლებში ამერიკელი გენერალი საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, თავდაცვის მინისტრ დავით თევზაძეს და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს ჯონი ფირცხალაიშვილს შეხვდება. კვირას თავდაცვის სამინისტროში სტუმრის დახვედრის ოფიციალური ცერემონიალი გაიმართება. შეხვედრებზე მხარეები სამხედრო სფეროში სამომავლო თანამშრომლობის გეგმას განიხილავენ. სავარაუდოდ, ისინი საქართველოსთვის სამხედრო დახმარების გაზრდის შესაძლებლობაზე იმსჯელებენ და რიგ პოლიტიკურ საკითხებსაც შეეხებიან. რიჩარდ მაიერსი კრწანისის სასწავლო ცენტრში მიმდინარე "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მსვლელობას გაეცნობა. კრწანისის ცენტრში ამერიკელი გენერალი 11 სექტემბერს დაღუპულთა მემორიალის გახსნის ცერემონიალს დაესწრება. რიჩარდ მაიერსი ასევე თავდაცვის ეროვნულ ცენტრს დაათვალიერებს და საქართველოში მყოფ ამერიკელ მეკავშირეთა ჯგუფს შეხვდება.

ამერიკაში დაბრუნების შემდეგ გენერალი საქართველოში ვიზიტის შედეგების შესახებ ანგარიშს პენტაგონს წარუდგენს. ექსპერტების განცხადებით, საქართველოში მიმდინარე სამხედრო რეფორმისა და ზოგადი ვითარების შესახებ მაიერსის ანგარიშზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამერიკა-საქართველოს შემდგომი სამხედრო თანამშრომლობა, რადგან გაერთიანებული შტაბების უფროსი აშშ-ს პრეზიდენტის, თავდაცვის მინისტრისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მთავარი სამხედრო მრჩეველია.

გენერალი მაიერსი აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების თავმჯდომარედ 2001 წლის 1 ოქტომბერს დაინიშნა. ამ პოსტზე იგი რიგით მე-15 თავმჯდომარეა.

აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების უფროსი საქართველოში პირველად 1994 წელს იმყოფებოდა. ეს თანამდებობა მაშინ გადამდგარ გენერალ ჯონ-მალხაზ შალიკაშვილს ეკავა. რაც შეეხება რიჩარდ მაიერსს, იგი საქართველოში პირველად ჩამოდის. მაიერსის ვიზიტი 25 ნოემბრამდე გაგრძელდება. **ინტერ-პრესი**

საქართველომ ნატო-ს კარზე დააკაკუნა

პირველი გვერდიდან

წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ საკითხი დადებითად გადაწყდება და ჩრდილოატლანტიკური ალიანსი საქართველოს წევრობის მსურველ სახელმწიფოთა სიაში შეიყვანს. სამიტზე მიღებული ახალი დეკლარაციის თანახმად, ნატო "მოუწოდებს ცენტრალური აზიისა და კავკასიის სტრატეგიულ რეგიონებში არსებულ ქვეყნებს, გამოიყენონ (გაწევრიანების ინდივიდუალური პროგრამით) გათვალისწინებული მექანიზმები" ალიანსში გასაწევრიანებლად.

დადებითი პასუხის შემთხვევაში, ნატო-ს ექსპერტები საქართველოში ჩამოვლენ და საქართველოსთვის გაწევრიანების ინდივიდუალურ გეგმას შეიმუშავებენ. ამის შემდეგ ყველაფერი საქართველოზე იქნება დამოკიდებული. საქართველომ ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროში რეფორმები განუხრელად უნდა განახორციელოს, რათა უახლოეს რამდენიმე წელიწადში სურვილი რეალობად იქცეს.

ნატო-ს სამიტი საქართველოსთვის იმითიც იყო მნიშვნელოვანი, რომ 21 ნოემბერს სამიტზე მიღებული ერთობლივი დეკლარაციის მე-15 პუნქტში ჩაიწერა: "ნატო დაბეჯითებით მოუწოდებს [რუსეთს], შეასრულოს 1999 წელს ეუთო-ს სტამბოლის სამიტზე ნაკისრი ვალდებულება და საქართველოდან და მოლდოვადან სამხედრო ბაზები გაიყვანოს."

აღნიშნულ პუნქტს სამიტზე მყოფი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი გამოეხმაურა. მისი თქმით, რუსეთმა უკვე დახურა ორი სამხედრო ბაზა გუდაუთასა და ვაზიანში. თუმცა, დღემდე ეუთო-ს ექსპერტები ვერ ახერხებენ გუდაუთის ბაზის დახურვის ფაქტის დადასტურებას, რადგან ინსპექტირებისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე ვერ შედიან. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, დანარჩენი ორი ბაზის დახურვის შესახებ მოლაპარაკებები უახლოეს მომავალში გაიმართება. "მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო შეთანხმებას მივაღწევთ", - დასძინა ივანოვმა.

საგარეო ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის შალვა ფიჩხაძის თქმით, საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანა "ევროატლანტიკური სივრცის ზრუნვის საგანი გახდა. სწორედ ამაზე ვამყარებთ იმედს. ეს რომ ორმხრივი მოლაპარაკების საგანი ყოფილიყო, ალბათ, არც არასოდეს შესრულდებოდა".

პრაღის სამიტის მეორე დღე, ფაქტობრივად, მთლიანად რუსეთ-ნატო-ს შორის ურთიერთობებს დაეთმო. ალიანსის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები თავიანთ რუს კოლეგას იგორ ივანოვს შეხვდნენ. ივანოვთან შეხვედრისას მოკავშირეებმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჩეჩნეთის კონფლიქტის საკითხში დასავლეთის მხარდაჭერა დაუდასტურეს.

თავის მხრივ, ივანოვმა განაცხადა, რომ რუსეთი ალიანსის გაფართოების წინააღმდეგი არ არის, რადგან ნატო-ს მიზნები შეიცვალა და ახლა, რუსეთის მსგავსად, საერთაშორისო ტერორიზმს დაუპირისპირდება. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ორივე მხარე დაინტერესებულია "უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის ჩამოყალიბებით".

REUTERS

ნატო-ს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი პრეზიდენტ ბუშთან ერთად

ძველ მეტოქეებს - ნატო-სა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმების ფონზე, ერთგვარ დისონანსს ქმნიდა უკრაინის მიმართ აშკარად გამოხატული ცივი დამოკიდებულება. დასავლეთთან კუჩმას ურთიერთობა მას შემდეგ გაფუჭდა, რაც გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი უკრაინული წარმოების საჰაერო თავდაცვის სისტემების ერაყისათვის მიყიდვის თაობაზე.

სამიტის მსვლელობისას სახელმწიფოთა ლიდერები ფრანგული ალფავიტის მიხედვით ისხდნენ, რათა შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებს უკრაინის გვერდით ყოფნა თავიდან აერიდებინათ.

ნატო-ს გენერალური მდივნისათვის სამიტს უსიამოვნო ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია. სამიტის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ლორდ რობერტსონს რუსმა ნაციონალისტებმა პომიდვრები დაუშინეს. თუმცა, პრაღის სამიტის საზეიმო განწყობა ამ შემთხვევამ ვერ გააფუჭა.

"შევარდნაძე თავისი კლანისთვის უძრავი ქონების გადაცემით არის დაინტერესებული"

ნათაძის აზრით, ნატო-ში გაწევრიანება შევარდნაძის პირად ინტერესებში შედის

"საქართველოს ნატო-ში შესვლა იქნება გადამწყვეტი ნაბიჯი რუსეთის აგრესიისგან ჩვენი ქვეყნის დასაცავად. აქედან გამომდინარე, პრაღის სამიტზე შევარდნაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველო ნატო-ში გაწევრიანებას ითხოვს, ჩვენს ინტერესებს ემსახურება და მხოლოდ დადებით შეფასებას იმსახურებს. ამ შეფასების პარალელურად, აუცილებელია, ვუპასუხოთ კითხვას: როგორ ხდება, რომ შევარდნაძე, საქართველოს დიქტატორი, რომელიც, თავისუფალ საქართველოში "მოღვაწეობის" ჩათვლით, რუსეთის ერთგულ მსახურად წარმოგვიდგება, დღეს მკვეთრ პროდასავლურ ნაბიჯს დგამს? - სახალხო ფრონტის თავმჯდომარის ნოდარ ნათაძის აზრით, ნატო-ში გაწევრიანება შევარდნაძის პირად ინტერესებში შედის, - ეს ნაბიჯი მას საშუალებას მისცემს, დაჩქარებული ტემპით მოახდინოს საქართველოს დარჩენილი უძრავი ქონების პრივატიზება, ფაქტობრივად, ამ ქონების თავისი კლანისთვის გადაცემა."

ვერიკო თევზაძე

ამის გარდა, ნათაძე ასახელებს კიდევ სამ ძირითად ფაქტორს, რომლის გამოც შევარდნაძემ გადადგა ნაბიჯი ნატო-სკენ. ნათაძის ვერსიით, შევარდნაძე დასავლეთისადმი მეგობრული დამოკიდებულების დემონსტრირებას ახდენს. **"მეორე, შევარდნაძეს სურს, იმის ხაზგასმა, თუ რამდენად შორს არის დღეს საქართველო იმ ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისგან, რომელიც ნატო-ში შემსვლელ ქვეყანას მოეთხოვება. ამით პრეზიდენტი შეეცდება, მოახდინოს მოსახლეობის ნატო-სადმი მისწრაფების ფსიქოლოგიური პარალიზება. და ბოლოს, საქართველოსთვის აფხაზეთის დაკარგვის ოპერაცია, რომელსაც შევარდნაძე, უკვე 11 წელია, ატარებს, წარმატებით დასრულდება ე. წ. ბოდენის დოკუმენტით. შევარდნაძეს განზრახული აქვს, რომ ნატო-ს მოთხოვნის საბაბით ("ორგანიზაციაში შემსვლელ სახელმწიფოში შიდა კონფლიქტები არ უნდა იყოს") გაანეიტრალოს ქართული საზოგადოების მძაფრი პროტესტი, რომელსაც, სავარაუდოდ, პრეზიდენტის მოღალატური სტრატეგია გამოიწვევს."**

ნათაძე მიიჩნევს, რომ "ბოდენის დოკუმენტი" ნიშნავს საქართველოს დაღუპვას. **"ბოდენს, რუსეთის ერთგულ მსახურს, საქართველოს სიძულვილი და ბოღმა მოსდგამს. იგი, შევარდნაძის უაქტიურესი მონაწილეობით, საქართველოს დასამარებას აპირებს."**

ნოდარ ნათაძე საჭიროდ თვლის, მოსახლეობას განემარტოს, რომ საქართველოს ზომიერი ჩარევა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში სულაც არ ნიშნავს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის შელახვას; ეკონომიკური რეფორმების გატარება კი ტოტალურ პრივატიზებასთან არ უნდა გავაიგივოთ. **"ეკონომიკას ანგრევენ. "რეფორმები" 180 გრადუსით სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული. ჩვენს ხელისუფლებას ავიწყდება, რომ ნორმალურ ქვეყანაში საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება. ეს ნორმალურ ქვეყანაში სიცოცხლო დანიშნულების ობიექტები სახელმწიფო კონტროლის ქვეშ იმყოფება. საქართველოში წყლის, როგორც რესურსის, გაყიდვას აპირებენ... შევარდნაძეს გასაყიდი დარჩა ფოთის პორტი, რკინიგზა, წყალსადენი. ესენი არადუბლირებადი ობიექტებია. რუსთავის ქარხანას თუ დაკარგავ, სანაცვლოდ, ახალს ააშენებ. ფოთის პორტი ან, თუნდაც, რკინიგზა - ერთადერთია."**

ეასრ ბაბალიანის ფოტოები

ნოდარ ნათაძე

საქართველო რუსეთის ბაზების გაყვანასაც სთხოვს და გადასახადების გადახდასაც...

თამარ ხორბალაძე

მაშინ, როცა ნატო-ს სამიტი იღებდა დოკუმენტს, რომელშიც ნატო რუსეთს სტამბულის ხელშეკრულების შესრულებას ურჩევს და რომელშიც საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის აუცილებლობა არის აღნიშნული...

მაშინ, როცა პრაღაში მყოფი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი ირწმუნებოდა, რომ რუსეთმა გუდაუთისა და ვაზიანის ბაზები უკვე გაიყვანა, დანარჩენი ორის საკითხი კი შემდგომი მოლაპარაკების საგანია, საქართველოს პარლამენტში რუსეთის ბაზების დაბეგვრის აუცილებლობის შესახებ დადგენილებას იღებდნენ.

"რუსეთის სამხედრო ბაზები ექვემდებარებიან დაბეგვრას. ისინი ვალდებულნი არიან, გადაიხადონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები: მიწისა და ქონების გადასახადი; საქართველოს პარლამენტი ავალებს ფინანსთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსთან ერთად, ერთი თვის ვადაში შეისწავლოს და წარმოადგინოს 1991 წლიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გადასახადების გადახდის ვალდებულების ოდენობა. ამის შემდგომ ფინანსთა სამინისტრომ 3 თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს გადასახადების ამოღება," - ნათქვამია დადგენილებაში, რომელიც ოთხშაბათს, სხდომაზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბათიაშვილმა წარმოადგინა. მანვე განაცხადა, რომ საუბარია საკმაოდ სოლიდურ თანხებზე.

აქვე პარლამენტმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ რუსული ბაზების ყოფნას საქართველოში კანონიერი საფუძველი არ გააჩნია და რუსეთმა ისინი უნდა გაიყვანოს.

პარლამენტის გააქტიურებას ამ მიმართულებით გუშინ გამოეხმაურნენ ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების წარმომადგენლები.

"რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში ყოფნის ფინანსურ საკითხებზე მხარეებს შორის ხელშეკრულება არასოდეს დადებულა, ვინაიდან ქართულ მხარეს ამგვარად საკითხი არასოდეს დაუყენებია," - განუცხადა "ინტერ-პრესს" ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, პოლკოვნიკმა ალექსანდრ ლუტკევიჩმა.

მისივე თქმით, ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფება მიმდინარე გადასახადებს (ელექტროენერგიის, სატელეფონო ქსელისა და წყლის მოხმარების) რეგულარულად იხდის. რაც შეეხება მიწათსარგებლობის გადასახადს, ლუტკევიჩის მონაცემებით, მხარეებს შორის სამხედრო საკითხების შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებებზე აღნიშნული საკითხი არ განხილულა.

"1995 წელს, საქართველოში რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ჩერნომირდინის ვიზიტის დროს, მხარეებმა სამთავრობო დონეზე გააფორმეს ხელშეკრულება, რომლითაც ქართულმა მხარემ რუსებს უსასყიდლო იჯარით გადასცა საქართველოში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზების ტერიტორიები. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების რატიფიცირება არც ერთ მხარეს არ განუხორციელებია, რუსულ მხარეს მიწათსარგებლობის გადასახადი არასოდეს გადაუხდია", - აღნიშნა მან.

ლუტკევიჩი საქართველოში მოქმედი რუსეთის სამხედრო ბაზების დაბეგვრის საკითხს ორი ქვეყნის მთავრობის კომპეტენციად მიიჩნევს.

აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკება გადასახადების გადახდის მექანიზმების თაობაზე, პარლამენტის დადგენილების მიხედვით, რუსეთის სამხედრო ბაზებთან უნდა აწარმოოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა კახა სიხარულიძემ კომენტარი გააკეთა პარლამენტის ამ დადგენილებასთან დაკავშირებით:

"საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო ბაზების ფინანსური დავალიანებები დეტალურად არის დათვლილი და რუსეთის მიერ მათი გადახდის საკითხს ქართული მხარე ორმხრივ მოლაპარაკებებზე მუდმივად აყენებს. გაყვანის ვადების დაზუსტების შემდეგ ქართული მხარე საბოლოოდ ჩამოყალიბდება დავალიანების საერთო ოდენობის საკითხში,"- აღნიშნა მან.

კახა სიხარულიძის ინფორმაციით, რუსეთის პოზიციის გამო, რომელიც საქართველოდან სამხედრო ბაზების გასაყვანად კვლავინდებურად 11 წელიწადს ითხოვს, კონსულტაციები შეჩერებულია. თუმცა, ქართული მხარე მიიჩნევს, რომ მოლაპარაკებებისთვის რესურსი ჯერ კიდევ არსებობს და ამ ეტაპზე, ფინანსური დავალიანებების გამო, რადიკალური ზომების გატარება მიზანშეუწონელია.

"პარტნიორი ქვეყნები ცდილობენ, დაარწმუნონ რუსეთი, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოიჩინოს კონსტრუქციულობა და დააჩქაროს როგორც ვადების განსაზღვრა, ასევე 1999 წლის სტამბულის ეუთო-ს სამიტზე აღებული ვალდებულების შესრულება ბაზების გაყვანის თაობაზე," - განაცხადა მან და ამ სიტუაციაში მთავარ საკითხად გაყვანის ვადებზე შეთანხმება დაასახელა.

რაც შეეხება გადასახადებს - **"რუსული მხარე იხდის ძირითად, მიმდინარე გადასახადებს, მათ შორის - კომუნალურს, მაგრამ საქართველოს წინაშე არსებული მთლიანი დავალიანებების დაფარვის საკითხი, მათ შორის – მიწათსარგებლობისაც, ორი ქვეყნის მთავრობის დონეზე უნდა გადაწყდეს და სამხედრო საკითხებზე განახლებული მოლაპარაკებების საგანი უნდა გახდეს"**, - აღნიშნა გუშინ კახა სიხარულიძემ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

პატიაშვილის ნალმზე ხაბურძანია არ აფეთქდა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ალექსანდრე ჭაჭია და ჯუმბერ პატიაშვილი

ᲘᲚᲘᲐ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲞᲜᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲡᲢᲣᲓᲘᲝ

ვალერი ხაბურძანია

მისივე თქმით, ხელისუფლებას, "ერთობის" გარდა, მემარჯვენე ოპოზიციური ძალებიც ჰყავს მიზანში ამოღებული და ამის დასადასტურებლად დოკუმენტის კითხვას განაგრძობს: **"ბოლო დროს შეიმჩნევა მემარჯვენე ოპოზიციურ ძალთა გაერთიანება, რომელთა მიზანია არსებული ხელისუფლებისა და პრეზიდენტის გადაყენება და ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა, მანამდე კი ალტერნატიული კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება. მემარჯვენე ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს აღნიშნული მიზნის მიღწევის რეალურ გზად მიაჩნიათ ე.წ. "ნაციონალური მოძრაობის" აგორება. მემარჯვენე ძალები აქტიურად მუშაობენ მოსახლეობასა და მოსწავლე-ახალგაზრდობაში, მათი მართვის ბერკეტების ცენტრალიზებისა და ხელში ჩაგდების მიზნით. აღნიშნულ ძალებში მიმდინარე პროცესების კონტროლისა და სამომავლო გეგმების, ასევე უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების შესაძლო დაინტერესების გამოვლენის მიზნით, შეძენილ იქნას დამატებითი ოპერატიული წყაროები."**

ჯუმბერ პატიაშვილის განცხადებით, ანტიტერორისტული ცენტრი ანალოგიური ღონისძიებების ჩატარებას გეგმავს ქვეყანაში არსებული მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევი ყველა ძალის მიმართ, ხელისუფლების მხარდამჭერი პოლიტიკური ორგანიზაციების გარდა. **"ამასთან, ნავარაუდევია ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში მიმდინარე პროცესების გაკონტროლება, კერძოდ ოპერატიული მუშაობის გაძლიერება განდგომილ მღვდელთმსახურთა შორის. ანტიტერორისტული ცენტრის ყურადღება არც ეროვნულ უმცირესობას, კონკრეტულად კი - სომხური და აზერბაიჯანული წარმოშობის ინტელიგენციას მოჰკლებია,"** - სახელმწიფო უშიშროების მიმართ წაყენებული ბრალდებების ნუსხას კიდევ უფრო განავრცობს პატიაშვილი.

მოხსენებამ, შეიძლება ითქვას, რომ დეპუტატები შოკში ჩააგდო. სიტუაცია კიდევ უფრო გაამძაფრა "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის დავით გამყრელიძის განცხადებამ, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, უშიშროების სამინისტროში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს პატიაშვილის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებული რეგისტრაციის ნომრებისა და ნუმერაციის შეცვლა.

თუმცა, სავარაუდო სკანდალი, როგორც აღვნიშნეთ, არ შედგა: პარლამენტში მისულმა უშიშროების მინისტრმა მტკიცედ დაარწმუნა "დამსწრე საზოგადოება", რომ მისი უწყება სრულიად "უდანაშაულოა" და ამ შემთხვევაში, "პროვოკაციას აქვს" ადგილი.

მართალია, ხაბურძანია არ უარყოფს, რომ პატიაშვილის მიერ წარმოდგენილი "მასალა" მის უწყებაში ნამდვილად შეიქმნა, მაგრამ დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ მას დოკუმენტის სახე არ მიუღია და მითუმეტეს, არ ამოქმედებულა. როგორც ირკვევა, გასული წლის ბოლოს, როდესაც ხაბურძანია მინისტრის თანამდებობაზე ახალი დამტკიცებული იყო, ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ვასილ სანებლიძემ, ამ სტრუქტურის 2002 წლის სამუშაო გეგმის სახით, მას აღნიშნული "მასალა" წარუდგინა.

"მისი გაცნობის შემდეგ, ფორმულირებებისა და მიმართულებების აბსოლუტურად მიუღებლობის გამო, დოკუმენტი სანებლიძეს უკან მივუგდე, ხოლო ცოტა მოგვიანებით ის თანამდებობიდან გავათავისუფლე," - განუცხადა მინისტრმა დეპუტატებს.

ხაბურძანიას ვარაუდით, მიუხედავად იმისა, რომ პატიაშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი არ ამოქმედებულა, მისი კომპიუტერული ვერსია, სამომავლო საჭიროებისთვის, **"ვიღაცამ"** საგანგებოდ შემოინახა. მინისტრის თქმით, სულაც არ არის შემთხვევითი, რომ აღნიშნული ვერსია სწორედ ისეთ მნიშვნელოვან დღეს გამოიტანეს "სააშკარაოზე", როდესაც პრაღაში, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამიტზე, საქართველომ განცხადება გააკეთა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილის შესახებ. ამასთან, ხაბურძანია მიიჩნევს, რომ უშიშროების სამინისტროსა და პირადად მინისტრის დისკრედიტაციით **"გარკვეული ძალები"** არიან დაინტერესებულნი და ჯუმბერ პატიაშვილი **"ვიღაცამ"** პროვოკაციაზე წამოაგო.

როგორც ჩანს, ეს **"ვიღაც"** და **"გარკვეული ძალა"** სულაც არ არის ზებუნებრივი არსება. იგი სახელმწიფო კანცელარიაში საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობს და პოლიტიკურ პროცესებზე საკმაოდ მზარდი გავლენა გააჩნია. ამ "ვიღაცასა" და ხაბურძანიას შორის არსებულ წინააღმდეგობებზე ლამის ოფიციალურად საუბრობენ სახელისუფლებო კაბინეტებში. ამდენად, სულაც არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ "ვიღაცამ" პატიაშვილს "ტოპკა" აუწია (ხაბურძანიას მიერ დაწუნებული სამუშაო მასალა "შეუგდო") და მოინდომა, 1989 წლის 9 აპრილის "მონაწილე" უშიშროების მინისტრის პოლიტიკურ ქილერად ექცია. ძნელი სათქმელია, რატომ დათანხმდა პატიაშვილი ხაბურძანიას "მკვლელობაზე" - მართლა სჯეროდა, რომ მინისტრი ტოტალიტარული მეთოდებით მოქმედებას აპირებდა თუ "საიდუმლო დოკუმენტი" მისთვის იყო სასურველი ბლეფი, რომელიც შევარდნაძის იმპიჩმენტის დასუსტებულ მოძრაობას ახალ ძალას შთაბერდა.

გუშინ პარლამენტმა ვალერი ხაბურძანიას დაუჯერა და მის წინააღმდეგ ხელი არ აღმართა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდა მინისტრის გამარჯვება საბოლოო და შეუქცევადია. მას მაინც ყოველ წუთს ემუქრება ნაღმზე აფეთქება. მითუმეტეს, ხაბურძანია თავადაც აღიარებს, რომ უშიშროებაში არიან ძალები, რომლებიც ამის გაკეთებას ცდილობენ.

მინისტრმა, როგორც ჩანს, "მეხუთე კოლონის" წარმომადგენელთა ვინაობაც იცის. ამის მიუხედავად, იგი მათგან თავის დაღწევას, ჯერჯერობით, ვერ ახერხებს. არადა, იმ **რეფორმების არგატარება ან თუნდაც შეყოვნება, რომელსაც ერთი წლის წინათ მინისტრი დაჰპირდა საზოგადოებას, შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს არა მარტო თავად ხაბურძანიასთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვისაც - სუსტი პოლიტიკური ინსტიტუტების არსებობის პირობებში, სულაც არ არის გამორიცხული, რომ სწორედ უშიშროება იქცეს ქართული სახელმწიფოებრიობის ყველაზე დიდ საშიშროებად.**

საპარლამენტო პანორამა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ჯარიმა გამოუვა, რომ მის დასაფარად მთელი თვის ხელფასი არც კი ეყოფა," - ეცინება როსტომ დოლიძეს.

▪ ▪ ▪

პარლამენტის გადაწყვეტილებით, ომის ვეტერანებსა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა ოჯახებისთვის წესდება შეღავათები ელექტროენერგიის მოხმარებაში. ზამთრის პერიოდში ისინი უფასოდ მიიღებენ 250, ხოლო ზაფხულში - 180 კილოვატსაათ ელექტროენერგიას. გუშინდელ პლენარულ სხდომაზე დიდი კამათი გაჩაღდა იმასთან დაკავშირებით, თუ საიდან უნდა დაიფაროს მოხმარებული დენის საფასური: ადგილობრივი თუ ცენტრალური ბიუჯეტიდან.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის წინააღმდეგობის მიუხედავად, საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით, ხარჯების გაღება ცენტრალურ ხაზინას მოუწევს.

▪ ▪ ▪

გუშინდელი პლენარული სხდომის მიმდინარეობისას, დეპუტატმა ნუგზარ ნავაძემ პარლამენტის თავმჯდომარეს უსაყვედურა, ტაიმერზე დრო რომ ამოიწურება და მიკროფონი გამოირთვება, ხელახლა ნუღა ჩაურთავ ხოლმეო. ამასობაში მისი საუბრის დროც ამოიწურა და ნავაძემ პარლამენტის სპიკერს დაჟინებით მოსთხოვა... მიკროფონის ჩართვა.

"24 საათი

სოსო ცინცაძე: "ხმალაძესთან და შავიშვილთან ერთად, უბრალოდ, ოჯახი ვერ შევქმენით..."

ცნობილი ხაშურელი "ზვიო", ჯაბა იოსელიანი, დოდო გუგეშაშვილი, რომან გოცირიძე, ბესო ჯუღელი და სხვები და სხვები გუშინ ნეოლიბერალების მიერ მოწყობილ პრეზენტაციას უბრალოდ სტუმრის და "იდეოლოგიური მეზობლების" სტატუსით ესწრებოდნენ, პრეზენტაციის მთავარი გმირი კი გახლდათ ექვსკაციანი პოლიტსაბჭო, რომელიც ნეოლიბერალურ პარტიას უდგას სათავეში. ერთი თვის წინანდელისგან განსხვავებით, ნეოლიბერალების პოლიტსაბჭოში დღეს პარლამენტარი ვალერი გელაშვილი, სოსო ცინცაძე, ტარიელ კულულაშვილი, სერგი (ბაჩი) ქიტიაშვილი, ლადო ჭანუყვაძე და ოთარ ჩხაიძე შედიან.

ერთი თვის წინ დაფუძნებულმა "ნეოლიბერალებმა" საკუთარი, როგორც პოლიტიკური მოძრაობის არსებობა ოფიციალურად გააფორმეს და გუშინ პარტიის პრეზენტაცია მოაწყვეს. პარტიის მესვეურები აცხადებენ, რომ ისინი არ აკეთებენ აქცენტებს ცნობილ სახეებზე და არც მოკლევადიანი გათვლა აქვთ მოსალოდნელ არჩევნებზე. ჯერჯერობით არც პოლიტიკური პარტნიორები ჰყავთ შერჩეული.

გუშინ პრეზენტაციაზე და პოლიტსაბჭოში, ერთი თვის წინანდელი თავყრილობისგან განსხვავებით, უკვე აღარ ჩანდნენ რევაზი შავიშვილი და ვახტანგ ხმალაძე, რომლებიც დღეს საკუთარ ლიბერალურ პარტიას აფუძნებენ.

გუშინდელი პრეზენტაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და მიზანი "ნეო-ლიბერალებსა" და "ლიბერალებს" შორის განსხვავების წარმოჩენა გახლდათ.

საბჭოს ერთ-ერთი წევრი პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე გუშინ აცხადებდა, რომ პარტიის შიგნით დღემდე განვითარებულ მოვლენებს გახლეჩას ვერ დაარქმევს.

"შეიძლება ითქვას, რომ, უბრალოდ, შეთანხმება ვერ შედგა და ოჯახი ვერ შეიქმნა. დღეიდან თუ წავიდნენ ჩვენი პარტიიდან წევრები, განხეთქილებაზე ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ" - ამბობს იგი და აცხადებს, რომ **"ნეო-ლიბერალიზმსა და ლიბერალიზმს შორის უზარმაზარი განსხვავებაა, რის ასახსნელადაც, ალბათ, საკმაოდ დიდი დრო იქნება საჭირო."**

"24 საათი"

იქცევა სავლე პავლედ?

30 ნოემბრის არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე მოქალაქეთა კავშირი ყველა პოლიტიკურ ძალას სადისკუსიო მაგიდასთან იწვევს. იდეა, როგორც ირკვევა, პარტიის თავმჯდომარეს ავთანდილ ჯორბენაძეს ეკუთვნის. მისი ინიციატივა დიალოგის გამართვის თაობაზე მხოლოდ 30 ნოემბრის არჩევნებს არ ეხება. იგი უფრო მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის არის გათვლილი და, როგორც პარტიის მესვეურები ირწმუნებიან, მისი მიზანია, "საქართველოს მოსახლეობას რეალური არჩევანის საშუალება მისცეს".

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ პარტიის ოფისში საგანაგებოდ შეკრებილმა პარტაქტივისტებმა ერთხმად ისაუბრეს იმ საშიშ ტენდენციებზე, რომელიც ქვეყანაში ჩამოყალიბდა, აღიარეს საარჩევნო ადმინისტრაციების პოლიტიზებისა და ზოგიერთი პოლიტიკური ძალის მხრიდან მათი გაკონტროლების მაღალი ხარისხი.

შეხვედრის მთავარ აკორდად პარტიის პოლიტიკური განცხადება იქცა, რომელიც ავთანდილ ჯორბენაძის მიერ "უფლებამოსილმა პირმა" გელა კვაჭანტირაძემ გააკეთა (სხვათა შორის, იგი სულ ცოტა ხნის წინ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი იყო, შემდეგ ზურაბ ჟვანიასთან გადაინაცვლა, ხოლო პარტიის საბოლოო გახლეჩის შემდეგ მოქკავშირის ხელმძღვანელობაში დაიდო "პოლიტიკური ბინა").

როგორც განცხადებაშია ნათქვამია: **"მოქალაქეთა კავშირი მიმართავს სამართლიანობისა და დემოკრატიის დამკვიდრებაში დაინტერესებულ ყველა პოლიტიკურ ძალას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს და გამოთქვამს მზადყოფნას, გავმართოთ კონსულტაციები სამართლიანი არჩევნების მექანიზმების ჩამოყალიბების, მისი საკანონმდებლო უზრუნველყოფისა და პრაქტიკული რეალიზაციის საკითხებზე..."** განცხადების თანახმად, **"მოქკავშირი ემიჯნება ნებისმიერ უკანონობას და უსამართლობას, რომელიც ამა თუ იმ ფორმით შეიძლება ხდებოდა ან შეიძლება მოხდეს მომავალ არჩევნებში, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი"...**

ასე და ამგვარად - არჩევნების ობიექტურად გამართვის აუცილებლობაზე უკვე მოქკავშირიც ალაპარაკდა. თანაც, პარტია ზუსტად იმეორებს იმ პოსტულატებს, რაც მანამდე რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ ჩამოაყალიბა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ არჩევნებს ამ ქვეყანაში არა ადგილობრივი პოლიტიკური ძალები აყალიბებდნენ (და, ალბათ, კვლავ გააყალიბებენ კიდეც), არამედ, ვთქვათ, გვატემალაში საგანგებოდ გაწვრთნილი სპეცჯგუფები, რომლებიც კენჭისყრის დღეს ჩვენში მოულოდნელად გამოჩნდებიან ხოლმე.

მოქალაქეთა კავშირის განცხადება მოულოდნელია იმითაც, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა თითქმის დაკარგეს გავლენა საარჩევნო ადმინისტრაციებზე, მოქალაქეთა კავშირში დარჩენილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები კი ისე გვარიანად არიან გაწაფული არჩევნების გაყალბების ტექნოლოგიებში, რომ თუნდაც პარტიის თავმჯდომარის პოლიტიკური მოწოდება მათ დიდად ვეღარ შეცვლის. თანაც, სხვა საქმეა, რა დირექტივებს მიიღებენ ისინი, უშუალოდ, არჩევნების დროს.

როგორც ჩანს, საარჩევნო მარათონი საკმაოდ მძიმე იქნება. თანაც იმ პარტიისათვის, რომელიც თავს "მმართველ პოლიტიკურ ძალას" უწოდებს (ამ განცხადებაში ეს სიტყვები პირველსავე აბზაცში არის ნახსენები) და რომელმაც ადგილობრივი არჩევნები ქვეყნის მთავარ ქალაქში პირწმინდად წააგო.

ახლა მოქკავშირისთვის აუცილებელია, ერთი მხრივ, მოსახლეობის ნდობის აღდგენა და მეორე მხრივ, ისეთი საკანონმდებლო მექანიზმების შექმნა, რომელიც ხელისუფლებას საარჩევნო პროცესებში ჩასართავად უფრო მეტ საშუალებას მისცემს.

როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა არმაზ ახვლედიანმა განაცხადა, მოქკავშირს უკვე ჰქონდა საუბრები "მრეწველებთან" და "გაერთიანებულ დემოკრატებთან" და **გარკვეული პრინციპული თანხმობა დიალოგის დაწყების თაობაზე მიღწეულია.**

სხვა პარტიების წარმომადგენლები საკმაოდ სკეპტიკურად შეხვდნენ კონსულტაციების დაწყების იდეას. მეტიც – მათ ეს განცხადება ერთგვარ ალიბად აღიქვეს, რომელსაც მოქკავშირი არჩევნებამდე ერთი წლით ადრე იკეთებს.

თანაც, ეს განცხადება მოქკავშირელებმა სწორედ მაშინ გააჟღერეს, როდესაც პარლამენტარმა ჯუმბერ პატიაშვლმა უშიშროების სამინისტრო ოპოზიციურ პარტიათა და არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობაზე კონტროლის დაწესების მცდელობაში ამხილა.

ირაკლი იაშვილი, "ახალი მემარჯვენეების" წევრი:

"ამ ფონზე ეს განცხადება კარიკატურასავით ჟღერს. პარტია აკეთებს ასეთ განცხადებას, უშიშროების ორგანოები კი ახორციელებენ სრულიად სხვაგვარ მოქმედებებს. ჩემი ყურით მოვისმინე, რა ღონისძიებები იგეგმებოდა ოპოზიციური პარტიების საქმიანობის შესასწავლად. ამ ფონზე ამ განცხადების რეალობის და სულისკვეთების ნაკლებად მჯერა. ძალიან მიჭირს მოქკავშირის ამ მოწოდებაზე კომენტარი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ნებისმიერი სოციოლოგიური გამოკითხვა აჩვენებს, რომ მოქალაქეთა კავშირს მომავალი არ გააჩნია. ამ ფონზე გასაგებია, რომ მოქკავშირი ცდილობს გარკვეული მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს სხვა პარტიებთან, თუმცა ასეთი მეთოდებით მუშაობა – ცალი ხელით ასეთი განცხადებების წერა და მეორეთი უშიშროების ამგვარი ქმედებები, ცოტა არ იყოს, არაადექვატურად აღიქმება".

ფრაქცია "დემოკრატების" წევრი ხათუნა ხოფერია:

"სახელისუფლებო პარტიის გარანტიები "სამართლიანობასა და ჯანსაღი კონკურენციის გარემოს შექმნის თაობაზე" ჩვენ 2 ივნისს ვიწვნიეთ, განსაკუთრებით, ცესკოს შენობის წინ, როდესაც ჩვენს წევრებს ავტომატებს და ტრანსპარანტებს ურტყამდნენ. ძალიან საეჭვო, დამაფიქრებელი და საგანგაშოა, როცა საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე მოქალაქეთა კავშირი ცდილობს გარკვეული ფონის და გარანტიების შექმნას. მე პირადად ვეჭვობ, რომ პარტია, რომელმაც ექვსი თვის წინ თბილისში პირწმინდად წააგო არჩევნები, სერიოზულად ემზადება გარკვეული ბერკეტების გამოყენებისათვის არჩევნებში და ემზადება საიმისოდ, რომ ტერორისა და დესტაბილიზაციის ფონზე ჩაატაროს 2003 წლის არჩევნები. ის ცდილობს, შექმნას ასეთი სახის დოკუმენტები და თავისი კრიმინალური ქმედებების შემდეგ მოსახლეობის თვალის ასახვევად ააფრიალოს. ეს არის ღია სიგნალი, რომ ისინი ემზადებიან არაკანონიერი ქმედებისათვის და მომავალი საპარლამენტო არჩევნების გასაყალბებლად."

ვანო მერაბიშვილი, "ნაციონალური მოძრაობა":

"მოქალაქეთა კავშირში, ალბათ, არჩევნების ძალიან სერიოზული გაყალბებისთვის ემზადებიან და ახლა ალიბის შექმნა სურთ. მათი ინციატივა გაუგებარი და სასაცილოა. ახლა სულაც არ არის კონსულტაციები საჭირო. საჭიროა პოლიტიკური ნება. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოქალაქეთა კავშირი სრულად აკონტროლებს სიტუაციას."

ვახტანგ ხმალაძე, ფრაქცია "მრეწველები"

"მე და ჩემი მეგობრები, დაახლოებით 13-14 წელია, ამ პოლიტიკურ პროცესებში ვმონაწილეობთ და მგონი, ვერავინ გვეტყვის, რომ ჩვენ ოდესმე გვიცდია სიყალბის ჩადენა. მე არც პირობის დადება მჭირდება, რომ კარგად მოვიქცევი... თუ მოქალაქეთა კავშირის განცხადება არის გულწრფელი, მხოლოდ მივესალმები. მაგრამ ყოველთვის ჩნდება კითხვა, თავად გააკეთებენ თუ არა იმას, რასაც სხვებს სთავაზობენ. ეს მხოლოდ მოქალაქეთა კავშირის მისამართით არ ითქმის. 1995 წლიდან მოყოლებული, არჩევნების გაყალბების ხარისხი სულ უფრო მატულობს, მაგრამ არც ერთ პარტიას არ უთქვამს, რომ შედეგები მან გააყალბა. ყველა თავს იქებდა, რომ არჩევნები მოიგო. ბიბლიიდან გვახსოვს, როგორ იქცა სავლე პავლედ, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში მე პავლედ ნაქცევი სავლეები რაღაც არ მახსოვს. თუ გადაიქცევიან, ღმერთმა გაუმარჯოს. მაგრამ მგონი ჩვენი საქმე ისეა, დათვმა დათვს რომ უთხრა, შე ბანჯგვლიანოო".



მთავრობა რუსულ დენს, აზერბაიჯანულ გაზს და მეცხრე ბლოკის ჩართვას ელის

პირველი გვერდიდან

"ეი-ი-ეს თელასის" ხელმძღვანელთან განცალკევებით საუბრის შემდეგ, სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ განაცხადა, რომ ყველაფერი მზად არის რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის დასაწყებად. გარდა ამისა, მისი თქმით, "ეი-ი-ეს თელასთან" მიღწეული შეთანხმების თანახმად, მომავალი კვირიდან მეცხრე ენერგობლოკი ამუშავდება, რაც ხელისუფლებისა და ამერიკული კომპანიის ერთობლივი ძალისხმევით მიიღწევა. სახელმწიფო მინისტრის ოპტიმიზმს ნაკლებად იზიარებს იგნასიო ირიბარენი. მისი განცხადებები, მომავალი კვირიდან მეცხრე ენერგობლოკის ამოქმედების თაობაზე, გაცილებით ფრთხილია. **"მართალია, მეცხრე ბლოკის ამუშავება ორივე მხარის მიზანს წარმოადგენს, მაგრამ დარწმუნებით არ შეიძლება იმის თქმა, რომ ყველა პრობლემა წარმატებით იქნება დაძლეული"**, - განაცხადა ირიბარენმა.

ხელისუფლება "ეი-ი-ეს თელასისთვის" მოსახლეობის ნაცვლად ტარიფის დანამატის დაფარვის პირობას დებს. ჯორბენაძე სამწუხარო გაუგებრობას უწოდებს იმ ფაქტს, რომ ნოემბერში თბილისელებს "ეი-ი-ეს თელასისთვის" ელექტროენერგიის საფასურის უკვე გაზრდილი ტარიფით გადახდა მოუხდათ. სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, დეკემბერში მოსახლეობა ზედმეტს აღარ გადაიხდის. თუმცა, ჯორბენაძე ყველანაირ შეღავათს გამორიცხავს ურჩ და იმ გადამხდელთათვის, რომლებიც ელექტროენერგიის დატაცებაში იქნებიან შემჩნეულნი.

იგივე პრინციპი ამოქმედდება ბუნებრივი აირის ანალოგიური კატეგორიის მომხმარებლების მიმართაც. ამასთან, მთავრობა განსაკუთრებული სიმკაცრის გამოჩენას უწყებებისა და ორგანიზაციების მიმართ აპირებს. **"ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი გაეთიშება ნებისმიერ არგადამხდელ ორგანიზაციას, განურჩევლად მათი მნიშვნელობისა და საქმიანობის პროფილისა"**, - დაიმუქრა "იტერასთან" მოსკოვში გამართული მოლაპარაკებებიდან დაბრუნებულმა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ამ მოლაპარაკებებს წარმატებულად მიიჩნევს, თავად მირცხულავას თქმით, "იტერასთან" ე.წ. "დიდი ხელშეკრულება" მარტში მხოლოდ იმ შემთხვევაში გაფორმდება, თუ უახლოეს თვეებში ქართული მხარე ყველა პირობას შეასრულებს და არგადახდით "იტერასთან" პრობლემებს არ შეიქმნის. უახლოეს მომავალში საქართველოს ხელისუფლება "იტერასგან" ბუნებრივი აირის მოწოდების სქემიდან "საქგაზის", როგორც ზედმეტი და, რაც მთავარია, გაზის გამძვირებელი შუალედური რგოლის "ამოგდებას" აპირებს. "იტერასთან" უკანასკნელი მოლაპარაკებების მონაწილის, საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის ალეკო გოცირიძის ინფორმაციით, ამჟამად ორივე მხარის იურისტები მუშაობენ იმ ოპტიმალური ფორმის მოძებნაზე, რომლითაც "იტერასა" და "თბილგაზს" შორის "საქგაზის" არსებობა ყველაზე მისაღები იქნება. ამ საკითხთან დაკავშირებით "იტერასა" და ქართულ მხარეს შორის რაიმე სახის შეთანხმების მიღწევას, ჯორბენაძისგან განსხვავებით, კატეგორიულად უარყოფს "საქგაზის" გენერალური დირექტორი ლეონიდ დეიკალო. მისი განცხადებით, ასეთი შეთანხმება არ მომხდარა და საქართველოს მთავრობა, უბრალოდ, "ზღაპრებს ყვება".

გალიმ ალნიაზოვი და იგნასიო ირიბარენი

ლეონიდ დეიკალო

ბესო გელაშვილის ფოტო

გაუგებარი დარჩა სახელმწიფო მინისტრის მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანის დამაკავშირებელი გაზსადენების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის მოთხოვნის მიზეზი. ალეკო გოცირიძის განცხადებით, საქართველოსა და აზერბაიჯანს ერთმანეთთან ორი მილსადენი აკავშირებს, თუმცა საქართველოში ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისთვის მხოლოდ ერთის გამოყენებაა შესაძლებელი. ამ გაზსადენის რეაბილიტაციისთვის გარკვეული თანხები "ბრითიშ პეტროლიუმს" აქვს გაღებული, მაგრამ მისი (მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მონაკვეთის) ექსპლუატაციაში გაშვებისთვის, გოცირიძის თქმით, ორი კვირა და 150 ათასი ლარია აუცილებელი. თუმცა, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის აღიარებით, გაზსადენის აღდგენის შემთხვევაშიც კი, საქართველო აზერბაიჯანიდან ბუნებრივი აირის მიღებას მაინც ვერ შეძლებს, რადგან ამ ქვეყანას თავად აქვს სერიოზული დეფიციტი და მის დასაფარად "იტერასგან" ყოველწლიურად ოთხ მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს იძენს. ამის გათვალისწინებით, ცხადია, რომ ეს სათადარიგო მილსადენი, რომლის საშუალებითაც საქართველოს მთავრობამ "იტერასგან" თავის დაღწევა დააპირა, ისევ და ისევ "იტერამდე" მიდის და მის იმედად ყოფნა გაუმართლებელია.

"იტერას" გასაიდუმლოებული ბიზნეს-გეგმა "აზოტის" გადარჩენის ერთადერთი გზაა

სხვადასხვა სამთავრობო უწყებებში ჯერ კიდევ მიმდინარეობს იმ ბიზნეს-გეგმის განხილვის პროცესი, რომელიც რუსულმა კომპანია "იტერამ" წარუდგინა ქონების მართვის სამინისტროს სააქციო საზოგადოება "აზოტის" ასამუშავებლად. როგორც ცნობილია, "აზოტი" ამჟამად "იტერასთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ე.წ. ტოლინგის სისტემით მუშაობს, რაც იმას გულისხმობს, რომ რუსული კომპანია "აზოტს" საწარმოო პროცესისათვის აუცილებელ ბუნებრივ აირსა და ნედლეულს აწვდის, ხოლო შემდეგ ქარხანაში დამზადებული ამონიუმის გვარჯილა გასაყიდად გააქვს. წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის თანახმად კი რუსული კომპანია "აზოტის" პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემას ითხოვს. წინასწარი ინფორმაციით, მთავრობა "იტერას" ბიზნეს-გეგმას დადებით შეფასებას აძლევს.

სოფო კვინტრაძე

"იტერამ" "აზოტის" შესყიდვის სურვილი, უკვე კარგა ხანია, გამოთქვა. რამდენიმე ხნის წინ, როცა აქტიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ქართულ-რუსული ერთობლივი საწარმოს "იტერა-ჯორჯიას" შექმნის თაობაზე, "იტერა," ვალების გაქვითვის პირობით, "აზოტის" გადაცემას ითხოვდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ერთობლივი საწარმოს შექმნა ვერ მოხერხდა და, შესაბამისად, "აზოტის" მფლობელობაში მისაღებად "იტერამ" ახალი გეგმა შეიმუშავა. "იტერასადმი" "აზოტის" დავალიანების თაობაზე კი სხვადასხვა უწყებები განსხვავებულ ინფორმაციებს იძლევიან. როგორც პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე დემურ გიორხელიძე აცხადებს, სააქციო საზოგადოება "აზოტის" ვალებმა 90 მილიონ ლარს გადაჭარბა, საიდანაც 82 მილიონი "იტერას" ვალია. აღნიშნულს კატეგორიულად ურყოფენ თავად საწარმოში. "აზოტის" გენერალური დირექტორის გიორგი გოგოლაძის განცხადებით: **"აზოტს" "იტერას" არანაირი ვალი არ გააჩნია. 1998 წლიდან დღემდე შემორჩენილია მხოლოდ მილიონნახევარ დოლარამდე დავალიანება. დანარჩენი არის მიმდინარე დავალიანებები, რომელსაც ურთიერთჩათვლების სისტემით ვიხდით."**

გოგი გოგოლაძე არ უარყოფს, რომ "აზოტს" საკმაოდ დიდი ვალები დაუგროვდა, როგორც სახელმწიფოსი, ასევე სხვადასხვა კომპანიებისა, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ ერთი წლის წინ დადგენილ 84 მილიონი ლარის ოდენობის დავალიანებას 24 მილიონი უახლოეს ხანებში ისევ სასამართლოს ძალით ჩამოაკლდა. ასე რომ, ამჟამად "აზოტის" ვალები 60 მილიონ ლარამდე აღწევს. გიორგი გოგოლაძე აცხადებს, რომ "იტერას" საწარმოში შესვლა იმდენადაა ხელსაყრელი, რამდენადაც ამ კომპანიის მიერ წარმოდგენილ ბიზნეს-გეგმაში საუბარია აღნიშნული ვალების გადახდის თაობაზეც. საწარმოში ამჟამად მიმდინარეობს საერთაშორისო აუდიტორული შემოწმება, რომელმაც საბოლოოდ უნდა დაადგინოს "აზოტის" ვალების რაოდენობა, რასაც შემდეგში "იტერა" გადაიხდის. "აზოტის" გენერალური დირექტორი მიიჩნევს, რომ "იტერას" ბიზნეს-გეგმა საკმაოდ მომგებიანია საწარმოსთვის, რადგან იგი პირველ ეტაპზე ითვალისწინებს 15 მილიონ დოლარამდე ინვესტიციის ჩადებას, რაც ქარხნის სრულ რეაბილიტაციას, მათ შორის, კაპროლაქტამის საწარმოს ამუშავებასაც მოხმარდება. მეორე ეტაპზე კი, "აზოტის" ტექნიკური ინტენსიფიკაცია დაიწყება, მოსალოდნელია ახალი საამქროების გახსნაც. გოგოლაძის ინფორმაციით, ბიზნეს-გეგმაში წარმოდგენილია, აგრეთვე, სოციალური ვალდებულებებიც, კერძოდ, "აზოტის" სამიათასამდე თანამშრომლისათვის საშუალო ხელფასების 450 ლარამდე გაზრდა. (არსებობს კულუარული ინფორმაცია, რომ "აზოტისთვის" ცნობილ ბიზნეს-გეგმის ვარიანტსა და "იტერას" ვარიანტს შორის განსხვავება სწორედ ხელფასების ნაწილშია)

ამგვარად, მთავრობა "იტერას" ბიზნეს-გეგმას ეცნობა. სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე გენო მალაზონია აცხადებს, რომ, ვიდრე სამინისტრო გამოიტანდეს "აზოტის" "იტერასადმი" პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემის გადაწყვეტილებას, რაც სიმბოლურ ფასად განხორციელდება, მანამდე, ახალი კანონმდებლობის თანახმად, პარლამენტმა სტრატეგიული ობიექტის პრივატიზების საკითხი პლენარულ სხდომაზე უნდა განიხილოს. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წარმომადგენელი თამაზ ბეჟანიშვილი კი აცხადებს, რომ კომიტეტი აღმასრულებელ ხელისუფლებას ბიზნეს-გეგმის მისეულ შეფასებას წარუდგენს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას "აზოტის" გასხვისების შესახებ ისევ ქონების მართვის სამინისტრო მიიღებს. ბეჟანიშვილი აქვე მიუთითებს, რომ წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმა საკმაოდ დადებით შეფასებას იმსახურებს, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა "იტერას" ალტერნატივა არ გააჩნია.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძის განცხადებით, რამდენიმე სამინისტრომ უკვე მისცა ბიზნეს-გეგმას დადებითი შეფასება.

"ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მოხდეს საწარმოს სერიოზული და სრული რეაბილიტაცია. "იტერა" იღებს ვალდებულებას, რომ აამუშავებს კაპროლაქტამის საწარმოს, ასევე უწყვეტად მოამარაგებს "აზოტს" ბუნებრივი აირით; გადაიხდის ელექტროენერგიის საფასურს და ხელფასებს. ძალიან მალე "აზოტი" სრული სიმძლავრით ამუშავდება," – აცხადებს გიორგი ისაკაძე.

ასე რომ, "იტერას" ბიზნეს-გეგმას საქართველოს მთავრობამ მწვანე შუქი თითქმის აუნთო, თუმცა, მიუხედავად ამგვარი დადებითი შეფასებებისა, პრესისა და საზოგადოებისათვის ბიზნეს-გეგმის სრული შინაარსი მაინც საიდუმლოდ რჩება. სამაგიეროდ, ყველა ცალსახად აცხადებს, რომ "იტერა" "აზოტის" გადარჩენის ერთადერთი შანსია.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 17 – 23 ნოემბრის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები	UK£	US$	€uro	¥en
UK£		0.6319	0.6334	0.0051
US$	1.5825		1.0024	0.0081
€uro	1.5784	0.9976		0.0081
¥en	194.2	122.74	123.03	

აფხაზები უფასო დენის სანაცვლოდ, ენგურჰესის რეაბილიტაციაზე დაგვთანხმდნენ

ენგურჰესი საქართველოს ენერგოსისტემისათვის აუცილებელი ელექტროენერგიის ნახევარზე მეტს (1000-მდე მეგავატი) გამოიმუშავებს, ხოლო აფხაზეთის მოთხოვნილებას 100 პროცენტით აკმაყოფილებს. ენერგეტიკის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი კრედიტებიდან დღემდე ამ სადგურს მარტო შვეიცარიის მთავრობის მიერ გამოყოფილი მილიონ დოლარამდე ოდენობის გრანტი მოხმარდა, რომელიც 1996-2001 წლებში შვეიცარულმა ფირმებმა "შტუკემ" და "ელექტროვატმა" აითვისეს. ენგურჰესის ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნება დღემდე ადგილობრივი სახსრებით ხდება, სადგური კი სულ სამი პროცენტით ფინანსდება. ამიტომაც აქ დღემდე მხოლოდ გადაუდებელი სამუშაოები ტარდება, ეს კი ენგურჰესის მდგომარეობას ვერ აუმჯობესებს. თუ სადგური ტექნიკურად საბოლოოდ გაიმართება, ის თავისი საპროექტო სიმძლავრის - 1300 მეგავატის გამომუშავებასაც შეძლებს და უფრო საიმედოს გახდის არა მარტო საქართველოს, არამედ აფხაზეთის ენერგოსისტემასაც. ამდენად, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია ქართული და აფხაზური მხარეებისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს და ქართულ-აფხაზური კონსტრუქციული თანამშრომლობის პირველი საბაბი ხდება.

მაია ურუშაძე

ენგურჰესის რეაბილიტაციისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 38 750 000 დოლარის ოდენობის 15-წლიანი კრედიტი გამოყო. კრედიტის ფარგლებში გარემონტდება სადგურის სამი აგრეგატი, მართვის სისტემები და საკაბელო მეურნეობა. ევრობანკმა ენგურჰესზე სხვა აუცილებელი აღდგენითი სამუშაოებისთვის 10 მილიონი ევროს ოდენობის დამატებითი მიზნობრივი გრანტიც გამოჰყო. ენგურჰესის რეაბილიტაციის პროცესში სამუშაოების ელექტრომექანიკურ ნაწილს გერმანული "ფოიტ-სიმენსი" შეასრულებს.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია მალე უნდა დაიწყოს. ამის გამო, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობასთან საქართველოს მთავრობას პერიოდულად მოლაპარაკებების გამართვა უწევს. როგორც საქართველოს პარლამენტის ენერგეტიკის დარგში არსებული კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩუბინიშვილი აცხადებს, **"ჩვენ იძულებულნი ვართ, აფხაზებთან მოლაპარაკებაზე წავიდეთ, რადგან ენგურჰესის მანქანა-დანადგარები აფხაზეთშია, ხოლო კაშხალი – საქართველოში. თუ აფხაზები იქიდან არ მიიღებენ ენერგიას, მათ შეუძლიათ საერთოდ მოსპონ სადგური, ეს კი ჩვენ უფრო დაგვაზარალებს."**

ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის შეთანხმება კრედიტის გამოყოფისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ევრობანკმაც მოითხოვა. ისე, აფხაზები ამ პირობის გარეშეც არიან დაინტერესებულნი სადგურის აღდგენით. როგორც ცნობილია, ენგურჰესის მიერ ყოველწლიურად გამომუშავებული სამი მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ერთი მესამედი აფხაზეთს ხმარდება. შედეგად, ჯერ კიდევ 2000 წელს საქართველოს მთავრობასა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობას შორის საგანგებო მემორანდუმი გაფორმდა. ამ მემორანდუმს ხელს აწერს აფხაზეთის ელექტროქსელების ბაზაზე დაფუძნებული კომპანია "ჩერნომორენერგოს" გენერალური მდივანი სერგეი ბაგაფში. მემორანდუმის თანახმად, სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში ქართულ-აფხაზური მხარე ერთობლივად დაიცავს სადგურის ტერიტორიას.

სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის საბერიოში ვიზიტის დროს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკის მინისტრმა ბესლან კუბრავამ, სერგეი ბაგაფშმა, ავთანდილ ჯორბენაძემ, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ და გალის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რუსლან ქიშმარიამ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ სადგურის რეაბილიტაციის პროცესში მზად არიან თანამშრომლობისთვის. **"ჩვენ ენგურჰესის შეუფერხებელი მუშაობით დაინტერესებულნი ვართ, ამდენად, სადგურის რეაბილიტაციის პროცესში მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ქართულ მხარესთან,"** - განაცხადა ბესლან კუბრავამ.

აფხაზები ხელს შეუწყობენ პროექტის განხორციელებას, თუმცა თანადაფინანსებისთვის სახსრები, რომელიც ევრობანკის პირობების მიხედვით, კრედიტის მიმღებმა მხარემ უნდა გაიღოს, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს .მოსაძიებელია.

"აფხაზები არ იხდიან ელექტროენერგიის საფასურს და იგი როგორც კუთვნილი, ისე მიაქვთ. ისინი თუ ამ დენს იმიტომ იღებენ, რომ სადგურს არ აფეთქებენ, ეს ცალკე განხილვის საგანია. ფაქტია, რომ ჩვენ იძულებულნი ვართ, მათ მოთხოვნებს დავემორჩილოთ და იმდენი ელექტროენერგია მივაწოდოთ, რამდენსაც მოითხოვენ," – აცხადებს ირაკლი ჩუბინიშვილი.

"წელს ენგურმა თავისივე გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურიდან მხოლოდ სამი პროცენტი მიიღო, სხვა რაზეა ლაპარაკი," – განაცხადა ენგურჰესის დირექტორმა ლევან მებონიამ "24 საათთან" საუბარში

თუმცა, "ჩერნომორენერგოსთან" ქართულ მხარეს სხვა პრეტენზიებიც აქვს. საქმე ისაა, რომ 1993-95 წლებში, შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ის ელექტროენერგია, რომელსაც აფხაზეთი მოიხმარდა, რუსეთმა საქართველოს მიაწერა. ამის საფუძველი კი საქართველოს მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას წერილი გახდა, სადაც ის აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანებას საქართველოს ვალად აღიარებს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ამ საკითხზე საუბარი რუსეთს მხოლოდ აფხაზეთის იურსდიქციის საკითხის მოგვარების შემდეგ შეუძლია.

"1993-95 წლებში ჩვენ ვეუბნებოდით რუსებს, არ მიეწოდებინათ დენი აფხაზებისთვის, რადგან საომარი სიტუაცია გვქონდა. იმ წლებში, ჩვენი ნების წინააღმდეგ, აფხაზებს რუსებმა მიაწოდეს 26-29 მილიონ კილოვატსაათამდე ელექტროენერგია, რისი საფასურიც, მიგვაჩნია, რომ არ უნდა გადავიხადოთ. თუ როგორ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს მთავრობა, რუსეთის მთავრობასთან ერთად, მას შემდეგ, რაც აფხაზეთის იურისდიქციის საკითხი მოგვარდება, ეს ცალკე მსჯელობის საგანი იქნება. მანამდე კი, როგორი ამბავია: ქვეყანაში ომია, შენ ერთ-ერთ მეომარ მხარეს დენს აწვდი, მერე კი ფულის გადახდას მოპირისპირე მხარეს სთხოვ," – განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრმა, ენერგეტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ არველაძემ "24 საათთან" საუბრისას.

ამდენად, აფხაზეთის მიერ ომის წლებში ელექტროენერგიის მოხმარების გამო დაგროვილი ვალების საკითხი, ჯერჯერობით, ისევ ღიად რჩება. უკვე მოხმარებული დენის საფასურის ენგურჰესისთვის გადახდას კი სოხუმი არც სადგურის რეაბილიტაციის შემდეგ გეგმავს.

მეწარმეთა უმრავლესობა საგადასახადო კოდექსის შეცვლის მომხრეა

სოფიკო ოხანაშვილი

გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციის "საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის" მიერ საქართველოს შვიდ რეგიონში ჩატარებული გამოკვლევის შედეგების პრეზენტაცია მოეწყო. კვლევის საგანს მოქმედი საგადასახადო სისტემისადმი საგადასახადო ადმინისტრაციის თანამშრომლების, გადასახადის გადამხდელ მეწარმე სუბიექტთა და დასაქმებულ მოქალაქეთა დამოკიდებულების შესწავლა წარმოადგენდა. როგორც გაირკვა, არასამთავრობო ორგანიზაციის წამოწყებას, საგადასახადო კოდექსის შეცვლასთან დაკავშირებით, მოსახლეობა მხარს უჭერს.

სოციოლოგიურ გამოკითხვაში 1755 მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა. რესპონდენტები სამ ჯგუფად გაყვეს: საგადასახადო ადმინისტრაციის 300 თანამშრომელი, სხვადასხვა ტიპის საწარმოს 855 ხელმძღვანელი ან მესაკუთრე და 600 დასაქმებული არამეწარმე ფიზიკური პირი (დაქირავებული მუშაკი). რესპონდენტთა შერჩევისას "საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტი" ერთი საერთო პრინციპით ხელმძღვანელობდა: ყველა რესპონდენტს მეტ-ნაკლები შეხება უნდა ჰქონოდა საგადასახადო პრობლემატიკასთან. სამივე კატეგორიის რესპონდენტები სამი სპეციალური კითხვარით გამოიკითხა.

გამოკითხვა ძირითად მიზნად ისახავდა იმის გარკვევას, რა გზა უფრო ეფექტური იქნება საგადასახადო სისტემაში არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად: ა) საკმარისია ცვლილებების შეტანა მოქმედ კოდექსში; ბ) მიზანშეწონილია ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება; გ) მოქმედი საგადასახადო კოდექსი სავსებით შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს.

გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას (98,5 პროცენტი) მოქმედი საგადასახადო კოდექსი არ მოსწონს. აქედან, მოქმედ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების განხორციელების გზით მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებლად მიაჩნია გამოკითხულთა 33,8 პროცენტს, ხოლო ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებას მიზანშეწონილად რესპონდენტთა 60,8 პროცენტი მიიჩნევს. არსებული საკანონმდებლო ბაზით კმაყოფილია გამოკითხულთა მხოლოდ 1,5 პროცენტი.

არსებული საგადასახადო სისტემისადმი გამოკითხული სამი კატეგორიის ჯგუფიდან ყველაზე ნაკლებკრიტიკული დამოკიდებულება საგადასახადო ინსპექციებსა და სამთავრობო ორგანიზაციებში გამოიკვეთა, რასაც იმით ხსნიან, რომ ამ სფეროში ძირეული რეფორმები მათთვის გარკვეულწილად რისკ-ფაქტორთან ასოცირდება. მართალია, ყველა სახის ორგანიზაციებსა და საწარმოებში მომუშავე პირთა უმრავლესობა ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების მომხრეა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის შემოღების მხარდამჭერთა პროცენტული წილი მით უფრო იზრდება, რაც უფრო დამოუკიდებელია მათი სამსახური ხელისუფლების ორგანოებისაგან.

"საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტში" განსაკუთრებით საინტერესო ტენდენციად მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები და ნაკლები გამოცდილების მქონე რესპონდენტები საგადასახადო სისტემაში რადიკალური ცვლილებების განხორციელებას, ანუ ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებას ნაკლებად უჭერენ მხარს, ვიდრე უფროსი ასაკის, გამოცდილი და უფრო მეტი სტაჟის მქონე პირები. სოციოლოგიური გამოკითხვის ორგანიზატორები ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ გამოცდილ, სტაჟიან პირებს, საგადასახადო სისტემაში ზედაპირული ცვლილებების განხორციელებით, სერიოზული შედეგის მიღების არ სჯერათ, რადგან მათ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მოუხდათ ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსით მუშაობა, რომელშიც კოსმეტიკური ცვლილებები არაერთხელ განხორციელდა, მაგრამ ამას შედეგები არ მოჰყოლია.

ამჟამად, ახალი საგადასახო კოდექსის პროექტი პარლამენტშია წარდგენილი. უახლოეს მომავალში მათ გამოკითხვის შედეგებიც გაეგზავნებათ. პროექტის ერთ-ერთი ავტორის, არასამთავრობო ორგანიზაციის "საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის" ხელმძღვანელის ნიკო ორველაშვილის თქმით, მოქმედი საგადასახადო კოდექსის შეცვლას მხარდამჭერები ჰყავს როგორც საგადასახადო ადმინისტრაციის თანამშრომლების სახით, ასევე სხვადასხვა ტიპის საწარმოს ხელმძღვანელთა ან მესაკუთრეთა და დასაქმებულ არამეწარმე ფიზიკურ პირთა (დაქირავებული მუშაკი) სახით. ორველაშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად, რის გამოც საგადასახადო სისტემის საკანონმდებლო ბაზის შეცვლა აქამდე არ განხორციელდა, ფინანსთა სამინისტრო გვევლინება. **"ჩემთვის გაუგებარია ფინანსთა სამინისტროს პოზიცია. იმის ნაცვლად, რომ ჩვენს მიერ მომზადებული პროექტი მიიღონ, ახალი საგადასახადო კოდექსის ჩვენს მიერ შემუშავებულ ვერსიაზე დაუსაბუთებელად უარს აცხადებენ, ჩუმად კი პროექტიდან ცალკეულ დებულებებს იღებენ, მცირე შესწორებები შეაქვთ და ისე ასაღებენ, თითქოს მათი შემუშავებული იყოს",** - თქვა ორველაშვილმა.

მისი თქმით, ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა საქართველოს ხელისუფლებაზე მხოლოდ სავალუტო ფონდის გავლენის მეშვეობითაა შესაძლებელი. **"ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგობის მიუხედავად, საგადასახო სისტემა მაინც უნდა შეცვალოს, იმიტომ, რომ ამას სავალუტო ფონდი ავალებს ხელისუფლებას, მთავრობა კი შესაბამის უწყებას, ანუ ფინანსთა სამინისტროს სთხოვს ახალი სისტემის შემუშავებას",** - განმარტა ორველაშვილმა.

ჯორჯ ბუშმა ნატო და რუსეთი ერაყის წინააღმდეგ დარაზმა

ნატო-ს წევრების დაყოლიების შემდეგ პრეზიდენტმა ბუშმა ერაყის საკითხში რუსეთის მხარდაჭერაც მოიპოვა.

რევაზ ბახტაძე

ვლადიმირ პუტინი და ჯორჯ ბუში

პრაღის სამიტის დამთავრებისთანავე პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ვლადიმირ პუტინთან შესახვედრად გაემგზავრა რუსეთში. ამერიკის პრეზიდენტმა პირისპირ შეხვედრისას კიდევ ერთხელ დაარწმუნა ვლადიმირ პუტინი, რომ ნატო-ს გაფართოება რუსეთს საფრთხეს არ შეუქმნის. აღსანიშნავია, რომ ვლადიმირ პუტინი პრაღის სამიტს არ დასწრებია.

ორი პრეზიდენტის შეხვედრა ჯერ კიდევ ოქტომბერში იყო დაგეგმილი მექსიკაში, მაგრამ მოსკოვში განხორციელებული ტერაქტის გამო, პუტინი იძულებული გახდა, შეხვედრა გადაედო. ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თქმით, გასულ თვეს, ბუშისა და პუტინის სატელეფონო საუბრისას, ვლადიმირ პუტინმა ჯორჯ ბუშს უთხრა, რომ ნატო-ს სამიტის შემდეგ მათი შეხვედრა აუცილებელი იყო. როგორც ჩანს, პუტინს სურდა ალიანსის გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხები და ერაყის პრობლემა უშუალოდ ამერიკის პრეზიდენტთან ერთად განეხილა.

ამჯერად პრეზიდენტები ერთმანეთს სანკტ-პეტერბურგის მახლობლად, პუშკინოში, მეთვრამეტე საუკუნის სასახლეში შეხვდნენ. მოლაპარაკებამ, რომელიც თარჯიმნების გარეშე მიმდინარეობდა, რამდენიმე საათს გასტანა. ვლადიმირ პუტინთან შეხვედრის შემდეგ ამერიკის კმაყოფილი პრეზიდენტი და მისი მეუღლე ვილნიუსში გაემგზავრნენ, ბალტიისპირა სახელმწიფოების ნატო-ში გაწევრიანების გამო გამართულ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

"ჩვენ მოვუწოდებთ ერაყს, დაემორჩილოს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, უპირობოდ ითანამშრომლოს განიარაღების საკითხებზე, წინააღმდეგობას [ბაღდადისთვის] სერიოზული შედეგები მოჰყვება", - განაცხადეს შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტებმა. ამ განცხადებით კიდევ უფრო გაიზარდა საერთაშორისო ზეწოლა სადამ ჰუსეინზე, რომელსაც ბუშის ადმინისტრაცია მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაში ადანაშაულებს.

რუსეთის დაყოლიებით პრეზიდენტმა ბუშმა უზარმაზარ დიპლომატიურ წარმატებას მიაღწია. ამჯერად სადამ ჰუსეინი სრულიად მარტოა დარჩენილი. იმ შემთხვევაში, თუ ის გაერო-ს რეზოლუციას არ დაემორჩილება, მაშინ ამერიკას სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ომში ხელს აღარავინ შეუშლის.

თერთმეტი წლის წინ ამჟამინდელი პრეზიდენტის მამამ - უფროსმა ჯორჯ ბუშმა საბჭოთა კავშირისაგან ერაყის წინააღმდეგ წარმოებულ ომში სრული მხარდაჭერა მოიპოვა. მაშინ გორბაჩოვს იმედი ჰქონდა, რომ, ამერიკელთა დახმარების სანაცვლოდ, იგი საბჭოთა კავშირის მთლიანობას შეინარჩუნებდა. ანალიტიკოსების აზრით, ამ ორ შემთხვევას შორის განსხვავება ისაა, რომ პუტინი გორბაჩოვთან შედარებით რეალისტია. მათი თქმით, პუტინმა კარგად იცის, რაზე შეუძლია ვაშინგტონთან ვაჭრობა. უზარმაზარი დასავლური დახმარების მოთხოვნის ნაცვლად, იგი ცდილობს, იმის გარანტია მიიღოს, რომ რუსეთის ეკონომიკური ინტერესები ერაყში დაცული იქნება.

"პუტინი ძალიან პრაგმატული პოლიტიკოსია", - აღნიშნა ცნობილი ანალიტიკური ინსტიტუტის – ნიქსონის ცენტრის პრეზიდენტმა დიმიტრი საიმსმა. "იმის მაგივრად, რომ იმ პროცესების შეჩერებას შეეცადოს, რომელიც მაინც თავისი გზით განვითარდება, ის ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი მიიღოს, როგორც თავისი ქვეყნისათვის, ასევე საკუთარი თავისთვის", -განაცხადა საიმსმა.

პრეზიდენტ ბუშისათვის ამ შეხვედრისას ძირითად მიზანს ერაყის წინააღმდეგ შესაძლო ომში რუსეთის მხარდაჭერის მოპოვება წარმოადგენდა. პრაღის სამიტიდან ჯორჯ ბუში ზურგმომაგრებული ჩავიდა რუსეთში. ნატო-ს წევრმა ცხრამეტივე ქვეყანამ ამერიკის პრეზიდენტს დახმარება აღუთქვა და მოუწოდა ერაყს, უშიშროების საბჭოს რეზოლუციას დაემორჩილოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ერაყი სამხედრო აქციას ვერ გადაურჩება. აღსანიშნავია, რომ ამ თვის დასაწყისში რუსეთმა, როგორც უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრმა, ერაყის ინსპექტირების შესახებ ამერიკელთა რეზოლუციის პროექტს მხარი დაუჭირა, თუმცა ბაღდადის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ომის დაწყების ნაცვლად, უშიშროების საბჭოში საკითხის ხელახალი განხილვა მოითხოვა.

ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყების მიმართ რუსეთის უარყოფით დამოკიდებულებას რამდენიმე მიზეზი აქვს. პუტინის ძირითად თავსატკივარს ნავთობზე ფასების დაცემა წარმოადგენს. სადამ ჰუსეინის რეჟიმის შეცვლის შემდეგ ბაღდადზე გაერო-ს სანქციები მოიხსნება. ერაყის ნავთობის (ერაყი ნავთობის რესურსებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში) მსოფლიო ბაზარზე დიდი რაოდენობით გატანა კი ფასებს მკვეთრად შეამცირებს.

"სტრატეგიული და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის" ექსპერტის კალესტ ვალანდერის გათვლებით, ერთ ბარელ ნავთობზე მსოფლიო ფასის 6 ამერიკული დოლარით შემცირება რუსეთის ეკონომიკურ ზრდას ორჯერ შეამცირებს; იმ შემთხვევაში, თუ ფასები 13 ამერიკულ დოლარამდე დაეცემა, მაშინ რუსული სანავთობო კომპანიების უმეტესობა გაკოტრების წინაშე აღმოჩნდება. რუსეთის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი სწორედ ნავთობის გაყიდვით მიღებული შემოსავლებით ივსება.

ერაყი ყოველდღიურად 2.4 მილიონ ბარელს აწარმოებს, გაცილებით ნაკლებს, ვიდრე საუდის არაბეთი (7.4 მილიონ ბარელს დღეში). სხვადასხვა გათვლების თანახმად, უცხოური ინვესტიციების დახმარებით, ერაყს 2010 წლისთვის საშუალება ექნება, დღეში 4-იდან 7 მილიონ ბარელამდე გაზარდოს წარმოება.

კრემლში კარგად ახსოვთ საუდის არაბეთის მიერ 1980-იანი წლების მეორე ნახევარში ნავთობის შეგნებულად გაზრდილი მოპოვება, რასაც ფასების მკვეთრი დაცემა მოჰყვა. ამან საბჭოთა კავშირის ეკონომიკას, ფაქტობრივად, ძირი გამოუთხარა.

"ვაშინგტონ პოსტი" თეთრ სახლთან დაახლოებულ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ რუსებსა და ამერიკელებს შორის მიღწეულია არაფორმალური შეთანხმება, რომლის თანახმად ერთ ბარელზე ნავთობის ფასი 21 დოლარზე დაბლა არ დაეცემა. ბიუჯეტის გრძელვადიანი დაგეგმარებისას, რუსეთის მთავრობა სწორედ ამ ფასის შესაბამისად ახდენს გათვლებს. აღსანიშნავია, რომ ამ წლის განმავლობაში ერთი ბარელი ნავთობის საშუალო ფასი 25 ამერიკული დოლარი იყო.

ამას გარდა, პუტინი სისხლხორცეულად არის დაინტერესებული რუსული კომპანიების მიერ ერაყთან გაფორმებული კონტრაქტების შენარჩუნებით, მათ შორის, 3.5 მილიარდ დოლარად შეფასებული გარიგების, რომელიც ერაყის სამხრეთში "ლუკოილს" უზარმაზარი ნავთობსაბადოს ექსპლუატაციის უფლებას აძლევს.

რუსებს, აგრეთვე, ერაყის საბჭოთა კავშირის დროინდელი დავალიანება ადარდებთ, რომელიც 8 მილიარდ დოლარს შეადგენს. რუსეთის ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ ჰუსეინის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ ეს ვალები ცნოს და მისი დაბრუნება უზრუნველყოს.

შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა პუტინმა ნატო-ს გაფართოების მიმართ თავისი სკეპტიკური დამოკიდებულება მაინც დააფიქსირა. "ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ გაფართოება რეალობით არის ნაკარნახევი, მაგრამ ვითვალისწინებთ ამერიკის პრეზიდენტის შეხედულებას", - აღნიშნა მან.

ექსპერტების თქმით, ორი პრეზიდენტის შეხვედრისას რუსეთის პრეზიდენტი ამერიკელი კოლეგისაგან, სავარაუდოდ, მოითხოვდა, რომ ბალტიისპირა სახელმწიფოები ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულებას შეუერთდნენ, რომელიც თითოეულ სახელმწიფოს შეიარაღებაზე ლიმიტს უწესებს. რუსი სამხედროები შიშობენ, რომ თეორიულად შესაძებელია, ნატო-მ ეს ფაქტორი გამოიყენოს და რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან დიდი რაოდენობის სამხედრო ტექნიკის კონცენტრაცია მოახდინოს. თუმცა, ექსპერტების აზრით, ეს წმინდა ტექნიკური საკითხია, რომელიც უახლოს მომავალში მოგვარდება.

შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჯორჯ ბუშმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ "რუსეთი მეგობარია. რუსეთი მტერი არ არის". ფაქტობრივად, ჯორჯ ბუშმა რუსეთის პრეზიდენტს ჩეჩნეთის საკითხში სრული მხარდაჭერა აღუთქვა. "24 საათი" იუწყებოდა ამერიკის პრეზიდენტის ინტერვიუს შესახებ, რომელიც მან რუსულ ტელეკომპანია "ნტვ"-ს პრაღაში გამგზავრებამდე მისცა. "ნორდ ოსტის" ტერაქტისას გამოყენებული გაზის გამო პუტინის წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები ჯორჯ ბუშმა გააქარწყლა და განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

მართალია, პრეზიდენტმა ბუშმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია ჩეჩნეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება, მაგრამ, ორი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების დაახლოების ფონზე, ადამიანის უფლებების დამცველები შიშობენ, რომ ამერიკა ახლა მრავალ დარღვევაზე დახუჭავს თვალს. მათი თქმით, ჯორჯ ბუში იმდენად არის კონცენტრირებული საერთაშორისო ტეორიზმის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიასა და ერაყის განიარაღებაზე, რომ ვაშინგტონისათვის ესოდენ ღირებულ პარტნიორს არ გაანაწყენებს.

ფაქტია, რომ ბუშისა და პუტინის მიერ ნატო-ს გაფართოებასა და ერაყის საკითხებზე შეთანხმებამ მსოფლიოში უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის კონტურები გამოკვეთა. დასავლელი ექსპერტების თქმით, რუსეთის დასავლეთთან დაახლოება და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოება მოსკოვს მეზობლების მიმართ ნაკლებ აგრესიულს გახდის, რაც საქართველოს უსაფრთხოების დამატებით გარანტიებს აძლევს.

ბინ ლადენის გარშემო რკალი ვიწროვდება

მოასწრებს თუ არა იგი ბირთვული ბომბით აღჭურვას?

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ რამდენიმე ხნის წინ დაკავებული "ალ ქაიდას" წევრის ვინაობა დაასახელა. მისი სახელია – აბდ ალ-რახიმ ალ-ნაშირი. იგი სპარსეთის ყურეში "ალ ქაიდას" ტერორისტულ საქმიანობას ხელმძღვანელობდა და უშუალო კონტაქტი ჰქონდა მსოფლოს ნომერ პირველ ტერორისტთან - ოსამა ბინ ლადენთან. აშშ-ს სპეცსამსახურები ბინ ლადენის გარშემო მჭიდრო რკალის შეკვრას ცდილობენ. ამერიკელები, მოკავშირეებთან ერთად, ყველა ღონეს ხმარობენ ბინ ლადენის გასანადგურებლად. ეს კი იქამდე უნდა მოხდეს, ვიდრე მილიონერი ტერორისტის ხელში ბირთვული ბომბი აღმოჩნდება. ამის მერე კი ყველაფერი დაგვიანებული იქნება.

ლევან ღირსიაშვილი

"ალ ნაშირმა არაბეთის ნახევარკუნძულზე "ალ ქაიდას" მიერ მაღალ დონეზე დაგეგმილი ტერორისტული ოპერაციები განახორციელა. იგი რამდენიმე კვირის წინ დააპატიმრეს და ამჟამად აშშ-ს ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. მისი ადგილსამყოფელი მკაცრად გასაიდუმლოებულია," - განუცხადა სააგენტო "როიტერის" კორესპონდენტს აშშ-ს სპეცსამსახურების მაღალჩინოსანმა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა.

40 წელს გადაცილებული ალ-ნაშირი მექაში, საუდის არაბეთში დაიბადა. ის "ალ ქაიდას" უმაღლეს ლიდერთა რიცხვში შედიოდა. ალ ნაშირი ასაფეთქებელი მოწყობილობების ოსტატი იყო და აშშ-ს სპეცსამსახურთა ექსპერტების აზრით, სწორედ იგი არის პასუხისმგებელი 2000 წლის ოქტომბერში, იემენის პორტ ადენში, აშშ-ს სამხედრო გემზე, "კოულზე", მომხდარ თავდასხმაში. ამ აფეთქების შედეგად 17 ამერიკელი მეზღვაური დაიღუპა და 39 მძიმედ დაიჭრა. ალ-ნაშირი ასევე მონაწილეობდა 1998 წლის 7 აგვისტოს, კენიასა და ტანზანიის დედაქალაქებში აშშ-ს საელჩოების აფეთქებებში, რის შედეგადაც 224 ადამიანი, მათ შორის, 12 ამერიკელი მოქალაქე დაიღუპა. მას ასევე ბრალი ედება გიბრალტარის სრუტეში, ამერიკული და ბრიტანული გემების წინააღმდეგ ტერაქტის დაგეგმვაში და ბაჰრეინში, აშშ-ს მე-5 ფლოტზე მომხდარ თავდასხმაში.

ალ ნაშირი ასევე ცნობილია, როგორც ომარ მოჰამედ ალ-ჰარაზი და აბუ ბილალ ალ-მაქი. სანამ მას დააპატიმრებდნენ, აშშ-ს საპატიმროებში "ალ-ქაიდას" წევრებიდან ყველაზე ცნობილ ტუსაღებად აბუ ზუბეიდა და რამზი ბინალშიბი ითვლებოდნენ. ამჟამად მათ რიცხვს ალ-ნაშირიც შეემატა.

პარალელურად, გუშინვე გახდა ცნობილი ინდონეზიაში, კუნძულ ბალიზე განხორციელებული ტერაქტის შემსრულებლის დაპატიმრების შესახებ. შეგახსენებთ, ბალიზე არსებულ ერთერთ ღამის კლუბში, ოქტომბრის დასაწყისში, 200-მდე უცხოელი ტურისტი დაიღუპა. კომპიუტერის სპეციალისტი, 35 წლის იმამ სამუდრა იმ მომენტში დააპატიმრეს, როდესაც ის კუნძულ იავადან გემით გამგზავრებას აპირებდა. პოლიციის ცნობით, სამუდრამ უკვე აღიარა ტერაქტში თავის უშუალო მონაწილეობის შესახებ. პოლიციის გენერალ-მაიორის მადე მანგკუ პასტიკის განცხადებით, იმამ სამუდრამ თავად დაამზადა ასაფეთქებელი მოწყობილობები. პასტიკი, რომელიც ამ ტერაქტთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოძიებას ხელმძღვანელობს, ირწმუნება, რომ სამუდრამ თავად ამოირჩია ტერაქტის ადგილი და ტერორისტებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა. სამუდრას ასევე ბრალი ედება ინდონეზიის ქრისტიანული ეკლესიების აფეთქებებში. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, პოლიციამ, მასთან ერთად, კიდევ სამი ეჭვმიტანილი დააკავა. ჯერჯერობით, დაუდგენელია, თუ რა როლი ეკისრებოდა სამუდრას ტერორისტულ ორგანიზაცია "ჯემაა ისლამიაში," რომელსაც ბალის ტერაქტში მთავარ პასუხისმგებელ დაჯგუფებად განიხილავენ. ცნობილია, რომ სამუდრამ მომზადება ავღანეთში გაიარა.

ბალის ტერაქტში მთავარი ეჭვმიტანილი იმამ სამუდრა

ამდენად, აშკარაა, რომ აშშ-ს სპეცსამსახურები აქტიურად აგრძელებენ "ალ ქაიდას" ქსელში ჩართული პირების გამოვლენას. მათ საბოლოო მიზანს კი თავად ბინ ლადენის განადგურება წარმოადგენს. მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტზე და ამერიკელების დაუძინებელ მტერზე გამალებული ნადირობა გრძელდება. აშშ-ს სპეცსამსახურები ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელობით ცდილობენ, როგორმე დაასწრონ მილიონერ ტერორისტს, ვიდრე მის ხელში ბირთვული არსენალი აღმოჩნდება. თავად ბინ ლადენი კი ბირთვულ მასალებზე ნადირობს და გარკვეული წარმატებითაც. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა "ვაშინგტონ თაიმსში" გამოქვეყნებული მასალა გაავრცელეს, რომლის თანახმადაც, ოსამა ბინ ლადენს, სავარაუდოდ, ცხრა ერთეული ბირთვული ქობინა უკვე გააჩნია. "ვაშინგტონ თაიმსის" ინფორმაციით, საუდელმა ტერორისტმა თითოეულ ქობინაში 30 მილიონი ამერიკული დოლარი და ორი ტონა ოპიუმი გადაიხადა. "ვაშინგტონ თაიმსს" აღნიშნული ინფორმაცია რუსეთის გენერალური შტაბის მთავარი სამხედრო დაზვერვის სამმართველოს ანონიმურმა ოფიცერმა მიაწოდა, რომელმაც ეს ცნობა, თავის მხრივ, ისრაელის დაზვერვის სამსახურისგან (მოსადისგან) შეიტყო. ანონიმი რუსი ოფიცრის აზრით კი, ბინ ლადენმა ბირთვული ქობინები სსრკ-ს ერთ-ერთ ყოფილ რესპუბლიკაში შეიძინა.

რა თქმა უნდა, არავინ იცის შეეფერება თუ არა სინამდვილეს ეს ინფორმაცია. არც ის იცის ვინმემ, დაადასტურა თუ არა ეს ცნობა სამი კვირის წინ დაკავებულმა ალ ნაშირმა. თუმცა, საგულისხმოა ერთი ფაქტი; ამერიკელები არ ახმაურებდნენ ინფორმაციას ალ ნაშირის დაკავების შესახებ. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღით ადრე აშშ-ს ტერიტორიული უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორმა ტომ რიჯმა განაცხადა, რომ მათ ღირებულ ინფორმაციას უსახელო ტერორისტი აწვდიდა. არის თუ არა ეს ტერორისტი ალ ნაშირი? არავინ უწყის. არც ის არის ცნობილი, თუ რა სახის ინფორმაციაზეა საუბარი. ერთი რამ კი ცხადია, რომ ალ ნაშირს ამერიკული სპეცსამსახურები მკაცრად გასაიდუმლოებულ ადგილას მალავენ, ხოლო სხვა დაპატიმრებული ტერორისტების ადგილსამყოფელი ცნობილია.

მოკლედ

შვედეთი. შვედეთის პროკურორმა ქვეყნის მიგრაციის საკითხთა და საერთაშორისო განვითარების მინისტრის - იან კარლსონის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მას სახელმწიფო სახსრებით წვეულების მოწყობა ედება ბრალად. ეს საქმე ჯერ კიდევ ოქტომბერში გახმაურდა, როდესაც შვედმა ჟურნალისტებმა იმ ჩეკების ასლები მოიპოვეს, რომლითაც მინისტრმა საკუთარ ბინაში არც თუ ისე ძვირადღირებული წვეულება მოაწყო. პროკურორის განმარტებით კი, კარლსონმა ამ წვეულებაზე დახარჯა იმაზე მეტი, ვიდრე მას, როგორც მინისტრს, ეკუთვნოდა. ბრალდებული სახელმწიფო ჩინოვნიკი, ჯერჯერობით, კომენტარისაგან თავს იკავებს. მან ყველა დაგეგმილი ღონისძიება გადადო და პირადი ექიმის რეკომენდაციით, ქალაქგარეთ დასასვენებლად გაემგზავრა. როგორც ცნობილი გახდა, მინისტრის მიერ გამართული წვეულების სუფრა მხოლოდ სპირტიანი სასმელებისა და კიბორჩხალებისაგან შედგებოდა.

■ ■ ■

საფრანგეთი. გუშინ დილით კომპანია "ეარ ფრანსის" კუთვნილი თვითმფრინავის გატაცებას შეეცადნენ. არაბული წარმოშობის მგზავრი თვითმფრინავის აფეთქებით იმუქრებოდა, თუმცა, უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა მისი განიარაღება შეძლეს. ავიალაინერი, რომელიც მონრეალიდან პარიზში მიფრინავდა, წარმატებით დაეშვა პარიზის შარლ დე გოლის აეროპორტში. არც ერთი მგზავრი არ დაზარალებულა. პოლიციის ცნობით, დაკავებულ არაბ მგზავრს საეჭვო ვერაფერი აღმოუჩინეს. საფრანგეთის ტრანსპორტის მინისტრმა რადიოეთერით გამოსვლისას განაცხადა, რომ ერთ-ერთი მგზავრი თვითმფრინავის გატაცებას ცდილობდა, მაგრამ სამართალდამცავებმა მისი გაუვნებელყოფა მოახერხეს.

აღსანიშნავია, რომ ეს ინფორმაცია სააგენტო "ბი-ბი-სისთან" საუბარში უარყო თავად "ეარ ფრანსის" წარმომადგენელმა. მისი თქმით, რეისი უპრობლემოდ განხორციელდა და თვითმფრინავის გატაცების მცდელობა არ ყოფილა.

შეგახსენებთ, რომ ოთხი დღის წინ არაბული წარმოშობის ისრაელის მოქალაქე ავიაკომპანია "ელ აი"-ს თვითმფრინავის გატაცებას შეეცადა, რომელიც თელ-ავივიდან სტამბულში მიფრინავდა. მისი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

■ ■ ■

პრაღა. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, პრაღაში მიმდინარე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამიტის მსვლელობის დროს კანადის მთავრობის ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა შეერთებული შტატების პრეზიდენტს სიტყვიერი შეუარცხყოფა მიაყენა. კერძოდ, კანადის პრემიერ-მინისტრთან არსებულმა კავშირის სამმართველოს დირექტორმა ფრანსუა დიუკრომ ჯორჯ ბუშს სახალხოდ "იდიოტი" უწოდა. თავად კანადის პრემიერ-მინისტრმა ჟან კრეტიენმა კი თანამემამულის შეცდომის გამოსწორება მოინდომა და თქვა: **"ჯორჯ ბუში ჩემი მეგობარია და ის არ არის იდიოტი."** სამიტზე მყოფმა კანადის მრეწველობის მინისტრმა ალან როკმა კი განაცხადა: **"თუკი ჩვენი მთავრობის წარმომადგენელმა ასეთი რამ მართლაც განაცხადა, ეს მიუღებელია. ჩვენ აშშ-სთან ურთიერთობას დიდად ვაფასებთ და ძალზე ფრთხილად უნდა მოვიქცეთ, ასეთი არასტაბილური ვითარების გათვალისწინებით."**

კანადური პრესის ინფორმაციით კი, ფრანსუა დიუკრომ აშშ-ს პრეზიდენტის მიმართ განაწყენება იმის გამო გამოხატა, რომ ბუში საკუთარ პრობლემებს, კერძოდ, ერაყში სამხედრო ოპერაციის პროპაგანდას უფრო მეტ დროს უთმობს, ვირე ნატო-ს გაფართოებას. აშშ-ს პრეზიდენტის ასეთი საქციელით გაღიზიანებულ კანადის დელეგაციის წევრს უამრავი ადამიანის გასაგონად აღმოხდა სიტყვები: "რა იდიოტია."

■ ■ ■

ნიგერია. "საერთაშორისო წითელი ჯვრის" წარმომადგენლების ინფორმაციით, ნიგერიის ქალაქ კადუნში მასობრივი არეულობების დროს 105 ადამიანი დაიღუპა. ახალგაზრდა მუსულმანი ექსტრემისტების გამოსვლები, რომელიც კადუნის ქუჩებში ორი დღე გრძელდებოდა, გამოიწვია ინფორმაციამ სილამაზის კონკურსის "მის მსოფლიოს" ნიგერიაში ჩატრების შესახებ. მუსულმანი ფუნდამენტალისტების აზრით, ისლამურ ქვეყანაში ასეთი სახის აქციების გამართვა ყოვლად დაუშვებელია. ქვეყანაში დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გააღრმავა ადგილობრივ გაზეთში "ზის დეი"-ში გამოქვეყნებულმა სტატიამ, რომელშიც ნათქვამია, კონკურსის მონაწილეები იმდენად მომხიბლავები არიან, რომ "მის მსოფლიოზე" თვით მოციქული მუჰამედიც კი აუცილებლად დაქორწინდებოდაო. ვითარება ვერც იმან განმუხტა, რომ გაზეთმა მოგვიანებით ბოდიში მოიხადა - ათასობით ფუნდამენტალისტი უკვე ქუჩებში იყო გამოსული. ისინი წვავდნენ ქრისტიანულ ტაძრებს, ანადგურებდნენ და ცეცხლს უკიდებდენ გაზეთების ოფისებს. "წითელი ჯვრის" წარმომადგენლების ინფორმაციით, კადუნში ოთხი ქრისტიანული ტაძარი განადგურდა. გამხეცებული ფუნდამენტალისტების მსხვერპლი ყველა მათთვის საეჭვო მოქალაქე ხდებოდა. მათი უმრავლესობა ცოცხლად დაწვეს, ზოგი კი ცივი იარაღებით მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა. ამჟამად ქალაქ კადუნში კომენდანტის საათია გამოცხადებული. ქალაქს პოლიცია აკონტროლებს. სავარაუდოა, რომ ნიგერიაში დაგეგმილი კონკურსი "მის მსოფლიო" გადაიდება. რამდენიმე კონკურსანტმა ნიგერიაში ჩასვლაზე უარი უკვე განაცხადა.

სვანეთისუბანი „ურკინიგზოდ" რჩება

სვანეთისუბანი, სინათლისა და გაზის მიწოდების მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე დაჩაგრული უბანია არამხოლოდ ჩუღურეთის რაიონში. უგაზობა-უშუქობით შეწუხებული მოსახლეობა რკინიგზის "იმედით" იყო. გადაკეტავდა და, მატარებელს მანამ არ გაუშვებდა, სანამ გამათბობელ-გამანათებელ საშუალებას მცირე ხნით მაინც არ მიაწვდიდნენ.

ნანა ქადაგიშვილი

სვანეთისუბნელები რკინიგზის გამყვანს ლოცავდნენ - ეს რომ არ გვქონდეს, რა გვეშველებოდაო. წლევანდელ ზამთარს კი ეს უკანასკნელი "მშველელიც" წაართვეს. რკინიგზის დეპარტამენტი სვანეთის უბანზე გამავალ რკინიგზას უზარმაზარ ბეტონის ღობეს ავლებს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ტერენტი გრანელის ქუჩის ზემოთ მცხოვრებნი - გაზსა და სინათლეს ვინღა ჩივის, დაბნელების შემდეგ სახლიდან გასვლისა და უკან დაბრუნების ეშინიათ.

კარგა ხანია, მოსახლეობა, გასაგები მიზეზების გამო, რკინიგზისქვეშა გადასასვლელით აღარ სარგებლობს და რელსებზე გადასვლას არ-ჩევს. ბოლო ერთი წელია, მიწისქვეშა გადასასვლელი შედარებით კი გაასუფთავეს, მაგრამ შუქი არ არის და სიბნელეში იქ ჩასვლა შეუძლებელია. თანაც, წვიმის დროს ისე იტბორება, ცურვის უცოდინარი გამვლელი დაიხრჩობა. "მთავრობა თითქოს იმას ცდილობს, ცხოვრება გაგვირთულოს. ბეტონის ღობეში პატარა გასასვლელი მაინც დაგვიტოვონ. ამ მიწისქვეშა გადასასვლელში ღამით რომ ჩახვიდე, მეომრის გამბედაობაა საჭირო. გრძელი გზიდან მოვლა კი შეიძლება, მაგრამ სიბნელეში იქაც საშიშია", - ჩივის მოსახლეობა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობაში განგვიმარტეს, რომ რკინიგზაზე ბეტონის კედელი, უპირველესად, მგზავრთა უსაფრთხოებისთვის კეთდება. "ამ ადგილას ხშირი იყო უბედური შემთხვევები. ამიტომაც დეპარტამენტმა გადაწყვიტა, რკინიგზა შემოეღობა. თუმცა, ერთ-ერთი მიზეზი მისი გადაკეტვაც იყო. რელსების ჩახერგვა და ზედ კოცონის ანთება არ შეიძლება. მოსახლეობას საწუწუნო არაფერი აქვს. მიწისქვეშა გადასასვლელს აუცილებლად გავაკეთებთ. კეთილმოწყობის სამსახური შეგვპირდა, რომ ელექტროენერგიის ცალკე ხაზს გაიყვანს და გადასასვლელი მუდმივად განათებული იქნება. ამ საკითხს უყურადღებოდ არ დავტოვებ, კეთილმოწყობის სამსახურს სამუშაოებს იანვრიდან დავაწყებინებ", - ირწმუნება დიდუბე-ჩუღურეთის გამგებლის მოადგილე ჯონი გურგენაშვილი.

მოკლედ

თბილისი. სახალხო დამცველის მიერ არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების ადგილების მონახულებამ და მათი ხელმძღვანელებისადმი მიცემულმა რეკომენდაციებმა შედეგი გამოიღო. ხონის კოლონიაში მყოფი ბავშვები, რომლებიც, ფაქტობრივად, მშივრები იყვნენ და საშინელ ანტისანიტარიაში ცხოვრობდნენ, ავჭალაში გახსნილ არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში გადაიყვანეს. იქ მოთავსებული 36 არასრულწლოვანიდან 6 უკვე შეიწყალეს. სახალხო დამცველის ოფისში აცხადებენ, რომ ავჭალის კოლონიაში შექმნილი პირობები თითქმის პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს. **"24 საათი"**

■ ■ ■

თბილისი. სამთვიანი განხილვის შემდეგ, გუშინ საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო კანონი "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ". შესწორებების თანახმად, ზამთრის განმავლობაში, ომის ინვალიდები თვეში 250 კვტ.სთ. ელექტროენერგიას უფასოდ მიიღებენ, ზაფხულის პერიოდში კი - 150 კვტ.სთ. ამ კანონით გათვალისწინებული დანარჩენი კატეგორიები ზამთრის პერიოდში უფასოდ მიიღებენ 125 კვტ.სთ, ზაფხულში კი - 75 კვტ.სთ. ელექტროენერგიას. ამ ლიმიტის ზევით მათ ელექტროენერგიის საფასური უნდა გადაიხადონ. პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონში "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. ზამთრის პერიოდში ისინი უფასოდ მიიღებენ 250 კვტ.სთ. ელექტროენერგიას, ზაფხულში კი - 150 კვტ.სთ-ს. **კავკასა-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ დილიდან „თბილგაზმა" დედაქალაქის უბნების გაზმომარაგება დაიწყო. გუშინ ბუნებრივი აირი უნდა მიეღოთ: დიდუბეში - ზესტაფონის, სამტრედიის, ელიავას ქუჩებს, ასევე, საარბრიუკენის მოედნის მიმდებარე ქუჩებს, თემქისა და გლდანის დასახლებების ნაწილს, ნაძალადევის ნაწილს, ისნის რაიონში - ნიაბის, ფაბრიციუსის ქუჩებსა და მიმდებარე ტერიტორიებს. "თბილგაზი" პირობას დებს, რომ მომავალი კვირის სამშაბათამდე ბუნებრივ აირს მთელი თბილისი მიიღებს. ამჟამად თბილისს 750.000 კუბური მეტრი აირი მიეწოდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში, ნაკაშიძეების ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღთან, უკანონო ნაგავსაყრელები აღარ არსებობს. მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის ინფორმაციით, ინსპექტორებმა დაადგინეს დამბინძურებლების ვინაობა და აიძულეს ნაგვის გატანა. ნაგავსაყრელი ამ ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის დროს მოეწყო. მშენებლებმა აქ სამშენებლო ნაგავი დაყარეს, რასაც მცხოვრებლებმა საყოფაცხოვრებო ნარჩენები მიუმატეს. ინსპექციის ინფორმაციით, ასეთი ადგილი დედაქალაქში ჯერ კიდევ ბევრია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სპეციალისტთა გათვლით, თბილისში ნაგავგადამამუშავებელი ქარხნის აღდგენისთვის 120 მილიონ დოლარამდე ინვესტიციის ჩადებაა საჭირო. თბილისში ორი ამგვარი საწარმო იყო. ერთი - ნაგავსაწვავი, მეორე - გადამამუშავებელი. 1995 წლიდან, ფინანსური პრობლემების გამო, ორივე საწარმო გაჩერებულია. საწარმოთა ამოქმედებისთვის, პირველ რიგში, მათი გადაიარაღებაა საჭირო. კეთილმოწყობის სამსახურში გეგმავენ ნაგავგადამამუშავებელი ქარხნის რეაბილიტაციას, რისთვისაც საჭიროა ევროპული წარმოების დანადგარები. ამ შემთხვევაში ქარხანა არა მარტო ნაგავს გადაამუშავებს, არამედ ელექტროენერგიასა და გაზსაც გამოიმუშავებს. ამ პროექტისთვის ინვესტიციების მოძიების მიზნით მიმდინარეობს მოლაპარაკებები, - თქვეს კეთილმოწყობის სამსახურში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გასული კვირის განმავლობაში თბილისის მერიის ადმინისტრაციულმა ინსპექციამ მოხსნა უკანონოდ გაკრული სარეკლამო ფარები გლდან-ნაძალადევის რაიონში. მოუვლელი და უპატრონო აღმოჩნდა, ძირითადად, წვრილი რეკლამები. რეიდის შედეგად 100-მდე უსახური ფარი მოხსნეს. ჩატარებული ღონისძიებების შედეგად დედაქალაქში მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა, პრობლემა, ჯერჯერობით, არსებობს, რადგან წვრილი რეკლამები, პრაქტიკულად, ყოველდღე ჩნდება ქუჩებში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს თბილისში, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში, გაიხსნა ახლად აშენებული ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესია. საზეიმო პარაკლისი გადაიხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, ხოლო ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა, მეუფე გერასიმემ წირვა-ლოცვა აღავლინა. გახსნის ცერემონიას დაესწრნენ სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, თბილისის მერი ვანო ზოდელავა და სხვა ოფიციალური პირები. ეკლესია სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატის ინიციატივითა და დაფინანსებით, აგრეთვე, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით აშენდა. მოსაპირკეთებელი სამუშაოების სახსრები თბილისის მერიამ გამოყო. ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესია „თბილისობაზე" უნდა გახსნილიყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, 2003 წლის ბიუჯეტის პროექტით, მომავალი წლის ბიუჯეტში ყველაზე დიდი დაფინანსება - 104.530.300 ლარი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექნება. აქედან 44.400.000 ლარს ტრანსფერის სახით მიიღებს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. რეგრესული პენსიების გასაცემად გათვალისწინებულია 775.00 ლარი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა 14.400.000 ლარით დაფინანსდება, სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია ტრანსფერის სახით 31.100.000 ლარს მიიღებს. გარდა ამისა, 182.000 ლარი გათვალისწინებულია უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარების ფონდისთვის, 4.600.000 ლარით კი დაფინანსდება უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები. ინვალიდთა დახმარების სახელმწიფო პროგრამა 6.200.000 ლარით დაფინანსდება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები 7.050.000 ლარით, ჯანდაცვის სხვა პროგრამები - 7.850.000 ლარით. 3.148.300 ლარის გამოყოფაა გათვალისწინებული სამინისტროს მმართველობითი ორგანოებისთვის. ყველაზე დიდი დაფინანსების მიუხედავად, ეს თანხა ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც სჭირდება მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ფენებს. გასათვალისწინებელია დახმარების მინიმალური ოდენობა და ისიც, რომ სოციალურად დაუცველთა უმეტესობა დახმარების მისაღებად ოფიციალურად აღრიცხვაზე არ დგას. **მედია-ნიუსი**

თავადაზნაურული წარმოშობა აუცილებელი არ არის

ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია "სამეფო გვირგვინი", მშვიდობიანი რეფერენდუმის გზით აპირებს ქვეყანაში მონარქიის აღდგენას. ორგანიზაციაში გაწევრიანება მონარქიული წყობილების აღდგენით დაინტერესებულ ნებისმიერ "არათავადს" შეუძლია.

ეთერ მამულაშვილი

ორგანიზაცია საკუთარ საპროგრამო მოქმედებაში ილიას ეროვნულ ფორმულას ("ენა, მამული, სარწმუნოება") უმატებს სიტყვა "მონარქს" და საზოგადოებას მოსალოდნელი ცვლილებებისთვის ამზადებს.

მონარქიული ინსტიტუტის აღდგენის ერთ-ერთი ინიციატორია საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულო. თავად-აზნაურთა საკრებულო ქვეყანაში თორმეტი წლის წინ, დღევანდელ დღეს დაარსდა. ტრადიციული ყოველწლიური ყრილობის დროს საკრებულო ჩატარებულ სამუშაოებსა და სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

გუშინ, მორიგი შეხვედრისას, თავად-აზნაურთა საკრებულომ საკუთარი ინიციატივის - მონარქისტული მოძრაობის შესახებ ისაუბრა.

მონარქისტები დარწმუნებულნი არიან, რომ არსებული სახელმწიფო წყობილების შეცვლა კონსტიტუციური მონარქიით ქვეყნის სტაბილურობის მთავარი გარანტია. ამის საუკეთესო მაგალითად კი დიდი ბრიტანეთისა და იაპონიის გამოცდილება მოჰყავთ.

"სამეფო გვირგვინის" ყრილობაზე

თავად-აზნაურთა ორი თაობა

ფოტოები ალექსანდრე ფეიგინოვის

თავად-აზნაურთა საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე ია ბაგრატიონ-მუხრანელი ფიქრობს, რომ საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრება ხელს შეუწყობს ქვეყნის გაერთიანებას და დაკარგული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დაბრუნებას. ბაგრატიონ-მუხრანელმა ჩვენთან საუბარში თქვა, რომ საზოგადოება ჯერ მზად არ არის სახელმწიფო წყობილების შესაცვლელად. "თავდაპირველად საჭიროა, საზოგადოებას ავუხსნათ, თუ რატომ არის დღეს მნიშვნელოვანი ქვეყანაში მონარქიის აღდგენა. ამისთვის ჩვენი მოძრაობა დღეიდან იწყებს აქტიურ პროპაგანდას. შემდეგ კი დავიწყებთ მშვიდობიანი გზით რეფერენდუმისთვის მზადებას", – გვითხრა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა.

გუშინდელ ყრილობას ესწრებოდნენ რეგიონებიდან ჩამოსული თავადაზნაურთა საკრებულოს დელეგატები, რომლებიც მონარქისტულ მოძრაობას უერთდებიან. "სამეფო გვირგვინში" გაწევრიანება მონარქიული წყობილების აღდგენით დაინტერესებულ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია.

2010 წლისთვის საქართველო განათლების საერთო ევროპულ სივრცეში გაერთიანდება

უახლოეს დღეებში პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნება სპეციალური მუშა ჯგუფი, რომელიც განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე დაიწყებს მუშაობას. თორმეტი წევრისგან შემდგარი ჯგუფი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებისგან, იურისტებისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდება და, შესაბამისი კანონმდებლობის მოსამზადებლად, სამი თვის ვადა მიეცემა.

ეთერ მამულაშვილი

ღონისძიება ხორციელდება იმ პროექტის ფარგლებში, რომელიც ევროპის საბჭოს ეგიდით სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში ტარდება. პროექტი, რომლის სახელწოდებაა "განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკანონმდებლო ბაზის შექმნა", მიზნად ისახავს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებას და ევროსაბჭოს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებას.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ორი კონფერენცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განათლების მინისტრთა მონაწილეობით. პირველი - 2000 წელს სომხეთის ქალაქ წახკაძორში და მეორე - 2001 წელს აზერბაიჯანის დედაქალაქში.

მესამე, შემაჯამებელი რეგიონული კონფერენცია, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის განათლების მინისტრების მონაწილეობით, გუშინ თბილისში დასრულდა.

ორდღიან კონფერენციას ესწრებოდა ევროსაბჭოს ექსპერტთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის დირექტორატის გენერალური დირექტორი ბენედიკ რუგაასი. ჩვენთან საუბარში რუგაასმა აღნიშნა, რომ მომავალში სამივე ქვეყნის კანონმდებლობა უმაღლესი განათლების სფეროში, ევროპის შესაბამის კანონმდებლობას უნდა ეთანხმებოდეს, რათა 2010 წელს განათლების საერთო ევროპულ სივრცეში სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ქვეყნებიც იგულისხმებოდეს.

გუშინვე განათლების მინისტრმა ალექსანდრე კარტოზიამ, მისმა სომეხმა და აზერბაიჯანელმა კოლეგებმა, ხელი მოაწერეს კონფერენციის შემაჯამებელ დოკუმენტს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ გამოცდილების გასაზიარებლად და ჩატარებული სამუშაოების გასაცნობად, ამ ქვეყნების განათლების მინისტრები, შესაბამისი დელეგაციებითურთ, წელიწადში ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს.

სომეხ და აზერბაიჯანელ მინისტრებს მიაჩნიათ, რომ განათლების სფეროში სამი ქვეყნის მეგობრობა კავკასიის რეგიონში მშვიდობიანობის მყარი გარანტიაა.

საქართველოს განათლების მინისტრმა "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, რომ თუ დღეს არაქართულ სკოლებს სახელმძღვანელოებით სხვა ქვეყნები ამარაგებენ, აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებთან შეთანხმების შემდეგ, არაქართველი მოსწავლეებისთვის სასკოლო წიგნების გამოსაცემად, საქართველოს განათლების სამინისტროსთან ერთად, ქართული გამომცემლობებიც იზრუნებენ.

ლამაზი ზღაპარი ცოდნის გუდაში

შვიდმა ჯუჯამ მიაგნო ზღაპრების საგანძურს, რომელშიც უამრავი წიგნი ინახებოდა. თითოეულმა ჯუჯამ "ზღაპრების გუდისთვის" თავისი საყვარელი ზღაპრები ამოარჩია. მათ გადაწყვიტეს, რიგრიგობით მოეთხროთ ისინი ნორჩი მკითხველისთვის. თავდაპირველად, "ზღაპრების გუდაში" ნარინჯისფერმა და ლურჯმა ჯუჯებმა მოათავსეს გერმანელი რომანტიკოსის, ნოვალისის "ჰიანციტისა და როზენბლუტის ზღაპარი" და გერმანული თქმულება "ჰამელნელი ვირთხიჭერია".

ირინე სანებლიძე

ორი წლის წინ დედაქალაქში კიდევ ერთი ახალი კერძო სკოლა დაარსდა. ქართულ-გერმანული "ა-Z" ("ანი-ზეტი") სხვა სკოლებისგან თითქოს არაფრით განსხვავდება - იგივე საგნები ისწავლება, რაც საქართველოს სხვა სახელმწიფო თუ კერძო სკოლებში. "ანი-ზეტი" ვიზუალურად არაფრით ჰგავს საბჭოთა კავშირის დროიდან შემორჩენილ სკოლებს. ის უფრო სკოლის ევროპულ მოდელს მოგვაგონებს - გალამაზებულს ბავშვების ნაკეთობებით. სხვა მხრივ, "ეს არის ტრადიციული ქართული სკოლა, კარგი, ჯანსაღი საწყისებით", - მოკლედ დაგვიხასიათა სასწავლებელი სკოლის დირექტორმა მარინა ანდრონიკაშვილმა. მისი თქმით, საქართველოს სხვა სკოლებისგან "ანი-ზეტი" ორიგინალურობით არ გამოირჩევა. უბრალოდ, "ანი-ზეტში" განსხვავებული სწავლების მეთოდია, რომლის შერჩევისას დამაარსებლებმა, მრავალწლიანი გამოცდილების გარდა, ქართული და ევროპული სკოლების "დადებითი მხარეები" გაითვალისწინეს. შედეგად კი ქართული სკოლის განსხვავებული მოდელი მიიღეს.

კლუბის პრეზენტაციისადმი მიძღვნილი კონცერტი

ალბერ ბაბაევის ფოტოები

"ანი-ზეტის" ხელმძღვანელობამ საქართველოსა და გერმანიის ურთიერთობის, მრავალწლიანი მეგობრობის ტრადიციების განვითარება და განმტკიცება გადაწყვიტა. ამ მიზნით, მათ კლუბი დააარსეს და გუშინ პრეზენტაცია მოაწყვეს. კლუბის ძირითადი მიზანია საქართველოსა და გერმანიის კულტურის, ხელოვნების პოპულარიზაცია, ქართული და საქართველოში მოღვაწე გერმანული საზოგადოებისთვის საქართველოსა და გერმანიის კულტურის გაცნობა, "ჩვენ შორის არსებული ურთიერთობების, მეგობრობის შენარჩუნება, გაგრძელება და განვითარება", - გვითხრა სკოლის დირექტორმა.

კლუბმა გაგვაცნო თავისი მოღვაწეობის პირველი შედეგები: საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით, გამოიცა "ზღაპრების გუდა", გერმანული ხალხური ზღაპარი "ჰენზელი და გრეტელი", დაიბეჭდა ცნობილი რომანტიკოსი მწერლის, ნოვალისის ნაწარმოების "ჰიანციტი და როზენბლუტის" მხატვრული თარგმანი. წიგნი გათვალისწინებულია სახელმძღვანელოდ უფროსკლასელთათვის. გამოიცა გერმანულ თქმულებებსა და ლეგენდებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, მეცამეტე საუკუნის თქმულება "ჰამელნელი ვირთხიჭერია".

კლუბის პრეზენტაციას საკონცერტო პროგრამაც მიეძღვნა. სკოლის დაბალი კლასების მოსწავლეებმა ერთნაირი მონდომებით შეასრულეს ქართული "მზე შინა და მზე გარეთა", "მხედრული", "მთიულური", გერმანული ხალხური სიმღერა, ჯადოსნური ზღაპარი, შემოდგომის სიმღერა. გერმანული ენისა და ლიტერატურის ქართველ პედაგოგებს, პროფესორ-მასწავლებლებს, საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კულტურის ატაშეს, საელჩოს სხვა წარმომადგენლებს, "სკოლის ნებისმიერ დროს სასურველ სტუმრებს" გააცნეს კლუბის სამომავლო გეგმები: ბავშვთა ნახატების კონკურსი "გერმანული მითებისა და ზღაპრების ილუსტრაციები"; ბახის, შუმანის, ნოვალისის, ჰაინეს შემოქმედებისადმი, სხვა გერმანელი და ქართველი საზოგადო მოღვაწეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

სამეგრელოში კრიმინალებს კაპიტულაცია გამოუცხადეს

რეგიონში ზოგი პროკურორის არსებობა, საერთოდაც, დაავიწყდათ

პირველი გვერდიდან

"ტრაგედია ის არის, რომ მოსახლეობამ დაკარგა სამართალდამცავი ორგანოების რწმენა. ხალხი საკუთარ სახლებშიც კი ვერ გრძნობს თავს დაცულად. ზოგიერთი რაიონის პროკურატურა კი იმდენად პასიურად ებრძვის დამნაშავეთა სამყაროს, რომ ბევრს მათი არსებობაც კი დაავიწყდათ", –ამგვარი განმარტება მისცა გენერალური პროკურატურის სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი სამმართველოს უფროსმა თემურ მონიავამ გამსვლელ კოლეგიას და ამითვე ახსნა საკუთარი მოხსენების მკაცრი ტონიც, რომელსაც პირობითად გამომსვლელებმა "საბრალდებო დასკვნა" უწოდეს.

გენერალური პროკურატურის კოლეგიის გამსვლელი სხდომა ზუგდიდში

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სამართალდამცველები

ეკო ლეონიძის ფოტო

განზრახ მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, ადამიანის გატაცება, გაუპატიურება, ყაჩაღობა, საქონლის ქურდობა, საბაჟო წესების დარღვევა, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცება, ნარკომანია, ნარკობიზნესი – ეს ის დანაშაულებია, რომელიც კოლეგიაზე დასახელდა და რომელთან გამკლავებასაც იქაური სამართალდამცველები ფაქტობრივად ვერ ახერხებენ.

თუმცა, სამეგრელოს კანონდამცველებს თავის გასამართლებლად საფუძვლიანი არგუმენტი გააჩნიათ. **"დავიბრუნოთ აფხაზეთი და პრობლემებიც მოგვარდება"**, – თავს იცავდნენ რეგიონის პროკურორი და პოლიციის უფროსი.

"დავიწყოთ იქიდან, რომ რეგიონის დიდი ტერიტორია ე.წ. აფხაზეთის საზღვარზე მდებარეობს, სადაც უამრავი შემოვლითი გზა არსებობს, რომლის გაკონტროლებაც ჩვენს ძალებს აღემატება. შეიარაღებული კრიმინალები სწორედ ამ ბილიკებით მოძრაობენ. ვიდრე ჩვენამდე დანაშაულის შესახებ ინფორმაცია მოაღწევს, ისინი უკვე აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არიან გადასულები. არადა, იქაური და აქაური კრიმინალები უფრო ადვილად პოულობენ ერთმანეთთან საერთო ენას, ვიდრე ჩვენ - აფხაზ სამართალდამცველებთან. სხვათა შორის, ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა დანაშაულისთვის ძებნილი ქართველი კრიმინალები სწორედ ე.წ. აფხაზეთის ტერიტორიას აფარებენ თავს. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ სამეგრელოში 100 500 ლტოლვილი ცხოვრობს, რომლებიც უკიდურესი გაჭირვების ზღვარზე არიან მისულები და იძულებულნი არიან ლუკმა-პურის საშოვნელად ყოველდღიურად გალის ტერიტორიაზე გადავიდნენ", – აღნიშნა სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის უფროსმა ელგუჯა ჯამბურიამ.

რეგიონის მთავარ სამართალდამცველთა მტკიცებით, მათ, ფაქტობრივად, შეიარაღებულ ფორმირებებთან უხდებათ დაპირისპირება. მათი თქმით, პარტიზანებს და სხვა შეიარაღებულ ფორმირებებს სამეგრელოში გადანაწილებული ჰქონიათ ინტერესთა სფეროები. ნარკობიზნესი, ბენზინი, თხილი, სიგარეტი, ციტრუსი და სხვადასხვა საკვები პროდუქტის კონტრაბანდა -- ეს ის ხელშეუხებელი სფეროებია, რომელში ჩარევაც კანონდამცველების ძალებს აღემატება.

"ახლახან წყნეთიდან, დაახლოებით, 20-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი ჩამოვიდა. რომ ვეკითხებით –ვინა ხართ და აქ რა გინდათო, გვპასუხობენ –"ზევით" იციანო. არადა, მოსახლეობა სოფელში ამ ხალხის ყოფნის წინააღმდეგია. ასეთ სიტუაციაში რა მუშაობაზეა საუბარი", – ჩივის ჯამბურია, რომელსაც, თურმე, დანაშაულის შესახებ ინფორმაციასაც ვერ აწვდიან, რადგან "ინფორმატორებს" სახლების გადაწვით ემუქრებიან.

ჯამბურიას მტკიცებით, თავად პოლიციელები კრიმინალებთან ბრძოლაში საკუთარ სიცოცხლესაც არ იშურებენ. მარტო მიმდინარე წელს შეიარაღებულ დამნაშავეებთან დაპირისპირებას სამი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა, ორი კი დაიჭრა. თუმცა, კრიმინალურ სამყაროს ვალში არც მეგრელი სამართალდამცველები დარჩნენ. სამხარეო პოლიციის უფროსის ინფორმაციით, წელს ლიკვიდირებულია ცხრა დამნაშავე.

მართალია, სამეგრელოს მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობის არაოფიციალურ მიზეზად, ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებსა და რუს სამშვიდობოებს გარდა, ადგილობრივ გამგებლებსა და სამართალდამცველებსაც ასახელებენ ხოლმე, მაგრამ კოლეგიის სხდომაზე ამაზე კონკრეტულად არავის უსაუბრია (თუ არ ჩავთვლით წალენჯიხის პროკურორის მცდელობას, ხე-ტყის უკანონო ბიზნესში წალენჯიხისვე გამგებელი ემხილებინა, რამაც გუბერნატორისა და ზოგიერთი კოლეგიის წევრის პროტესტი გამოიწვია).

გამსვლელი კოლეგიის ძირითად მიზანს სამაგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის რამდენიმე პროკურორის უმოქმედობასა თუ სამსახურებრივ დანაშაულებზე მსჯელობა და აქედან გამომდინარე საკადრო წმენდა წარმოადგენდა.

სხვათა შორის, რეგიონის პროკურატურის უღირსი კოლეგებისგან გაწმენდა სამეგრელოში სტუმრობამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო. შედარებით ჩუმად დაემშვიდობნენ თანამდებობებს სენაკის, მესტიისა და ჩხოროწყუს პროკურორები. ფოთის და ზუგდიდის პროკურორებს კი კოლეგიის სამსჯავროზე წარდგომა მოუხდათ. თუმცა, მანამდე აღნიშნული რაიონების პროკურორებს დისციპლინარული სასჯელებიც ჩამოურიგეს.

მთავარი მომხსენებლის სიტყვაში ფაქტებზე დაყრდნობით იყო ჩამოთვლილი ის ბრალდებები, რის გამოც გენერალური პროკურორის მოადგილემ ბადრი ბიწაძემ, კოლეგიის სხვა წევრებთან შეთანხმებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურათა მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. თემურ მონიავას ინფორმაციით, რეგიონის პროკურატურაში ადგილი აქვს: გამოძიების ფალსიფიკაციას, მანიპულაციას, დაკავებულ პირთა ცემა-წამებას, დანაშაულის დამალვას, საგამოძიებო ვადების და საპროცესო მოქმედებების დარღვევის და უგულველყოფის ფაქტებს. ყოფილა შემთხვევები, როდესაც პროკურატურის თანამშრომლები თვეების მანძილზე სამსახურში არ დადიან და ა.შ.

ამის შედეგია ის, რომ რეგიონში ფაქტობრივად არ ხდება კორუფციასთან ბრძოლა. მართალია, გამოვლენილია საბანკო მაქინაციებით მილიონობით ლარის დატაცების ფაქტები, მაგრამ დამნაშავე მოლარეზე უფრო მაღალი თანამდებობის პირი გამოძიებამ რატომღაც ვერ დაადგინა. ცნობილია, აგრეთვე, ხე-ტყის უკანონო ჩეხვის ფაქტებიც, თუმცა, დამნაშავეს პროკურორებმა ვერც აქ მიაგნეს. არადა, ზუსტად იციან, რომ ეს ბიზნესი სატყეოს უფროსებისგან, გამგებლებისგან და პოლიციელებისგან შეკრულ წრეშია მოქცეული. სხვა დანაშაულებზე რომ არაფერი ვთქვათ, ადამიანის უფლებების შემლახავ პოლიციელთა პასუხისმგებლობაზე საუბარიც საკმარისია. მთლიანად რეგიონში პატიმართა ცემა-წამების ფაქტზე სისხლის სამართლის მხოლოდ ხუთი საქმეა აღძრული, მაგრამ გამოძიებული - არც ერთი.

ზუგდიდში გამართული გამსვლელი კოლეგია კიდევ ერთი გარემოების გამო იყო საინტერესო.

"ცნობილია რამდენიმე შეიარაღებული ჯგუფი, მაგრამ შევეხებით თუ არა მათ, მაშინვე მათი გავლენიანი მფარველებისგან ვაწყდებით წინააღმდეგობას", - თავს იმართლებდა პოლიციის უფროსი სტუმრად ჩასული გენერალური პროკურორის მოადგილის წინაშე, მაგრამ, რატომღაც, დამნაშავეთა მფარველები, გარკვეული მიზეზების გამო, კონკრეტულად არ დაუსახელებია. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ეს მისთვის არც არავის მოუთხოვია. გასვლით სხდომაზე თითოეული გამომსვლელი, გუბერნატორის ჩათვლით, თავს იწონებდა – ყველამ კარგად ვიცით, ვინ არიან დამნაშავეები და მათი მფარველები. დარწმუნებული ვარ, ყველამ კარგად ისიც იცის, რომ დამნაშავის დაფარვა სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება.

ROდის დაარღვია კანონი მოსამართლემ?

სასამართლომ განაჩენი აღუძრავ სისხლის სამართლის საქმეზე გამოიტანა

"ადამიანი გაასამართლო იმ დანაშაულისთვის, რომელზეც სისხლის სამართლის საქმე არ არის აღძრული, იგივეა, რომ ექიმი იჩემებდეს იმ პაციენტის განკურნებას, რომელიც ავად არც ყოფილა", - ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატი არჩილ ჩოფიკაშვილი. არადა, მისივე თქმით, ასეთი პრეცედენტი ქართულ სამართალწარმოებაში არაერთხელ მომხდარა.

სოფიკო ჩხაიძე

2001 წლის 8 ოქტომბერს ღამის ორ საათზე წინამძღვრიშვილის ქუჩაზე არსებულ კაზინო "ფლამინგოს" ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული რამდენიმე პირი დაესხა თავს. ყაჩაღური თავდასხმა დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციამ მალევე გახსნა და დააკავეს კიდეც ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი სამი პიროვნება. დაიწყო ჩვეულებრივი საგამოძიებო პროცედურა, დაკითხვა, ამოცნობა. ერთ-ერთმა დაკავებულმა, ვინმე ფხაკაძემ გამოძიების პროცესში იმავე რაიონში ჩადენილი სხვა ყაჩაღობაც აღიარა და თანამონაწილეც დაასახელა – პაატა დეისაძე. სამართალდამცველთათვის ამ დანაშაულის შესახებ არაფერი იყო ცნობილი, თუმცა დეისაძე სასწრაფოდ დააკავეს, დაზარალებულად დასახელებულ პირს ახსნა-განმარტება ჩამოართვეს და დარწმუნდნენ, რომ ყაჩაღობას მართლაც ჰქონია ადგილი. მეტიც, დანაშაული დეისაძემაც აღიარა და მასში თავდამსხმელი დაზარალებულმაც ამოიცნო. დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურამ გამოძიება პრობლემების გარეშე დაასრულა, საქმე სასამართლოში წარმართა და რაიონულმა სასამართლომ მიუსაჯა კიდეც პაატა დეისაძეს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების საქმე, ერთი შეხედვით, შეუვალია, დეისაძისთვის გამოტანილი სასჯელის სამართლიანობას ამჟამად საოლქო სასამართლო განიხილავს სააპელაციო წესით.

"ასეთი დაურეგისტრირებელი დანაშაულების გახსნა როგორც ხდება, ყველამ კარგად იცის, - ამბობს დეისაძის ინტერესების დამცველი ადვოკატი არჩილ ჩოფიკაშვილი, -**ერთი დანაშაულის გამო დაკავებულს ცემა-ტყეპის შედეგად სხვა მსგავსსაც აღიარებინებენ. პოლიციაში ასეთი გაუხსნელი დანაშაულების მთელი ნუსხა აქვთ – დაურეგისტრირებელი, რომ სტატისტიკა არ გაუფუჭდეთ. ასე აღიარებინეს კაზინოს დაყაჩაღებისთვის დაკავებულ ფხაკაძესაც, ვითომდა, დეისაძესთან ერთად ჩადენილი დანაშაული. თავად დეისაძესაც ფიზიკური ზემოქმედების შედეგად აღიარებინეს ამ დანაშაულის ჩადენა, დაზარალებულის მიერ ამოცნობა კი დარღვევით ჩატარდა. პროცესუალური ნორმების თანახმად, ამოცნობის სუბიექტები ერთმანეთისგან გარეგნობით ძალიან არ უნდა განსხვავდებოდნენ. დეისაძეს კი გვერდით დაუყენეს ერთი - ოცი წლით უფროსი, მეორე კი ათი სანტიმეტრით დაბალი მამაკაცი. თუმცა, ყველაფერ ამას, შეიძლება, არც კი მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როცა დეისაძის საქმეში ერთი უზარმაზარი დარღვევა ფიგურირებს. როგორც ჩანს, გამომძიებლები ისე შევიდნენ აზარტში, რომ არც ფხაკაძისა და შემდგომ უკვე დეისაძის აღიარებულ ყაჩაღობაზე, არც უშუალოდ დეისაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღუძრავთ".**

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა კი შემდგომი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აუცილებელი პირობაა. როგორი დანაშაულიც უნდა იყოს ჩადენილი, ტერორისტული აქტიდან დაწყებული, უბრალო ხულიგნობით დასრულებული, საქმის აღუძრავად გამოძიებას არც დაპირისპირების, არც დაკითხვის, არც სხვა მოქმედებების ჩატარების უფლება არ აქვს. დეისაძის მიმართ კი არა მარტო გამოძიება ჩატარდა და საბრალდებო დასკვნა დაიწერა, პირველი ინსტანციის სასამართლომ წარმოებაშიც კი მიიღო აღუძრავი სისხლის სამართლის საქმის ტომები და განაჩენიც გამოიტანა.

არჩილ ჩოფიკაშვილის თქმით: **"ამ საქმეს რომ გავეცანი და ასეთი დარღვევა აღმოვაჩინე, საოლქო სასამართლოს წინაშე დავაყენე შუამდგომლობა, რომ, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის, პროცესუალურად არ შეიძლებოდა საგამოძიებო მოქმედებების წარმოება, შესაბამისად, ყველა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება უკანონოა. მოსამართლე რუსიკო ჭანტურიძე კი მეუბნება, ეს შუამდგომლობა სასამართლო გამოძიების ეტაპზე მხოლოდ ბრალდების მიერ მტკიცებულებების გამოქვეყნების შემდეგ უნდა დაგეყენებინაო. ამგვარი რამ საპროცესო კანონმდებლობაში არ წერია, მაგრამ ესეც არ არის მთავარი. მთავარი ის გახლავთ, რომ იმავე მოსამართლისათვის იმავე შინაარსის შუამდგომლობა სასამართლოს იმავე ეტაპზე ადრე სხვა საქმის წარმოებისას მაქვს დაყენებული და მან არა მარტო განიხილა შუამდგომლობა, არამედ ნაწილობრივ დაკმაყოფილა კიდეც".**

ჩოფიკაშვილის აზრით, მოსამართლის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ერთი და იმავე სახის შუამდგომლობის მიმართ დეისაძის ბრალდების ხასიათით შეიძლება აიხსნას. **"ყაჩაღობა მძიმე დანაშაულია და ჩემი შუამდგომლობის დაკმაყოფილება კი ბრალდების საქმის დაშლას და დეისაძის გათავისუფლებას გამოიწვევდა, მაგრამ ამ შემთხვევაში თავს იჩენს მოსამართლის მხრიდან კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევა. სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას, რომ კანონი სხვადასხვა ბრალდებულთა მიმართ სხვადასხვაგვარად ესმის. მე ისღა დამრჩენია, რომ მოსამართლეს თავისი ძველი და ახალი განჩინებები დავუწყო წინ და აღიაროს, მაშინ არ იცოდა კანონი, როცა შუამდგომლობას მიკმაყოფილებდა, თუ ახლა, როცა იმავე შინაარსის შუამდგომლობას არც განიხილავს. სხვა შემთხვევაში, გამოდის, რომ მას დეისაძის მიმართ პირადი ინტერესები ამოძრავებს"**, - ასკვნის არჩილ ჩოფიკაშვილი.

შეყვარებულ ვაჟს და მის ძმას უმკაცრესი სასჯელი ემუქრებათ

ძმები - თენგიზ და შმაგი ჯანიაშვილები

ეკო ლეონიძის ფოტო

თამარ კაკიტაძე

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოთხდღიანი ძებნის შემდეგ, 16 წლის ლია ყაზარაშვილი გაათავისუფლეს. მეტრომშენის დასახლებაში ერთ-ერთ სახლში ჩაკეტილი გოგონა პოლიციის სპეცრაზმმა გამოიხსნა. განხორციელებული ოპერაციის შემდეგ სამართალდამცველებმა დაპატიმრებული ძმები - თენგიზ და შმაგი ჯანიაშვილები, დაზარალებულთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაიყვანეს.

"18 ნოემბერს, დედასთან და ოჯახის ახლობელთან ერთად, სასწავლებელში მიმავალი ლია ყაზარაშვილი შმაგი ჯანიაშვილმა, ძმასთან და მეგობრებთან ერთად, მოიტაცა. ჯანიაშვილს ყაზარაშვილი ერთხელ, 10 იანვარს უკვე მოტაცებული ჰყავდა. იმ პერიოდში ძმების წინააღმდეგ ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურაში არასრულწლოვანისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მუხლით სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა, მაგრამ ჯანიაშვილები მიიმალნენ და დღემდე ძებნაში იმყოფებოდნენ", - განაცხადა ჩვენთან საუბარში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსმა ჯაბა ჯანხოთელმა.

უგზოუკვლოდ გაუჩინარებულ გოგონას განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა განყოფილების უფროსმა გოდერძი ჩანქსელიანმა მიაგნო. თუმცა, როგორც სამინისტროში ირწმუნებიან, გამტაცებლების დასაკავებლად სპეცოპერაციის ჩატარების აუცილებლობა გამოიწვია იმან, რომ ძმები "ტეტეს" ტიპის პისტოლეტით იყვნენ შეიარაღებულნი. მიუხედავად ამისა, აყვანის დროს მათ ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოუყენებიათ.

"მე და ლია მეზობელ სოფლებში ვცხოვრობთ. ჩვენ სამი წლის წინ შეგვიყვარდა ერთმანეთი და სისტემატურად ვხვდებოდით ხოლმე. ამას როგორც ჩემი სოფლელები – ახაშენლები, ასევე ველისციხელებიც დაადასტურებენ, სადაც ლია ცხოვრობს. მაგრამ ლიას მამას რატომღაც არ მოვწონდი და მას ჩემთან შეხვედრას უშლიდა. 10 იანვარს ლია არ მომიტაცია, იგი თავისი ნებით გამომყვა და რამდენიმე დღე ერთად ვიყავით. მეოთხე დღეს მეგობრებთან ერთად ვქეიფობდით. ლიას მამამ სწორედ ამ დროს მოგვაგნო. უამრავი მოწმე არსებობს იმის, რომ ლია მამამისს არ მიჰყვებოდა და ეუბნებოდა – ჩემი ნებით გავყევიო. მიუხედავად ამისა, ის ძალით წაათრიეს. ამის შემდეგ ჩემსა და ჩემი ძმის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. ჩვენ მართლა ვიმალებოდით (თენგიზ ჯანიაშვილი პოლიციას რომ არ ჩავარდნოდა ხელში, თმაც კი შეიღება), მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ დანაშაული არ ჩაგვიდენია. ლია მიყვარს და მინდა, ჩემი ცოლი გახდეს. ლიაც არ არის ამის წინააღმდეგი, მაგრამ მამამისის ეშინია", - გვითხრა შმაგი ჯანიაშვილმა.

საწინააღმდეგოს ამტკიცებს ლიას მამა - ჰამლეტ ყაზარაშვილი: "ჩემს შვილს ეს ბიჭი არ უყვარს, მაგრამ წლების განმავლობაში არ ეშვებოდა. თავი რომ დაენებებინა, პოლიციელები და ქურდებიც კი მივუგზავნე, მაგრამ მაინც მოიტაცა. თავდაპირველად საქმის აღძვრას არ ვაპირებდი, მაგრამ მერე გავიგე, რომ მოტაცებას კიდევ აპირებდა და ამიტომ პროკურატურას მივმართე. ახლა ხუთი დღე ჰყავდა წაყვანილი ისე, რომ ერთხელაც არ დაგვკავშირებიან. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ვიქნებოდით. როგორც ლიამ გვითხრა, ძმები მას მუქარით აიძულებდნენ, დარჩენილიყო და აწამებდნენ კიდეც".

მამის თანდასწრებით მშობლის ნათქვამი ლია ყაზარაშვილმაც დაადასტურა. თუმცა, რატომღაც, მას ჩვენთან დამოუკიდებლად გასაუბრების საშუალება არ მისცეს.

ერთი სიტყვით, შეყვარებული მამაკაცი და მისი ძმა დაპატიმრებულები არიან და სიყვარულისთვის სამიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. თუმცა, გამოძიების დასრულებამდე დიდი დროა და არ არის გამორიცხული, რომ ბიჭებმა, თუ ლიას სურვილიც იქნება, საკუთარი სიმართლე დაამტკიცონ.

. ჯანიაშვილების დაკავებისას საპროცესო კოდექსი დაირღვა – მიუხედავად იმისა, რომ ძმები რამდენიმე საათის განმავლობაში ადვოკატთან შეხვედრას თხოულობდნენ, პოლიციელები მათ კანონით მინიჭებული უფლების გამოყენების საშუალებას არ აძლევდნენ.

№5 საპყრობილეში პატიმარი ძმები სასიკვდილოდ დაჭრეს

წუხელ სასჯელაღსრულების №5 საპყრობილეში ცნობილი ბანდის "თავღიების" თავკაცებს, ძმებს კობა და ილია მიქელთაძეებს პატიმართა გარკვეულ წრესთან შელაპარაკება მოუვიდათ. რამდენიმე ხანში კამათი ჩხუბში გადაიზარდა, რაც კობა მიქელთაძის მკვლელობით დასრულდა. მძიმედ არის დაჭრილი უფროსი ძმა ილია მიქელთაძეც, რომელიც ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ჯერჯერობით უცნობია, ჩხუბის მიზეზი, თუმცა, როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილემ კახა კობერიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, უკვე დადგენილია დამნაშავეთა წრე, რომელთა ვინაობასაც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, არ ასახელებენ.

გარდაცვლილ მიქელთაძეს დღესვე ჩაუტარდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რის შემდეგაც რეალურად დადგინდება მკვლელობის იარაღი. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საპყრობილეში სისხლისღვრა ცეცხლსასროლი იარაღით განხორციელდა.

ძმები მიქელთაძეები, რომლებიც უმძიმესი დანაშაულისთვის (დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობა, ყაჩაღობა, ადამიანის გატაცება და ა.შ.) იყვნენ გასამართლებულნი ციხიდან რამდენჯერმე გაქცევისთვისაც გახდნენ ცნობილნი. კობა მიქელთაძემ გასულ წელს მძევლად ქუთაისის ციხის უფროსი აიყვანა და მესამედ ასე დააღწია თავი პატიმრობას. მაგრამ პოლიციამ რამდენიმე თვეში ციხეში უკან დააბრუნა.

ამჯერად განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს თბილისის სასჯელაღსრულების დაწესებულების ზედამხედველობის პროკურატურა გამოიძებს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მიქელთაძეების საქმეში სხვა დანაშაულიც გამოვლინდეს და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლების გარდა, ამ შემთხვევას თავად დაწესებულების თანამშრომლებიც შეეწირონ.

ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘ ᲡᲐᲓᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ერაყი, შესაძლოა, ახალი ამერიკული საომარი ტექნიკის პოლიგონად იქცეს

ᲛᲔᲚᲝᲠ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ
ᲡᲐᲥ. ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲘᲜᲔᲐ�პᲝᲚᲘᲡᲘ, ᲐᲨᲨ

ჟურნალ "ნიუ იორკერის" ბოლო, 18 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა საინტერესო ინტერვიუ დენიელ გურისთან. გური აშშ-ს ერთ-ერთი წამყვანი სამხედრო ტვინის ცენტრის - ლექსინგტონის ინსტიტუტის ანალიტიკოსია. ეს ინსტიტუტი პენტაგონის სიახლოვეს მდებარეობს. გური სამხედრო საქმის ნამდვილი გურუა. ბუში-მამის პრეზიდენტობის პერიოდში ის პენტაგონში მუშაობდა და სტრატეგიული კონკურენციის ოფისის დირექტორი იყო. მისი უშუალო ბოსი გახლდათ პოლ ვულფოვიცი - აშშ-ის ახლანდელი თავდაცვის მინისტრის მოადგილე და ერთ-ერთი მთავარი ავტორი "ბუშის დოქტრინისა" პრევენციული ომებისა და მსოფლიოში ამერიკული სამხედრო აღმატების დამკვიდრების შესახებ. სპარსეთის ყურეში ომის დროს გური, რომელიც იმ დროს იარაღის სისტემების სფეროს ექსპერტად მსახურობდა, ერაყის რაკეტების "სკადის" (Scud) დისლოკაციის გარკვევით იყო დაკავებული.

დენიელ გური ფიქრობს, რომ ომის წარმოების კლიმატური პირობები, მთელი თავისი მნიშვნელობით, ერაყზე შეტევის ვადის განსაზღვრისთვის გადამწყვეტი არ არის. "საზაფხულო სცენართან დაკავშირებით, მე ვესაუბრე რამდენიმე ადამიანს, რომლებიც დაგეგმვის პროცესში მონაწილეობდნენ (პენტაგონში – მ.ს.). თუ 75 ათას ჯარისკაცს ავამოქმედებთ, შეტევისთვის მზადება ექვს კვირას გასტანს. ხოლო თუ 250 ათასი ამოქმედდება, მზადების პროცესი 12 კვირამდე გაიწელება. ასე რომ, გრაფიკი დამოკიდებული იქნება შემტევი კონტიგენტის მოცულობაზე," - ფიქრობს გური. მეორე ფაქტორია: "ვინ ითამაშებს ჩვენთან ერთად". თუ თურქეთი და საუდის არაბეთი უარს იტყვის, შეტევა ზაფხულისთვის გადაიდება. საბრძოლო ოპერაციების განხორციელება ზაფხულში, როცა ჯარისკაცებს ქიმიური იარაღისგან დამცავი, მძიმე ტანსაცმელი აცვიათ, მოუხერხებელია, თუმცა, გადაულახავი დაბრკოლება მაინც არ არის.

გური ამბობს, რომ ერაყში მოსამზადებელი საომარი ფაზა უკვე დაიწყო. ისრაელის სპეცნაწილები უკვე დასავლეთ ერაყში არიან, იქ, სადაც "სკადის" რაკეტებია განლაგებული. რაკეტების მწყობრიდან გამოყვანა ერაყის დასავლეთით მოგვცემს იმის გარანტიას, რომ მათი მეშვეობით ისრაელზე თავდასხმა არ განხორციელდება, ხოლო ამ რაკეტების ნეიტრალიზება ქვეყნის სამხრეთით, საუდის არაბეთს ააცილებს საფრთხეს. ერაყში უკვე მოქმედებს ამერიკული სპეცნაწილები. ოპერაციებს კოორდინირებას უწევს ამერიკული ცენტრალური სადაზვერვო ბიუროც, მაგრამ ოპერაციებში ჩართულია შეიარაღებული ძალებიც. ისინი ნადირობენ რაკეტებზე და, შესაძლოა, თვით სადამ ჰუსეინზეც კი. ძალების გადასხმა ერაყში ვერტმფრენების მეშვეობით ხდება.

სრულმასშტაბიანი ომი ღამით, ათასი თვითმფრინავის აფრენით დაიწყება. ეს სპარსეთის ყურეში ომის პირველ ღამეს დაემგვანება. განსხვავება ის იქნება, რომ ერაყის პირველ ომში მონაწილე თვითმფრინავთა რაოდენობის ერთი მეოთხედი ამ ომში უკვე ხუთჯერ მეტ ზიანს მოიტანს, ვიდრე პირველი ომის ყველა თვითმფრინავის მიერ მოტანილი ზიანი.

ამის მიზეზი, როგორც გური ამბობს, ის არის, რომ ამერიკულმა სამხედრო ტექნოლოგიამ სპარსეთის ყურეში ომის შემდეგ დრამატული სრულყოფილება განიცადა. ახალი საომარი სისტემებით აღჭურვა ისეთი სისწრაფით ხდება, რომ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი იარაღი, რომელიც დღეს უკვე მზად არის ერაყის წინააღმდეგ შეტევისათვის, ერთი წლის წინ ავღანეთში ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. როგორც ჩანს, მათი დებიუტი სწორედ ერაყში შედგება. დაკვირვებისა და აღმოჩენის ტექნოლოგიასთან დაკავშირებით, ომის პირველ ღამეს აშშ-ის ავიაციასა და ფლოტს უფრო დეტალური "მიზნების ნუსხა" ექნება, ვიდრე ეს წინა ომში ჰქონდა. ნაწილობრივ, ეს მიზნები მიღწეული იქნება რადარებით აღჭურვილი თანამგზავრების მეშვეობით, რომელთაც შესწევთ უნარი, თვით სქელ ბურუსშიც კი ტანკი ავტობუსისაგან განასხვავონ. ამას გარდა, გამოყენებული იქნება ახალი ჯაშუში თვითმფრინავები, რომელთაც განცხადებების ფარებზე ტექსტის "წაკითხვა" 80 ათასი ფუტის სიმაღლიდან შეუძლიათ. მნიშვნელოვნად გაიზარდა "ინფორმაციის ბრძანებებად გარდაქმნის" სიჩქარე. იმას, რასაც კოსოვოსა და ავღანეთში ორი-სამი დღე სჭირდებოდა, ერაყში მხოლოდ რამდენიმე წუთი დასჭირდება.

გურის ახალი ბომბების შთამბეჭდავი "პრეისკურანტი" მოჰყავს. ეს ის ბომბებია, რომლებიც, შესაძლოა, სადამის ერაყის თავზე დაეშვას. ავღანეთში პირველად გამოიყენეს ბომბები JDAM (Joint Direct Attack Munitions), რომლებიც, რადიოთი მართული გლობალური პოზირების სისტემის დახმარებით, არამიზანმიმართულ ბომბებს მიზანმიმართულ ბომბებად გარდაქმნიან. რთული ბიუროკრატიული ჯაჭვის გავლით, საშუალო რგოლი ბრძანებას გადასცემს უშუალოდ ბომბარდირთა ეკიპაჟს. ერაყში JDAM-ს უფრო ფართოდ და ეფექტიანად გამოიყენებენ. ისინი იმოქმედებენ "ჭკვიან ბომბებთან" – GBU-28 (Guided Bomb Unit) ერთად. სპარსეთის ყურეში წარმოებულ ომში მხოლოდ ორი ასეთი ბომბი გამოიყენეს. GBU-28-ს ამერიკელები Bunker Busters - "ასაფეთქებელ ბუნკერებს" ეძახიან, რადგანაც ისინი კარგად გამაგრებული მიწისქვეშა შეიარაღების განადგურებისთვის გამოიყენება. ამ ეტაპზე მათ აღჭურვავენ პროგრამებით, რომლებშიც გამოყენებულია ახალი ელემენტი HTSF (Hard-target smart fuse), რომელსაც შეუძლია სიღრმეში შეჭრა და ათასი ფუნტის წონის მქონე ბომბის აფეთქება. HTSF ბომბს ეხმარება, "განასხვაოს" ბეტონისა და მიწის საფარი. მისი მეშვეობით, ბომბს შეუძლია შეაღწიოს მიწის საფარქვეშ, ოთხსართულიან სახლზე უფრო მეტ სიღრმეზე და აფეთქდეს იქ, "სადაც საჭიროა".

ბომბების კიდევ ერთი ახალი კატეგორია გამოყენებული იქნება ბიოლოგიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის მწარმოებელი ლაბორატორიების წინააღმდეგ. ამ ბომბებს შეუძლიათ, შეაღწიონ ნებისმიერ შენობაში, მიწისქვეშაც და მიწის ზედაპირზეც. დეტონაციის დროს ისინი ისეთ ტემპერატურასა და წნევას გამოყოფენ, რომ ციმბირის წყლულის, შავი ჭირის, ყვავილისა და სხვა მომაკვდინებელ დაავადებათა ბაქტერიები კვდება. ამ ბომბებს "თერმობარულ" ბომბებს უწოდებენ. ავღანეთში მხოლოდ ერთი ასეთი ბომბი ჩამოაგდეს და ისიც - უადგილო ადგილას; ასე რომ, ერაყში მისი ნამდვილი "დებიუტი" შედგება. თუმცა, ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციის წევრის - მაიკლ პევის სიტყვით, "თერმობარული" ბომბის ეფექტის ნეიტრალიზება შესაძლებელია, თუ ბაქტერიებს მაღალი ტემპერატურის გამძლე კონტეინერებში განვათავსებთ.

არის ბომბების კიდევ ერთი კატეგორია - სადამ ჰუსეინს მათი გაცნობაც მოუწევს. ეს მიკროტალღური ბომბებია. ისინი ჰაერში ფეთქდება და ელექტრომაგნიტური ენერგიის პულსაციას გამოყოფს. ამ პულსაციის მეშვეობით ხდება ელექტრული სისტემების – ტრანსფორმატორების, ანტენების, კომპიუტერებისა და ა.შ. ადგილსამყოფელის ფიქსაცია და მათზე თავდასხმა, მაშინაც კი, თუ ეს სისტემები მიწის ქვეშაა მოთავსებული. მიკროტალღური ბომბები რეალურ საომარ ვითარებაში ჯერ არავის გამოუყენებია. მათი სწორად გამოყენების შემთხვევაში, ისინი ადამიანებს და შენობებს არავითარ ზიანს არ მოუტანს. ასეთ ბომბებს, გურის აზრით, დიდი რაოდენობით ჩამოყრიან ბაღდადსა და ერაყის სხვა დიდ ქალაქებში.

ერაყზე ეფექტიანმა საჰაერო დარტყმებმა, როგორც წესი, საგრძნობლად უნდა დააჩქაროს სახმელეთო ოპერაციები, - მიიჩნევს გური, - შესაძლოა, ეს ოთხი დღის შემდეგაც მოხდეს (შედარებისთვის: სპარსეთის ყურეში ომის დროს სახმელეთო ოპერაციები ოცდამეცხრამეტე დღეს დაიწყო). ამ სამხედრო ქურუმის აზრით, აშშ შეიარაღებული ძალების ცენტრალური შტაბის მთავარსარდლის, გენერალ ტომი ფრენკსის ჯარები, პირველ რიგში, დაიძრებიან ბასრასკენ და მდინარე ევფრატზე გადასასვლელი ხიდების დასაპყრობად. შემდეგ საჰაერო დესანტს გადასხამენ ჩრდილოეთ ერაყში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 82-ე ავიასადესანტო ბრიგადა, ან ბრიგადა "სტრაიკერი" (Striker). ეს ახალი შენაერთია, აღჭურვილი მსუბუქი ჯავშანმანქანებით, რომელთა ჰაერში ტრანსპორტირება, ტანკებისგან განსხვავებით, ადვილია. ამ ოპერაციის არსი შემდეგია: შეეწინააღმდეგონ ერაყის რესპუბლიკური გვარდიის ნაწილებს, რომლებიც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში არიან დისლოცირებულნი, დაეხმარონ ბაღდადს, ხოლო ბაღდადში განლაგებული ამავე გვარდიის ნაწილები კი სამხრეთისკენ – ბასრასკენ გადააადგილონ. ევფრატის გადასასვლელზე კონტროლის დამყარების შემდეგ გენერალ ფრენკსის ჯარები ჩრდილო-დასავლეთით გადაინაცვლებენ, რათა შტურმით აიღონ ბაღდადი. საუკეთესო შემთხვევაში, ეს მსუბუქი გასეირნება იქნება, უარეს შემთხვევაში კი, მხოლოდ და მხოლოდ, წინააღმდეგობის "ცალკეული მუწუკების" ლიკვიდაცია მოხდება. თუ სადამის ჯარი გაიფანტება, მას სახმელეთო ჯარი შეებრძოლება, ხოლო თუ ჯარი კონცენტრირებული იქნება თავდაცვისთვის, მაშინ მას ავიაცია გაანადგურებს.

იარაღის სხვა ახალ სისტემათა შორის, რომელთა ამოქმედებაც ომის ამ ეტაპზე შესაძლებელია, გური ასახელებს ტანკის - "აბრამს MLA2" გაუმჯობესებულ ვარიანტს და ახალ ვერტმფრენს "აპაჩ ლონგბაუს" (Apache Longbow). არც ერთი მათგანი ჯერჯერობით ომში არავის გამოუყენებია. გამოიყენებენ ასევე თვითმფრინავ "პრედეიტორს" (Predator), რომელსაც უფრო მეტი სიმაღლე აქვს. ფედერალური დაზვერვის ბიუროს განკარგულებაშია ისეთი თვითმფრინავები, რომლებსაც შეუძლიათ ბორტზე ჰქონდეთ რაკეტები და ეფექტიანად გამოიყენონ ისინი. სწორედ "პრედეიტორის" ბორტიდან ჩამოგდებული ასეთი რაკეტით მოკლეს ამას წინათ "ალ-ქაიდას" ერთი ლიდერი იემენში. "აპაჩ ლონგბაუდან" ან "პრედეიტორიდან" შესაძლებელია ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების - "ჰელფაერების" (Hellfire, ე.ი. "ჯოჯოხეთის ცეცხლი") ჩამოგდება. ეს რაკეტები შეიცავენ სპილენძის ფირფიტას, რომელიც დნება მისი მატარებლის შიგნით, ნადნობი ამოიფრქვევა მცირე დისტანციაზე, შეაღწევს ტანკის ჯავშანში და ყველაფერს ანადგურებს. ვერტმფრენ "აპაჩ ლონგბაუს" შესწევს უნარი, "მოუსმინოს და უთვალთვალოს ტანკს" რადარის მეშვეობით. მის ბორტზე შესაძლებელია "ჰელფაერის" 16 რაკეტის განთავსება, თითოეული მათგანი დამოუკიდებლად ისვრის მიზანში. რადარი მოთავსებულია ზემოთ – პროპელერების თავზე. ეს ვერტმფრენს საშუალებას აძლევს, მოწინააღმდეგის თვალთახედვის არედან გამოვიდეს იმ დროს, როცა თვით რადარი "ჰორიზონტს მიღმა იყურება". ამგვარად, "მოფარებულში" ჩასაფრებულ ერთ ვერტმფრენს – "ჰელფაერს" მთელი სატანკო ბატალიონის განადგურება შეუძლია.

ბაღდადი მიზანია, რომლის ხელში ჩაგდება აუცილებელია, თანაც, რაც შეიძლება, სწრაფად, - ამბობს გური. მისი გათვლით, ბასრას აღების შემდეგ ამ მიზნამდე მიღწევას, საუკეთესო შემთხვევაში, სამი დღე, ნამდე მიდის, რომ ეს მიზნები, ყოველ შემთხვევაში, მათი საომარი მხარე, სავსებით განხორციელებადია. "აშშ-ის სახმელეთო და საჰაერო ძალთა კომბინაციას ვერაფერი შეაჩერებს და დაამარცხებს. ეს ძალები რომაელთა ლეგიონებივითაა!" – წამოიძახებს იგი.

ქაღალდზე ყველაფერი ნათელი იყო? ვფიქრობ, სამწუხაროდ, არა მარტო ქაღალდზე. სწორედ ამიტომაა ასე აუცილებელი, სასწრაფოდ მივიღოთ ეფექტიანი და ადეკვატური პოლიტიკური და დიპლომატიური ზომები დღევანდელი მსოფლიო პრობლემების გადასაწყვეტად, რათა ეს ლეგიონები არ დაიძრან. ამაში დიდი როლი უნდა შეასრულოს გაერომ, რომლის გავლენის აღდგენა ბოლო დროს ბევრისთვის საიმედო საყრდენია.

ნოემბრის სტუმარი

უსინდისობის დაბრალებისთვის მეც ვიჩხუბებ

ერთხელ, საბჭოთა დროს, ლევან თედიაშვილი ბულგარეთში ისვენებდა. მის შვილებს (და მასაც, რა თქმა უნდა), ტალღებში თამაში უყვარდათ. ერთი ასეთი ნავარდობისას, ბულგარელი მაშველი მოვიდა და ჩხუბი დაუწყო. ალბათ, ეუბნებოდა, ტალღებში ნუ ცურავთო, მაგრამ არც ერთმა თედიაშვილმა ბულგარული ენა არ იცოდა. სამაგიეროდ, უფროსი თედიაშვილი საკუთარი შვილების გაოცებულ თვალებს ხედავდა, - სათაყვანო მამას, მათ თვალწინ, ვიღაც ჩხუბს უბედავდა. მაშინ ბატონი ლევანი დეპუტატი არ იყო და დაავიწყდა კანონი, რომელიც პროფესიონალ მოჭიდავეებს ხალხის ცემას უკრძალავდა, - მისი მუშტი იარაღის ტარებას უდრიდა და, დაახლოებით, ამ ზომის სასჯელი ემუქრებოდა. როგორც თვითონ ამბობს, "თეატრალური" მოსდო... მაშველი ტალღამ ჩაითრია და თედიაშვილებმა დახრჩობას ძლივს გადაარჩინეს... არ მოისვენა. მეორე დღეს მანქანით მიადგა დასასვენებელ კორპუსს, ჩაისვა ბატონი ლევანი მანქანაში და წავიდნენ. მთელი გზა უხმოდ იარეს. ვარნამდე. მაშველმა თავის სახლში აიყვანა და, ლევან თედიაშვილის სიტყვებით ვიტყვი: "სასწაული ვნახე... თავის ოთახში სულ ჩემი სურათები აქვს გაკრული. ჩემი გულშემატკივარია, თურმე, ისეთი, რო კვდება... ბედი არ გინდა - ჩავედი ბულგარეთში და მაინცდამაინც ჩემ გულშემატკივარს ვცემე. საკუთარ ხელებს ვურტყამდი, - შენ თუ კიდე ვინმეს დაარტყა-მეთქი."
გასულ, ბატალურ საპარლამენტო კვირას ბატონი ლევანი არ ჩანდა (სულ თავიდან, ერთ-ერთ პირველ კონფლიქტში, მოჩხუბრები ხელით ისე გაუშველებია, რომ იმათ თავად უთხოვიათ, ძალიან გთხოვთ, ამიერიდან ნუღარ ჩაერევიო). გუშინდელ სხდომაზე აზერბაიჯანის საელჩოსთვის შენობას ითხოვდა და...
ვფიქრობთ, ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში საუკეთესო კონსულტანტი იქნება.

მაია ჭალაგანიძე

ლევან თედიაშვილი

- მოდი, დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი, გლადიატორი ვარ. 18 წელი ცოლ-შვილს იმით ვინახავდი, რომ ვიღაცა უნდა წამექცია. გლადიატორი ვარ, აბა რა ჯანდაბაა...

მაგრამ, ვამაყობ იმით, რომ სპორტსმენად არ დავრჩენილვარ. სპორტსმენობა ჩემი კარიერის გზაგასაკვალი რაღაც იყო. ზოგი კომკავშირით იკეთებდა კარიერას, ზოგი მამიდაშვილით, ზოგი - სიდედრით. ადრე იცით, როგორ იყო? ყველას უნდოდა, რაიკომის მდივნის ქალიშვილი მოეყვანა ცოლად. ამ დროს, ანგელოზივით გოგო დადის, სიყვარულიცა აქვს ახსნილი, მაგრამ როგორც საშუალება მიეცემოდა, ბიჭი მაშინვე ვიღაცის შვილს მოიყვანდა. მაგრამ, ვერავინ ასე ვერ გაიხარა. ვიღაცის ხარჯზე ვერ იცხოვრებ. სუფთა სიყვარული სულ სხვა რამეა.

- რა არის?

- მოწონხარ და მოგწონს. როცა შვილი გაგიჩნდება, ეს სიყვარული აუცილებლობაში გადაგდის. ბევრი გაჭირვება უნდა აიტანო, რომ გაუზარდო ქალს ეს ბავშვი, თორემ ქალს მერე დიდი ტვირთი აწვება. ზოგჯერ კაცი ვერ ამართლებს და მამოძრავებელი ძალა ქალი ხდება. მოკლედ, რაღაც ამდაგვარია... მერე შვილიშვილი რო გყავს, ეს შვილიშვილი გაბრუნებს ისევ საბავშვო ბაღში, სკოლაში, ისევ მშობელთა კრებებზე, ცხოვრება გრძელდება... გენეტიკა.

კომკავშირის ცეკაში რო ვმუშაობდი, გამოვედი ერთხელ და ვთქვი: არსებობს ჯიშიანი ძაღლი, წმინდა სისხლის ცხენი და ა.შ. როცა სახლში ცხოველი მოგვყავს, ამას გავიკითხავთ ხოლმე. ბომჟა თუ ჯიშიან ძაღლს მიახტა, იმის დაწმენდას მერე სამი თაობა უნდა. სამი თაობის ლეკვი უნდა გამოიცვალოს, რო გასუფთავდეს. ახლა რა ხდება ხალხში? ამ სიყვარულის რეკლამით, ამ კარიერის რეკლამით, ვინ ვის ეცა და რა შვილები ჰყავთ, კაცმა არ იცის. მერე გვიკვირს, რატოა ამდენი გაუგებარი ხალხიო... მერე რაღაცეები ხდება, ვიღაც "გალუბოი" ხდება, ვიღაც "შიზიკი"... ეხლა უყურე: ადრე, ჩვენი წინაპრების დროს, შერჩევა იყო. გაიკითხავდნენ, ქალს რამე სენი ხო არა ჰქონია გენში, რა სისხლი აქვს; მერე ქალს აბანოში წაიყვანდნენ, ან ილლიის ქვეშ ძუძუები ხო არა აქვს, ან რამე... ათასი პათოლოგია იყო; თმას, კბილებს გაუსინჯავდნენ. შეიძლება ამ დროს სიყვარულის საკითხი ჩაწეული იყო, მაგრამ მოდგმისა და ჯიშის საკითხზე ფიქრობდნენ. მე ასე ვფიქრობ. დღეს კი - მიყვარსო და, ჯერ არ გაუცვნია და ებდღვნება. ან გაიკეთებს ნარკოტიკს, ბავშვი დაავადმყოფდება და მთელი ცხოვრება გაწვალებულია.

- ნარკოტიკი არასდროს გაგისინჯავთ?

- არა, კაცო. ნემსისა ისე მეშინია, დანახვისთანავე სადღაც გადავიკარგები ხოლმე. ერთი ეგეთი შემთხვევა მქონდა: 1974 წელს, სტამბულში, მსოფლიო ჩემპიონატზე ვიყავი. როცა სპორტსმენი ფორმაშია, ადვილად ცივდება. რატომღაც. 40 გრადუსი სიცხე მომცა. შეცვლა აღარ შეიძლებოდა, მე უნდა მეჭიდავა. არადა, სანამ ავიწონებოდი და ხალიჩაზე გავიდოდი, სამედიცინო კომისია უნდა გამეევლო. ექიმი გვყავდა ერთი, ვიქტორ ლომაძე. ქართველი იყო და გული შესტკიოდა ჩემზე. გერმანელ ექიმს რაღაცა წამალი გამოართვა (აბა, მაშინ ჩვენ რა გვქონდა), უნდა გამეკეთებინა და სიცხე უცბად დამიწევდა... ნემსის დასარტყმელად არაფრით არ მივუშვი. ჰოდა, რო მეძინა, ჩუმად შემომეპარა და "ადიალის" იქიდან მხია ეს ნემსი. ისეთი რეაქცია მქონდა, საწოლი გავტეხე. წამოვხტი, მეც უნდა გაგიკეთო-მეთქი... ის კიდე ყვიროდა, რეპუტაცია არ შემილახოო... მოკლედ, 40 გრადუსი სიცხით ვიჭიდავე. მოვიგე მსოფლიო პირველობა. ეგრე კარგად არც მომიგია. არადა, სტამბულში ვართ და ვიღაც თურქის ჩემპიონობა უნდოდათ. ისე მომიწყვეს, რომ ერთ საღამოს 4 შეხვედრა მქონდა, - ლეიბიდან არ მიშვებდნენ 40 სიცხიანს. ეგრე მაგრად მსოფლიო არ მომიგია. სამაგიეროდ, რო მოვიგე, მოვდუნდი და ლოგინად ჩავვარდი. ერთი კვირა საავადმყოფოში ვიწექი. დაჯილდოებაზეც ვერ გავედი, მედალი რო ამეღო...

- რატომ დააყენეთ აზერბაიჯანის საელჩოს შენობის საკითხი?

- ძალიან შემაშფოთებელი ფაქტია. პარლამენტის თავმჯდომარის, პრეზიდენტისა და საელჩოს თანამშრომელთა იმიჯი ილახება. ჩემთვის ეს სულერთი ნამდვილად არ არის. ეს ისტორია გია ჭანტურიას ელჩობის დროიდან მოდის (აი, სირცხვილი მაგისი, რო ეს საკითხი აქამდე ვერ გადაწყვიტა). აზერბაიჯანში საქართველოს საელჩო თავიდან სასტუმროში მოათავსეს, ძალიან შეღავათიან ფასში. მერე იქაური უნივერსიტეტის ერთ-ერთი შენობა გამოათავისუფლეს და ის გადასცეს. აღარ მოვყვები, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ბაქო-ჯეიჰანს.

არსებობს პრეზიდენტის ბევრი განკარგულება შენობის გადაცემაზე, მაგრამ საქმე საქმეზე რო მიდგება, ყველა იძახის, ისტორიული შენობაა და ვერ გადავცემთო.

- რომელ შენობაზეა საუბარი?

- ზუსტად არც კი ვიცი.

როცა ნინო ახალდანიშნული იყო, ბაქოში ჩვენი დელეგაცია ჩავიდა და იმ დელეგაციის წევრი ვიყავი. წასვლის წინ ნინო ბურჯანაძე, ალბათ, პრეზიდენტს შეუთანხმდა და ალიევთან შეხვედრაზე თქვა, რომ საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო. ამას ეუბნება ალიევს, ჩვენი მეზობელი, სტრატეგიული ქვეყნის პრეზიდენტს. ალიევი ლამის ყველას გადაეგვეხვია სიხარულით. ურთიერთობები მაშინვე დალბა და ჩვენც ამაყად ვგრძნობდით თავს.

- რატომ დააყენეთ ეს საკითხი მაინცდამაინც თქვენ?

- ახლახან დავინიშნე საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარედ. პირდაპირ მეხება ეს საკითხი.

თავიდან არ მინდოდა ამ ამბის გახმაურება და ნინოს ერთი-ორჯერ მწვავედ დავუყენე საკითხი. მისი ნათქვამიდან ისე გამოვიდა, რომ, ბოლო-ბოლო, ვერ ვწყვეტო... სიმართლე გითხრათ, შემეცოდა. საქართველოში მეორე პირი შენობის საკითხს ვერ წყვეტს.

- თქვენი აზრით, რატომ ვერ წყვეტს?

- მთავრობის მომავალ მოსმენაზე მოწვეული გვყავს სოლომონ პავლიაშვილი და ვანო ზოდელავა. თქვან, ბოლო-ბოლო, რა ისტორია აქვს ამ შენობას ისეთი და რა გვჭირს ისეთი, რო არ შეიძლება, იმ ისტორიულ შენობაში სტრატეგიული მნიშვნელობის მეზობელი ქვეყნის საელჩო იყოს. იმ შენობას ისტორიას ხო არ წაართმევენ?! ეს არის ქვეყნის იმიჯი.

- არადა, ჩვენი პრეზიდენტები როგორ მეგობრობენ...

- თან იძახიან, ძმები ვართო. აზრი მებადება: როგორ შეიძლება, ორი ძმადნაფიცი იყოს, ერთმა იქ ყველა პრობლემა გადაუწყვიტოს და მეორემ "გადააგდოს" და ვიღაც ჩინოვნიკების ხელში ჩააგდოს. შეურაცხყოფილი ვარ, როგორც ქართველი კაცი. პრეზიდენტს კონტროლზე უნდა აეყვანა და ძმადნაფიცისთვის შენობის საკითხი გადაეწყვიტა.

არის პროტესტის ეგეთი ფორმა - შიმშილობა. მე შიმშილობას არ გამოვაცხადებ, შიმშილს ვერ ვიტანთ, გაიგე? მწვადაობას გამოვაცხადებ, ხაშლამობას და, იმ შენობიდან, რომელსაც თვალს დავადგამ, იქამდე არ გამოვალ, სანამ მთავრობა არ გადაწყვეტს და არ გადასცემს. პროტესტი ლევან თედიაშვილისთვის ცოტა მიუღებელი კია. მრცხვენია. არა ვართ ქართველები ეგეთები და ვიღაცა ჩინოვნიკმა ამდენი როგორ უნდა გაბედოს?!

- ვინ არის ეს ჩინოვნიკი, ბატონო ლევან?

- არ ვიცი. რო გამოვა მთავრობა, ხო დაასახელებს და მაშინ უფრო ზუსტები ვიქნებით. ნინო რო გამართლდეს, ისიც მინდა. ის ხო ბაქოში შეჰპირდა ამ შენობას. მიდის ამდენი ბრაბაბრუხი კორუმპირებულებზე და ა.შ. როცა ქვეყნის მეორე პირი, პირველის დაბარებით, ჰპირდება და ვერ ასრულებს, სხვაგან მიდის ჩემი ფიქრი. ვიღაცა ჩინოვნიკმა საქართველოს იმიჯი გააფუჭოს, - მე მაგის უფლებას არ მივცემ.

- ამ თანამდებობაზე თქვენი დანიშვნა ვისი ინიციატივა იყო?

- ფრაქციაზე ირაკლი გოგავამ თქვა, მაინც სახელი გაქვს, იმიჯი, პოსტსაბჭოთა კავშირში ყველა გიცნობსო... შეიძლება, ფორმადაკარგული ლევანა ვეღარ იცნონ, მაგრამ გვარს რო გაიგებენ, პატივით მეპყრობიან, თბილად მიღებენ. ქართველი ვარ და ჩემპიონი ვიყავი. 10 წელი სსრკ-ს გუნდის კაპიტანი და კომსორგი ვიყავი. ქართველისთვის პატარა რამეს ხო არ ნიშნავს ეს?!

- ეს ნიშნავს იმას, რომ უფრო ხშირად მიხვალთ მიკროფონთან?

- ადრე მეუბნებოდნენ, რატომ პასიურობო. ფუნქცია არ მქონდა, - ან უნდა მიმეჭირა პულტზე, ან არა. დღეს მე ქვეკომიტეტი მაქვს. ხო ცოტა დრო დამრჩა, აი, ნახავთ, რა შედეგი იქნება. პირველს, რასაც გავაკეთებ, ახალ წლამდე საელჩოს ადგილს მივუჩენ. ეს მიკროფონები "პრიხვატიზებული" აქვთ "მიკროფონის ბულბულებს". ამას წინათაც რაღაც საკითხის დაყენება მინდოდა. ყველას მისცეს სიტყვა და მე არ მომხედა არავინ. მამალივით ვიდექი იმ მიკროფონთან. ორი მოწვევის დეპუტატი ვარ. ლიმიტი შენახული მაქვს და ნახევარ საათსაც რომ გადავაჭარბო, მეკუთვნის.

ჩვენთან, 9 წუთი ვჭიდაობდით. 3 წუთი ჭიდაობა, 1 შესვენება. კიდევ 3, კიდევ - 1 და ასე. რა გგონიათ, ყოველ წამს და ყოველ წუთს ილეთს კი არ ვაკეთებდი. მე რაღაცას ვამზადებდი, ძალებს ვზოგავდი, სიტუაციას ველოდებოდი... მეცხრე წუთზე რაღაც ილეთს გავაკეთებდი და მოვიგებდი. მთავარი საბოლოო შედეგია.

- თქვენხელა სპორტსმენი დარბაზში არ არის... ამ ჩხუბებსაც, ალბათ, პროფესიონალის თვალით უყურებთ.

- ჩემი აზრი უნდა გითხრათ: მე არ ვამართლებ ცისკარიშვილს, მაგრამ კაცობის ვარიანტში დაარტყა. ამბობენ, გაიქცაო, - ეგეც ჩხუბის ტაქტიკაა, რაღაცნაირად.

- თქვენთვის ეს მისაღები ფორმაა?

- არ არის მისაღები, მაგრამ არც ისაა მისაღები, ზოგიერთი მემარჯვენე თუ მემარცხენე, პრეზიდენტს რომ აგინებს. შენ თუ აგინებ, სხვა ქვეყანა პატივს სცემს? გახდი პრეზიდენტი და გეთაყვანები. პრეზიდენტი, დროშა, ჰიმნი - ხელშეუხებელია. მე რო პრეზიდენტი ვიყო, შუამავლის გარეშე დავიბარებდი ჩემ მლანძღველებს და პასუხს მოვთხოვდი.

ეხლა კარგად, ჩემებურად აგიხსნით, რა მოხდა და როგორ ვუყურებ ცისკარიშვილისა და ჩხუბობანას ამბავს: ვიყავით ერთი "მოქალაქეთა კავშირი". "ფაჩიკოს გარმონივით" დაიშალნენ, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის ჩაწოდებით (არც იმას ვამართლებ). შექმნეს სხვადასხვა ფრაქცია. ცისკარიშვილი, ჩემი გაგებით, არის ძალიან დადებითი პიროვნება. ამერიკაში დაამთავრა. ალბათ, სთხოვეს, ჩამოდი და პარლამენტში თანამედროვეობის იმპულსი შემოიტანეო. ის ვერ გამოიყენეს, - არც ფრაქცია მისცეს, არც - ინიციატივა. ამ ბიჭს არ ვამტყუნებ.

მერე სააკაშვილთან მოხვდა. ეს ისეთი პარტიაა, სადაც სულ უნდა იბრძოლო და რაღაცა ამტკიცო... იქ ძალით გააქვთ საკითხები - დავითაშვილია და სხვები; სხვა ტიპის პოლიტიკოსები არიან, რავი, რა დავუძახო - თანამედროვე, არათანამედროვე... მერე ისე მოხდა, რომ მოიტაცეს ეს ბიჭი. ჰყავდათ ტყვეობაში. წარმოიდგინეთ ამ ადამიანის ფსიქოლოგიური განცდა. ადამიანისა, რომელიც ასე იმედიანად უყურებდა თავის მომავალს, ასეთი რეკლამით შემოვიდა პარლამენტში, ევროპა, ამერიკა, კომპიუტერი იცის. ეგეთი ხალხი საჭიროა. ჩვენ თაობას ეს აკლია; შემდეგ, ტყვეობიდან გამოჰყავთ თუ გამოვიდა, არ ვიცი... მე ადამიანურ ფაქტორებზე ვლაპარაკობ... და აბრალებენ, ნარკობარონი ხარო. გასინჯეს - ნარკომანი არ არის. თუ ნარკობარონია, ყველაფერს ხო არ გაყიდდა, თავისთვისაც ხო დაიტოვებდა რამეს. ე.ი. არც ნარკომანი გამოდგა. მერე ვიღაცა გამოდის და, რაღაცა სიტყვაზე, კარებს ანგრევენებს... პარლამენტში რო უსინდისობა დამაბრალონ, ვცემ, აბა რას ვიზამ. ოღონდ, გარეთ ვცემ. ძალიან თავშეკავებული ვარ, მაგრამ შეურაცხყოფას ვერ ავიტან.

მოდი, ასე შეეხედოთ... ამდენი რამე გადაიტანა ცისკარიშვილმა. ვინმემ იფიქრა, რომ ან დასასვენებლად გაეშვა, ან მოფერებოდა?! გადავიდა ჭკუიდან... თან, ტანად პატარაა. მაგონდება ტარიელ მკლავაძისა და სპირიდონ მცირიშვილის ამბავი. რატომ მოკლა მცირიშვილმა ტარიელი?! ვინც უნდა იყოს, თავმოყვარეობა არ უნდა შეულახო. ამაში დარწმუნებული ვარ ისე, როგორც, ორჯერ ორი ოთხი, ჰა, ჰა, ხუთია... მტერი რო იყოს და მეუღლესთან და შვილებთან ერთად მოდიოდეს, არ უნდა დაამცირო. ამ თამაშის წესებს ყოველთვის ვიცავ. ადამიანის ფაქტორი ნულამდეა დასული. ამით ერის დეგრადაცია იწყება.

- ისე, თქვენგან ლანძღვა-გინება მართლა არ გამიგონია...

- იმიტო, რო მე თანამედროვე პარლამენტარი ვარ, ამ შიბაქებს კი არა ვგავარ (ეს კახური გამოთქმაა). "ხარება და გოგიაში"... ხო გინახავთ "ხარება და გოგია?" არის ეგეთი ეპიზოდი - მკითხავთან მივდივართ. სცენარში ეწერა, - თან ბაადურ ბალარჯიშვილის დაწერილია, რამ დააწერინა, ვერ გავიგე. "როგორ გეკადრება!" - უნდა მეთქვა ამ მკითხავისთვის. მე, როგორც კახელმა, ვუთხარი: რას მიაცმაააცვამ-მეთქი. მაშინ ცენზურა იყო და კინოსტუდიის რედაქტორმა მითხრა, მე ამას არ გავუშვებო. მეც ვუთხარი, არ გაუშვებ და, აჰა, ჩემი ჩოხა და შენ ითამაშე-მეთქი. ამდენ იმერლებში ერთი კახელი ვიყავი და აღარ გამეხურებინა?

- ამ ჩხუბებს, თქვენი აზრით, ახლა რა უნდა მოჰყვეს?

- არავითარი კენჭისყრა. ვიცნობ დაზარალებულს, მაგის ვაჟკაცობის ამბავს. შერიგების მომხრე ვარ. გასაგებია, ცისკარიშვილმა ველარ მოზომა. ნერვული სტრესი აქვს და იმიტომ. შერიგება, იცი, რატო მინდა? ეგ კაცებში მოდის. იმდენჯერ წამიგია და იმდენჯერ ვუცემივარ, უკვე ვიცი, კაცი რო ხელს გამოგიწვდის, უნდა შეურიგდე. მე დავდგები შერიგების გარანტად. პეტრესნაირი ახალგაზრდები საქართველოს ხელწამოსაკრავად არა ჰყავს. ვნატრობ, ნეტა მე ვეცემე და ჩემთვის გაეხეთქა შუბლი. მე ჩავიხუტებდი და შევირიგებდი და, თუ არა გჯერათ, აიღოს ის მუშტია თუ რაღაცა, მე დავდგები და ხელსაც არ გავანძრევ, გავჩერდები.

ერთი მეუბნებოდა საძმაკაცოში, გცემო. მეც ვუთხარი, - გავჩერდები და, რამდენიც გინდა, მირტყი. რო დაიღლები, თავს ხო დამანებებ-მეთქი?! მე სუ ვითმენ.

ერთი რამე კიდე უნდა გიამბოთ: ვარჯიშზე მეჩქარებოდა. ფილარმონიასთან ყვითელი შუქნიშანი აინთო. ვატყობ, ვერ გადავასწრებ... ვიღაც კაცი მოდის, დიდი საკრავი როა, იმითი...

- კონტრაბასი?

- ეტყობა, ცოტათი პალტოზე შევეხე. ლამის ფანჯარაში შემოვიდა და დროზე გავწიე თავი. მეჩხუბებოდა. რო გავცდი, სარკეში დავინახე, მილიციელს რაღაცას ელაპარაკებოდა. ფალავანთა კლუბთან არ დამხვდა ეს "ნაგლი", თავისი კონტრაბასით?! მივედი და მუხლი მოვიდრიკე, ოღონდ ახლა, აქ ნუ მცემ, იმიჯი არ გამიფუჭო და მერე, რაც გინდა, ქენი-მეთქი. იმან კიდე თქვა: მილიციონერმა მითხრა, ვინც იყავით და მადლობის სათქმელად მოვედი, რომ არ დამარტყითო. ჩემთვის იცი, რა სიხარული იყო?!

- მეც ეგ მიკვირს. ვისაც მართლა რაღაც შეუძლია, ტყუილად არასდროს იქნევს ხელს...

- რა თქმა უნდა. ზოგი ისეთ უკადრებელს კადრულობს... მეორე პარლამენტში ვარ. მე თუ გამიბედა, შეიძლება, თავი ვერ შევიკავო. ღმერთმა შეარგოთ, იჩხუბონ, მაგრამ თამაშის წესები დაიცვან. გავიდნენ, მე დამაყენონ მსაჯად და იჩხუბონ. ჩხუბი არ უნდა აკრძალო. სიტყვიერი, "პრესიერი" და "მიკროფონიერი" შეურაცხყოფა სულაც არ არის დარტყმაზე ცუდი. მირჩევნია, მომხვდეს სილა, ვიდრე რაღაცა დამაბრალონ. ამას ოჯახი ისმენს, მეგობრები ისმენენ... ათასნაირ "იზმენებში" ვარდებიან, - ვა, ლევანა, მართლა ეგრე ყოფილაო? მუშტი ჯობია, ოღონდ, გარეთ... მე მსაჯი ვიქნები.

გოგი გვახარია სვეტი

დაგვიჯერეთ, თორემ ზვიადივით ჩამოგაგდებთ!

დღეს გიორგობაა. ამიტომ "გიორგით" დავიწყებ; გეორგ ვილჰემ პაბსტით - დიდი გერმანელი კინორეჟისორით, შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეჟისორით კინოს ისტორიაში. ნაციონალ-სოციალისტების ხელისუფლებაში მოსვლამდე ორი თვით ადრე პაბსტმა თავისი სახელგანთქმული ფილმის, "სოლიდარობის" გადაღება დაასრულა. პრემიერის წინ ჟურნალისტებმა სთხოვეს ჰიტლერის მიმართ დამოკიდებულება გამოეხატა. "ხელოვანისთვის ყველა ხელისუფლება დრაკონია - განაცხადა გეორგ ვილჰემმა - ჩვენთვის მთავრობა მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ დაუპირისპირდე და გააღიზიანო. ხელისუფლება მადლია კულტურისთვის... ვიღაცას მაინც ხომ უნდა ებრძოლო"

დღეს გიორგობა რომ არ იყოს, პაბსტის ნაცვლად სხვას გავიხსენებდი. ჩაპლინს, პაზოლინის, გოდარს, ვაიდას, ფარაჯანოვს... მაგრამ პაბსტი მაინც განსაკუთრებული შემთხვევაა. ბედის ირონიით, "სოლიდარობის" პრემიერიდან ორი თვის შემდეგ მას გერმანიიდან ჯერ საფრანგეთში, მერე ამერიკაში გაქცევა მოუხდა. აღმოჩნდა, რომ ყველა ხელისუფლება ერთნაირი ნაგავი არ არის. თუმცა იგი თავისას მაინც არ იშლიდა. ომის შემდეგ ევროპაში დაბრუნდა. ავსტრიაში გააგრძელა მოღვაწეობა და თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: "ხელისუფლება ყველგან საზიზღარია. მას სძულს მხატვრები, რადგან იცის, რომ კარგი მხატვრის დამორჩილება შეუძლებელია"

უცნაურია, გეორგ ვილჰემ პაბსტი არასდროს ყოფილა კატეგორიული თავის შემოქმედებაში. საიდან ასეთი კატეგორიულობა? რამდენი ხელოვანი შეიძლება გავიხსენოთ, რომელიც მორჩილად ემსახურებოდა ხელისუფლებას? თუნდაც ველასკესი. ან იქნებ აქეთ გადმოვიდეთ, ჩვენს დროში, და ბარბარა სტრეიზენდი და მისთანები მოვიგონოთ, ბრწყინვალედ რომ ჩაატარეს კლინტონის საარჩევნო კომპანია? ან უფრო "აქეთ" წამოვიდეთ - საქართველოში, გასული კვირის დასაწყისში, და გავიხსენოთ ქართული კულტურის მოღვაწეები, რომლებმაც საკრებულოში თავიანთი მოქალაქეობრივი პოზიცია, მათივე სიტყვით რომ ვთქვათ "დაფიქსირეს". ყველა პაბსტი და პაზოლინი ვერ იქნება. ველასკესს ფილიპ მეოთხე უყვარდა, ბარბრას - კლინტონი, ქეთი დოლიძეს, ჯანსუღ ჩარკვიანს, გიგა ლორთქიფანიძეს, მერაბ თავაძეს, კოტე ყუბანეიშვილს და გურამ შარაძეს - ვანო ზოდელავა უყვარს.

ჭკვიანი ხალხი ამბობს, ვისაც უყვარს, ყოველთვის მართალია, ვისაც სძულს - მტყუანიო. მშვენიერი აზრია. გამოდის, რომ არ არის მართალი პაბსტი, ჩაპლინი და ძმანი მისნი. მართალნი არიან ისინი, ვინც ქალაქის მერის და კულტურის დასაცავად ესტუმრნენ საკრებულოს.

ასე არ გვითხრეს სწორედ? თბილისის თეატრებში სრული ანშლაგებიაო (მადლობა მერს იმისთვის, რომ თბილისელებს თეატრი შეაყვარა), ეკლესია ააშენაო (ახალი ეკლესია არა სჯობს "მახინჯ ავლაბარს", რომელიც, უნდა დაინგრეს, რათა აქ ახალი ცათამბჯენები წამოიჭიმოს). არა, ისინი აქ არა მარტო ქალაქის მერის, არამედ ზოგადად, კულტურის დასაცავად მოვიდნენ... რადგან მერი, ე.ი. ხელისუფლება ("კარგი ხელისუფლება") მათთვის თავადაა კულტურა... და ისინიც, თავად არიან კულტურა, რომელსაც ახალი საკრებულოს სახით "ბარბაროსები" შემოესივნენ. უცნაურია, მაგრამ კულტურის დამცველთა რიგებში ავანგარდისტიც ვიხილეთ, ე.ი. კაცი, რომელიც კულტურას წინ უნდა უსწრებდეს და არა გვერდით დაყვებოდეს. აი, რა არის სიყვარული! ყველა გაერთიანა; კოსმოპოლიტები და ნაციონალისტები, ავანგარდისტები და ტრადიციონალისტები, მრავალშვილიანი დედები. ამას ჰქვია "გადავარჩინოთ კულტურა და კულტურა გადაგვარჩენს ჩვენ!" (ედუარდ-გიორგი შევარდნაძე)

"არ დავთმობთ მერს და კულტურას. ერთი კაცი გვყავდა უკვე, ზვიად გამსახურდია, რომელმაც არ მიგვიღო, "კრემლის აგენტები" გვიწოდა და დავსაჯეთ, ჩამოვაგდეთ. თქვენც იგივე გელით, ფაშისტებო, თუ არ დაგვიჯერებთ!" - ასე გავიგე მე ამ აქციის ქვეტექსტი.

სიტყვა "ფაშისტი" იმ დღეს მრავალჯერ გაისმა სატელევიზიო არხებიდან. კულტურის მოღვაწეები ვერ ბედავდნენ დაესახელებინათ კაცი, რომელსაც გულისხმობდნენ. თუმცა ჩვენ ხომ მივხვდით ყველაფერს. ჩვენი სახელოვანი შემოქმედი ხალხი, სააკაშვილს გულისხმობდა. საკრებულოში მისულ ადამიანებს თავიდან არ ჩამოვთვლი, თორემ მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, ვინ ვის უწოდებს ფაშისტსო. რა თქმა უნდა, ის მკითხველი მყავს მხედველობაში, რომელმაც ამ სიტყვის მნიშვნელობა კარგად იცის და მოეხსენება, რომ "ფაშისტი" არ არის "პოპულისტის", "ექსცენტრიულის", და არც "კომკავშირელის", "ნეოკომკავშირელის", "ბოლშევიკისა" და "ნეობოლშევიკის" სინონიმი (სხვათა შორის, ამ უკანასკნელთ ქალაქის ხელისუფლების დამცველი ზოგიერთი ხელოვანი, თავის დროზე, მშვენივრად ემსახურებოდა კიდეც).

გეორგ ვილჰემ პაბსტი გერმანელ ფაშისტებს, იგივე ნაციონალ-სოციალისტებს გაექცა. მაგრამ ამ კაცს თავისი **გემოვნება** ჰქონდა, ამიტომ არც "კარგი" ხელისუფლების სიყვარული გამოუხატავს. ამ კაცმა კარგად იცოდა, "რომელი საათია", იცოდა რომ ადგილი და ხელისუფლება შეიძლება შეიცვალო, მაგრამ დროს ვერ შეცვლი და ფილიპ მეოთხის ეპოქას ვეღარ დააბრუნებ. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი მართლა გემოვნების საკითხია. ვის ფილიპ მეოთხე უყვარს, ვის კლინტონი, ვის ზოდელავა და ვის სააკაშვილი.

მე ჩემი გერმანელი სეხნია, გეორგ ვილჰემ პაბსტი მიყვარს, მკითხველო. და, კიდევ, ჩაპლინი და ძმანი მისნი. ესენი კი ეჭვიანი ხალხია და არ მაძლევენ საშუალებას შევიყვარო ხელისუფლება. ამიტომ "კარგ ხელისუფალს" ჩემი მოქალაქეობრივი პოზიციის "დაფიქსირება" თუ დასჭირდა, ნუ დამიძახებთ, დამცველებო! ესენი თქვენთან არ გამომიშვებენ.

კალენდარი

23 ნოემბერი

"მსურდა, დამეწერა მუსიკა, რომელსაც ექნებოდა გავლენა, სიღრმე, ძლიერი და სრულიად განსხვავებული გამომსახველობა", - წერდა პოლონელი კომპოზიტორი კშიშტოფ პენდერეცკი. მისი მუსიკა – ოპერები, კონცერტები, საგუნდო, საორკესტრო, კამერული, ვოკალურ-ინსტრუმენტული და ელექტროაკუსტიკური, მართლაც პენდერეცკის შინაგანი სამყაროს სარკედ იქცა.

სახელი კრაკოვის მუსიკალური სკოლის დამთავრებისთანავე გაითქვა: 1959 წელს პენდერეცკის სამმა ნაწარმოებმა პოლონელ კომპოზიტორთა კავშირის მიერ მოწყობილ კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა. შემდეგ ჰიროსიმაში დაღუპულთათვის სამგლოვიარო მუსიკა დაწერა, ასევე "წმინდა ლუკას ვნებანი" და ახალგაზრდა მუსიკოსის შესახებ უკვე მთელი ევროპა და ამერიკა ალაპარაკდა. მისი სტილის ცვალებადობას ახალი მუსიკალური მიმდინარეობის განვითარების საილუსტრაციოდაც იყენებენ: პენდერეცკის მუსიკაში ხომ ყველაფერი აისახა, 60-იანი წლების ავანგარდიზმისა და შემდგომი პერიოდის რომანტიკის ჩათვლით.

კშიშტოფ პენდერეცკი 1933 წლის 23 ნოემბერს დაიბადა. ორიოდე თვის წინ მას რომანო გუარდინის სახელობის პრიზი გადასცეს, შარშან კი – ასტურიის პრინცის ხელოვნების ჯილდო და ჰონგ კონგის საშემსრულებლო ხელოვნების აკადემიის საპატიო წოდება... 69 წლის კომპოზიტორის კოლექციაში კიდევ მრავალი პრესტიჟული ჯილდო ინახება. მას აქტიური მოღვაწეობის ძალას ერთგული მეუღლეც აძლევს. უმუსიკოდ ცხოვრება არც ელშბეტა პენდერეცკას შეუძლია. ის კრაკოვის ბეთჰოვენის ფესტივალის დამფუძნებელი გახლავთ.

ახალსახლობა შვეიცარულად

ფოტოგრაფიისა და ახალი მედიების ინსტიტუტი "ქარვასლაში" გაფართოვდა

გუშინ ისტორიის მუზეუმში ორი არასამთავრობო ორგანიზაცია შესახლდა. კულტურის განვითარების კავკასიური ცენტრისა და ფოტოგრაფიისა და ახალი მედიების ინსტიტუტის ოფისის არტ-პრეზენტაციამ დიპლომატიური კორპუსის, ხელოვანთა და ახალმოსახლეთა გულშემატკივრების საზოგადოებაში ჩაიარა.

ვერა ნეფარიძე

ბესო გელაშვილის ფოტოები

ფოტო-ინსტიტუტის პრეზენტაცია

გუშინდელი პრეზენტაცია შვეიცარიის საელჩომ დააფინანსა. დამფინანსებელი მხარის გარდა, ღონისძიებას ესწრებოდნენ: ნიდერლანდების, ბრიტანეთისა და იტალიის ელჩები; ბრიტანეთის საკონსულოსა და გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები. თუმცა, დიპლომატთა სიჭარბე არ იყო ერთადერთი ნიშანი, რომელიც გუშინდელი პრეზენტაციის გრანდიოზულობას უსვამდა ხაზს. "მი-ფა-სი"-ს აპარატურის, ვიდეო-პროექტორებისა და მუსიკალური გაფორმების საშუალებით, პრეზენტაციამ (არაფერს ვამბობ გემრიელ წითელ ღვინოსა და ბარაქიან ფურშეტზე) თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ჩაიარა.

ის, ვინც კულტურის განვითარების კავკასიური ცენტრის (CCCD) ღონისძიებებს დასწრებია, გუშინდელი პრეზენტაციის მასშტაბები და ფორმა ალბათ ძალიან არ გაუკვირდებოდა. CCCD საკუთარი პროექტების შინაარსზე არანაკლებად, დიდ ყურადღებას მათ ფორმას უთმობს. ალბათ ამიტომაც, ორი წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები თბილისელებს კარგად ახსოვთ. მათ შორის ალბათ ყველაზე მასშტაბური გამოფენა "აპენდიქსი" იყო, რომელმაც თბილისელ დამთვალიერებლებს ამიერკავკასიელი თანამედროვე ხელოვანების ნამუშევრები გააცნო.

CCCD, როგორც დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია თბილისში ორი წლის წინათ კავკასიაში ფოტოგრაფიის, ახალი მედიებისა და თანამედროვე ხელოვნების განვითარების მხარდაჭერის მიზნით დაარსდა. კავკასიაში ხელოვნების სფეროში განათლების ხელშეწყობის მიზნით, შარშან ცენტრის ფარგლებში "ფოტოგრაფიისა და ახალი მედიების ინსტიტუტი" გაიხსნა. დღემდე ინსტიტუტი კავკასიაში ერთადერთი სასწავლებელია, რომელიც ფოტოგრაფიისა და ახალი მედიების სფეროში უმაღლეს განათლებას სთავაზობს. დაარსებიდან დღემდე CCCD-ის, ისევე როგორც ინსტიტუტის ოფისი, იმყოფებოდა თბილისის სამხატვრო აკადემიის შენობაში. აქვე იყო მათი კუთვნილი ბიბლიოთეკა, რომელიც საკმაოდ იშვიათი და სერიოზული ლიტერატურისგანაა შევსებული. ამიერიდან ბიბლიოთეკაც "ქარვასლაში" მიიღებს მკითხველებს. ახალ ოფისში ბიბლიოთეკას რამდენიმე ვიდეო და აუდიო სადგურით აღჭურვილი Mediabox შეემატა. მას ბაზელიდან მედიის სფეროში მოღვაწე პროფესიონალი დანიელ ბრეფინი უხელმძღვანელებს. შვეიცარელი მედია-მხატვარი ერთი წელიწადი იმუშავებს ინსტიტუტში. იგი გაცვლითი პროგრამებით შარშან ოთხი თვით ჩამოვიდა, სანაცვლოდ, CCCD -ის ერთ-ერთი დამაარსებელი ხელოვანი ვატო წერეთელი ბაზელში გაემგზავრა. მას შემდეგ დანიელი CCCD-თან თანამშრომლობს, ხოლო ამჟამად იგი ინსტიტუტის თანამშრომლებს ახალი მედიების ლაბორატორიის აწყობაში ეხმარება.

საერთოდ, CCCD-ს შვეიცარელ ხელოვანებთან განსაკუთრებული თანამშრომლობა აკავშირებს, რასაც ვატო წერეთელი ასე ხსნის: "შვეიცარიასთან გარკვეული ურთიერთობები გვაქვს. რადგანაც ის ევროკავშირის წევრი არაა, მას განსხვავებული კულტურული პოლიტიკა და დიდი კულტურული შესაძლებლობები აქვს. ვურთიერთობთ შვეიცარელ მხატვრებთან". ამ თანამშრომლობის საილუსტრაციოდ ალბათ ისიც გამოდგება, რომ გუშინ პრეზენტაციზე შვეიცარელი მხატვრების მომზადებული ვიდეორგოლებიც აჩვენეს.

ნაწილობრივ განხორციელებული პროექტების წყალობით, ფოტოგრაფიისა და ახალი მედიების ინსტიტუტი თანდათან განვითარდა. ამჟამად სასწავლებელს თექვსმეტი სტუდენტი ჰყავს. ისინი ოთხი წლის განმავლობაში სარგებლობენ ინსტიტუტის მომსახურების სერვისით. ესენია: ნებისმიერი საჭირო აპარატურის გამოყენება, ფოტოლაბორატორია; ინტერდისციპლინარული სემინარები, ვორქშოპები და ბიბლიოთეკა. როგორც ვატო წერეთელმა გვითხრა, მეზობელ ქვეყნებში უკვე დაინტერესდნენ და სურთ ინსტიტუტში სწავლა, ამიტომ CCCD-ის ხელმძღვანელები ახლა უფრო მეტად პირობების გაუმჯობესებაზე ფიქრობენ, რომ უცხოელ სტუდენტებს ინსტიტუტში სწავლისას დაბრკოლებები არ შეექმნათ. ამას გარდა, ორგანიზაცია ემზადება საგაზაფხულო გამოფენისთვის, რომელიც მისი მასშტაბებიდან გამომდინარე, საერთაშორისო მნიშვნელობის იქნება. იმედია, ინსტიტუტის გაფართოება მის შრომისუნარიანობასა და შემოქმედებით აქტიურობას კიდევ გაზრდის.

ყველაფერი კარგად იქნება

გია ეძგვერაძის გამოფენა მოსკოვში

თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო ცენტრში მოსკოველები გია ეძგვერაძის ხელოვნებას ეზიარნენ. რუსულმა პრესამ მას "საქართველოს ყველაზე სახელგანთქმული თანამედროვე მხატვარი უწოდა".

1997 წელს, ვენეციის ბიენალეზე, გია ეძგვერაძის ნამუშევრები რუსეთის პავილიონში იყო გამოფენილი, ახლა კი ის დასავლეთს გამგზავრების შემდეგ, პირველად ეწვია მოსკოვს.

ამჟამად გია ეძგვერაძე გერმანიაში მოღვაწეობს. ჯერ დიუსელდორფის სამხატვრო აკადემიაში იყო მიწვეული, ამჟამად კი ბერლინის უმაღლესი ხელოვნების სასწავლებლის პროფესორია.

მოსკოვში ჩამოტანილი გამოფენა, "პატარძალი" დიდი პროექტის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც "ყველაფერი კარგად იქნება" ჰქვია და გოპინგენის ხელოვნების ცენტრის თანადგომით განხორციელდა. ეძგვერაძემ საზოგადოებას თავისი ახალი ობიექტები, ფოტო და ვიდეონამუშევრები, გრაფიკა და ტექსტები წარუდგინა და პერფორმანსი მოაწყო – უკანასკნელ წლებში ის მულტიმედიური ხელოვანი გახდა, თუმცა ფერწერისთვისაც არ უღალატია.

"პატარძლის" ისტორია მოთხრობილია გრძელ ტექსტში "დრამატული მონაკვეთები პატარძლის ცხოვრებიდან": ერთი ბიჭი მამამ გააუპატიურა და ადრეულ ბავშვობაში მიატოვა, რის შემდეგაც ის ფსიქოპატი, მოძალადე და მკვლელი გახდა, თავი ციხეში ამოყო, ხოლო იქიდან გამოსულმა ფსიქოანალიზის კურსი გაიარა და აღმოაჩინა, რომ პატარძალია. ის მოკლე, გულისამაჩუყებელ თეთრ კაბაში გამოეწყო და მანიკიურის სალონში დაიწყო მუშაობა. მოთხრობილი ამბავი სინამდვილეში მხოლოდ საბაბია იმ შთამბეჭდავი სახის შესაქმნელად, რომელიც ერთსადაიმავე დროს კომიკურიცაა და ტრაგიკულიც – როცა სერიოზული ქართველი კაცი, პროფესორი, გოგონასავით გამოწყობილი დადის ქალაქში, ის უკვე თავისთავად სასაცილოსა და შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს. ამ ფონზე გია ეძგვერაძემ სიცოცხლის, სიკვდილისა და სიყვარულის შესახებ საუბარი შეძლო.

გამოფენის ყველაზე ძლიერ ელემენტად ხელოვნებათმცოდნეებმა ერთხმად მიიჩნიეს უზრმაზარ ეკრანზე დემონსტრირებული სცენა: პატარძალი ეძგვერაძე ყრუ აგურის კედლის წინ გასაშლელ კიბეზე დგას და ხელების ქნევით მიმართავს ხალხს: "ეს მშვენიერია!" It's beautiful! როგორც ჩანს, არავის უნდა დაჯერება, რომ ეს მშვენიერია, და პატარძალი კვლავ და კვლავ, ხან სასოწარკვეთილი, ხან ენთუზიაზმით, ცდილობს, ხმა მიაწვდინოს ადამიანებს.

რატომ არავინ ხედავს, რატომ არავის ესმის, რომ ეს მშვენიერია, რომ ყველაფერი კარგად იქნება, მაშინაც კი, როცა საუკეთესო შემთხვევაში ცხოვრება სასაცილოდ, ისე კი – გაუსაძლისად გვეჩვენება? შევძლებთ კია ამის გაგებას? გია ეძგვერაძე იმედოვნებს, რომ მისი ხელოვნების წყალობით ესეც არაა გამორიცხული.

პირველად საქართველოში - თანამედროვე ხელოვნების ბაზრობა

ნინო ჭანიშვილი



არტ-ექსპოს ბუკლეტი

გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში სამხრეთ კავკასიის პირველი რეგიონალური არტ ფორუმი ჩატარდა. ფორუმი არასამთავრობო ორგანიზაციის, კავშირი "ახალი ხელოვნების" ინიციატივით მოეწყო. კავშირის პარტნიორები არიან "აზერბაიჯანელ მხატვართა კავშირი" და ორგანიზაცია "ელეგია" სომხეთიდან.

არტ-ფორუმზე დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები, თბილისელი გალერისტები და ახალი პროექტის სპონსორები იყვნენ მოწვეულები. ახალი პროექტი კი კავკასიში არტ-ბიზნესის განვითარებას და ფორმირებას ითვალისწინებს. მის ფარგლებში იგეგმება ყოველწლიური თანამედროვე ხელოვნების ბაზრობის "კავკაზუს არტ ექსპოს" მოწყობა. როგორც კავშირის წარმომადგენელმა ნანა ყირმელაშვილმა განაცხადა, პირველი ბაზრობა 2003 წლის ოქტომბერში თბილისში მოეწყობა, სადაც საქართველოსთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ სომხეთის და აზერბაიჯანის სამხატვრო გალერეები. ბაზრობაზე წარმოდგენილი იქნება ამ სამი ქვეყნის ფერწერა, გრაფიკა, ფოტოგრაფია, გამოყენებითი ხელოვნება და არტ-დიზაინი. პროექტით გათვალისწინებულია მთელი წლის განმავლობაში სემინარების, სიმპოზიუმების მოწყობა, უცხოელი არტ-ექსპერტების მოზიდვა და ვორქშოფების ჩატარება. ამ ყველაფერს რამდენიმე უცხოური ფონდი აფინანსებს.

როგორც აზერბაიჯანელი და სომეხი გამომსვლელებიდან გაირკვა, არტ-ბიზნესი და მენეჯმენტი ისევე ჩამოუყალიბებელია სასომხეთსა და აზერბაიჯანში, როგორც საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ბოლო ხანს მეტნაკლებად გამოიკვეთა გალერეების მიმართულება და არტ-ბიზნესის ლეგალიზების სურვილი ჩნდება, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ფაქტობრივად არ არსებობს მასშტაბური ექსპოზიცია-გაყიდვების მოწყობის გამოცდილება; არ არსებობს ინფორმაცია არათუ უცხოეთის ქვეყნების, არამედ ის, თუ რას წარმოადგენს თანამეროვე ქართული ხელოვნება და რამდენად აინტერესებს იგი საზოგადოებას. პრობლემაა ისიც, რომ არ გვყავს თანამედროვე ხელოვნების ექსპერტ-შემფასებლები და პროფესიონალი არტ-დილერები.

თანამედროვე ხელოვნების ბაზრობის მოწყობა თავისთვად კარგი იდეაა. მაგრამ საინტერესოა, რა კრიტერიუმებით შეარჩევენ მონაწილეებს, რამდენად თვალსაჩინო და თანამედროვე იქნება წარმოდგენილი არტ-პროდუქცია. როგორც ჩანს, ბევრი ამ პროექტს სკეპტიკურად უყურებს, ბევრი მოწვეული სტუმარი საერთოდ არ გამოცხადდა, ზოგიერთმა გალერისტმა კი მალევე დატოვა ფორუმი.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დელეგაციები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საძარითველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

მიგრაციის მსურველ თბილისელებს ცხელი ხაზით მოემსახურებიან

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ასისტენტის თამუნა მარდალეიშვილის თქმით, თბილისელებს ეძლევათ საშუალება, მიგრაციის სფეროში არსებულ კითხვებსა და პრობლემებზე ცხელი ხაზის მეშვეობით აუცილებელი ინფორმაცია მიიღონ.

საქართველოს ათასობით მოქალაქე, ამ სფეროში ინფორმაციის უქონლობის გამო, არალეგალურ ორგანიზაციებს ენდობა და, შედეგად, უცხო ქვეყანაში უპასპორტოდ რჩება ქუჩაში.

ცხელი ხაზის მეშვეობით მოქალაქეს წინასწარ შეეძლება იმის გარკვევა, თუ რა პრობლემა შეიძლება შეექმნას უცხოეთში ჩასვლისას.

საქართველოდან წამსვლელთა რიცხვი იზრდება, ჩამოსულთა რაოდენობა კი კლებულობს

2002 წლის პირველ ნახევარში საქართველოდან საზღვარგარეთ წავიდა ქვეყნის 147.2 ათასი მოქალაქე, რაც 1.4 ათასით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2002 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში 139.4 ათასი ვიზიტიორი შემოვიდა. მათ შორის - დსთ-ს წევრი ქვეყნებიდან 83.8 ათასი, ხოლო საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებიდან —55.6 ათასი.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შემოსულ ვიზიტიორთა რაოდენობა 14.7 ათასი კაცით შემცირდა, მათ შორის - დსთ-ს წევრი ქვეყნებიდან 11.4 ათასით, ხოლო საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებიდან — 3.3 ათასით.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში არსებული ინფორმაციული რესურსებისა და ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტთა ერთობლივი შეფასებით, ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოელი ვიზიტიორებისა და შიდა ტურისტების მიერ ტრანსპორტის, სასტუმროების, რესტორნების და კავშირგაბმულობის მომსახურებასა და სხვადასხვა საქონლის შეძენაზე გაწეული ხარჯებით მიღებულმა შემოსავალმა წლის პირველ ნახევარში 308.4 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 8.9 პროცენტია.

ნიუ-იორკში ქართული საახალწლო დღეები გაიმართება

ნიუ-იორკში ქართული კულტურის დღეების ორგანიზებისათვის, სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით, სპეციალური კომისია შეიქმნა. 22 ოქტომბერს სახელმწიფო კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან თედო ისაკაძესთან კომისიის პირველი სხდომა ჩატარდა.

ღონისძიებაზე საქართველო საკონცერტო ორკესტრებით, მხატვრობით, კინემატოგრაფიული ნამუშევრებით, თეატრალური წარმოდგენებითა და საესტრადო ნომრებით წარდგება.

ქართულ დელეგაციაში ბიზნესმენებიც შევლენ. კომისიის დღევანდელ სხდომაზე გადაწყდა, რომ ბიზნესმენებს კომისიის წევრი, ცნობილი ქართველი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი შეარჩევს. პატარკაციშვილი, სავარაუდოდ, დეკადის დაფინანსების შესახებ წინადადებასაც წარუდგენს კომისიას.

ამერიკაში ქართული კულტურის დღეები 8-14 იანვარს გაიმართება.

ევროპას საქართველოდან არალეგალური მიგრანტები მიეძალნენ

"2001–2002 წელს ევროპის ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობამ უპრეცენდენტო რიცხვს მიაღწია," - განაცხადა "არალეგალური მიგრაციისა და თრეფიქინგის წინააღმდეგ" საინფორმაციო პროგრამის ასისტენტმა თამუნა მარდალეიშვილმა.

მისი თქმით, საქართველოდან მიგრაციის პროცესის უპრეცედენტო გააქტიურების ძირითადი მიზეზი ქვეყანაში გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისია.

მისივე თქმით, საინფორმაციო კამპანიის მიზანს წარმოადგენს საქართველოდან პოტენციურ მიგრანტთა იმ პრობლემებში გაცნობიერება, რომლებიც მათ საზღვარგარეთ შეიძლება შეხვდეთ. პროგრამის სამუშაო ჯგუფი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას უკვე შეხვდა.

აღნიშნულ პროექტზე მუშაობაში არასამთავრობო ორგანიზაციები, სამინისტროები, საერთაშორისო ორგანიზაციები და საკონსულოები ჩართულნი ერთვებიან.

საინფორმაციო კამპანია "არალეგალური მიგრაციისა და თრეფიქინგის წინააღმდეგ" ნიდერლანდების მთავრობის მიერ ფინანსდება.

ალექსანდრიაში საქართველოს საინფორმაციო ცენტრი გაიხსნება

ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში საქართველოს საინფორმაციო-კულტურული ცენტრი გაიხსნება. როგორც ეგვიპტეში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა გოჩა ჯაფარიძემ თქვა, საელჩომ უკვე შეათანხმა ცენტრის გახსნის საკითხი, პრაქტიკულად, ყველა ინსტანციაში.

მისი თქმით, ცენტრის გახსნის ინიციატივა მოდის ალექსანდრიის კულტურული და საქმიანი წრეებიდან. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის შემდეგ ეგვიპტური მხარე თავის თავზე იღებს სათანადო შენობის გამოყოფას და მისი აუცილებელი ინვენტარით მოწყობას. **კავკასა-პრესი.**

საქართველოს სომხური დიასპორა უკუკავშირი სამშობლოსთან

«საქართველოს, რუსეთის და ირანის სომხური დიასპორების ახალგაზრდები მონაწილეობას მიიღებენ 2003-2033 წლებში სომხეთის განვითარების შესახებ სომხეთის ახალგაზრდული პარტიის კომპლექსური პროგრამის შემუშავებაში, სომხეთის პარლამენტისა და რუსეთის მთავრობის თანადგომით,» - ამბობს სომხეთის ახალგაზრდული პარტიის ლიდერი სარქის ასატრიანი.

სომხეთის პარლამენტის სპიკერმა არმენ ხაჩატრიანმა განაცხადა, რომ მოცემულ ეტაპზე სომხეთის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებულია უსაფრთხოების საერთო რეგიონული სისტემის შექმნაზე.

სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა სამცხე-ჯავახეთში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულთან თემურ მოსიაშვილთან ერევანში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ სამცხე-ჯავახეთში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება აუცილებელია.

ქოჩარიანმა ასევე აღნიშნა, რომ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ამ რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარება და ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრაცია საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი თქმით, სომხეთი მზად არის, დაეხმაროს საქართველოს ამ პრობლემების გადაწყვეტაში.

"საქართველო და სომხეთი საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ - როგორც კეთილი მეზობლები და უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ამ ტრადიციების გაგრძელებისთვის ბევრი რამ გაკეთდა", - განაცხადა სომხეთის პრეზიდენტმა.

თემურ მოსიაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამა.

პრიორიტეტულ ამოცანებად მოსიაშვილს მიაჩნია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ენერგო და წყალმომარაგების პრობლემების გადაწყვეტა, საავტომობილო გზების რემონტი. რწმუნებულის თქმით, საქართველოს ხელისუფლება აქტიური პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებით არის დაინტერესებული და დადებითი ძვრები უკვე ახლო მომავალში იქნება. **პრაიმ-ნიუსი**

დებორა ჰადსონ დინი: ქართველებმა თავიანთი სახელმწიფოებრიობით უნდა იამაყონ

დებორა ჰადსონ დინი დიდი ხანია, რაც დიპლომატიურ სამსახურში იმყოფება. საქართველოში ჩამოსვლამდე, ოთხმოციანი წლებიდან მოყოლებული მოსკოვში მოღვაწეობდა. შემდეგ იყო ხუთწლიანი მოღვაწეობა ისრაელსა და ურუგვაიში. საქართველოში კი თვრამეტი თვეა, რაც ბრიტანეთის სრულუფლებიან ელჩად მსახურობს. სწორედ საელჩოში შედგა ჩვენი შეხვედრა, რომელიც საელჩოს კულტურისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსის მაია ყიფშიძის დახმარებით განხორციელდა. დებორა დინმა მიუხედავად იმისა, რომ არც თუ დიდი ხნის გამოცდილება აქვს ჩვენს ქვეყანასთან ურთიერთობისა, საქართველოს შესახებ ბევრი რამ სიამოვნებით მოგვითხრო.

დებორა ჰადსონ დინი

- განზოგადებული საუბარი საქართველოზე კი არა, ბრიტანელებზეც არ მსიამოვნებს. არ მიყვარს, როდესაც მთლიანად ერზე, მის ეროვნულ თვისებებზე საუბრობენ, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი ქართველებზე. ალბათ, სხვა უცხოელებისგან ხშირად გაიგონებდით თქვენი სტუმართმოყვარეობის შესახებ. პირველი, რაც ძალზე თვალში საცემია, ეს არის თქვენი კეთილიგანწყობა საერთოდ სტუმრისადმი. ეს რასაკვირველია არ შეეხება ოფიციალურ მიღებებსა და სამთავრობო საღამოებს. აქ ლაპარაკია არაოფიციალურ შეხვედრებზე. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართული გამოფენა, რომელიც ბრიტანულ-ქართულ არაოფიციალურ ურთიერთობებს მიეძღვნა. გამოფენაზე ასახული იყო ის არაოფიციალური ურთიერთობები, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შედგა. მცირე დროის მიუხედავად, პირადად მეც მქონდა უამრავი შეხვედრა უბრალო ხალხთან და აი, მაშინ შევიგრძენი ჭეშმარიტი სტუმარ-მასპინძლობა, რამაც დიდი სიამოვნება მომგვარა.

გარდა ამისა, შეხვედრებზე კიდევ ერთ ფაქტს მივაქციე ყურადღება. ეს არის აქაური ახალგაზრდების ძლიერი ლტოლვა ყველაფრის ცოდნისადმი. ძალიან მიყვარს, როდესაც ვხვდები თბილისისა თუ ქუთაისის უნივერსიტეტების სტუდენტებს. შეხვედრები მქონდა ახალციხისა და ახალქალაქის ახალგაზრდობასთან და მინდა განვაცხადო, რომ მათ ყველაფრის მიმართ დიდი დაინტერესება გამოამჟღავნეს. მათ აინტერესებთ, რა ხდება მათი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ და, საერთოდ - საქართველოს ადგილი სამყაროში.

ვამჩნევ, რომ ქართველი ხალხი ამაყობს თავისი წარსულითა და ეროვნული ტრადიციებით. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ამავე დროს საჭიროა და აუცილებელიც, რომ ქართველებმა თავიანთი სახელმწიფოებრიობით იამაყონ. ამისათვის სამოქალაქო საზოგადოების შექმნაში მონაწილეობა ყველამ უნდა მიიღოს, რადგან ეს ერთადერთი პოზიტიური ქმედებაა ქვეყნის გადასარჩენად. არადა, საქართველოში ჯერ-ჯერობით ეს ვერ ხერხდება, რაზეც გული ძალიან შემტკივა.

- ამისათვის, პირველ რიგში, პროფესიონალიზმია საჭირო. მის ნაკლებობას კი ქვეყანა მართლაც განიცდის.

- საქართველოში შეიძლება მართლაც არსებობდეს არაპროფესიონალიზმი, მაგრამ როდესაც მე ზემოთ ახალგაზრდებთან შეხვედრებზე ვსაუბრობდი, ვიტყოდი, რომ ახალი თაობა მოწყურებულია დაეუფლოს ცოდნას და მართლაც პროფესიონალები გახდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ ცოტა ხანში საქართველოში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება და ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენისთვის ძალზე მომზადებულნი უნდა იყვნენ. ეს საკითხისადმი თქვენი პროფესიული მიდგომის გამოსამჟღავნებლად კარგი საშუალება იქნება - ამომრჩეველთა სიების მეთვალყურის პოსტით დაწყებული, სხვა უფრო მაღალი პოსტებით დამთავრებული. შევხვედრილვარ ქართველებს, რომლებიც პროფესიულ დონეზე თანამშრომლობენ, როგორც ჩვენთან ისე ადგილობრივ დარგებში. მე ვთვლი, რომ ვისთანაც შეხვედრა მქონდა, ისინი შესანიშნავად ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. ბოლოს, პროფესიონალიზმის შეფასებისას ვიტყვი, რომ, საერთო ჯამში, აქ არიან მცირე რაოდენობით, მაგრამ მართლაც საქმის მცოდნე ადამიანები. მათ, უბრალოდ, გამრავლება ესაჭიროებათ, რაც საბოლოოდ დადებით შედეგსაც აჩვენებს.

- დასაწყისში თქვენ ახსენეთ საქართველოს ადგილი მსოფლიოში. ინტეგრაციის პირობებში რა ადგილი მიეკუთვნება ჩვენს ქვეყანას.

- ხშირად მისვამენ ამ კითხვას და მგონია, რომ ინტეგრირების პროცესი რაღაც შიშს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ინტეგრაცია მაღალ დონეზეა – ერთიანი ვალუტითა და სხვა მრავალი დარგის ერთობლიობით - მაინც არსებობს და ყოველთვის იარსებებს ეროვნული განმანსხვავებელი ნიშნები. ინტეგრაცია არ ნიშნავს ერთ სახელმწიფოდ, ერთ ერად ჩამოყალიბებას.

რაც შეეხება საქართველოს, მას გააჩნია თვითმყოფადი კულტურა და მას, ისევე, როგორც სხვა ერებს, ეს პროცესი საშიშროებას არ უქმნის, მაგრამ ამასთან ერთად საქართველო აუცილებლად უნდა გაერთიანდეს ეკონომიკურ თუ ჰუმანიტარულ მთლიან ქსელში, რომელსაც გნებავთ, ინტეგრაცია დაარქვით ან როგორც გნებავთ, ისე მოიხსენიეთ - ამ შემთხვევაში სახელწოდებას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. საქართველოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური კავშირები და ურთიერთობები მაღალ დონეზე – თუნდაც, მეზობელ ქვეყნებთან, რადგან ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. აუცილებელი არ არის, ეს ურთიერთობები მხოლოდ პოლიტიკით შემოიფარგლებოდეს. არსებობს, მაგალითად, ტურიზმი, რომლის გონივრული გამოყენება საერთაშორისო დონეზე დიდ მოგებას მოუტანდა საქართველოს. არსებობს მრავალი სავაჭრო თუ საფინანსო გაერთიანება, მსოფლიოს გარემოს დაცვის საზოგადოება და სხვა. ამ პროცესში საქართველოც აუცილებლად უნდა ჩაერთოს. ამ ორგანიზაციებს თავიანთი წესები აქვთ და თქვენი ქვეყანა ამ წესების გათვალისწინებით უნდა შეერწყას ამ ორგანიზაციებს.

- ადრე ბრიტანეთის საელჩო მრავალი კულტურული ღონისძიების დაფინანსებაში მონაწილეობდა. თქვენი საელჩოს ხელშეწყობით მრავალ ბრიტანულ-ქართულ პროექტს ჩაეყარა საფუძველი. დღეს ეს პროცესი რატომღაც შენელდა. რა იყო ამის მიზეზი და, საერთოდ, რა კეთდება ორი ერის კულტურული დაახლოებისთვის.

- ის კულტურული ღონისძიებები და პროექტები, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ, უფრო სპეციფიკურია და ამიტომაც ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად თვალში საცემია. ბრიტანეთის საბჭო მუშაობს ამ თემაზეც. არის კონტაქტები ხელოვნების დარგშიც. მაგალითად, სამი წლის განმავლობაში მენეჯერთა და ადმინისტრაციული მუშაკებისათვის სემინარი იმართებოდა. დეკემბრის თვეში რუსთაველის თეატრში ჩატარდება სპეციალური სემინარი თეატრის განათებასთან და ტექნიკურ გამართვასთან დაკავშირებით. ქართველი და ბრიტანელი რეჟისორები მუშაობენ თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგის შარლოტა ქიქლის საქართველოზე დაწერილი პიესის დადგმაზე. რამდენადაც ვიცი, რეპეტიციები უკვე დასრულებულია და მალე პრემიერასაც ვიხილავთ. კულტურული ღონისძიებებიდან გამოვყოფდი გაზაფხულზე გამართულ ბრიტანულ ფოტო გამოფენას. სამომავლოდ კი ბრიტანული კინოს კვირეულების გიმართვას ვაპირებთ. ასევე საქართველოს განათლების სამინისტროსთან და მსოფლიო ბანკთან ერთად ვმუშაობთ სასწავლო პროგრამებზე. სასწავლო პროგრამა ეხება არა მარტო ინგლისური ენის შესწავლას, არამედ თვით ქართული ენის სწავლებასაც განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, როგორიცაა ახალციხე და ახალქალაქი. ჩვენ ხელს ვუწყობთ ქართული ჟურნალისტიკის სფეროში ახალი კონცეფციების ჩამოყალიბებას. ინგლისში ძალზე პოპულარული პროექტის განხორციელება იგეგმება, სახელწოდებით - "რადიო დღიურები". ამ პროექტზე ინგლისელებთან ერთად, რა თქმა უნდა, ქართველებიც იმუშავებენ და მგონია, რომ ძალზე საინტერესო გამოვა.

თქვენი და თქვენი გაზეთის მკითხველის ყურადღება კიდევ ერთი საინტერესო ფაქტზე მინდოდა გამემახვილებინა - მოგეხსენებათ, თბილისი და ბრისტოლი დაძმობილებული ქალაქები არიან. ბრისტოლმა 2008 წლისთვის მოიგო კონკურსი ევროპული კულტურის დედაქალაქად გახდომაზე და მან პარტნიორ ქალაქად თბილისი აირჩია. მართალია, ამ თარიღამდე ჯერ დიდი დროა და შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში თქვენ კარგი შანსი მოგეცემათ. ეს, თავისთავად, ძალიან კარგი ინიციატივაა და ბრიტანელები თბილისელებთან ერთად ინტენსიურად მუშაობენ მრავალი პროექტის გარშემო. როდესაც ორი ქალაქი ახლოვდება, არ არის აუცილებელი ყველაფერში პარტნიორები იყვნენ, მაგრამ რადგან თბილისი ქვეყნის დედაქალაქია, ბრისტოლს მიაჩნია, რომ იგი კარგ პარტნიორობას გაუწევს. რომ იტყვიან, პროცესი უკვე დაიძრა და 2008 წლისთვის გამარჯვებულ ქალაქსაც გამოავლენს. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტში ევროპის მრავალი ქალაქი მიიღებს მონაწილეობას და კონკურენციაც დიდი იქნება. ამისათვის კი საქართველოს მოუწევს, მაღალ დონეზე ჩაატაროს მრავალი კულტურული ღონისძიება.

ემი ს. - „პიროვნება, რომელიც არ აღიარებს ან ვერ ხედავს საკუთარ შეცდომას, სამუდამოდ დაღუპული ადამიანია"

ამ სიტყვების ავტორია ჩვენი რუბრიკის სტუმარი, ინგლისელი ფილოლოგი ემი ს. დიდი ხანი არ არის, რაც იგი თბილისში ცხოვრობს და ერთ-ერთ ინგლისურენოვან გაზეთში მუშაობს. მოხდა ისე, რომ ცოტა ხნით ჩვენ ერთად ვმუშაობდით. გადავწყვიტე, მკითხველისთვის მისი გაცნობა ურიგო არ იქნებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი, ყველა სიკეთესთან ერთად, კარგი მოსაუბრეც არის და, ბევრისგან განსხვავებით, ყველაფერზე საკუთარი ობიექტური აზრი გააჩნია.

ემი ს.

- რამ განაპირობა თქვენი საქართველოში ჩამოსვლა.

- ლონდონში დავიბადე. ოჯახიც იქ ცხოვრობს. შემდეგ ბირმინგემის უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დავამთავრე. უნივერსიტეტში სწავლისას გავიცანი ეს-ენ-გე-დან გაცვლითი პროგრამებით ჩამოსული ტაშკენტელი სტუდენტები და გამიჩნდა სურვილი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები მომენახულებინა. მოსკოვში ორწლიანი პრაქტიკის შემდეგ გავემგზავრე ტაშკენტში, სადაც ერთი წელი ვცხოვრობდი. სწორედ იქ მქონდა პირველი შეხება ქართველებთან. ისინი ჩემს მეზობლად ცხოვრობდნენ. ჩემი ყურადღება მათმა გაუთავებელმა ყაყანმა და უსაქმურობამ მიიქცია. ისინი დიდ რეკლამას უწევდნენ საქართველოს და სულ მეპატიჟებოდნენ თბილისში. მეც დავინტერესდი თქვენი ქვეყნით და გადავწყვიტე, საქართველოში ჩამოვსულიყავი. თბილისში თავდაპირველად ინგლისური ენის კერძო კურსები მქონდა, შემდეგ კი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში კორესპონდენტად ვმუშაობდი.

- უკვე დიდი ხანია, აქ იმყოფები და ბევრს შეხვედრიხარ, მათ შორის - ქართველ ჟურნალისტებს, კულტურის მოღვაწეებსა თუ სხვა პროფესიის ადამიანებს. რამდენად პროფესიონალები არიან ისინი?

- არ ვიცი, რამდენად კორექტული ვიქნები, მაგრამ რადგან უცხოელის აზრი გაინტერესებთ - გეტყვით. მიუხედავად თქვენი განათლებულობისა, მაინც არასახარბიელო მდგომარეობაა. პრესა და ტელევიზია ერთ ადგილზეა გაყინული და არანაირ პროგრესს არ განიცდის. ამას შეიძლება სხვა ობიექტური მიზეზები ჰქონდეს. მე ვისაც ვიცნობ, საკმაო ნიჭი და განათლება აქვთ გაზეთის საკეთებლად. მათ შრომის სურვილიც აქვთ, მაგრამ შესაძლებლობები აღარ ჰყოფნით. ამის მიზეზი დაბალი ხელფასები და გაზეთებში არასტაბილური სიტუაციაც არის. რაღაც თანხის დასაგროვებლად თქვენი ჟურნალისტები იძულებულნი არიან, რამდენიმე ადგილას იმუშაონ და ასეც იქცევიან. მაგრამ ისინი იმდენ დროსა და ენერგიას ხარჯავენ, რომ შემოქმედებისთვის არანაირი ძალა აღარ რჩებათ. ამიტომ არის, რომ ქართველები (არა მხოლოდ ჟურნალისტები) რეალურად განსახორციელებელ იდეებსაც ვერ ეჭიდებიან და სიახლეც ვეღარ შემოაქვთ.

სამწუხაროა ისიც, რომ ბევრმა მართლაც ნიჭიერმა ადამიანმა ვერ იპოვა საბოლოოდ თავისი ადგილი და სხვა პროფესიით დაკავდა, ანდაც სულაც მიატოვა აქაურობა და უცხოეთში გაემგზავრა. მთლიანობაში ვიტყვი, რომ მე არ მომწონს ქართული ჟურნალისტის ავტორიტეტული, ყველაფრის მცოდნეს ტონი. ასეთ პიროვნებებთან, უბრალოდ, არ ვკამათობ, რადგან აზრი არ აქვს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მათ არ გააჩნიათ არანაირი ინფორმაცია, ან, უბრალოდ, ფაქტებს ვერ უკეთებენ კონსტატაციას, ანდა სხვის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას, გადაუმუშავებლად, თავისად ასაღებენ. შესაძლოა, ასეთი დამოკიდებულება, როგორც ზემოთ ვახსენე, ისევ ცუდი პირობებით იყოს გამოწვეული, რადგან აქ თვითგადარჩენის ინსტიქტია გამომუშავებული და არა თვითრეალიზაციის. ამიტომაც არის ამდენი "ხალტურა", რომელსაც ყურადღებას არავინ აქცევს, რადგან ამის მკითხველიც არსებობს.

- შენი დაკვირვებით, რამდენად გულწრფელები არიან ქართველები უცხოელთან საუბარში. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში უცხოელისადმი ზედმეტად კარგი დამოკიდებულება არსებობს. ალბათ, ამით აიხსნება ის თავმომწონეობა და სიყალბე, რაც ძალზე სასაცილო მდგომარეობაში გვაგდებს ხოლმე. ალბათ, შეხვდებოდი ისეთებსაც, რომლებიც გამუდმებით საუბრობენ საქართველოში ქალისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებასა თუ ქართველების ზოგად განსაკუთრებულობაზე.

- რა თქმა უნდა, ისეთებიც არიან, რომლებიც შენს მიერ ჩამოთვლილ შეხედულებებს იუმორითა და სარკაზმით უყურებენ. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მართლაც ცდილობენ, ყოველ ნაბიჯზე სიყალბით გკვებონ. მაგრამ, თუ შენარჩუნებულია ზომიერი კრიტიკა, ეს კარგი მაჩვენებელია. პიროვნება, რომელიც არ აღიარებს ან ვერ ხედავს საკუთარ შეცდომას - სამუდამოდ დაღუპული ადამიანია. ეს აისახება ქვეყნის მომავალზეც. ქართველები და საქართველო იმსახურებს იმას, რა მთავრობაც ჰყავს. რაც შეეხება ქართულ სიყალბეებს, ეს ყველაზე კარგად ქართულ სუფრაზე ჩანს. ის ატმოსფერო, რომელიც სუფრაზეა შექმნილი, მოგონილი და ყალბია. თითქოს ქეიფის დროს უნდა დაისვენო და იმხიარულო, არადა, მუდამ დაძაბული და რაღაც ცუდის მოლოდინში ხარ. ხშირ შემთხვევაში ეს არაბუნებრიობა მაღიზიანებს კიდეც.

გაგრძელება B5 გვერდზე

ფილ-ომა

მექა ხანგოშვილი: ტერაქტში ქალების ჩაბმა არასწორად მიმაჩნია

თავდაპირველად, როდესაც ქისტების საქართველოში ჩამოსახლება გადაწყდა, მათ საბინადროდ პანკისის ხეობაში ადგილი იმ პირობით გამოეყოთ, რომ ისინი დაიცავდნენ მხარეს ლეკთა თარეშისგან. რამდენიმე ოჯახს წლების განმავლობაში კიდევ ათეულობით ოჯახი დაემატა და ასე შექმნეს ეროვნული უმცირესობა საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოში ბოლო წლებამდე ქისტების ეთნიკურ ჯგუფს ქართველების განუყოფელ ნაწილად აღიქვამდნენ, მაგრამ კავკასიაში დატრიალებულმა მოვლენებმა მრავალწლიან ურთიერთობებს თავისი დაღი დაასვა.

გვესაუბრება "კავკასიური სახლის" ჩეჩნურ-ინგუშური სექტორის გამგე **მექა ხანგოშვილი.**

მექა ხანგოშვილი

- პანკისის ხეობის მეექვსე თაობის წარმომადგენელი, მკვიდრი ბინადარი ვარ. იქ დავიბადე და გავიზარდე. ერთ-ერთი პირველი ქისტი, ვინც პანკისში დასახლდა, ჩემი დიდი პაპა იყო, ვის სახელსაც ატარებს სოფელი დუისი. მას მერე მისი შთამომავლობა აქ ვცხოვრობთ. ჩვენი ოჯახი ყოველთვის გამოირჩეოდა რელიგიურობით. ჩემი ერთ-ერთი წინაპარი, რამდენიმე წელი მექაშიც კი იყო ნამყოფი. მე პანკისშივე დავამთავრე სკოლა. შემდეგ სწავლა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე გავაგრძელე.

1992 წლიდან ჩეჩნეთში არეულობის გამო გროზნოში ჩემს დასთან გავემგზავრე. ცოტა ხანი გროზნოს უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი. ამ დროს დაიწყო რუსეთ-ჩეჩნეთის ომიც. მოვესწარი მთავრობის სასახლის დაბომბვას და სხვა მრავალ საშინელებას. შემდეგ ისევ საქართველოში დავბრუნდი. ერთი ხანობა ისევ პანკისში ვცხოვრობდი. როდესაც საქართველოში ანტიჩეჩნური კამპანიები დაიწო, გადავწყვიტე, მთელი ძალისხმევა ამ პრობლემისკენ მიმემართა და რამე წვლილი შემეტანა ამ ორი ერის ურთიერთობის დარეგულირების საკითხში. 1996 წლიდან ვმუშაობდი ქართულ გაზეთებში ("7 დღე", "დილის გაზეთი", "ახალი ეპოქა") კორესპონდენტად. შეძლებისდაგვარად, ვაშუქებდი ჩეჩნეთისა და, საერთოდ, კავკასიის პრობლემებს. ასევე ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემებითაც ვიყავი დაკავებული.

- მიუხედავად იმისა, რომ აქაური ბრძანდებით, მაინც მაინტერესებს თქვენი აზრი საქართველოზე და ქართველებზე.

დავიწყოთ იქიდან, რომ არა საქართველოსადმი დიდი სიყვარული, ჩემი დიდი პაპა არ გადაწყვეტდა აქ ჩამოსვლას. სხვათა შორის,სანამ დასახლდებოდა მანამდე ჰქონდა კონტაქტები საქართველოსთან და ქართველებთან. მთავარი მოტივი კი ის იყო, რომ მათ იზიდავდათ ქართველების კეთილი ბუნება და სტუმართმოყვარეობა. მართალია, ქისტებს მრავალი პრობლემა უჩნდებოდათ, მაგრამ ისევ ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით ყველაფერი გვარდებოდა. ამის შემხედვარე, სხვა ადამიანებიც გამოთქვამდნენ სურვილს აქ ჩამოსახლებაზე და ასე შეიქმნა ჩვენი დიასპორა. ასეთი კეთილგანწყობილი ურთიერთობები, რა თქმა უნდა, ბევრს არ სიამოვნებდა და მუდამ იყო მცდელობა იმისა, რომ ეს ორი ერი გაეთიშათ. ამ პოლიტიკას დიდი ისტორია აქვს და, სამწუხაროდ, მაინც მოახერხეს ჩეჩნების ქართველებისგან გამიჯვნა. ურთიერთობების აღდგენას და სიტუაციის დარეგულირებას, მართლაც რომ, დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

მართალია, საქართველოში ჩვენ კულტურა და ტრადიცია არ დაგვიკარგავს, მაგრამ ძალიან ბევრიც შევიძინეთ ქართველებისაგან. რაც შეეხება პირად დამოკიდებულებას, უნივერსიტეტში სწავლისას ბევრი იყო ისეთი რამ, რაც არ მომწონდა ქართველებში. ხუმრობით აღვნიშნავ და ვიტყვი, რომ არ მომწონდა ქართველების გამუდმებული ხვევნა- კოცნა. ჩემი ტრადიციიდან გამომდინარე, ასეთი რამ ცოტა მიუღებელი იყო. სამაგიეროდ, ყოველთვის მომწონდა ქართველი მამაკაცის ქალთან თავაზიანი დამოკიდებულება. სხვათა შორის, ამ ფაქტს ყოველთვის აღვნიშნავდი ჩეჩნეთში ყოფნის დროს. აქ უფრო მეტი თავაზიანობით ეპყრობიან ქალებს, უფრო უყვართ და აფასებენ ვიდრე ჩეჩნეთში.

- მუსულმანურ ქვეყნებში, ნაწილობრივ კავკასიაში, ქალი უუფლებო და დაჩაგრულია. ისინი თითქოს მხოლოდ ოჯახისთვის არსებობენ. მაგრამ ხდება ერთი უცნაური რამ - მუსულმან ქალებს ხშირად იარაღით ხელში, შაჰიდის ქამრებითა თუ ბაღდადის ქუჩებში გამართულ სამხედრო აღლუმებზე ვხედავთ. ამავე დროს, მათ არ ასწრებენ სპორტულ ასპარეზობებს, მათთვის დახურულია კინოთეატრები და სხვა. და უცბად, მოსკოვის ცენტრში განხორციელებული ტერაქტი.

- სტამბულში მუსულმანი ქალების პრობლემასთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე ამ თემასაც შეეხნენ. ეს პრობლემა მართლაც არსებობს, მაგრამ ამჟამად მე აქაურ დამოკიდებულებებზე ვისაუბრებ. ვერ ვიტყვი, რომ ქალი უუფლებოა. ეს, უბრალოდ, ჩვენი ტრადიციიდან გამომდინარე ხდება. ის ფაქტი, რომ ქალი იარაღით დადის, მეც არ მომწონს. ყოფილა შემთხვევები, როცა ქალს იარაღით ხელში საკუთარი სახლ-კარი დაუცავს, მაგრამ მიზანმიმართულად მათი რაიმე ოპერაციაში ჩაბმა სწორად არ მიმაჩნია.

ჩეჩნეთში ამბობენ, რომ ქალი მხოლოდ საჭმლის მომზადებითა და ბავშვების აღზრდით უნდა დაეხმაროს ქვეყანას. სხვა მეთოდი გამორიცხულია. ის, რაც მოსკოვში მოხდა, რა თქმა უნდა, საშინელებაა. ტერაქტის მონაწილე ქალების საქციელს მე სხვაგვარად ვხსნი. ჯერ ერთი, ჩეჩენი ქალების გამოყენება იმით აიხსნება, რომ კულტურულ ცენტრში მძევალთა შორის ბევრი ქალი იქნებოდა და მათთან საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდებოდათ, მეორეც - ტერაქტში მონაწილე ქალები ბარაევის ახლო ნათესავები და უმეტესობა ჩეჩენი მეომრების ქვრივები იყვნენ. ყველას ერთმანეთთან ნათესაობა აკავშირებდა, ბარაევი ამ დიდ საქმეში, უბრალოდ, სხვებს ვერ გარევდა. და ბოლოს, რაც შეეხება უფლებებს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ქალი კავკასიაში ნამდვილად არ არის უუფლებო და დაჩაგრული. ის რაც ერთი შეხედვით ჩანს, შეიძლება მართლაც ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ყველაფერი ტრადიციიდან და კანონებიდან გამომდინარე ხდება და ამაში ცუდი არაფერია.

- ქისტები საქართველოს მოქალაქეები არიან. აქედან გამომდინარე, ისინი საქართველოს კონსტიტუციას ემორჩილებიან. პარალელურად კი, შარიათის კანონი მოქმედებს.

- პანკისში შარიათის კანონის მოქმედება ცოტა გადამეტებულადაა შეფასებული. მე არ მახსოვს შემთხვევა, ვინმესთვის სასჯელი გამოეტანათ. ყველაფერი საქართველოს კანონმდებლობას ექვემდებარება. რაც შეეხება ბოლო დროს დატრიალებულ მოვლენებს, ეს იმით აიხსნება, რომ საქართველოს კანონდამცველები სათანადო სიმაღლეზე აღარ არიან და შარიათის კანონს თავისებური ალტერნატიული ფუნქცია მიენიჭა. ამის გარდა, ისევ არსებობს ტრადიცია სისხლის აღების შესახებ, რომლის იგნორირება ჩეჩნებს უჭირთ. იყო შემთხვევა, როდესაც პიროვნებისთვის მიუსჯიათ 8 წელი და ციხიდან გამოსვლის შემდეგ დაღუპულის ნათესავებს იგი მაინც მოუკლავთ. ასეთია წესები და მას ვერავინ გაექცევა.

- მაშინ მოხდება ისე, რომ ჩეჩნები ვერასდროს ააშენებენ სამართლებრივ სახელმწიფოს. ამის გარდა, ომის მოგების შემთხვევაში ხომ არ გაჭირდება ჩეჩნეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რადგან ადამიანს, რომელიც იარაღით შოულობს ფულს და ომი, თითქმის, ბიზნესად აქვს გადაქცეული - ტრაქტორზე ვეღარ შესვამ.

- სამართლებრივი ნორმების დამკვიდრება და მათი დაცვა ადვილი არ იქნება. არც ისაა ადვილი წლობით ტყეებში შეხიზნული ხალხი ქარხნებში დაბრუნო. მაგრამ გავიხსენოთ ისევ წარსული. მიუხედავად მრავალი ნგრევისა და უბედურებისა, მაინც შენდებოდა ჩეჩნეთი. ძალზე ძნელი წარმოსადგენი იყო, მაგრამ გადასახლებული ხალხი ისევ ჩაება მეურნეობასა და მშენებლობაში. თქვენ არ გინახავთ გროზნო ომამდე. მასზე ლამაზი ქალაქი მთელს ჩრდილო კავკასიაში არ იყო. ხალხი მშვიდად ცხოვრობდა და მუშაობდა. რა თქმა უნდა, ომის შემდგომი პერიოდი ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ განა სხვა ერებისთვის ომის შემდგომი პერიოდი ადვილი იყო?! მე მესმის კითხვის არსი და ერთადერთი პასუხი მაქვს – მთავარია, რუსეთის არმია გავიდეს და ჩეჩნეთს ნორმალური არსებობის საშუალება მისცეს.

- პირველი ომის დამთავრების შემდეგ ჩეჩნებმა, ფაქტობრივად, ვერ გამოიყენეს გამარჯვება. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რა მძიმე პრობლემის წინაშე დადგა მაშინ ჩეჩნეთი. თითოეული დეპუტატი შეიარაღებული ასეულით დადიოდა. ქალაქების მერები ტანკებით მგზავრობდნენ. სხვადასხვა პოლიტიკურ მოღვაწეებს საკუთარი შეიარაღებული ძალები ჰყავდათ. სიტუაციას ვერავინ არეგულირებდა, რამაც, ფაქტობრივად, მეორე კონფლიქტის პროვოცირებას შეუწყო ხელი.

- აბსოლუტურად გეთანხმებით. როდესაც დამარცხებულმა რუსეთმა ჩეჩნეთი დატოვა, ამავე დროს მან სამომავლოდ დასაბრუნებელი გეგმაც მოიაზრა. ამ შემთხვევაში რუსეთმა შესანიშნავად გაართვა თავი სამუშაოს, დატოვა რა დიდძალი იარაღი მოსახლეობაში. თავის მხრივ კი, ჩეჩნებმა არ გაუშვეს მომენტი ხელიდან და ყველა ფეხის ნაბიჯზე თავიანთი სამხედრო აღჭურვილობის დემონსტრირებას ახდენდნენ. ამით ნელ-ნელა ბანდიტური ქვეყნის იმიჯიც იქმნებოდა. სიმართლე რომ ითქვას, ამ იმიჯის შექმნას თვით ჩეჩნებმაც არ დააკლეს ხელი. ხშირი იყო მაშინ ადამიანთა გატაცებები, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა. ბოლოს კი წითელი ჯვრის წარმომადგენლების მხეცურად დასჯის ფაქტმა ყველაფერს წერტილი დაუსვა. უკონტროლო სიტუაციის ფონზე აშკარად ჩანდა ახალი კონფლიქტის წამოწყების საშიშროება.

- არის მოსაზრება, რომ ჩეჩნეთის ომი გაჭიანურებული. ომის დაუმთავრებლობის ინტერესი, როგორც რუსეთიდან ისე ჩეჩნების მხრიდანაც მოდის. დაუჯერებელია ის ფაქტი, რომ დღეს თანამედროვე პირობებში ვერ ანადგურებენ დასახლებულ პუნქტებს მათი ვითომდა "მიუწვდომლობის" გამო. ვერ შედიან ხეობებში "უგზოობის" გამო და სხვა. ამავე დროს, ნუ დაგვავიწყდება, რომ 1839 წელს რუსეთის არმიამ, დიდი მსხვერპლის ფასად, მიუწვდომელი აული - ახულგო შტურმით აიღო. დღეს კი თანამგზავრული დაზვერვისა და ულტრათანამედროვე სამხედრო ტექნიკის მიუხედავად, რატომღაც უჭირთ გროზნოს გარეუბნების გაკონტროლება.

- რა თქმა უნდა, ყველა ჩეჩენი იდეალური არაა. მათ შორისაც არიან ისეთები, რომლებმაც ომი მართლაც ბიზნესად გაიხადეს. სამწუხაროდ მოხდა ის, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა, საბოლოოდ, მიაღწიეს ჩეჩნების ორ ბანაკად გაყოფას. დღეს ამ ომს უდიდესი ფინანსური ინტერესები ახლავს. დასამალი არაა ის ფაქტი, რომ ამ უბედურებით ბევრმა ადამიანმა ისარგებლა. ყველანაირ ბიზნესთან ერთად, ე.წ."გვამების გაცვლის ბიზნესიც" არსებობს, რითაც ორივე მხარე დიდძალ ფულს შოულობს. ასე რომ, ამ კონფლიქტის დაუსრულებლობით ბევრია დაინტერესებული. ამავე დროს რუსეთს წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისთაც ხელს აძლევს ეს ომი. თავის ჩავარდნილ ეკონომიკას იგი ჩეჩნეთთან ომს აბრალებს.

მართალია, რუსეთი ძლიერ სამხედრო იარაღს ფლობს, მაგრამ პარტიზანული ბრძოლების წარმოება მთიან რაიონებში მაინც ძნელი მგონია. ბოლოს რუსეთმა, როგორც იქნა, ადგილობრივ ძალებში მონახა დასაყრდენი. მათთან დაახლოებული პიროვნებები კი ყოველთვის რუსეთის სპეცსამსახურებთან შეთანხმებით მოქმედებენ, რაც მარტო სამხედრო ოპერაციებით არ შემოიფარგლება. რაც უფრო მეტად დაინტერესებენ "კადიროვებს" ფინანსურად, მით უკეთესი იქნება მათთვის და ომიც დაუსრულებლად გაიწელება.

ამ ყველაფრის შემდეგ მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩეჩნები როდესმე შექმნიან სახელმწიფოს და ნორმალურ ყოფას დაუბრუნდებიან. მაგრამ მე ყოველთვის ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და იმედს ვიტოვებ, რომ ამ პროცესსაც ექნება დასასრული და ყველაფერი ჩეჩნების სასიკეთოდ გადაწყდება.

ინგილოებს ქართული გვარების დაბრუნება სურთ

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოში აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ჰასან ჰასანოვს შეხვდა და "საქმის კურსში ჩააყენა" აზერბაიჯანში მცხოვრები ინგილოებისათვის ქართული გვარების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

ფრაქცია "21-ე საუკუნის" წევრის რევაზ მიშველაძის ინფორმაციით, აზერბაიჯანში მცხოვრებ ინგილოებს საპასპორტო სამსახურებში უარს ეუბნებიან ქართული გვარების დაბრუნებაზე, რომელიც მათ 1959 წელს ჩამოართვეს.

მისი განცხადებით, თებერვალში, როდესაც საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით ბაქოში იმყოფებოდა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა თანხმობა განაცხადა ინგილოებისათვის ქართული გვარების დაბრუნებაზე. თუმცა, დეპუტატის თქმით, ამჟამად ზაქათალის გამგებელი ინგილოებს არათუ გვარების დაბრუნებაზე უცხადებს უარს, არამედ მათ ქართული სახელების დარქმევის საშუალებასაც არ აძლევს.

პარლამენტარის განცხადებით, მას, - "არ უნდა დაიჯეროს, რომ ალიევმა მოატყუა ქართველი პარლამენტარები". მისი თქმით, ამ პრობლემებს ჩინოვნიკები ქმნიან.

როგორც რევაზ მიშველაძემ განაცხადა, ამჟამად აზერბაიჯანში მცხოვრებ 17 ათასი ინგილოდან 15 ათასს კვლავ აზერბაიჯანული გვარი აქვს. **პრაიმ-ნიუსი**

იქაური ქუდი არ დაგავიწყდეთ

საზღვარგარეთ გათხოვების და უცხოელი ცოლის მოყვანის მოტივაციებად ჯერ კიდევ რჩება სიყვარული და ოჯახის შექმნა, მაგრამ უფრო ხშირად - უპრობლემო ემიგრაციის სურვილი. უცხოეთში ბერბიჭობა საზოგადოებრივად არაკეთილსაიმედოობას ნიშნავს. ამიტომ, საზღვარგარეთ მივლინებაში მყოფი უცხოელი, თუ სამშობლოში ცოლით დაბრუნდება, ეს მას დადებით რეპუტაციას უქმნის, თუ დაცოლშვილებული - ხომ უკეთესი, მით უმეტეს, თუ ნეფე ასაკოვანია.

"საქორწინო ბაზარი" საერთაშორისო მასშტაბით "საპატარძლოდ" და "სასიძოდ" იყოფა.

მამრთა საქორწინო "ნედლეულის" ბაზარია იუგოსლავია, ისრაელი, გერმანია, სირია და აშშ. ამ ქვეყნებში დიდი ვაჟიანობა იმიგრანტების სიმრავლის შედეგია. სუსტი სქესის ბაზარი კი უფრო სლავური ქვეყნებია: პოლონეთი, ბელორუსია, უკრაინა და, რა თქმა უნდა, რუსეთი - საპატარძლოების აკვანი.

ამ ბოლო ხანებში რუსი საპატარძლოების გეოგრაფიას ჩრდილოეთის ქვეყნები შეემატა.

მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიაში ოჯახის კულტია, რუსი სოციოლოგები აცხადებენ, რომ ამგვარი გეოგრაფიული ქორწინება განქორწინებას წინასწარმეტყველებს. ამის საბაბს ისინი შვედურ ხასიათში ხედავენ: "არ არიან სტუმართმოყვარენი, არ უყვართ სუფრა. სვამენ ვიწრო წრეში. რუსი გოგონებისთვის ეს მიუღებელია," - აღნიშნავენ სოციოლოგები.

ერთი გასკანდინავებული რუსი ქალბატონი ჰყვება, რომ მუდმა ახალ სახლში დაპატიჟა. ფრუ მარინამ საჩუქარი შეიძინა, თუმცა ქმარი წინააღმდეგი იყო. ვიკინგი მართალი აღმოჩნდა. მასპინძლებმა სტუმრები საზეიმო სუფრასთან მიიწვიეს, რომელსაც ბუტერბროდებიანი და სალათიანი ორად-ორი ლანგარი "აშშვენებდა".

სტუმრებმა ამოიღეს თავიანთი ბოთლი და სმას შეუდგნენ. უცხოელი რძალი გაოგნდა. ამ სტუმრობიდან დიდი დრო არ გასულა და მარინა ქმარს გაშორდა. ასე რომ, თუ მაინც მტკიცედ გადაწყვიტეთ უცხოეთში გათხოვება, "იქაურ ქუდზე" ანდაზა არ დაივიწყოთ. **"24 საათი"**

სოხუმის ხელისუფლება კურორტ გაგრის 100 წლის იუბილესათვის ემზადება

2003 წელს კურორტ გაგრას 100 წელი უსრულდება. საიუბილეო დღესასწაულის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, სოხუმის ხელისუფლების მიერ ქალაქ გაგრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დანიშნული გრიგოლ ენიკის განცხადებით, გაგრელები იუბილეს აღსანიშნავად გულმოდგინედ ემზადებიან, რისთვისაც ქალაქში არქიტექტურულად ღირებული იმ შენობებისა და ნაგებობების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს, რომლებიც ქალაქის სიმბოლოებს წარმოადგენენ.

მისი განცხადებით, კურორტ გაგრის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების აღნიშვნა 2003 წლის იანვრიდან დაიწყება, ვინაიდან პრინც ოლდენბურგის მიერ გაგრაში აშენებული საკურორტო კომპლექსები რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ, სწორედ, 1903 წელს მოინახულა.

საორგანიზაციო კომიტეტი გაგრის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჟურნალის გამოცემასა და სამასახსოვრო მედალის დამზადებას გეგმავს. **ინტერ-პრესი.**

ქართული მართლმადიდებლური ცენტრი წმინდა მიწაზე

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც ერთ-ერთი უძველესი სამოციქულო ეკლესიის, მისი ისტორიისა და დღევანდელობის ფართოდ წარმოჩენა იქნება ძირითადი ამოცანა მართლმადიდებლური ცენტრისა, რომლის წმინდა მიწაზე დაარსებაც გადაწყვიტა ქართველ სოციალისტთა ლიდერის ვახტანგ რჩეულიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილმა საინიციატივო ჯგუფმა. ამ ინიციატივის ერთ-ერთი ავტორია ფირმა «ცენტრ-პოინტი». ჯგუფის წევრებმა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ცენტრის დაარსების გეგმა გააცნეს. მათი ინფორმაციით, საწყის ეტაპზე ჯგუფი იზრუნებს იერუსალიმში ცენტრისათვის შესაფერისი მიწის ნაკვეთის მოძიებასა და შეძენაზე, რაშიც მას საქართველოს სახალხო ბანკი (ყოფილი აგრომრეწვბანკი) დაეხმარება. შემდეგ კი შეიქმნება ფონდი, რომელიც შემოწირული თანხებით დაიწყებს მშენებლობას.

ჯგუფის წევრთა განმარტებით, ცენტრში განთავსდება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მუდმივმოქმედი ექსპოზიცია, რომელიც ასახავს მის ისტორიასა და აწმყოს. ამავე დროს, ცენტრი უმასპინძლებს საეკლესიო პირებსა და წმინდა ადგილების მოსალოცად ჩასულ სტუმრებს.

საქართველოს პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა ჯგუფის ინიციატივა მართლმადიდებლური ცენტრის შექმნის თაობაზე. მისი შეფასებით, ეს უნდა იყოს ადგილი, სადაც მისვლა შეეძლებათ არა მარტო მაღალი დონის სტუმრებს, არამედ ჩვეულებრივ, რიგით მოქალაქეებს, რომლებმაც უნდა იცოდნენ, რომ ეს საქართველოს კუთხეა. **მედია-ნიუსი.**

ვახტანგ VI და მეფე თეიმურაზის ნეშტებს ექსპერტიზას მაია ნიკოლეიშვილი ჩაუტარებს

ქართველი მეფეების - ვახტანგ VI და თეიმურაზის ნეშტებზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალური გამოკვლევათა ცენტრის ხელმძღვანელი მაია ნიკოლეიშვილი ჩაატარებს.

ვახტანგ VI და თეიმურაზის ნეშტების ასტრახანიდან საქართველოში გადმოსვენებისთვის საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სპეციალური კომისია შექმნა, რომელშიც, მაია ნიკოლეიშვილის გარდა, შედიან არქეოლოგები და ანთროპოლოგები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, რუსეთიდან გადმოსვენებულ მეფეთა ნეშტებს თბილისში, წმიდა სამების ეკლესიაში დაკრძალავენ. ქართველ მეფეთა მშობლიურ მიწაზე გადმოსვენება დაემთხვევა წმინდა სამების ტაძრის მშენებლობის დასრულებას. **მედია-ნიუსი.**

ჩანართი მოამზადა: *გია ცარციძემ*

გამოყენებულია კავკას-პრესის, მედია-ნიუსის და ინტერ-პრესის ინფორმაციები

ემი ს. - „პიროვნება, რომელიც არ აღიარებს ან ვერ ხედავს საკუთარ შეცდომას, სამუდამოდ დაღუპული ადამიანია"

B4 გვერდიდან

ერთი შეხედვით არსებობს სიამაყე ქართული სიძველეების მიმართ. რა თქმა უნდა, ეს კარგია, მაგრამ ამ სიძველეებს რომ მოვლა-პატრონობა უნდა, ამაზე არავინ ფიქრობს. არადა, ყველაფერი ნგრევის პირასაა მისული. ქართველები ზედმეტად თეატრალური ხალხია. თავდაპირველად ამით იპყრობენ ყურადღებას, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ ხელში სიცარიელე შეგრჩება. მათ მიმართ ინტერესიც მალევე ნელდება, რადგან ვერანაირ კონკრეტულ შედეგს ვერ ხედავ. ხშირად რაღაც გრანდიოზულს შეგპირდებიან და მერე საერთოდ აღარ ახსოვთ დანაპირები.

იცი, კიდევ რა არის გამაღიზიანებელი - ჭორი შენს გარშემო, რომელიც არა და არ სრულდება. მაგალითად, იმ ეზოში, სადაც მე ვცხოვრობ, ყველამ ყველაფერი იცის ჩემს შესახებ. რას ვიცვამ, რას ვჭამ და ვსვამ, სად და ვისთან ერთად დავდივარ. მე ვერ გავაგებინე ამ ხალხს, რომ ეს მათი საქმე არაა. ხომ არ შეიძლება გაუთავებლად, მთელი წლის განმავლობაში ერთსა და იმავეზე ჭორაობა. ისე იქცევიან, თითქოს ახლახან გაჩნდნენ ქვეყანაზე ან მათზე უმნიკვლო არავინაა. ზოგჯერ ისეთ პირადულს შეგეკითხებიან, რომ მოულოდნელობისგან, უბრალოდ, სახტად ვრჩები. ჩემს მიმართ ასეთი ინტერესი ყველაზე მეტად მაკვირვებს. ლონდონში შეიძლება არც კი იცნობდე მეზობელს. აი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში (არა იმიტომ, რომ ინგლისელი ვარ) მაინც ჩვენებური ურთიერთობები მირჩევნია.

სამაგიეროდ, მომწონს, რომ ყველა მზად არის დახმარებისთვის - შეუძლიათ მიატოვონ სამსახური და მეგობარს გაყვნენ პრობლემის მოსაგვარებლად. აქ ფსიქიატრი არავის სჭირდება, რადგან თითოეულ ადამიანს ჰყავს უამრავი ახლობელი, რომელიც მას მოუსმენს და ყველანაირ დახმარებას გაუწევს. სამწუხაროდ, ეს ჩვენთან აღარ არსებობს. სწორედ ამით არის აქაურობა მდიდარი. ამ შემთხვევაში აქაურობა მირჩევნია.

ცუდია, რომ კორუფციამ საქართველოში კატასტროფული სახე მიიღო და ლამის გენეტიკურ დაავადებად იქცა. მორალური სახე დაკარგა როგორც მთავრობამ, ისე კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა. ხალხი როგორ ითმენს, წარმოდგენა არ მაქვს.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური მენტალობის თაობაში ასეთი მდგომარეობაა, სამაგიეროდ, აქაური ახალგაზრდების მეტი იმედი უნდა გქონდეთ. მე ძალზე მომწონს ქართველი ბავშვები. ისინი ჯერ ათი წლისაც არ არიან და უკვე ორ უცხო ენაზე საუბრობენ. ინგლისში ამ ასაკის ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლეებისთვის ეს წარმოუდგენელია, თანაც ქართველი ბავშვები ძალზე განათლებულები არიან. აქ არის მიდრეკილებები განათლებისადმი. აქ უფრო ნაკითხები არიან.

- ჩვენთან საბჭოთა პერიოდში კულტურა ოფიციალური იდეოლოგიის განუყოფელი ნაწილი იყო. თავს მოხვეული იყო ისიც, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა გვეკითხა, გვეხატა, გვეცეკვა და ა.შ. მეტიც, იმ დროს არსებობდა ერთი გადაცემა, სადაც კორესპონდენტი ქუჩაში გამვლელებს ეკითხებოდა, თუ როდის იყო უკანასკნელად თეატრში, როდის და რა წაიკითხა ბოლოს. შეშინებული რესპონდენტი კი პასუხობდა, რომ წიგნებს, რა თქმა უნდა, ახლაც კითხულობს, ხოლო თეატრში სიარული მისი ბავშვობის ოცნებაა. ასეთი პოლიტიკა ქართულ ხასიათზეც იყო გათვლილი, რადგან ქართველისთვის თეატრში არსიარული და კლასიკური მუსიკის არსიყვარული გაუგონარ სირცხვილად ითვლებოდა. ამანაც განაპირობა ხელოვნებისადმი ყალბი დამოკიდებულება.

- როგორც არ უნდა იყოს, ის ფაქტი, რომ ადამიანს განათლებისადმი, თუნდაც ასეთი დამოკიდებულება აქვს, უკვე კარგია, რადგან ძალდატანებითა თუ პოლიტიკის ზეწოლის შედეგად ადამიანს საბოლოოდ მაინც რაღაც დარჩება. მაგრამ აქ ერთი უცნაური რამ ხდება. ქართველები თავიანთ ცოდნას არარაციონალურად იყენებენ. ის, რომ დღეს, თითქმის, მთელი მსოფლიო ინგლისურად ლაპარაკობს და ინგლისელებისთვის სხვა უცხო ენის შესწავლა არაფრის მომტანია, ეს ძალზე ცუდია. ცუდია ისიც, რომ ყველა მომართულია ამ ინგლისურენოვან პოლიტიკაზე და, ინტეგრაციის პირობებში, ამას საქართველოსთვის შეიძლება სავალალო პროცესები მოჰყვეს. ოღონდ დავამატებდი - მიუხედავად ყველაფრისა, ვიმედოვნებ, რომ საქართველოში ყველაფერი გამოსწორდება, მითუმეტეს, როგორც ვიცი, ამჟამინდელი მთავრობა, თავის კორუმპირებულ ჩინოვნიკებიანად, მალე პოსტებს დატოვებს და ხელისუფლებაში ახალგაზრდა მოაზროვნე ძალა მოვა. ბოლოს, რაც შეეხება საქართველოს მომავალ თაობას, ყოველ შემთხვევაში, ვისაც მე ვასწავლი, ვიცი, რომ ისინი ღირსეულ ადგილს დაიკავებენ საქართველოს მომავლის აშენებაში.

ბინები

იყიდება

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, არასტანდარტული, 132 კვ.მ ბინა ჩიქოვანის 18-ში, V კორპ., ბინა 34, I სართ. ფასი: 18000$. ტელ: 98-40-41.

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 901729

იყიდება 2-ოთახიანი (გადაკ. 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი კუთხის ბინა. მე-9 სართულზე, საბურთალო, ზაქარიაძის №1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ., 3 აივნით, 2 ტუალეტით. 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა 39-53-41 მარინა 877 495-490

იყიდება 2-ოთახიანი II სართულზე. III მასივი, X კვარტალი, VI კორპუსი, ბინა 35. 98 93 28

იყიდება გარემონტებული 1,5-ოთახიანი ბინა, 15 კვ.მ. მიშენებით, ავეჯით, ყაზბეგის 2 ა-ში, 2(8). ფასი შეთანხმებით. 69 08 48

იყიდება საკუთარი სახლი. 63 32 44

იყიდება 1,5-იანი ბინა გადაკეთებული ორიანად, 3(16), ტელეფონით, რკინის კარებით, ბაკით. 96 17 35, 33 03 43, 8(99) 16 11 03

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

ბინები

ქირა, გირაო

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

სასწრაფოდ ვიგირავებ 2-ოთახიან ბინას 3000$-ად საბურთალოზე.
ტელ: 78-21-80 (საღამოს საათებში)

ვიგირავებ ორ ან სამოთახიან ბინას ცენტრალურ უბნებში. 25-15- 58

კომერციული ფართი

იყიდება 90 კვ.მ. კომერციული ფართი 200 კვ.მ. სარდაფით საბჭოს მოედანზე 27 000-ად. 77 19 40, 92 24 64 ტარიელი

სასწრაფოდ! იყიდება მომგებიანი, "ლუდის ბარი" დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინამძღვრიშვილის 198. თანამედროვე დიზაინით, კეთილმოწყობილი, ყველა საჭირო ინვენტარით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 479860. სოსო ან აზა.

მანქანები

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814, 8(24) 1798 95

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

"შკოდა-ოქტავია" 2002 წ. მუქი ოქროსფერი მეტალიკი, ნულოვანი გარბენით, მაგნიტოფონით. 8(99) 17 81 45, 39 24 92, 8(99) 57 64 87

იყიდება "ოპელ-კალიბრა" 1993 წლის და "ოპელ-ვექტრა" 1997 წლის. 25 08 88, 8(99) 91 22 77

სასწრაფოდ იყიდება "07" 1987 წლის, საუკეთესო მდგომარეობაში და "ტავრია" 1990 წლის, კარგ მდგომარეობაში. 63 29 26

სწავლება

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

შევასწავლი სკოლის მოსწავლეებს ფრანგულ ენას. 62 24 27, 62 28 15

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

შევასწავლით ჩოგბურთის თამაშს პროფესიულ დონეზე ბავშვებს 6-დან 14 წლამდე. მოვამზადებთ ფიზოში. სასურველია სპორტული აღნაგობა. ასევე შევასწავლით მოყვარულებს. 94 16 28

სხვადასხვა

ფირმა "ბაისადის" უმაღლესი ხარისხის მაკარონები და "პეჩენიები" საბითუმო ფასებში. 35 16 71, 8(77) 42 21 53

გამომეხმაურონ პროფესიონალი ფარმაცევტები. 34 25 22

იყიდება ძვირფასი ნორკის ქურქი 3000-ად. 8(99) 57 75 95

იყიდება სათამაშო კომპიუტერი დისკებით. 22 01 11

შევიძენ გენერატორ "ხონდა-2900"-ს სასწრაფოდ. 60 37 95

"დუბლიონკების", ბენზეულის აღდგენა-გადაკეთება შეღავათიან ფასად. 77 07 37

საფირმო სალონი "მაუდი" იწვევს დისტრიბუტორებს, რეალიზატორებს, გამყიდველ გოგონებს. ა. წერეთლის გამზ. 140. 34 89 46

მოზარდების სწორი ზრდა-განვითარება, სიმაღლეში მომატება, უნებლიე შარდვის შეჩერება. 60 80 48, 34 02 38 მანანა

ავტოდანამატები, რომლებიც ამცირებენ დეტალების ცვეთას, ხარჯებს და სიცოცხლეს უხანგრძლივებენ ავტომობილს. 67 98 06 მარინა

ფიტოკოსმეტიკა სახის ნებისმიერი პრობლემისათვის, შამპუნები თმის ცვენის შესაჩერებლად, თმის ამოსაყვანად. 67 98 06 მარინა

პროფესიონალი მცველი (7 წლის სტაჟი) ეძებს სამსახურს მაღალი ანაზღაურებით. 8(99) 58 42 55, 31 55 81

თბილისის სახელმწიფო აკადემიის პიტოთერაპიული კლინიკა მკურნალობს:
1. ქოლეოცისტიტი - მწვავე, ქრონიკული (ნაღვლის ბუშტის გამორეცხვა ზონდირების გარეშე, ჩირქი, მარილები, ბილიარული სიმკვრივე);
2. ფილტვების გასუფთავება ლორწოსაგან აქტიურ და პასიურ მწეველებში;
3. თირკმელებში ცილა, სილა, კენჭი, ჩირქი;
4. მაგნიტური ტალღების და კომპიუტერული სისტემების უარყოფითი გავლენის მოხსნა.
ტელ: 25-31-83
მის: მე-9 საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა, სართული

მერქნის დახერხვა, გამოხარშვა, გამოშრობა ევროსტანდარტით. 8(99) 18 20 28

ვიწვევთ სამუშაოდ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. 8(99) 28 83 93

იყიდება კაპიტალური ავტოფარეხი ფალიაშვილის 48-ში. 8(99) 28 99 66, 23 35 12

საუკეთესო საჩუქარი საყვარელი ქალისათვის. 62 59 09 ნანა

შაბათ-კვირის კერძო საბავშვო ბაღი. 34 63 57

"სამოსელი პირველი" გაყიდვაშია. 38 47 53

გთავაზობთ წიგნების, ჟურნალების, ბროშურების აკრეფვა-დაკაბადონებას, გაფორმებას, სავიზიტო ბარათების, ბლანკების დამზადებას, სხვადასხვა პოლიგრაფიულ მომსახურეობას.
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908.
Tel/Fax: 25-35-48, 23-53-69

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

საქართველოში მომუშავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების საყურადღებოდ

საქართველოს პარლამენტის აპარატის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ა.წ. 1 ნოემბრიდან იწყებს საქართველოს პარლამენტში 2003 წლის ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის განცხადების მიღებას. განაცხადი უნდა შედგეს საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგლამენტისა და პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დებულების დადგენილი წესის მიხედვით.
მადლობელი დაგრჩებით, თუ მასმედიის ხელმძღვანელები, განაცხადთან ერთად, ცალკე ფურცელზე მოგვაწვდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისამართს, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის ნომრებს, აგრეთვე, აკრედიტებულ ჟურნალისტთა კოორდინატებს.

განცხადების მიღება დასრულდება ა.წ. 1 დეკემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
შემდეგ ნომრებზე: 99 00 00, 99 99 62

განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

☐ **სკოლის მოსწავლეთათვის:**
ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.

☐ **აბიტურიენტებისათვის:**
მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშორისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყებულია. მიღება გრძელდება.
მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.

აფიშა

თეატრები

რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

თავისუფალი თეატრი
"პროვოკაცია", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

"ჭიბის თეატრი"
"ცხოვრება საწვავის გარეშე", რეჟ. ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ, ფასი 3 ლარი

საგამოფენო დარბაზები

N გალერეა
კარლო კაჭარავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

გალერეა "ვერნისაჟი"
გიორგი აფციაურის ნამუშევრების გამოფენა

TMS
ქეთი იაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

კინოთეატრები

"ამირანი"
მულტიპლიკაციური ფილმი "სპირიტი"
დას: 11:00; 13:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ვასაბი", რეჟ. ლუკ ბესონი, მთავარ როლში ჟან რენო
დას: 15:00; 19:00 სთ, ფასი 7,8 ლარი
"მობრძანდით კოლინვუდში"
დას: 17:00; 21:00 სთ, ფასი 7,8 ლარი
"პიანისტი ქალი", რეჟ. მიხაელ ჰანეკე
დას: 23:00 სთ, ფასი 7,8 ლარი

"რუსთაველი"
"სათამაშო ისტორია 2", რეჟ. ეშ ბრენონი, ჯონ ლესეტერი
დას: 13:00; 15:00; 17;00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 21:00; 23:00 სთ; ფასი 7 ლარი

"ელისო"
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 13:00; 15:00; 17;00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ჰოლივუდური დასასრული", რეჟ. ვუდი ალენი
დას: 21:00; 23:00 სთ; ფასი 6 ლარი

TV პროგრამა 23 ნოემბერი

რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი "სამნი"
12.00, 15.00 კურიერი
12.20 კუსტოს წყალქვეშა ოდისეა
13.15 მხ.ფილმი
15.20 სიმფონიები
15.45 მხ. ფილმი
17.10 სერიალი "ჩინელი პოლიციელი"
18.00, 00.00 კურიერი
18.20 ველური ამბები
19.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
20.00 სუფთა ინგლისური მკვლელობა
21.00 კურიერი PS
22.00 ფსიქო. მხ.ფ. "გულმოწყალე გასროლა"
00.15 მხ.ფ. "სილრმიდან ამოსვლა"
02.15 ღამის ჯაზი

პირველი არხი

08.00, 15.00, 01.10 მოამგე
08.15 "მხიარული კარუსელი"
09.00 გიორგობა
13.35 "მეტრო"
14.05 "კვალი"
14.25 "საქართველო დრო, მოვლენები"
15.15 მხ. ფილმი "ხუთი ტუზი"
16.50 საწინდარი
17.20 მულტსერიალი "არინცესა ნერი"
17.40 დოკ. სერიალი "მოდი ვიცეკვოთ"
18.00 ვესტნიკი
18.45 "თბილისის დროით"
19.05 "ენერგია"
19.35 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა"
20.00 "რას ფიქრობს ხალხი"
21.15 "ფორტუნა"
21.50 სერიალი "ნაპოლეონი"
22.40 "მეალომანია"
23.15 მხ. ფილმი "ადამიანი სახის გარეშე"
01.20 ღამის ჯაზი

პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
09.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით
10.00 "ტოროლა"
12.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
17.00 "კომედია" მხ.ფ. "პლანეტა კა-პექსი"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 ქართული ათეული
23.00 მუსიკა
00.00 "ტელედისკოთეკა"
02.00 "გრავო" მხ.ფ. "ორმოცი დღე, ორმოცი ღამე".
03.40 ნონ-სტოპი

მეორე არხი

19.00 მულტფილმი
19.30 ორატორი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 "ახლო ხედი"
21.00 დოკ. ფილმი
21.40 ჯემი
22.00 მხ. ფილმი "ცეკვები "ცისფერ იბუანაში"

ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.20 მხ. ფილმი "ოპერაცია "სპილო"
12.00 პროგრამა "სალონი"
13.30 ექიმი გვირჩევს
14.30 მუსიკა
15.00 მუსიკალური აპუზა
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
16.00 ლაბირინთი
17.00 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში"
17.30 თქვენი ადვოკატი
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ცეროდენა ვარსკვლავები
20.00 თინეიჯერი
21.00 დოკ. ფილმი
22.00 "და ღმერთმა შექმნა ქალი"
22.30 თეატრალური შეხვედრები
23.30 მსოფლიო სპორტი

იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 ალსავალი. მუსიკა
08.30 მხ. ფილმი "სამოთხე დედამიწაზე"
10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.00, 23.55, 00.30 მუსიკა
10.20 მხ. ფილმი "მისია ქაშმირი"
13.10, 18.00, 19.30 მულტფილმი
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 გუნების ფერები
20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი
22.30 მხ.ფ. "ყველაფერში დამნაშავეა რიო"
23.00 მხ.ფ. "მატყუარა ვარ"
00.40 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "პარლი ხმალთევზა"
13.30 მხ. ფილმი "ნიკი, ეშმაკი უმცროსი"
15.00 მხ. ფილმი "ლამაზმანი"
16.50 მხ. ფილმი "შეთქმულების საიდუმლო"
19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
19.20 მულტფილმი
21.00 მხ. ფილმი "ლამაზმანი ჯო"
22.30 მხ. ფილმი "პროფესიონალი"
00.20 მხ. ფილმი "უიღბლოთა კლუბი"

მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ძარი"
10.45, 11.50, 12.50, 14.45, 15.50, 16.20, 17.30, 20.30, 21.45, 00.00 მუსიკა
10.55 მხ. სერიალი "მოჯადოვება" 55-ე სერია
12.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი"
13.00 მხ. ფილმი "ჩრდილში"
15.00 დოკ. ფილმი "ივ სენ ლორანი"
15.55 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
16.30 დოკ. სერიალი "ველური გუნება" 34-ე სერია
17.45 მხ. სერიალი "ზურგის ძარი" მე-4 სერია
18.30 მულტფილმი "მეფის ასული შეჰარაზადა" მე-4 სერია
19.00 რაგბი - პირდაპირი ტრანსლაცია "იუგლსი - ახალი ზელანდია"
20.45 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა"
21.30 "მსოფლიო კულტურის საბანაკური". "ვენის სეცესიონის შენობა"
22.00 კინოკლუბი ყაზბეგი წარმოგიდგენთ მხ. ფილმებს: 1. "ადამიანი ფარვანა" ტელ: 77-83-28 2. "პირველი ცხრანახევარი კვირა" ტელ: 77-83-29 3. "გაზა" ტელ: 77-83-30 00.20 მხ.ფ. "ვნებათა სასტუმრო"

აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი " კედელი"
09.45 ფილმი-ზღაპარი "გალგამეტი"
11.25 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "წმინდანი"
14.05 მხატვრული ფილმი "ინსტინქტი"
16.20 მულტფილმი
17.15 კომედია "ბედის საჩუქარი"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30 "ყველანი ვართ პატარები"
19.40 დოკუმენტური ფილმი
20.30 ქართული მხატვრული ფილმი "ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი"
22.50 Слово
23.30 დოკუმენტური ფილმი
00.50 დრამა "მეზობელი ქალი"
03.30 მხატვრული ფილმი "და მეტი სამყაროც არაფერია"

VII არხი

18.00, 23.00,02.00 ანონსი
18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - მოგილურები
18.50 მელოდია 19.00 "აჩიკუდა"
19.20 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით
19.25 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.50 "ღამის კაპრიზი".
20.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
21.00 რაგბი. ინგლისი - სამხრეთ აფრიკა.
23.00 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
23.35 მელოდია
00.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატი.

ОРТ

08.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости
08.10 Мультфильм "Пес и кот"
08.30 Сериал "ФЛИППЕР"
09.15 Играй, гармонь любимая!
09.55 Слово пастыря
10.10 Здоровье
11.10 "Смак"
11.30 "Путешествия натуралиста"
12.00 "Смехопанорама"
12.40 Комедия "ТРЕТИЙ БЕТХОВЕН"
14.30 Дисней-клуб: "Базз и его команда"
15.10 "Чтобы помнили...". Софья Пилявская
15.50 "Тайны забытых побед". "Легендарный побег из плена"
16.20 "В мире животных" с Н.Дроздовым
17.05 Худ.фильм "ДОБРОВОЛЬЦЫ"
19.15 "Шутка за шуткой"
19.50 "Кто хочет стать миллионером?"
20.55 "Последний герой 2". "Бумеранг"
22.00 Время
22.30 Боевик "ЛЕГИОНЕР"
00.20 Триллер "ПОМНИ"
02.30 Комедия "ПЛАВАТЬ С АКУЛАМИ"

РТР

07.20 Худ.фильм "ГОНЩИКИ"
08.40 Студия "Здоровье"
09.10 Сериал "Дракоша и компания"
09.35 Золотой ключ
10.00 "Военная программа"
10.20 "Два рояля"
11.20 "Сам себе режиссер"
12.20 "Сто к одному"
13.15 "В поисках приключений"
14.10 Клуб сенаторов
15.00, 21.00 Вести
15.20 Комедия "СТАРИКИ-РАЗБОЙНИКИ"
17.00 Худ.фильм "ПРИНЦ ЖЕМЧУЖНОГО ОСТРОВА"
19.00 Комната смеха
19.50 Сериал "БРИГАДА"
21.25 Зеркало
21.50 Сериал "БРИГАДА"
23.00 "Стань звездой"
00.00 Худ.фильм "АМЕЛИ"
02.30 Худ.фильм "ДАНСЕР"

ძიუდო

ეროვნულ ტატამზე მომავალი გამოჩნდა

ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრს, რომელიც ორი დღის განმავლობაში ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატს მასპინძლობდა, პირველი დღისგან განსხვავებით, ენერგომამებმა ვერაფერი დააკლეს - ორგანიზატორებმა დილიდანვე დაიჭირეს თადარიგი და შეჯიბრებაც შებინდებამდე დასრულდა.

გიგა გურასაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ტიტულოვანი სპორტსმენი შეჯიბრებას შორიდან ადევნებდა თვალყურს, ეროვნულ ჩემპიონატზე არაერთი საინტერესო ორთაბრძოლა ვიხილეთ. წინა დღით დაწყებული საქმეც ბოლომდე მივიდა. ლაპარაკია სამ წონით კატეგორიაში (60, 66, 73) უშუქობის გამო გუშინდელი დღისთვის გადმოტანილ ფინალზე და მესამე ადგილებისთვის ორთაბრძოლებზე. მოგეხსენებათ, 66 და 73 კილოგრამ წონით კატეგორიებში, შესაბამისად, მინდია ხომიზურმა და დავით მარგოშვილმა ფინალებში ასპარეზობაზე უარი თქვეს და ჩემპიონობა უბრძოლველად დაუთმეს ზაზა კედელაშვილსა და დათო ნადარაიას. საღამოს, ჩაბნელებულმა დარბაზმა, შმაგი სონიშვილისა და ლაშა სარდანაშვილის ფინალურ დაპირისპირებასაც შეუშალა ხელი. ჩემპიონატის მეორე დღეს მათ ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევის საშუალება მიეცათ. გაიმარჯვა სარდანაშვილმა. ამავე წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ ვახო ხოსიტაშვილსა და რუსლან გედენიძეს. რაც შეეხება 66 კილოგრამ წონით კატეგორიას, აქ მესამე ადგილები დაიკავეს ზეზვა ებელაშვილმა და ლევან მარკოზაშვილმა, ხოლო 73-ში - დავით ბოდაველმა და გოგიტა ბაინდურაშვილმა. მერე კი საშეჯიბრებო განაწესით გათვალისწინებული წონითი კატეგორიების - 81, 90, 100 და მძიმეწონოსანთა ჯერიც დადგა. როგორც იცით, იანვარში თბილისი ტრადიციული A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს. საქართველოს, როგორც მასპინძელს, თითოეულ წონაში ოთხი სპორტსმენის გაყვანის უფლება აქვს. ამრიგად, საქართველოს ჩემპიონატი ამ ტურნირისთვის მზადების ერთგვარი ეტაპიც იყო. გარდა ამისა, იმ ტურნირზე გამსვლელი ოთხეულის ვინაობაც უნდა გარკვეულიყო, თუმცა, გამონაკლისი დაუშვეს ზოგიერთი სპორტსმენისთვის, რომელთაც დიდი ტურნირისთვის მზადების პროცესში დასვენების საშუალება მიეცათ. ასეთთა შორის არიან: ხერგიანი, რევაზიშვილი, ჯიქურაული, დავითაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ ზვიადაური ოთხეულში ადგილი ისედაც გარანტირებული ჰქონდა, იგი ეროვნულ ტატამზე მაინც გავიდა და ჩემპიონიც გახდა. ჩემპიონატი საინტერესო იყო იმითაც, რომ ბევრი ახალგაზრდა ძიუდოისტი ვიხილეთ. ბუნებრივია, მათ პაექრობებს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელიც ადევნებდა თვალყურს: "კარგი ორთაბრძოლები ვნახეთ. მომავლისადმი როგორღაც იმედიანად განვეწყვე. რამდენიმე წონით კატეგორიაში გამოჩნდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ, ახლო მომავალში ნაკრების პირველი ნომრები გახდნენ".

ბორიტა ბაბალიძის ფოტო

შოთა ხაბარელი

81 კგ
1. გრიგოლ მამრიკიშვილი
2. გიორგი შინჯიკაშვილი
3. ლევან წიკლაური
3. რეზო ჩიკოიძე

90 კგ
1. ზურაბ ზვიადაური
2. მინდია ბოდაველი
3. კახა მურაჩაშვილი
3. გიორგი ბეჭვაია

100 კგ
1. გიორგი გუგავა
2. ლაშა ფეიქრიშვილი
3. დიმიტრი ტურაშვილი
3. გიორგი ყიზილაშვილი

მძიმე წონა
1. ლევან გუჯეჯიანი
2. დურმიშხან ბერუაშვილი
3. ზვიად წიკლაური
3. ზვიად ჩინჩალაძე

ტანვარჯიში

ილია გიორგაძე ფინალში გავიდა

უნგრეთის ქალაქ დებრეცენში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. ასპარეზობაში მონაწილეობს ორი ქართველი ტანმოვარჯიშე - ილია გიორგაძე და ალექსანდრე თვაური. გიორგაძე მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსკოვში ემზადებოდა, ხოლო თვაური - თბილისში. როგორც ტანვარჯიშის ფედერაციაში გვითხრეს, ილია გიორგაძე კარგ სპორტულ ფორმაშია და ფინალში გასვლის შანსიც აქვს.

კახა ფაჩუაშვილი

გუშინ დამთავრდა საკვალიფიკაციო ეტაპი დისციპლინების მიხედვით. თითო დისციპლინიდან ფინალში რვა საუკეთესო სპორტსმენი გადიოდა, რომლებიც მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებდნენ ილია გიორგაძე რგოლებზე, ორძელსა და ტაიჭზე ასპარეზობდა, ალექსანდრე თვაური კი - რგოლებზე. სამწუხაროდ, დებრეცენის მსოფლიო პირველობა მისთვის უიღბლო გამოდგა. რგოლებზე 9.250 ქულით თვაურმა 29-ე ადგილი დაიკავა და ასპარეზობას გამოეთიშა. რგოლები წარუმატებელი აღმოჩნდა ილია გიორგაძისთვისაც. მან თვაურზე უკეთესად იასპარეზა - 9.437 ქულა მოაგროვა, მაგრამ მხოლოდ მე-20 ადგილი დაიკავა და ფინალს მიღმა აღმოჩნდა.

გიორგაძეს ტაიჭზეც მოეცარა ხელი. მისი შედეგი - 9.425 ქულა მხოლოდ 21-ე ადგილს ეყო. სამაგიეროდ, ქართველმა ტანმოვარჯიშემ შესანიშნავად იასპარეზა ორძელზე, 9.587 ქულა მოაგროვა და მეხუთე ადგილზე გავიდა, რაც ფინალის საგზურისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

გიორგაძე გამოცდილი ტანმოვარჯიშეა - ორ ოლიმპიადაზე მიიღო მონაწილეობა, სიდნეიში კი ორძელზე მეექვსე ადგილი დაიკავა. ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, თომზა ცომაიას თქმით, ეს საპრიზო ადგილის ტოლფასია, რადგან ექვს ტანმოვარჯიშეს აჯილდოებენ.

REUTERS

ალექსეი ნემოვი

"ფინალში საკვალიფიკაციო ეტაპის შედეგები უქმდება და ყველაფერი თავიდან იწყება. ორძელზე ილია გიორგაძის ოსტატობასა და გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, საპრიზო ადგილის იმედიც შეიძლება გვქონდეს. ის ფაქტი, რომ საქართველოს პირობებში გიორგაძემ ორ ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა, გმირობის ტოლფასია", - ამბობს თომზა ცომაია. ფინალური ასპარეზობა დღეს გაიმართება.

ძალოსნობა

დაძლეული B 11

ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი წლის ბოლო უმთავრესი შეჯიბრებაა, სადაც ქართველი სპორტსმენებიც ასპარეზობენ. საქართველოს ნაკრები ოთხი სპორტსმენითაა წარმოდგენილი მსოფლიო ფიცარნაგზე და აქედან რეალურად მედლისთვის ბრძოლა მხოლოდ გიორგი ასანიძეს შეუძლია, რომელსაც 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული აქვს დასაცავი. დავით პავლიაშვილისთვის (77 კგ), ალეკო ნოზაძესთვის და ზურაბ ავთანდილაშვილისთვის (ორივე 105 კგ) კი მსოფლიო ჩემპიონატი ერთგვარ გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენს მომავალი წლის ანალოგიური შეჯიბრებისთვის, სადაც საოლიმპიადო ლიცენზიებია გასათამაშებელი.

გიგა გურასაშვილი

მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი უკვე მეცხრედ პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა იყო. ვაჟთა 75-ე და ქალთა 15-ე მსოფლიო ჩემპიონატზე 58 ქვეყნის 315 სპორტსმენმა მოიყარა თავი. გუშინ ქართველთაგან პირველს დავით პავლიაშვილს მოუწია ფიცარნაგზე გასვლა. ერთგვარ მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს მის მიერ B ჯგუფში ნაჩვენები შედეგი. ჯგუფში მოასპარეზე 11 სპორტსმენს შორის პავლიაშვილმა ყველაზე მეტი დასძლია. ქართველმა ძალოსანმა პირადი რეკორდები ხუთ-ხუთი კილოგრამით გააუმჯობესა. ატაცში დაძლეულ 142,5 კილოგრამს აკვრაში 177,5 მიუმატა და ორჭიდის ჯამში დაგროვებული 320 კილოგრამით თანაჯგუფელებისთვის მიუწვდომელიც გახდა. სავსებით შესაძლებელია, პავლიაშვილი კიდევ დაწინაურდეს. ასეთი რამ კი მაშინაა შესაძლებელი თუ კი A ჯგუფში მოასპარეზე ათ სპორტსმენთაგან რომელიმე ქართველზე ნაკლებ სიმძიმეს შეეჭიდებოდა. შეეჭიდებოდას იმიტომ ვამბობთ, რომ A ჯგუფის შეხვედრები გვიან ღამით უნდა გამართულიყო. ამრიგად ისღა დაგვრჩენია B ჯგუფის შედეგებით დავკმაყოფილდეთ. ისე კი, 11-ე ადგილიც არაა ურიგო. პავლიაშვილის შედეგით კმაყოფილი ჩანდა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვანო გრიქურაური, რომელსაც გვიან ღამით ვარშავაში დავუკავშირდით.

ახლა ორიოდე სიტყვით თავად ჩემპიონატზეც. თუ რამხელა მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო ჩემპიონატს ეროვნული ფედერაციებისთვის ამაზე წარგზავნილთა რაოდენობაც მეტყველებს, მით უმეტეს, რომ 315 სპორტსმენიდან 145 ძალოსანი პირველად ასპარეზობს მსოფლიო ჩემპიონატზე (ვაჟები 197 ძალოსანით არიან წარმოდგენილნი). ყოველივე კი 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ნაკრებების საბოლოო ბირთვის ჩამოყალიბებას ემსახურება. იგივე მისია აკისრია საქართველოს ძალოსნობის ფედერაციასაც. შეჯიბრებას წინას მატებს ის ფაქტიც, რომ მასში 7 ოლიმპიური ჩემპიონი მონაწილეობს, მათ შორისაა, საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ჩვენი თანამემამულე სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილიც. თუ ისევ ციფრებს მოვიშველიებთ ვარშავაში თავმოყრილ ძალოსანთა შორის არიან ის სპორტსმენებიც (92 ვაჟი და 50 ქალი), რომლებსაც სხვადასხვა სახის მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე მთლიანობაში 804 მედალი მოუპოვებიათ. ესეც რომ არა, შეჯიბრების მონაწილე 37 სპორტსმენს 212-ჯერ დაუმხია მსოფლიოს რეკორდები. მსოფლიო რეკორდების რიცხვი ვარშავაშიც გაიზარდა. ამ მხრივ ყველაზე უკეთ ჩინელები გამოიყურებიან.

REUTERS

სია ლიუ (69 კგ) - მსოფლიო ჩემპიონი

კალათბურთი

ამერიკა ქმნის ახალ "დრიმ თიმს"

ამერიკა უკვე აყალიბებს ახალ "ოცნების გუნდს", რომელიც ათენის 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. ამერიკელები არ მალავენ, რომ ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებას აპირებენ და ამით შეეცდებიან, აღიდგინონ დაკარგული პრესტიჟი მსოფლიო ჩემპიონატზე უფერული გამოსვლის გამო.

ახალი "დრიმ თიმის" შექმნა აშშ-ის კალათბურთის ფედერაციას დაევალა. ამ საქმეში 10 კაცი მონაწილეობს - რვა NBA-ის წარმომადგენელი, ერთი მოთამაშე და ერთიც სტუდენტური ლიგის მესვეური. დეკემბრის დასაწყისისთვის 10-კაციანი საბჭო ვარაუდობს, გამოავლინოს ძირითადი ბირთვი, რომელიც ექვსი კალათბურთელისგან შედგება. წლის ბოლოსთვის კი, იმედი აქვთ, კიდევ 9 მოთამაშეს გადაიბირებენ. დარჩენილი სამი ვაკანტური ადგილი ზაფხულში შეივსება.

აშშ-ის კალათბურთის ფედერაციაში ვარაუდობენ, რომ ნოემბრის ბოლოს მთავარი მწვრთნელის ვინაობასაც გაარკვევენ. ამ პოსტზე "ფილადელფიის" მწვრთნელს ლარი ბრაუნს ასახელებენ. ვინ აღმოჩნდება კალათბურთის ვარსკვლავებიდან ახალ "დრიმ თიმში", ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მათი გადაბირება პრობლემა არ უნდა იყოს. ბევრი მათგანი უკვე ამბობს, რომ ოლიმპიურ თამაშებზე სიამოვნებით იასპარეზებდა.

REUTERS

აშშ ახალ გუნდს ქმნის

"ორი აზრი არ არსებობს. ათენში სიამოვნებით წავიდოდი", - აცხადებს "ვაშინგტონ პოსტთან" ინტერვიუში "ვაშინგტონ უიზარდსის" ერთ-ერთი ლიდერი ჯერი სტეკჰაუზი. რაც შეეხება ინდიანაპოლისის მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკელთა უსუსურ გამოსვლას, სტეკჰაუზმა მოკლედ მოჭრა: "ის შემადგენლობა არ იყო".

ქრივი

რამაზ ფალიანის მეორე პირველი გამარჯვება

მიხეილ აბაიშვილი

რამაზ ფალიანი

ერთი წელია, რაც ქართველმა მოკრივემ რამაზ ფალიანმა სამოყვარულო კრივს თავი დაანება და პროფესიონალებში გადავიდა. ამ ცოტა ხნის წინ მას პირველი სარეიტინგო ბრძოლაც უნდა გაემართა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ მეტოქე საბრძოლველად არ გამოცხადდა და ფალიანს გამარჯვება ჩაეთვალა. თუმცა, ფალიანი ასეთ "გამარჯვებას" არ დასჯერდა და მენეჯერებს სთხოვა, სხვა მეტოქე მოეძებნათ. ამერიკაში ქართველი მოკრივეების ცნობილი მენეჯერის, მამუკა წიკლაურის მეცადინეობით, ასეთი მეტოქეც გამოინახა - პენსილვანიის შტატის წარმომადგენელი, 28 წლის ლათინოამერიკელი რობერტ სორესი. ასე რომ, გუშინ ნიუ-იორკში, პროფესიულ რინგზე, გაიმართა რამაზ ფალიანის პირველი საბრძოლო ნათლობა. რეგლამენტით, მოკრივეებს 6 რაუნდი უნდა ეჩხუბათ, თუმცა, ბრძოლა ლამის პირველივე რაუნდში დასრულდა, რადგან ფალიანმა სორესი ნოკდაუნში ჩააგდო. ამერიკელი მხოლოდ გონგის ხმამ გადაარჩინა. ბრძოლა მეორე რაუნდში გაგრძელდა. პენსილვანიელმა ქართველს ექვსივე რაუნდი გაუძლო, მაგრამ მაინც დამარცხდა.

ნოემბრის ბოლოს კიდევ ერთი ფალიანი, ამჯერად რამაზის უმცროსი ძმა – შალვა გამართავს თავის სადებიუტო ბრძოლას პროფესიულ რინგზე. რამაზთან ერთად ისიც ამერიკაშია და ერთი წლის განმავლობაში ემზადება. ძმების მენეჯერი მამუკა წიკლაური "24 საათს" შალვა ფალიანის დებიუტის შემდეგ ესაუბრება.

ფორმულა 1

2003 წელს ქულებს ახლებურად დაითვლიან

ქულების დათვლის ახალი სისტემა, რომელმაც ფორმულა 1-ის რბოლები უნდა გამოაცოცხლოს, როგორც ირკვევა, FIA-ს ეგიდით გამართულ ყველა შეჯიბრებაზე დაინერგება. ამის თაობაზე ჟურნალ "ავტოსპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა მაქს მოსლიმ.

შეგახსნებთ, რომ ლონდონის სამიტზე, რომელშიც გუნდის ხელმძღვანელები და FIA-ს ჩინოვნიკები მონაწილეობდნენ, სხვა საკითხებთან ერთად ქულების დათვლის ახალი სისტემაც მიიღეს.

FIA -ში მიაჩნიათ, რომ ეს გადაწყვეტილება თვისებრივად გადაახალისებს რბოლებს და მეტ ხიბლს შესძენს მას. ახალი სისტემის მიხედვით, ქულები დაერიცხება არა ექვს, არამედ რვა პილოტს, რომლებიც პირველები გადაკვეთენ ფინიშის ხაზს. ლიდერი 10 ქულას მიიღებს, მეორე - 8, მესამე - 6, შემდეგ - 5, 4, 3, 2 და 1. "ფერარის" პრეზიდენტმა ლუკა დე მონტეძემოლომ ახალი სისტემისადმი უკვე გამოთქვა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება. მისი აზრით, ახალი სისტემა პილოტებს გამარჯვების სტიმულს არ აძლევს.

"ახალი წესები აშკარა შეცდომაა, რომელიც მალე გამოსწორდება, - განაცხადა მან, - ჩვენ მივიღეთ ახალი სისტემა, რომელიც სრულიადაც არ არის საინტერესო. პირველი ორი პოზიციისთვის 10 და 8 ქულას შორის განსხვავება მეტისმეტად მცირეა და პილოტები, რბოლის ლიდერობისთვის, თავს არ გაწირავენ".

ქულების დათვლის ძველი სისტემა, როცა გამარჯვებული მეორე პრიზიორზე 4 ქულით მეტს იღებდა, საგანგებოდ იმისთვის მოიგონეს, რომ პილოტს არ შეძლებოდა მთელი ჩემპიონატის მოგება, თუ გარკვეული რაოდენობის ეტაპებს არ მოიგებდა. როგორც ცნობილია, მიხაელ შუმახერმა წლევანდელი ტიტული ჩემპიონატის დამთავრებამდე 6 ეტაპით ადრე გაინაღდა. ახალი სისტემა ძალაში რომ ყოფილიყო, შუმახერის ჩემპიონობა მხოლოდ ერთი რბოლით გადაიწევდა. სწორედ ამ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას ლუკა დე მონტეძემოლო.

მოკლედ

ფეხბურთი. "არსენალის" ნახევარმცველი რეი პარლორი ზამთარში დატოვებს კლუბს, რომლის რიგებშიც 1990 წლიდან თამაშობს. ინგლისის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ამ ნაბიჯს იძულებითს უწოდებს და სათამაშო პრაქტიკის არქონით ხსნის. "მე საფეხბურთო კლუბ "არსენალის" აღსაზრდელი ვარ და მთელი კარიერის მანძილზე მხოლოდ მშობლიურ კლუბში ვთამაშობდი. სამწუხაროდ, ბოლო დროს სათადარიგოთა სკამზე გაცილებით დიდ დროს ვატარებ, ვიდრე მინდორზე. არადა, სულ 29 წლის ვარ და თამაში მწყურია. ამიტომაც მივიღე ჩემთვის ძალზე რთული გადაწყვეტილება – დავტოვო "მეთოფეთა" რიგები და სხვა გუნდში გადავიდე. იმედი მაქვს, გულშემატკივრები სწორად გამიგებენ", - განაცხადა პარლორმა, რომელმაც მიმდინარე სეზონში "არსენალის" ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ექვსჯერ ითამაშა.

თუ სად გააგრძელებს კარიერას ფეხბურთელი, რომელმაც "არსენალის" შემადგენლობაში 300-ზე მეტი მატჩი ჩაატარა, გაურკვეველია. ჟღალთმიანი ნახევარმცველის გადაბარება სურთ "მანჩესტერ სიტის", "ვესტ ჰემს" და "სანდერლენდს". თუმცა, ინგლისელი ჟურნალისტები თვლიან, რომ პარლორის გადაბირების ყველაზე დიდი შანსი აქვს პირველდივიზიონელ "პორტსმუტს". ამ გუნდში მას აქტიურად ეპატიჟება ასევე ყოფილი არსენალელი და პარლორის მეგობარი პოლ მერსონი.

■ ■ ■

ფეხბურთი. ტურინის "იუვენტუსისა" და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე დეკემბრისთვის მოედანზე დაბრუნებას გეგმავს. სერია A-ს გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა ივლისის ბოლოს მუხლის ტრავმა მიიღო, რამაც სამ თვეზე მეტი ხნით ჩამოაშორა ფეხბურთს. ჩემპიონთა ლიგის ბოლო მატჩში ტრეზეგემ თანაგუნდელი შეცვალა, მაგრამ შეხვედრის დასრულების შემდეგ ისევ გრძნობდა მუხლში ტკივილს. 20 ნოემბერს მან "იუვენტუსის" ძირითად შემადგენლობასთან ერთად ივარჯიშა და ორმხრივ თამაშში "პოკერიც" შეასრულა - ოთხი გოლი გაიტანა. "ტრეზეგემ სრული დატვირთვით ივარჯიშა და მუხლი აღარ ატკივებია. ძალიან მალე მინდორზეც გამოვა", - გახარებული იყო ვარჯიშის შემდეგ "ბებერი ქალბატონის" მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი.

■ ■ ■

ფეხბურთი. ჰოლანდიის "აიაქსის" მცველი, ბელგიელი იელ ვან დამი გამოტოვებს ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ტურნირის პირველ მატჩს, რომელშიც "აიაქსი" "ვალენსიას" შეხვდება. მან მარცხენა ფეხის ცერის მოტეხილობა მიიღო თავისი ქვეყნისა და შოტლანდიის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეხვედრაში. ეს მატჩი ვან დამის თანამემამულეებმა 2:0 მოიგეს. ექიმების დასკვნით, ფეხბურთელი ორი კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. მოსკოვის "სპარტაკიდან" გაქცეული და სკანდალში გახვეული, რუსული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხული დმიტრი სიჩოვი ამჟამად "კონჩა ზასპეში" - კიევის "დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე იმყოფება და უკრაინულ გუნდთან ერთად ვარჯიშობს. თუმცა, თქმა იმისა, რომ სიჩოვი კიევის "დინამოს" ფეხბურთელი გახდა, ნაადრევია. "ჩვენ გვინდა, დმიტრი სიჩოვი გადმოვიყვანოთ. ის ძალზე გამოადგება კიევის "დინამოს" - გუნდის შემტევ პოტენციალს საგრძნობლად გააძლიერებს. ამჟამად მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ "სპარტაკის" ხელმძღვანელობასთან, თუმცა, კონკრეტულ შეთანხმებამდე ჯერ არ მივსულვართ", - განაცხადა კიევის "დინამოს" პრეზიდენტმა იგორ სურკისმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ტურნირიდან გამოთიშვის შემდეგ მიუნხენის "ბაიერნის" სასელექციო სამსახურებმა ახალი ფეხბურთელების მოძიება დაიწყეს. ამჟამად სკაუტების სიაში ირიცხება იტალიელი მცველი ფაბიო მაცელარი. როგორც დასავლური სპორტული წყაროები იტყობინებიან, მასთან კონტრაქტს მიუნხენური კლუბი უახლოეს მომავალში გააფორმებს. 28 წლის იტალიელმა რამდენიმე კვირის წინ დაასრულა გამოსვლა "ბოლონიაში" და თავისუფალი აგენტი გახდა. ბავარიელებს უკვე დიდი ხანია, აწუხებთ დაცვით ხაზთან დაკავშირებული პრობლემები, მაგრამ ზე რობერტოს შეძენის შემდეგ გუნდს, უბრალოდ, ფული აღარ დარჩა კიდევ ერთი ცნობილი მცველის შესაძენად. იტალიელის ტრანსფერი კი "ბაიერნს" ერთი პფენინგიც არ დაუჯდება. ამას გარდა, გაჩნდა ინფორმაცია, რომ ინგლისის "ლივერპული" "ბაიერნის" მცველის, ბიქსენტ ლიზარაზუს გადაბირებითაა დაინტერესებული. "ჩვენ დაცვის მარცხენა ფლანგის გაძლიერება გვჭირდება", - განაცხადა მერსისაიდული კლუბის ფრანგმა მთავარმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ.

■ ■ ■

კრივი. ტუა და რახმანი დეკემბერში შეიძლება კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩ-რევანშმა, რა თქმა უნდა, დაიგვიანა, მაგრამ რახმანს დიდი იმედი აქვს, რომ ტუას ოთხი წლის წინანდელი დამცირებისთვის სამაგიეროს მიუზღავს. შეგახსენებთ, რომ 1998 წელს ამ მოკრივეებმა ერთხელ უკვე იჩხუბეს და მაშინ გამარჯვება ტუას ერგო.

■ ■ ■

სათხილამურო სპორტი. უამინდობის გამო შეიძლება გადაიდოს მსოფლიო თასის ეტაპი სათხილამურო სპორტში. შაბათ-კვირას უნდა გაიმართოს ეტაპები: ვაჟებისთვის 10 კილომეტრზე, ხოლო ქალებისთვის 5 კილომეტრზე რბოლაში. თუმცა შვედეთის ჩრდილოეთით კირუნში, სადაც ასპარეზობა მიმდინარეობს, ძალიან ცივა, იმისთვის რომ შეჯიბრება გაიმართოს. გუშინ შაერის ტემპერატურა მინუს 23 გრადუსამდე დაეცა.

H1 თბილისი სანიკიძე ასაკი-18, 170/90/64/92, თვალი - სოსლური, თმა - ნაბლის

H2 ნათია ნებიერიძე ასაკი-14, 182/90/61/90, თვალი - ყავის, თმა - ნაბლის

H3 ქეთევან დათაბაშვილი ასაკი-18, 165/80/60/88, თვალი - სოსლური, თმა - ნაბლის

H4 ხათუნა ქანდელაკი ასაკი-17, 165/83/64/85, თვალი - ყავის, თმა - ნაბლის

H5 მარა მიდელიშვილი ასაკი-22, 166/84/67/88, თვალი - მწვანე, თმა - ნაბლის



H6 ნათია ფაღლავა ასაკი-16, 169/80/59/84, თვალი - ყავის, თმა - ნაბლის



ხილიანის ქუჩაზე, საბჭოთა ეპოქის სოცრეალისტური არქიტექტურის უსახური გარემო გაახალისეს საზოგადოება "არსმა" და მხატვარმა გია ბუღაძემ სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთან ერთად

ლევანი ბერიკაშვილის ფოტო

კონტექსტი

არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ევროპული კონვენციის განმარტებითი ბარათი

დასასრული
დასაწყისი იხ. №146, 160

მუხლი 7

განახლებული შედეგების, ინვენტარიზაციისა და არქეოლოგიური ზონების რუქების საჭიროება, როგორც ამას მოითხოვს მე-7 მუხლის პარაგრაფი i, უკვე ნახსენებია მე-5 მუხლით. შეუძლებელია მიწის პრევენტიული ადმინისტრაციის შექმნა.

არქეოლოგიური ნაკვეთის გათხრა გულისხმობს, იკომოს-ის ქარტიის სიტყვებით, "აუცილებლობას გაკეთდეს იმ მასალის სელექცია, რომელიც უნდა გატარდეს დოკუმენტაციაში და შენარჩუნდეს, სხვა ინფორმაციის დაკარგვის ან ძეგლის სრული განადგურების ფასადაც კი". შეუძლებელია ნაკვეთის მთლიანად აღდგენა. გათხრა მხოლოდ მეცნიერული მიზნებისთვის უნდა ხდებოდეს და ამგვარად, გამთხრების მოვალეობაა გაავრცელოს ინფორმაცია, რომელიც გათხრის შედეგად მიიღო.

ინფორმაციის გავრცელება აგრეთვე მნიშვნელოვანია კონვენციაში ნახსენები სხვა მიზნების მისაღწევადაც, მაგალითად, მე-9 მუხლის საზოგადო განათლება.

ჩვეულებრივ, ინფორმაცია ცნობილი ხდება შედეგების გამოქვეყნებით. ეს შეიძლება განხორციელდეს თვით არქეოლოგიური სამუშაოების დამთავრებიდან დიდი ხნის შემდეგ, ვინაიდან ხშირად უნდა მოხდეს მრავალი სპეციალისტის ნამუშევრის კოორდინაცია და ანალიზი. მუხლი არ მიდის იმდენად შორს, რომ განკარგოს გამოცემა, მაგრამ სთხოვს სახელმწიფოებს, რომ მიღებულ იქნას "ყველა პრაქტიკული ზომა", რათა გამოქვეყნდეს პირველ რიგში მეცნიერული სინთეზური ნაშრომი, ან წინასწარი ანგარიში, და მეორეც, საბოლოო, დეტალური ნაშრომი. პირველში საუბარი იქნება იმაზე, თუ რა იქნა აღმოჩენილი, ხოლო მეორეში იქნება სამუშაოების შედეგების შედარებითი ანალიზი.

მუხლი 8

ამ მუხლში საუბარია ინფორმაციის გავრცელებაზე, რომელიც მიღებულია არქეოლოგიურ მემკვიდრეობაზე მუშაობის შედეგად. პირველი მეთოდია არქეოლოგიური მემკვიდრეობის ელემენტების გაცვლა-გამოცვლა, რისი გაადვილებაც სახელმწიფოებს ევალებათ. ეს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს მრავალი კუთხით. ნიმუშები გამოიყენება მომავალი არქეოლოგებისა და სხვა სპეციალისტების მოსამზადებლად. გაცვლა ასევე შეიძლება იყოს საშუალება, რომ არქეოლოგიური მემკვიდრეობის ნიმუშები შესწავლილ იქნას უფრო თანამედროვე მეცნიერულ დონეზე, ვიდრე ეს მოხდებოდა სხვა შემთხვევაში, მაგალითად იშვიათი და ძვირადღირებული დანადგარების გამოყენებით. ამგვარად, ასეთი გაცვლები არქეოლოგებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის უმნიშვნელოვანესია არქეოლოგიური მეცნიერებისათვის. სახელმწიფოების საზრუნავია, რომ ასეთი გაცვლების გზაზე, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, არ შეიქმნას წინააღმდეგობები. ამავე მუხლით სახელმწიფოებს ეთხოვებათ იხმარონ ყოველი ღონე, რათა შექმნან ხელსაყრელი პირობები ასეთი გაცვლებისათვის, მაგალითად ორმხრივი შეთანხმებების ან კიდევ მსგავსი პროცესების ხელისშემწყობი პროცედურების ჩამოყალიბებით.

გავრცელების მეორე ასპექტია სახელმწიფოების მიერ არქეოლოგიური კვლევებისა და მიმდინარე გათხრების შესახებ ინფორმაციის გაცვლის გაადვილება. აღმოჩენა ერთ სახელმწიფოში შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი გახდეს კვლევისათვის სხვებში. ამავე დროს, მე-8 მუხლის ii პარაგრაფის მეორე პირობა - საერთაშორისო კვლევითი პროგრამების ორგანიზება - გააადვილებს ინტეგრირებულ მიდგომას მეცნიერული პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც საერთოა მრავალსახელმწიფოიანი რეგიონებისათვის.

მუხლი 9

მე-9 მუხლის პარაგრაფი i იხილავს საზოგადოების შეგნებულობის საკვანძო საკითხს. საბოლოოდ, ნებისმიერი არქეოლოგიური სამუშაო საზოგადოების სასარგებლოდ ტარდება - ჩამოყალიბდეს ადამიანში იმის შეგნება, თუ საიდან მოდის იგი და რატომ არის ისეთი, როგორიც არის. სწორედ ამგვარი სამუშაოთი დგინდება ისტორია და დღის შუქზე გამოდის წარსული ცივილიზაციების ქმნილებები. საზოგადოებას დიდი ინტერესი აქვს და ჰქონდა ამგვარი საკითხებისადმი. მაგრამ მაინც საჭიროა ამ ინტერესის გაფართოვება და მოვლა. ამის შედეგია არა მარტო უფრო განათლებული და მცოდნე საზოგადოება, მაგრამ აგრეთვე თვით არქეოლოგიური მემკვიდრეობის უკეთესი დაცვა. საზოგადოება, რომელსაც შეგნებული აქვს ამ მემკვიდრეობის ღირსება, ნაკლებად მოინდომებს, რომ მას ზიანი მიაყენონ ან განადგურდეს; ასეთი საზოგადოება შეიძლება უფრო მზად იყოს, გაიღოს სახსრები მემკვიდრეობაზე მეტი ინფორმაციის მისაღებად.

იმისათვის, რომ სრულად დააფასოს არქეოლოგიური მემკვიდრეობის ღირსება, საზოგადოებას უნდა შეეძლოს ნაკრძალებისა და ნიმუშების დათვალიერება. ეს განათლების პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და უმთავრესი მეთოდი ფესვებისა და თანამედროვე საზოგადოების გაგების გასაღრმავებლად. იკომოს-ის ქარტია ამბობს: "ექსპონატების წარმოდგენა და ინფორმაცია უნდა იყოს მოწყობილი, როგორც ცოდნის თანამედროვე მდგომარეობის პოპულარული ინტერპრეტაცია და ამიტომ ხშირად უნდა გადაისინჯოს.

მან უნდა გაითვალისწინოს წარსულის გაგებისადმი მრავალწახნაგოვანი მიდგომა".

აღიარებულია რა, რომ საზოგადოებას აქვს უფლება შეეხოს წარსულს არქეოლოგიური მემკვიდრეობის ფორმით, ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ უფლებაზე მას უარი უნდა ეთქვას მემკვიდრეობის დაცვის მიზნით. ასეთ შემთხვევებში უნდა გამოიძებნოს ალტერნატიული მეთოდები აღმოჩენების წარმოსადგენად, მაგალითად სრულმასშტაბიანი ასლები ან განმარტებითი ექსპოზიციები.

მუხლი 10

მუხლი შეიცავს რამდენიმე ვალდებულებას, რომლებსაც გადასინჯულ კონვენციაში გაწევრიანებისას აიღებს სახელმწიფო, არქეოლოგიური მემკვიდრეობის ელემენტების უკანონო გადაადგილების პროფილაქტიკის მიზნით. მუხლის ტექსტი მიუთითებს, რომ "უკანონო გადაადგილება", ამ კონტექსტში, ნიშნავს საგნებით ვაჭრობას, რომლებიც უკანონო გათხრების შედეგადაა მოპოვებული ან მოპარულია ოფიციალური გათხრებიდან. პირველ შემთხვევაში ეს არის გათხრები, რომლებზეც არ იქნა გაცემული ნებართვა იმ პროცედურების დაცვით, რომლებიც მიღებულია მე-3 მუხლის პარაგრაფ i-ში. ოფიციალური გათხრები, რომლებმაც მიიღეს ასეთი ნებართვა. შეუძლებელია სრულიად აღიკვეთოს არქეოლოგიური მემკვიდრეობის ელემენტების გამოტანა ამ ზონებიდან, თუნდაც მეტად მკაცრი ჩხრეკვის დაწესებით. ბევრი ნივთის საბაზრო ღირებულება, რომელიც ნაპოვნია ევროპაში, იმდენად მაცდურია, რომ დაძლევს ყველანაირ სანქციას და დაცვას. ამ ტიპის ქმედებისგან საუკეთესო დაცვაა საზოგადოების შეგნების აღზრდა, განსაკუთრებით იმისა, რომ ნივთის თავისი კონტექსტიდან ამოღება არა მარტო ნივთების მეცნიერულ ღირებულებას აქვეითებს, არამედ ზიანს აყენებს თვით ზონებსაც. ნივთების უკანონო მოძრაობა შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობით, ერთმანეთისთვის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გადაცემით და ბაზარზე საეჭვო ნივთების გამოჩენის შემთხვევების შეტყობინებით.

ამ საკითხთან დაკავშირებით მუხლი 10 მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა გაცვალონ ინფორმაცია უკანონო გათხრების შესახებ. ამ გაცვლის სისტემის ჩამოყალიბებისას სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს კანონმდებლობა პირადობის პატივისცემის შესახებ. სახელმწიფოები ერთმანეთს შეატყობინებენ, თუ შეთავაზებულ იქნება საეჭვო ნივთები, რომლებიც უკანონო გათხრების შედეგადაა მოპოვებული ან მოპარულია ოფიციალური გათხრებიდან. ხაზი უნდა გაესვას, რომ ეს მოთხოვნები არ აიძულებს ქვეყნებს მოიმოქმედონ რამე, თვითონ ეძიონ უკანონო გათხრები ან საეჭვო წინადადებები. მათ მხოლოდ მოეთხოვებათ მიიღონ ზომები, როცა შეიტყობენ ასეთი გათხრების ან წინადადებების შესახებ.

მე-10 მუხლის პარაგრაფ iii-ში მოცემული შეზღუდვა დღეისათვის მრავალი მუზეუმის შესყიდვის წესებში და წესდებებშია გათვალისწინებული. მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს 1986 წლის პროფესიული ეთიკის კოდექსში ნათქვამია, რომ მუზეუმმა არ უნდა შეისყიდოს ნივთები, თუკი არსებობს "საღი საფუძველი იფიქრო, რომ მათი მოპოვება დაკავშირებულია ძველებური ძეგლების ან არქეოლოგიური ზონების ბოლოდროინდელ არამეცნიერულ ან შეგნებულ განადგურებასთან ან ზიანთან, ანდა მისი აღმოჩენა დაუმალეს მიწის პატრონს ან მოსარგებლეს, შესაბამის კანონიერ თუ სამთავრობო ხელისუფლებას" (პარაგრაფი 3.2). ბევრ სახელმწიფოში ეს პრაქტიკა მიღებულია როგორც კერძო მუზეუმებში, ასევე საზოგადოებრივებშიც. შესაბამისად, მე-10 მუხლის პარაგრაფ iii და iv-ში მოცემული ვალდებულებები გააძლიერებს ასეთ პრაქტიკას და აიძულებს იმ დაწესებულებებს, რომლებსაც ჯერ არ მიუღიათ ასეთი პოლიტიკა, გადახედონ თავიანთ პოზიციას.

გადასინჯული კონვენციის პროექტის მომზადებისას ზოგიერთმა დელეგაციამ აღნიშნა, რომ შეიძლება მოხდეს ისე, რომ მუზეუმმა შეისყიდა არაკანონიერად მოპოვებული ნივთი, რათა გადაერჩინა იგი მოსპობას. შეთანხმდნენ აგრეთვე იმაზე, რომ მე-10 მუხლის დებულებები რეტროაქტიული არ იქნება.

მუხლი 11

ძირითადი იურიდიული და პრაქტიკული პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია არქეოლოგიური მემკვიდრეობის ელემენტებით უკანონო ვაჭრობასთან, მეტად რთულია. ეს პრობლემები სცდება კონვენციის ძალებს, რომლის ძირითადი საგანია არქეოლოგიური ძიება და ზონების მართვა. შესაბამისად კონვენცია მე-11 მუხლში აცხადებს, რომ მისი არცერთი დებულება არ ეწინააღმდეგება არსებულ თუ მომავალ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, რომლებიც ეხება ამ საკითხებს. სხვა სიტყვებით, კონვენცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ასეთი ხელშეკრულებების ინტერპრეტაციის, მისი მოქმედების შემცირების თუ გაზრდისათვის.

უნდა ვახსენოთ ის ინსტრუმენტები, რომლებიც არსებობდა გადასინჯული კონვენციის ხელმოსაწერად გახსნის წინ - კულტურული კუთვნილების წინააღმდეგ დარღვევების ევროპული კონვენცია, მომზადებული ევროპის კავშირის მიერ და გახსნილი ხელმოსაწერად 1985 წელს. სხვა მნიშვნელოვანი კონვენცია არის იუნესკო-ს კონვენცია კულტურული კუთვნილების უკანონო იმპორტის, ექსპორტის და მესაკუთრეობის გადაცემის შესახებ (პარიზი, 1970 წლის 14 ნოემბერი). 1991 წლის აპრილისათვის სამოცდაცხრა სახელმწიფო იყო ამ კონვენციის მონაწილე, ევროპის საბჭოს წევრთა გარდა, შემდეგები: კვიპროსი, ჩეხოსლოვაკია, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, პორტუგალია, ესპანეთი და თურქეთი. ხუთი სახელმწიფოდან, რომლებსაც აქვთ ევროპის საბჭოს სპეციალური სტუმრის სტატუსი, სამი - ბულგარეთი, პოლონეთი და იუგოსლავია - არიან იუნესკო-ს 1970 წლის კონვენციის მონაწილენი.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შეიძლება შეეხოთ სოციალისტური სახელმწიფოების 1986 წლის ხელშეკრულება თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე, რომელიც ეხება სახელმწიფო საზღვრებზე უკანონოდ გადატანილი კულტურული კუთვნილების დაკავებას და დაბრუნებას.

სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტები განხილვაშია წინამდებარე გადასინჯული კონვენციის ხელმოსაწერად გახსნის დროისათვის.

მუხლი 12

ტექნიკური დახმარების აღმოჩენა არის მეტად ეფექტური ასპარეზი, რომელზედაც სახელმწიფოებს შეუძლიათ ერთად მუშაობა არქეოლოგიური მემკვიდრეობის დასაცავად.

მე-12 მუხლის მეორე პარაგრაფი გამოთქვამს სურვილს განვითარდეს არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის დარგში მომუშავე პირთა გაცვლა. ეს განსაკუთრებით ეხება სხვადასხვა სექტორში კადრების მომზადების მესვეურებს. ეს ხაზგასმულია იკომოს-ის ქარტიაში: "მაღალი აკადემიური დონე სხვადასხვა გათხრებში უმნიშვნელოვანესია არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვაში. სათანადოდ, კვალიფიციური პროფესიონალების საკმარისი რაოდენობის მომზადება ექსპერტიზის შესაბამის დარგებში უნდა იყოს ყველა ქვეყნის განათლების პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიზანი". სპეციალობებში იგულისხმება არა მხოლოდ არქეოლოგები და მონაცემთა ანალიზთან პირდაპირ დაკავშირებული სპეციალისტები, არამედ ისინიც, ვისაც ეხება ზონების მომზადება მნახველებისათვის.

მუხლი 13

იმისათვის, რომ გადასინჯული კონვენცია რაც შეიძლება ეფექტურად სრულდებოდეს, მიზანშეწონილად ჩაითვალა კომიტეტის შექმნა, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს მის ცხოვრებაში გატარებას. მსგავსი კომიტეტი უფლებამოსილია არქიტექტურული მემკვიდრეობისათვის 1985 წლის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის ევროპულ კონვენციაში.

ამ კომიტეტს მოეთხოვება პერიოდულად მოახსენოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკის მდგომარეობაზე.

შემდგომში კომიტეტს მოეთხოვება შესთავაზოს მინისტრთა კომიტეტს ზომები, რომლებიც გაადვილებს გადასინჯული კონვენციის გატარებას. ეს ზომები შეიძლება იყოს რეკომენდაციები წევრი სახელმწიფოებისათვის, წინადადებები ევროპის საბჭოს სამთავრობათშორისო სამუშაო პროგრამებთან დაკავშირებით ან ნებისმიერი სხვა წინადადება, რომელიც ეხება მრავალმხრივ საერთაშორისო თანამშრომლობას, სახელმწიფოების, ადგილობრივი ხელისუფლების და ევროპის საზოგადოებრიობის ინფორმირებას და სტიმულირებას.

კომიტეტს აგრეთვე მოეთხოვება რეკომენდაციები წარუდგინოს მინისტრთა კომიტეტს ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფოების გადასინჯულ კონვენციაში გასაწევრიანებლად მოსაპატიჟებლად.

მუხლები 14-დან 18-მდე

მე-14-დან მე-18-მდე მუხლებში მოცემული დასკვნითი დებულებები ეფუძნება ევროპის საბჭოს კონვენციებისა და ხელშეკრულებების ტიპურ დასკვნით დებულებებს.

ჩვენთან, თბილისში

წერილი რედაქციას

ამას წინათ, გაზეთში "24 საათი" გამოქვეყნდა სტატია "ფარდა", რომელსაც აქვს ბატონების დ. მაღრაძისა და გ. მირზაშვილის დიალოგის ფორმა. ის პოლიტიკური ხასიათისაა და დამშვენებულია ტექსტისათვის სრულიად შეუსაბამო პეიზაჟებით. რატომღაც, აქვეა არქიტექტორ ო. კალანდარიშვილის შემოქმედების ღვარძლიანი კრიტიკა.

ბუნებრივია, მე - ოთარ კალანდარიშვილმა, მაშინვე ჩამოვაყალიბე ყველა მათი პრეტენზიის საპასუხო მასალა რბილი და თავაზიანი ფორმით. გაზეთმა "24 საათი" გამოაქვეყნა ჩემი პასუხები ასეთი კომენტარით: "იბეჭდება მცირედი შემოკლებით"(?!). აი, სწორედ ეს თითქოსდა უმანკო შენიშვნა არის ის ბოროტება, რომელიც გაზეთმა ჩაიდინა. რა არის ეს მცირედი შემოკლება? - ეს არის ჩემი პასუხების ორი მესამედი, ანუ არ დაიბეჭდა ის ძირითადი ნაწილი, რაც ჩემი პასუხების დედააზრს წარმოადგენს. (თერთმეტი ნაბეჭდი გვერდიდან მხოლოდ ოთხი გამოქვეყნდა) - ეს არის მცირედი შემოკლება? - როგორც სხვა გაზეთის რედაქციებში განმიმარტეს - ეს არის ეთიკის ნორმების მეტად უხეში დარღვევა - ასე კვალიფიცირდება სტატიის ამგვარი შემოკლება ყველა ცივილურ ქვეყანაში. ასეთი საქციელი კი დიდ ჩრდილს აყენებს გაზეთს "24 საათი". ეს არის აშკარად ამორალური ქმედება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გაზეთის იმ ნაწილს, "ქალაქი" რომ ჰქვია, სადაც ჩემი პასუხები ასეთი შემცირებით დაიბეჭდა, ხელმძღვანელობს თავად დ. მაღრაძე, ასე რომ, ეტყობა, რასაც მოისურვებს, იმას ბეჭდავს. ჩემს შემთხვევაშიც მანვე განსაზღვრა, რომ პასუხები შეემცირებინა ნახევარზე მეტად - ალბათ, იფიქრა, ვინ რას გაიგებსო - არა, ბატონო დავით, შეგეშალათ, ამას უკვე ყველა გაიგებს! თქვენ მე ბრალს მდებთ მელიქ-აზარიანცის შენობის" ამპუტაციაში", "მშვენიერი ელბაქიძის აღმართის" დაკარგვაში და რომ "ივერია" და მისი მიდამო რესპუბლიკის მოედანთან ერთად მოგაგონებთ რაიონულ ცენტრს. ამავ დროს თავად სჩადიხართ ამპუტაციის უნახავ ქმედებას!

მოკლედ ჩამოვაყალიბებ დაბეჭდილი პასუხების ძირითად თეზისებს:

1. პასუხების იმ ნაწილში, რომელიც ეხება მელიქ-აზარიანცის შენობის თითქოსდა დამახინჯებას, მე განვმარტავ, რომ თავად ამ სახლს მრავალი სპეციალისტისა და მათ შორის აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის რეკომენდაციით ერთი ქვაც არ მოჰკლებია, პირიქით, მოვაპირკეთეთ სახლის ორი შეუმოსავი კედელი.

2. მოზარდ მაყურებელთა თეატრის ახალგაზრდობის მხატვრული აღზრდისათვის სრულიად შეუფერებელი მოცულობა მრავალგზის განსჯის შედეგად მოიხსნა, ხოლო მსახიობთა დასი გადაყვანილ იქნა რკინიგზელთა კეთილმოწყობილ თეატრალურ შენობაში. მაშინვე დაისახა ახალგაზრდობისათვის სრულყოფილი თეატრალური შენობის აგების აუცილებლობა. ვინ აჯანჯლებს დღემდე ამ საკითხს, ჩემთვის უცნობია. ეს პრობლემა ყოველთვის ეკუთვნოდა კულტურის სამინისტროს, რომლის თავკაცი ერთ დროს თავად დ. მაღრაძე გახლდათ.

3. ბატონებს დ. მაღრაძეს და გ. მირზაშვილს შევახსენებ, რომ "მშვენიერი ელბაქიძის" კი არა (თავად მშვენიერი ელბაქიძე არასოდეს ყოფილა) ელბაქიძის სახელობის მშვენიერი აღმართი არ დაკარგულა! იქ შეკეთდა მხოლოდ საყრდენი კედელი და შადრევანი "სამაია".

4. არც ამორტიზირებული სახლის ნესტიან სარდაფში გამქრალა ე.წ. "ზემელის აფთიაქი". ეს დაწესებულება გადაყვანილი იქნა იქვე, მელიქ-აზარიანცის მაღალჭერიან დარბაზებში. ფართო, ტევადი, ნათელი დამხმარე სათავსებით, რასაც აფთიაქის კოლექტივი დიდი მადლიერებით შეხვდა და სულ იმას იხსენებენ, რომ ძველი აფთიაქის შენობის სინესტემ იქ მომუშავეთა ნახევარი რევმატიზმით დააავადა, ხოლო რაც შეეხება აფთიაქში იმ დროს არსებულ პრეპარატებს, სინესტე მათ სერიოზულ დაზიანებას იწვევდა. განა საგანგაშო არ იყო ეს მიზეზები? ხოლო დანგრევის პირას მისული, მრავალჯერ გამაგრებულ იგივე შენობაში მცხოვრებმა თორმეტივე ოჯახმა მიცკევიჩის ქუჩაზე მიიღო ბინა, კომფორტული, კეთილმოწყობილი და ჯანმრთელი.

გაუგებარია, რას მისტირიან სტატიის ავტორები "ფარდა", თუ მათ მაინცდამაინც გერმანელი პროვიზორების აფთიაქების ბედი აღელვებთ, მაშინ რატომ არ დაინტერესდნენ მართლაც მეტად მნიშვნელოვანი სხვა ორი - ვილარეტისა და ოტტენის აფთიაქებით? განსხვავებით ე.წ. "ზემელის აფთიაქისა", ისინი მოთავსებულნი იყვნენ ჯანმრთელ, მზით განათებულ შენობებში, რომელსაც ამშვენებს მუქი ხის მდიდრულად დამუშავებული კარადები, შიგ მოთავსებული უცხოეთში საგანგებოდ დამზადებული თეთრი ფაიფურის ჭურჭლითა და შავი ლათინური ასოებით, სადაც საგანგებო, ჯანმრთელი მიკროკლიმატის პირობებში ინახებოდა საჭირო ქიმიური პრეპარატები (წამლები).

ახლა, რაც შეეხება ჩემი პასუხების დაბეჭდილ ნაწილს, ეს ის ნაწილია, რომელიც მაინცდამაინც არ ბღალავს სტატიის ავტორების ავტორიტეტს. ისინი და ალბათ უფრო მეტად ბატონი დ. მაღრაძე შეშფოთდნენ ჩემი პასუხების დანარჩენი ორი მესამედით, ანუ იმით, რაც ეხებოდა "ივერიის" და რესპუბლიკის მოედნის დიდი მნიშვნელობის უტყუარ დოკუმენტების გამოქვეყნების პერსპექტივით, რაც ხალხს დაანახვებდა სტატიის - "ფარდა" ავტორების სრულ არაკომპეტენტურობას და მზაკვრულ ჩანაფიქრს.

მოგმართავთ გაზეთ "24 საათი"-ს თავკაცებს - რედაქტორს და განყოფილება "ქალაქი"-ს წამყვანს: გაზეთში გამოქვეყნებულმა სტატიის მართლაც ამპუტაციამ მაიძულა მიმემართა იურისტებისათვის, რომლებმაც ნათლად განმიმარტეს, რომ გაზეთის ზემოთ მოყვანილი ქმედება არის პრესის ეთიკური ნორმების მეტად უხეში დარღვევა, რაც მაძლევს სრულ უფლებას, მივმართო სასამართლოს, სადაც იმას კი არ გაარჩევენ, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი - არა! სასამართლო თუ დაადასტურებს, რომ ჩემი პასუხები მართლაც ასე უსინდისოდ შეიკვეცა ორი მესამედით, გაზეთ "24 საათს" დაეკისრება ჩემი მორალური შეურაცხყოფისათვის მატერიალური ანაზღაურება, რომლის რაოდენობასაც მე თავად განვსაზღვრავ.

მე უკვე გამოვნახე საშუალებები ჩემი პასუხების სრული მოცულობით გამოქვეყნებისა. მართალია, ეს საკმაოდ ძვირადღირებული ქმედებაა, მაგრამ იგი უხვად იქნება კომპენსირებული პასუხების გამოქვეყნების შედეგად, რაც სრულ საფუძველს მისცემს სასამართლოს გამოიტანოს თავისი მკაცრი ვერდიქტი.

ამ მიწერ-მოწერაში დაიკარგა საკმაოდ დიდი დრო. ჯერ იყო და რის ვაი ვაგლახით მივაგენი იმ ნომერს, სადაც დაიბეჭდა ჩემი პასუხების ნაწილი, მერე არცთუ ისე ადვილი იყო საპასუხოდ შესაბამისი ორგანოს გამონახვა. ამდენად მე უმორჩილესად გთხოვთ, ამ კვირის მანძილზე (18-23.XI) მაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება, ანუ დაბეჭდავს "24 საათი" ჩემს პასუხებს სრული მოცულობით, ყოველგვარი "მცირე" შემოკლებით თუ არა? თუ მე პასუხს არ მივიღებ ამ ვადებში, იძულებული ვიქნები ვიმოქმედო კანონის შესაბამისად.

მეტად სამწუხაროა, რომ ნაცვლად პროექტირებისა, მე მიხდება უხამსობას სასამართლოს მეშვეობით ვებრძოლო.

პასუხის მოლოდინში რესპუბლიკის
დამსახურებული არქიტექტორი
ო. კალანდარიშვილი
17.XI-2002 წ.

P.S. ისე კი, საოცარია ისიც, თუ როგორი გულისტკივილით საუბრობენ სტატია "ფარდა"-ს ავტორები, მელიქ-აზარიანცის თითქოსდა რაღაც ამპუტაციაზე, რაშიც თავად დარწმუნდნენ, რომ მათი მოსაზრება აბსოლუტურად უსაფუძვლოა. საინტერესოა, რას იტყოდნენ ისინი, მე რომ ხსენებული სახლის ორი მესამედი მომეშალა. და აი აქვე, ამ თემასთან დაკავშირებით თავად ჩადიან ჩემი სტატიის მეტად დაუშვებელ ამპუტაციას. აშკარაა, რომ მათ არავითარი სულგრძელობა არ ეყოთ, ჩემი პასუხები ამ მასშტაბური ამპუტაციის გარეშე დაებეჭდათ. ამ მასალასთან ერთად ვაცნობ ბატონ დათოს იმ ხალხის საქციელის შედეგებს, რომლებსაც ის გამოექომაგა ჩემი პასუხების მომიჯნავე სტატიაში. საუბარია თარხნიშვილის ჩიხი №3 მაცხოვრებლების გაუთავებელ ბოროტმოქმედებებზე და სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

** ავტორის სტილი დაცულია*

ძველი პასუხი ახალი პოსტსკრიპტუმით

ფარდა! დაუშვით ფარდა!

ბატონო ოთარ, გავეცანი თქვენს წერილს და შემექმნა შთაბეჭდილება, რომ თქვენ მართლაც გულწრფელად დიდ გამარჯვებად მიგაჩნიათ "ზემელის" გაქრობა და მის სანაცვლოდ "რესპუბლიკის მოედნის" გაშენება. აფერუმ! სხვა სიტყვა ვერ მომიძებნია.

რაც შეეხება იმას, რომ პოეტი რატომღაც დავინტერესდი ქართული თანამედროვე არქიტექტურის საკითხებით, უნდა მოგახსენოთ: თქვენ და თქვენს იმ კოლეგებს, რომელთან ერთადაც ასე სვამთ საკითხს, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა გქონიათ არა მარტო პოეზიისა და პოეტის დანიშნულებაზე, არამედ თქვენივე პროფესიასთან დაკავშირებულ საგანზეც. ასე რომ არ იყოს, კულტურულ მემკვიდრეობასთან და ქალაქმშენებლობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონვენციებზე, რომელთაც საქართველო მიუერთდა, ზერელე წარმოდგენა მაინც გექნებოდათ, სადაც აღნიშნულია, რომ ქალაქის მაცხოვრებლებს (განურჩევლად პროფესიისა) არათუ უფლება აქვთ ჩაერიონ საკუთარი ქალაქის განვითარების პროცესში, არამედ ეს მათი მოვალეობაცაა.

ჩვენ სრულიად სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ (არ ვგულისხმობ ქართულ ენას, აზროვნების კატეგორია მაქვს მხედველობაში). ამდენად, თქვენთან პოლემიკას ვერ გავაგრძელებ. მხოლოდ ერთს გეტყვით, რითიც მე და გიორგი მირზაშვილმა საუბარი დავიწყეთ - ფარდა!

ისეთი განცდა მაქვს, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად საქართველოში გამართულ უნიჭო სპექტაკლზე კვლავ იძულებით ვზივარ!

და ჩვენგან ერთადერთი შეძახილი ისმის:

- ფარდა! დაუშვით ფარდა!!

დათო მაღრაძე

P.S. ვინაიდან, ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, ბატონ ოთარ კალანდარიშვილთან პოლემიკას არ ვაგრძელებ, ამჯერად მკითხველს მივმართავ.

ადვილად შეამჩნევდით, რომ ჩვენი განზრახვა და მიზანი მართლაც უხამსობა და სულმოკლეობა რომ იყოს, როგორც ამას რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი გვიკიჟინებს, მაშინ ყველა იმ "სატოპკეს" ირონიით დავარტყამდით, რომელიც თითქმის ყველა აბზაცში ისე უხვად ასწია ბატონმა ოთარმა, რომ ფრენბურთელთა მთელ გუნდსაც გაუჭირდებოდა.

ჩვენს შორის ასაკობრივი სხვაობა ამის ნებას არ მაძლევს. ერთს კი დავძენ:

საბჭოთა ეპოქაში, როცა გიგანტური ნაბიჯებით მუდმივ წარმატებებსა და გამარჯვებებში ვიწრთობოდით, რაღა თქმა უნდა რესპუბლიკის მოედანიც ერთ უზარმაზარ გამარჯვებად შეირაცხებოდა და მაშინდელი ხოტბა-დიდება ბატონ ოთარს მოედნის უზარმაზარი მნიშვნელობის უტყუარ დოკუმენტებად მიუჩნევია.

ამასთან დაკავშირებით, დამატება "დედაქალაქი" უახლოეს მომავალში მრგვალ მაგიდასთან მოიწვევს მართლაც კვალიფიციურ სპეციალისტებს (არქიტექტორებს, ურბანისტებს, კონსტრუქტორებს, აგრეთვე მხატვრებს, მწერლებს და ა.შ.) და შექმნის მართლაც უტყუარ დოკუმენტს რესპუბლიკის მოედნის შესახებ.

და ერთიც, ბატონო ოთარ, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ **რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორობა**, მაგრამ პირადად ჩემთვის, ჩემი მეგობრებისათვის და ბევრი თბილისელისთვის თქვენ ხართ **რესპუბლიკის მოედნის დამსახურებული არქიტექტორი.**

არქივი

ოჯახი, სახლი, ქუჩა

კოკა იგნატოვი

რით დავიწყო?

ალბათ მშობლებით... ყველა ბიოგრაფია რატომღაც ამით იწყება. თან მე იმ დროების კაცი ვარ, აუცილებლად უნდა გეხსენებინა, რა სოციალური წარმოშობის იყავი. ჩემი მშობლები მოსამსახურეები იყვნენ: მამაჩემი ინჟინერი იყო, ტექნოლოგი, დედაც - ინჟინერი. დედა, მართალია, აღარ მუშაობდა - ახალგაზრდობაში უმუშავია ცოტა ხანი.

ხშირად მეკითხებიან, ვინმე თუ გყავდა ოჯახში ხელოვნებასთან დაკავშირებულიო. დედ-მამა არა და სამაგიეროდ ბებია იყო მსახიობი, მისი სახელი და გვარია ელენე ჩიქოვანი-გოგიასი. საკმაოდ ცნობილი მსახიობი იყო იმ დროისთვის, ახალგაზრდობაში ქუთაისში მოღვაწეობდა და პარტნიორობას უწევდა დიდ ლადო ალექსი-მესხიშვილს. შემდეგ, როცა ლადო თბილისში გადმოვიდა, ბებიაჩემიც აქ მსახიობობდა - ნაძალადევის მუშათა თეატრში იყო და ნათამაშევი აქვს, თუკი რამე მთავარი როლებია შექსპირის, შილერის და სხვათა პიესებში, უმთავრესად კი ქართულ პიესებში - "სამშობლო", "ღალატი", "პატარა კაცი", "ქრისტინე". მერე ბაბუაჩემმა, მირიან ჩიქოვანმა, დაანებებინა სცენას თავი გათხოვების შემდეგ და, რამდენადაც მახსოვს, ის შემოქმედებითი ენერგია ბებიამ თითქმის მთლიანად გადაიტანა აზარტულ თამაშებში. ძალიან უყვარდა თამაში: ლოტო, კონჩინა, ფურთი... მასთან იკრიბებოდნენ მეგობრები და სცენის ნოსტალგია სიცოცხლის ბოლომდე თამაშით და შვილების აღზრდით შეავსო. ძალიან საინტერესო ბებია მყავდა. გარდაიცვალა 60-იანი წლების დასაწყისში. სხვათა შორის, სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე შალვა დადიანმა - მაშინ იგი საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე იყო - გაიხსენა ჩვენი ბებია... ამოქექეს არქივებიდან საბუთები, ძველი ფოტოები და მოუწყეს ნაძალადევის თეატრის შენობაში (იმხანად იქ რკინიგზელთა კლუბი იყო) იუბილე. საზეიმო ნაწილის შემდეგ მეორე ნაწილიც იყო, სადაც უკვე 80 წელს მიღწეულმა ბებიაჩემმა ითამაშა ქრისტინეს როლი ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით შექმნილ პიესაში. ძალიან უცნაური იყო ჩვენთვის ბებიის სცენაზე გამოჩენა. მე პატარა დისშვილი მყავდა უკვე, 3-4 წლის და, როცა ქრისტინე სცენაზე დაეცა, პარტერიდან გამოვიდა აღრიალებული - "ვაიმე, ბებიკოო!" - ძალიან სასაცილო იყო.

ეტყობა, არტისტული რაღაცა მქონია გენებში, თუმცა ეს, მართალი რომ გითხრათ, ჩემი ცხოვრების პირველ წლებში არაფერში მეტყობოდა. ჩემი მხატვრობისადმი მიდრეკილება ერთგვარად გამოიხატა ალბათ მეშვიდე-მერვე კლასებში - იმის მაგივრად, რომ საქმე მეკეთებინა, დიდი ენთუზიაზმით ვხატავდი კარიკატურებს ამხანაგებზე და განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, მასწავლებლებზე. ვსწავლობდი 42-ე ვაჟთა სკოლაში; წინათ იქ გიმნაზია იყო და ჯერ კიდევ იყვნენ შემორჩენილნი იმ გიმნაზიის ნამდვილი, რომ იტყვიან, ნიკოლოზისდროინდელი მასწავლებლები. ძალიან კოლორიტული მასწავლებლები მყავდა - ძველი ინტელიგენტები, საოცარი ხალხი... ხომ იცით, სიბერე თავისებურ სიმძაფრეს, გამოკვეთილობას აძლევს სახეებს და მე ვხატავდი მათ კარიკატურებს.

მინდა დავუბრუნდე უფრო ადრინდელ პერიოდს.

მიმაჩნია, რომ საინტერესო გასახსენებელი მაქვს, იმიტომ, რომ ვცხოვრობდით ყოფილ ყორღანოვის ქუჩაზე. "ზემელიდან" იწყებოდა ორი პატარა ქუჩა - ყორღანოვის და პეროვსკაიასი (ახლა - ელენე ახვლედიანის). ყორღანოვის ქუჩას მერე დაარქვეს საჯაიას სახელი, შემდეგ - ვაჟა-ფშაველასი, ახლა ლეო ქიაჩელის სახელი ჰქვია. პატარა ქუჩა იყო, ღირსშესანიშნაობა ჰქონდა ორი: ერთი, რომ ქუჩის ბოლოს იყო ჩვენი ცნობილი ლურჯი მონასტერი და რუსული ეკლესია (რუსული ეკლესია მოქმედი იყო და, მახსოვს, ბევრი ხალხი იკრიბებოდა; ლურჯი მონასტერი კი - დაკეტილი, მიგდებული, საწყობად იყო გამოყენებული); მეორე ღირსშესანიშნაობა კი გახლდათ №7 სახლი; იგი ეკუთვნოდა "შინსახკომს" (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს), რომელსაც შემდეგ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო დაარქვეს, ბოლოს კი - სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (მე ვცხოვრობდი მეზობლად - №9 სახლში). ამ "შინსახკომის" სახლში ცხოვრობდნენ იმ დროის "გმირები", უმაღლესი თანამდებობის პირები, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა - ბერიას უახლოესი მეგობრები, კოლეგები და თანამშრომლები. მათთან ერთად მეოთხე სართულზე ცხოვრობდნენ ბერიას დედა და და.

მთელი ჩემი ბავშვობა რაღაცნაირად ამ სახლთან იყო დაკავშირებული - დაახლოებით მეშვიდე-მერვე კლასამდე ვცხოვრობდი მანდ და ბევრი რამ მაქვს ისეთი გასახსენებელი, რომელიც დამახასიათებელია იმ ეპოქისთვის. დღევანდელი გადმოსახედიდან, უმთავრესი მაშინ ალბათ ის იყო, რომ შიშის გრძნობა, რომელიც მთელ ქვეყანაში სუფევდა, ჩვენს ქუჩაზე განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობოდა - რადგან გვერდით ცხოვრობდა სწორედ ის ხალხი, ვინც ნერგავდა ამგვარ განწყობილებას. მამაჩემი ვაჟკაცი იყო, წესიერი კაცი და მასაც კი ფიზიოლოგიურად აშინებდა ყოველი ჩვენგანის ქუჩაში გასვლა, ყველაფერი... როგორც ჩანს, დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვდა მაშინ ცხოვრება, დიდი სიფრთხილე იყო საჭირო - ეს ეტყობოდა საქციელს, ეტყობოდა ყოფას, ეტყობოდა ყოველ დღეს ჩვენი ცხოვრებისა... ჩვენს პატარა, ღამაზ უბანში ძალიან საინტერესო ხალხი ცხოვრობდა, მაგალითად, მხატვარი ელენე ახვლედიანი, პროფესორები გრიგოლ მუხაძე, კონსტანტინე ერისთავი და ბევრი სხვა გამოჩენილი ადამიანი. ეჭვი არ მეპარება - ცხადია, მე არ მიკითხია და დოკუმენტურად ამას ვერ დავადასტურებ, - დარწმუნებული ვარ, რომ ისინიც ისეთივე შიშის ქვეშ ცხოვრობდნენ, როგორც მამაჩემზე მოგახსენებდით.

ჩვენ, ბავშვებს, არაფერი გვანაღვლებდა - მხედველობაში მაქვს ის ომისდროინდელი პერიოდი, როცა ვიყავით 5-6 წლისანი, დაახლოებით 10 წლამდე. ბავშვები მთელი დღე ვთამაშობდით ფეხბურთს - პატარა ქუჩა იყო და ერთი კარები რომ ერთ კუთხეში იყო, მეორე - მეორე კუთხეში. მთელ თავისუფალ დროს ვატარებდით ქუჩაში - მაშინ არ იყო ტელევიზორი, არც რადიო გვქონდა - მე ომის წლებზე მოგახსენებთ. მერე კი, დაახლოებით 1946-1947 წლებში, მახსოვს პირველი რადიო - რა სასიხარულო იყო, საოცარი. მანამდე კი თავისუფალ დროს ქუჩას ვუძღვნიდით, იყო განუწყვეტელი თამაში, დედების ყვირილი, ძალიან იშვიათად მანქანების სიგნალი, - სად იყო მაშინ მანქანები! და თუ რამე მანქანა იყო მსუბუქი, თითქმის ყველა ჩვენს ქუჩაზე იყრიდა თავს. მაშინ ეს იყო კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა ჩვენი ქუჩისა, - ყველაზე საოცარი, დიდი და ძვირფასი იმდროინდელი მანქანები, ნადავლად რომ იყო წამოღებული გერმანიიდან, ეკუთვნოდათ ამ ჩვენი მეზობელი სახლის მცხოვრებლებს. უზარმაზარი, უგრძესი "ლინკოლნები", "პაკარდები", "მერსედესები" სულ აქ იყო და ამიტომ ჩვენ ერთგვარად განვსხვავდებოდით სხვა ბავშვებისგან. იმ დროების საერთო სურათი მოგეხსენებათ: დიდი გაჭირვება, ტალონებით რიგდებოდა ყველაფერი, თეთრი პური თითქმის არ გვახსოვს ბავშვობაში. ერთი მენაგვე ქალი გვყავდა, სომეხი, შეთავსებით მუშაობდა სადღაც მთავრობის სასადილოში დამლაგებლად, იშვიათად მოჰქონდა და ძალიან ძვირად მოგვყიდდა ხოლმე ერთ "ბუხანკა" თეთრ პურს. ის იყო მაშინ ჩვენი ტორტიც, კულიჩიც, ნამცხვარიც და ნაპოლეონიც...

ამ საერთო გაჭირვების ფონზე გამორჩეულად ჩანდა ყოველდღე "შინსახკომის" სახლთან მოსული საბარგო მანქანა, რომელიც დატვირთული იყო ყოველგვარი სურსათით. სურსათი ყუთებით ჩაჰქონდათ ქვევით, იმ დიდი სახლის სარდაფში მოწყობილ საწყობში, სადაც სახლის მაცხოვრებელთათვის ინახავდნენ. პირველ მანქანას მოჰყვებოდა მეორე, რომელსაც მოჰქონდა ყინული (მაშინ არ იყო მაცივრები), ამ ყინულს დებდნენ მოთუთიებულ თაროებზე, - იქ ინახებოდა პროდუქტები. საწყობში ჩადიოდნენ მაცხოვრებელთა მოსამსახურეები და ყველაფერს ინაწილებდნენ. რამდენადაც ჩვენ ვიცოდით ბავშვებისგანაც და ჩვენი მშობლებისგანაც, ხშირად დიდი უსიამოვნება ჰქონდათ დიდი ხალხის ცოლებს - ერთმანეთს ეცილებოდნენ, ვის უკეთესი ნაჭერი შეხვდებოდა.

მე არ დამავიწყდება ერთი ასეთი ეპიზოდი. მეზობლად, ჩვენი სახლის პირდაპირ, ცხოვრობდა კობახიძეების ოჯახი. ყველასთვის ცნობილია საოცარი ნიჭიერების კაცი - მიშიკო კობახიძე, კინორეჟისორი. აი, სწორედ ის იყო ამ ოჯახის შვილი, ჩემზე ორი წლით უმცროსი. მამა ვექილი ჰყავდა, ძალიან კარგი ოჯახი გახლდათ. ერთხელ მიშიკო იყო მძიმედ ავად. არ ვიცი, რა სჭირდა. როგორც ჩანს, მაშინ სხვანაირი მკურნალობა იყო და ყინული დასჭირდათ, ეტყობა, მაღალი სიცხე ჰქონდა. დედამისი, ქალბატონი ანგელინა, იმ დროს გამოვიდა ქუჩაში, როცა მოვიდა ორივე მანქანა - სურსათით და ყინულით - "შინსახკომის" სახლთან და რომ გადმოჰქონდათ ყველაფერი, სთხოვა, ზოდი ყინულის ერთი ზოდი მიეცათ ავადმყოფი ბავშვისთვის. თქვენ წარმოიდგინეთ, გამოვიდა აივანზე ერთ-ერთი მინისტრის - გვარი არ მახსოვს - მეუღლე და აუკრძალა მძღოლს ყინულის მიცემა... არ ვიცი, რამდენად დამახასიათებელია იმ დროისთვის ეს ფაქტი, მაგრამ ასე იყო, მოწმე ვარ ამ ამბისა და იმისაც, როგორ აღშფოთება გამოიწვია ამან ჩვენს ოჯახში.

ფეხბურთის თამაშის გარდა, ყოველი დღე აღსანიშნავი იყო იმით, რომ თავდებოდა ერთი საინტერესო ცერემონიალით. "შინსახკომის" სახლში ცხოვრობდნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახალხო კომისარი, იუსტიციის სახალხო კომისარი, გენერლები და უმაღლესი თანამდებობის პირნი - მოკლედ, ძალიან დიდი ხალხი, ბერიას პირადი მეგობრები. შინსახკომის ნომენკლატურას ჩვევა ჰქონდა ასეთი: სამსახურიდან მოსვლის შემდეგ რომ ისადილებდნენ და ივახშმებდნენ საათის რვაზე, ცხრისთვის გამოდიოდნენ ამ ჩვენს პატარა ქუჩაზე დაახლოებით 7-8 კაცი; ეტყობა, ეშინოდათ სახლში ლაპარაკის - მაგათ ვისი ეშინოდათ, არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად ამით ვხსნი. დაახლოებით ერთსაათიან მოციონს აკეთებდნენ ჩვენს ქუჩაზე - თავიდან ბოლომდე აივლიდნენ-ჩაივლიდნენ და უკან მოსდევდათ უზარმაზარი ავტომანქანა "ლინკოლნი", რომელსაც მართავდა მძღოლი. გვერდზე მაშინ მანქანებს საფეხურები ჰქონდა, ამ საფეხურებზე აქეთ-იქიდან ორი შეიარაღებული კაცი იდგა. ხომ წარმოგიდგენია: ეს 7-8 კაცი ლაპარაკ-ლაპარაკით ნელ-ნელა მისეირნობდნენ და უკან კი მოჰყვებოდათ ამათი სისწრაფითვე ეს მანქანა დაცვით... საზარელი სანახაობა იყო - პატარა სპექტაკლივით, რაღაც ისეთი რიტუალი, კინოში რომ გადაიღოს კაცმა, ალბათ მთელი იმ ეპოქის სიმბოლოდ აღიქმება. მით უმეტეს, თუ წარმოვიდგენთ, რომ ამ რიტუალამდე ერთი საათით ადრე გამოვარდნილი იყო ქუჩაში ყველა ბავშვის დედ-მამა და იყო ჩვენი დევნა და შერეკვა სახლებში - რომ იმ დროისთვის ქუჩა ყოფილიყო "სტერილური". შეგვყრიდნენ სახლებში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისევე, როგორც ჩვენი ოჯახი, სხვა ოჯახებიც ამ დროს ფარდებსუკან დამალულები ადევნებდნენ თვალს იმ სპექტაკლს... მართლა კინოს ან მწერლის კალამს შეუძლია ამის აღწერა; ან როგორი ერთნაირი ჩაცმულობა ჰქონდათ - კარაკულის ქუდები და საყელოები; დიდი თანამდებობის კაცების იერით დადიოდნენ და მეგრულად ლაპარაკობდნენ. მეგრელები იყვნენ ყველანი: ძმები რაფავები, გუგუჩია, კუკუტარია, კუნჭულია, მალანია - ეტყობა, "თავი" იყო შინსახკომისა ეს ხალხი. დასაწყისიდან, ესე იგი, "ზემელის" მხრიდან წამოვიდოდნენ, ლურჯ მონასტრამდე მივიდოდნენ, დაბრუნდებოდნენ; ასე 5-6-ჯერ აივლიდნენ-ჩაივლიდნენ ძალიან ნელი ტემპით ამ მანქანის თანხლებით, მერე შევიდოდნენ ხოლმე სახლში. და ამოისუნთქავდა ქუჩა... ასე თავდებოდა დღე ჩვენს ქუჩაზე.

ოდნავ რომ წამოვიზარდეთ, 8-9 წლის როცა გავხდი, ომიც დამთავრდა, ცოტა გავთამამდით - იმ თაობის ვიყავით ალბათ 10-12 ბიჭი. "შინსახკომის" სახლს ქვევიდან დიდი ბაღი ეკრა, უზარმაზარი ბაღი, რომელიც სავსე იყო არაჩვეულებრივი ყურძნით, ყველანაირი ხილით. ბავშვები ვიყავით და რამდენჯერმე ვისარგებლეთ უკანონოდ ამ ბაღის ნაყოფით. მერე კი - ცოტა უფროსი ბიჭების ინიციატივით უფრო მეტიც გავბედეთ – ღამით შევამტვრიეთ იმ სახლის საწყობის კარი... არაფრის გვეშინოდა, ბავშვები ვიყავით და, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ თავისი ემოციური სიმძაფრით, აი, ალიბაბა რომ მოხვდა თვალ-მარგალიტით სავსე გამოქვაბულში, დაახლოებით ისეთი ეფექტი მოახდინა სარდაფმა ჩვენზე - თაროები გაჭედილი იყო ძეხვეულით, დიდი ზუთხებით, ლორით, ბარკლებით, ყუთებში - კამფეტებით, კარაქით და სხვა რაღაცეებით... მახსოვს, იმდენად დავიბენით პირველად, რომ იქვე დავიწყეთ კამფეტების ჭამა, ჩავიყარეთ, რაც ჩაგვეტია ჯიბეებში და უბეებში... რასაკვირველია, რა უნდა წამოგვეღო იმდენი და გავიქეცით კიროვის პარკში, იქ "შტაბი" გვქონდა. კიდევ კარგი, სახლებში არავინ არაფერი მიიტანა, იმიტომ, რომ მეორე ღამეს - ეტყობა, ღამე ეხერხებოდათ ასეთი ოპერაციები - მარტო ჩვენს ქუჩაზე კი არა, მთელ ჩვენს უბანში, ყველგან ჩხრეკა იყო; რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ ბინების, სადაც მამრობითი სქესის ბავშვები ჰყავდათ. მიხვდნენ, რომ ბავშვების გაკეთებული იყო. ჩვენთანაც მოვიდნენ, გაგვჩხრიკეს და ალბათ ერთი კამფეტის ქაღალდი რომ ენახათ, ჩვენი ოჯახის საქმე წასული იქნებოდა. საბედნიეროდ, ვერაფერი იპოვეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, - მამაჩემმა, რომელსაც არასდროს ხმამაღლა არ ულაპარაკია ჩემთან, იმ ღამეს, უფრო სწორად, დილისპირს, - ხელიც კი გამარტყა: ვიცი, შენც იქ იქნებოდიო; შენ არ იციო... - და სათანადო სიტყვებიც მოაყოლა, ეცადა, აეხსნა ჩემთვის, რა სახიფათო თამაშები გაგვიჩნდა იმ ასაკისთვის.

კიდევ რა შეიძლება გავიხსენო?..

ძალიან საინტერესო პიროვნება იყო თვითონ ბერიას დედა - ერთი ტანდაბალი, დალეული, ასკეტური გარეგნობის ქალი; სხვათა შორის, ძალიან სიმპათიური სახის მოხუცი იყო, ოდნავ წელში მოხრილი. მე მგონი, 80 წელს იქნებოდა მიღწეული. მისი ყოველი დღე იწყებოდა იმით, რომ დილით ჩამოდიოდა სადარბაზო შესასვლელთან, მთელი თბილისის მათხოვრები ამ დროს იქ ელოდებოდნენ მის გამოჩენას. სახლს ორი სადარბაზო შესასვლელი ჰქონდა, ორივეში დაცვა იდგა და, წარმოიდგინეთ, არ აგდებდნენ ამ მათხოვრებს. დილით, დაახლოებით 9 საათზე, იქ იკრიბებოდნენ; სკოლაში რომ მივდიოდით, 20-30 მათხოვარი უკვე შეკრებილი იყო. ჩამოვიდოდა ქალბატონი მართა, უკან მოჰყვებოდა ორი მცველი ტომრებით და ურიგებდნენ ამ მათხოვრებს საჭმელსაც და ტანსაცმელსაც. მართალი გითხრათ, არ ვიცი, ის ტანსაცმელი ვისი იყო - წარმოშობა იმ ტანსაცმლისა, ახლა რომ ვუფიქრდები, საეჭვოა. მერე ქალბატონი მართა მიდიოდა რუსულ ეკლესიაში ჩვენი ქუჩის ბოლოს, მიდიოდა დაცვის თანხლებით, ლოცულობდა ყოველდღე. დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე, თქვენ წარმოიდგინეთ, ნებისმიერ ამინდში - ზამთარშიც კი - ფეხშიშველი მიდიოდა ეკლესიაში. რა თქმა უნდა, ეს ბავშვებში და, რამდენადაც მახსოვს დედაჩემისგან, უფროსებშიც მოწიწებას იწვევდა... შემდეგ, როცა ის ეპოქა ჩაბარდა ისტორიას, მაშინ კი გაბედა დედაჩემმა თქმა - ალბათ შვილის ცოდვებს ინანიებსო. შეიძლება ამითაც აიხსნას ქალბატონი მართას საქციელი.

ვიყავით მოწმე იმ დღეებისაც, როცა ერთ მშვენიერ დღეს ეს ჩვენი ჩეკისტები ვეღარ გამოვიდნენ სასეირნოდ ქუჩაზე და დაირხა ხმა, რომ იმ სახლის ოჯახთა მამები, ყველა ერთიანად დაუჭერია ბატონ რუხაძეს, რომელიც მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. გაქრა ეს ხალხი - რამდენიმე თვე ჩაკვდა ცხოვრება ამ სახლში - არ მოდიოდა აღარც ის ორი მანქანა სურსათითა და ყინულით. შემდეგ რატომღაც ყველა გამოუშვეს, ისინი დაბრუნდნენ ოჯახებში და საღამოობით სეირნობის რიტუალიც აღსდგა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველგვარი დაცვის და მანქანის გარეშე; 7-8 კაცი გამოდიოდა ისევ ქუჩაში, მაგრამ ეს ხალხი ძველებურად აღარ გამოიყურებოდა - ეტყობა, ისეთი დღე აყარეს, რომ სახეები დეფორმირებული ჰქონდათ, კოჭლობდნენ - დაინვალიდებულნი იყვნენ. დიდხანს არ გაგრძელდა მათი გარეთ ყოფნა - ისევ აკრიფეს ყველანი იმ რუხაძესთან ერთად, - ეტყობა, ბერიას კრახის შემდეგ. მახსოვს, იყო მათი სასამართლო, ბევრს დახვრეტა მიუსაჯეს...

ერთი რამ მაინტერესებს ახლა, ჩვენი დროის გადასახედიდან. ჩვენ ვმეგობრობდით იმათ შვილებთან. ნორმალური, კარგი ბავშვები იყვნენ. მახსოვს, გენერალ გუგუჩიას შვილი ჰყავდა - რუსლანი, ძალიან კარგი ბიჭი. მოვარდებოდა ჩვენთან და დედაჩემს სთხოვდა საჭმელს - კატლეტი უყვარდა მისი გაკეთებული... ამ ბავშვებთან მეგობრობის გამო ყველა მათგანის ბინაში ვარ ნამყოფი და ახლა რომ ვიხსენებ, საინტერესო იყო მათი ყოფა. არცთუ დიდი ბინები ჰქონდათ - 3-4-ოთახიანი, არც ისე მაღალი ჭერით, ჩვეულებრივი; თუმცა, მაშინ ალბათ იმ დროისთვის დიდი ბინები იყო. ავეჯი მთლიანად სახელმწიფო ჰქონდათ: ძალიან კარგად მახსოვს, რომ ყველაფერს - მაგიდებს, სავარძელს, წიგნის თაროებს, კარადებს - ყველაფერს ჰქონდა გაკეთებული აღრიცხვის ოვალური რკინის ჟეტონი. ბინა ტოვებდა ასკეტიზმის შთაბეჭდილებას - არ იყო არაფერი, რასაც ჩვენი გაგებით და თვალთახედვით სიმდიდრე ჰქვია - ნიშანწყალიც არ ჩანდა მისი... მხოლოდ ერთი აუცილებელი კომპონენტი იყო - კედლებზე ჩამოკიდებული ომისდროინდელი ნადავლი საბრძოლო და სანადირო იარაღი. ეტყობა, იარაღი უყვარდათ. ყველა ოჯახში აუცილებლად იყო, რამდენადაც მახსოვს, იატაკზე გაფენილი თეთრი დათვის ტყავი... ეს იყო და ეს. თაროზე - ლენინისა და სტალინის ტომები. არც ერთი სხვა წიგნი მე იქ არ მახსოვს, არც ერთი სურათი - არაფერი ისეთი, კითხვაზე რომ პასუხი გაგვცეს - რა სულიერი მოთხოვნილებებით ცხოვრობდნენ... ალბათ იარაღი იყო ყველაზე უფრო დამახასიათებელი და თეთრი დათვის ტყავი, იატაკზე გაშხლართული. სცენოგრაფის თვალსაზრისით მათი ბინები ძალიან საინტერესო იყო. ეტყობა, ქრთამს არ იღებდნენ, პატივმოყვარეობას სხვა რამით იკმაყოფილებდნენ - რასაც ჰქვია ძალაუფლება: სხვისი ბედის გამგებელი ხარ, ხალხის ხელმძღვანელი და წამმართველი... არ მინდა ახლა ჩავუღრმავდე ამ თემას.

ახლა რომ ვუკვირდები, ომისდროინდელი ამბებიდან ყველაზე უფრო დამამახსოვრდა: ჩვენი სარდაფში ჩასვლა ბომბარდირების დროს (მახსოვს, თბილისი ჰაერიდან რამდენჯერმე დაბომბეს - სარდაფი რას გვიშველიდა, ბომბი რომ მოგვხვედროდა); შავი პური, გაჭირვება და ყორღანოვის ქუჩის №7 სახლი, თავისი ბინადრებითა და ტრაგიკული ისტორიით, როგორც იმ სახლის მაცხოვრებლებისთვის, ისე დანარჩენი ხალხისთვის. როგორც ჩანს, იმ სახლში ცხოვრობდნენ 1924 წლის, 1937 წლის მოვლენების, ომისშემდგომი გადასახლებების ინიციატორებიც და შემსრულებლებიც. რა ვიცი, ვინ რა იყო, ამის ანალიზს მე ვერ გავაკეთებ; ალბათ საბრალდებო ოქმებში იქნება ყველაფერი. მაგრამ არასდროს დამავიწყდება ჩვენი მეზობელი ოჯახი - ბერძნები იყვნენ; გვარი არ მახსოვს, ბიჭს კი ვატულიკა ერქვა, ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. ერთ მშვენიერ დღეს, ეს ალბათ 1946-47 წლები იყო, სკოლაში წასვლისას გავუარე. მახსოვს, რომ შევეხმიანე, დიდი საბარგო მანქანა დავინახე - ოჯახს ასახლებდნენ. ამ ოჯახის მამამ მოახერხა და №7 სახლს მიაშურა - ამ დროს გამოდიოდნენ, სამსახურში მიდიოდნენ ის ჩეკისტები - მუხლებზე დაეცა... არ ვიცი, რას სთხოვდა, შეწყალებას თუ ახსნა-განმარტებას...

აი, ასეთი ეპიზოდიც მახსენდება ომისდროინდელი.

მერე ეს ხალხი შეიცვალა სულ სხვა ხალხით, მაგრამ, მე მგონი, ისინიც კაი მაგარი ჩეკისტები იყვნენ.

არ ვიცი, რამდენად საინტერესოა ჩემი მოგონება, მაგრამ ეს იყო ალბათ ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი ძლიერი შთაბეჭდილება და ამ შთაბეჭდილების შედეგი იყო შიში. დიდი შიში ჩაჰყვათ საფლავში საწყალ მამაჩემსა და დედაჩემს, მთელ მათ თაობასაც. და ალბათ ნაწილობრივ ჩვენს თაობასაც გამოგვყვა - არ შეიძლებოდა, რომ არ გამოგვყოლოდა - დიდი შიში სუფევდა, ის არ შეიძლებოდა უკვალოდ გამქრალიყო და, მე მგონი, დღესაც ბევრი ჩვენი შეცდომა, ბევრი ჩვენი არასწორი ნაბიჯი, ჩვენი ყოფისა და ცხოვრების ბევრი სიმახინჯე იმ დროიდან დანერგილი შიშით არის განპირობებული.

14.12.1996 წ.

არტ-კლუბი

"აფთიაქები იშვიათად იცვლიან ადგილს"

საუბრობენ დათო მაღრაძე და გურამ წიბახაშვილი

დათო მაღრაძე: **- დავიწყოთ იმით, თუ როგორ ეყრებოდა საფუძველი საქართველოში ფოტოხელოვნებას. ალბათ, პირველ რიგში, როინაშვილი უნდა გავიხსენოთ.**

გურამ წიბახაშვილი: - უფრო ადრეც დაიწყო ეს საქმე. ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ ფოტოგრაფია 40-იან წლებში გაჩნდა პარიზში და დაახლოებით ოთხი წლის მერე საქართველოში უკვე ფოტოებს იღებდნენ. საოცარია, როგორ გამოიარა ფოტოგრაფიამ ასე სწრაფად ასეთი მანძილი. წარმოიდგინეთ, როგორი პოპულარული უნდა გამხდარიყო იგი გაჩენისთანავე, რომ ასეთი სისწრაფით მოელწია პარიზიდან თბილისამდე.

- ეტყობა, აქაც იგივე მოხდა, რაზეც დიუმა წერს, როცა აღნიშნავს, თბილისში მოდა ერთი კვირით თუ ჩამორჩება პარიზსო.

- უცნაურია, არა, ასეთი მანძილი, არანაირი კომუნიკაციები... და ოთხი წელიწადი! ასეთ მოკლე დროში ალბათ იქაც არ იქნებოდა ყველაფერი დახვეწილი, საქართველოში კი უკვე ფოტოებს იღებენ! მართალია, ჩამოსულები, მაგრამ ისინი რაღაცნაირად ამკვიდრებენ ამ საქმეს. მერე უკვე, რასაკვირველია, როინაშვილის სახელს უკავშირდება პირველობა კი არა, ფოტოგრაფიის ხალხის სამსახურში ჩაყენება. სწორედ მან გადაიღო ცხოვრების ამსახველი ურიცხვი მასალა. ეს არ იყო მხოლოდ ფულის საკეთებლად შესრულებული სამუშაო - რა თქმა უნდა, ფინანსებთანაც იყო დაკავშირებული, მაგრამ ამ კაცს უყვარდა არამარტო თავისი პროფესია, არამედ უყვარდა სიცოცხლე, ყველაფერი უყვარდა და საქმესაც სიყვარულით აკეთებდა.

- თუ არ ვცდები, სრულფასოვანი ფოტოატელიე როინაშვილმა შექმნა.

- მე მგონი, ადრეც იქნებოდა... თვითონ როინაშვილს კი რუსთაველის თეატრის გვერდით ჰქონდა სტუდია და მასთან იკრიბებოდა არამარტო თეატრალური საზოგადოება, არამედ იმდროინდელი საქართველოს ერთგვარი ბირთვი, რომელიც კულტურას ქმნიდა. იქ ეგულებოდათ თავშესაფარი, სადაც კარგად გრძნობდნენ თავს, სითბოს იღებდნენ.

- კულტურა ვახსენეთ. ცოტა არ იყოს, ჭირს დიფერენცირება, რა სივრცეს იკავებს ხელოვნება კულტურაში. კულტურა უფრო მრავლისმომცველია. მედიცინაც კულტურაა, ქცევაც კულტურაა, სალამიც კულტურაა. როინაშვილსა და მის ფოტოატელიეს აქვს ეთნოგრაფიული ფასეულობაც, მემორიალური ფასეულობაც. ამ კაცმა თბილისში წამი შეაჩერა და დაგვიტოვა. მისი ფოტოები ხელოვნებაა, მაგრამ მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, მისი მიზანი, განზრახვა და მთელი ცხოვრება კულტურაა.

- მე მგონი, სწორედ ეგ განასხვავებდა სხვა ფოტოგრაფებისგან, მის პარალელურად რომ მოღვაწეობდნენ თბილისში. ამას ჰქონდა მკაფიოდ გამოხატული დამოკიდებულება საქმისადმი, სხვებს ჰქონდათ მხოლოდ ხელობა. შეიძლება, იმ სხვებმა კარგად იცოდნენ ხელობა და პორტრეტებს აკეთებდნენ. შეიძლება, ის პორტრეტები ახლა, დროის გადასახედიდან, ხელოვნების ნიმუშებად აღიქმება, რადგან ნებისმიერი პორტრეტი ხელოვნების ჩარჩოებში ჯდება, მაგრამ როინაშვილი იმ ადამიანებისგან განსხვავდებოდა - მას ჰქონდა პოზიცია, ჰქონდა საკუთარი დამოკიდებულება საგნებისა თუ მოვლენებისადმი. ქვას რომ იღებდა, შენობას რომ იღებდა, იმიტომ კი არა, რომ შეკვეთა ჰქონდა; იღებდა იმიტომ, რომ უყვარდა, მისი იყო. შეიძლებოდა, ასი კილომეტრით ყოფილიყო დაშორებული მისი ატელიედან, მაგრამ მაინც თავისად მიაჩნდა. მე მგონი, თანამედროვე კულტურაში ის დაიკარგა, რომ რაც ასი კილომეტრითაა მოშორებული, შენად ვერ აღიქვამ. ალბათ, ეს დიდი შეცდომაა. როინაშვილის ფოტოები მისი დამოკიდებულების გამოა ძალზე მნიშვნელოვანი. უამრავი ფოტოდან ზოგი ეთნოგრაფიული იყო, ზოგი - პორტრეტი, ზოგი - პეიზაჟი. ყველა ჟანრში მუშაობდა. განა იმიტომ, რომ ჟანრის განსაზღვრა არ შეეძლო. უბრალოდ, მისთვის ყველაფერი ერთნაირად საინტერესო იყო, ყველაფერი ობიექტი იყო, რაც უნდა აესახა. ამიტომაცაა გამორჩეული, თორემ ქრონოლოგიურად ის არ იყო პირველი ფოტოგრაფი საქართველოში. მერე სახელი გაითქვა ერმაკოვმა, რომელიც ჩამოვიდა და ყველაფერი შეისყიდა როინაშვილისგან. არ ვიცი რა მოხდა - როინაშვილი გაკოტრდა თუ მუშაობა აღარ უნდოდა; ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ერმაკოვმა მისგან ყველაფერი შეისყიდა და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, რადგან ამ ფოტოებს მოუარა. ახლა ამბობენ, ვეღარ გაარჩევ, რომელი ფოტო რომლისაა და შეიძლება, ერმაკოვმა შეგნებულად წაშალა როინაშვილის გვარიო. ერმაკოვი თვითონაც დიდი ფოტოგრაფი იყო და ამ საქმეს ემსახურებოდა. არა მგონია, ასეთი რამ შეგნებულად გაეკეთებინა. უბრალოდ, მაშინ არ იყო მოდაში ფოტოგრაფების გაავტორება. ერმაკოვმა შეისყიდა მასალა, ადგილი მიუჩინა და შეინახა. ამიტომ თავისთავად მოხდა, რომ ძნელადღა გაარჩევ, რომელია მისი ფოტო და რომელი - როინაშვილისა. ერმაკოვმაც დიდი საქმე გააკეთა, მთელ კავკასიაში დადიოდა და დიდძალი მასალა დარჩა. ამ მასალის გარეშე ვერაფრით წარმოიდგენ, როგორ შეიცვალა ყველაფერი, განსაკუთრებით ჩვენი ქალაქი. მერე წითლები მოვიდნენ. თუმცა, ფოტოები ყველას სჭირდება, წითელი იქნება თუ მწვანე. იმ პერიოდიდან ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ევტიხ ჟვანია.

- ცნობილი ატელიე რომ ჰქონდა რუსთაველზე.

- ახლაც არის და ახლაც ჟვანიას ატელიეს უძახიან... ქიმიურ ლაბორატორიაში მქონდა კედელზე პეტრე მელიქიშვილის პორტრეტი. მელიქიშვილი ჩემი პირველი ლექტორი იყო უნივერსიტეტში და ჩემთვის დიდი ფიგურა გახლდათ. ძალიან კარგი პორტრეტი იყო. მოგვიანებით აღმოვაჩინე - ევტიხ ჟვანიას ჰქონდა ხელი მოწერილი. მერე კიდევ ერთი პორტრეტი ვნახე ერთ სამედიცინო დაწესებულებაში, ვიღაც ექიმის პორტრეტი იყო. მაშინ მივხვდი, რომ ეს კაცი სერიოზულად მუშაობდა. ალბათ შეკვეთილი ჰქონდა პეტრე მელიქიშვილის პორტრეტი. ასეთი სტილის ფოტოგრაფი, ამ ზომის პორტრეტს რომ აკეთებდეს, იმ პერიოდში ძალიან იშვიათია. ფოტოგრაფია ტექნიკურ პრობლემებთანაა დაკავშირებული და ამ ზომის პორტრეტის შექმნა ძნელი იყო. ეს კაცი კი აკეთებდა, ფანქრით ასრულებდა და ხელსაც აწერდა. ეს შემთხვევითი არ არის. როცა ადამიანს შეუძლია, რომ თავის ნამუშევარს ხელი მოაწეროს, ესე იგი, გრძნობს, რომ კარგად გამოუვიდა. სხვანაირად ხელს არ მოაწერს... ასე მყავს ჩემი ფოტოგრაფები პერიოდების მიხედვით და მგონია, რომ მათ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

- საერთოდ, ფოტოგრაფიას მეტი დაფასება სჭირდება ჩვენი საზოგადოებისგან.

- თავისთავად. მაგრამ მე რომ ფოტოგრაფიის დაფასებაზე დავიწყო ლაპარაკი, იტყვიან, ფოტოგრაფია და იმიტომ ამბობსო.

- ფოტოხელოვანი.

- მე ფოტოგრაფს ვიტყოდი. იცით, რატომ? მხატვრებს ხომ არ უძახიან მხატვარ-ხელოვანს, ან მწერლებზე ხომ არ ამბობენ, მწერალი-ხელოვანიო. ფოტოგრაფიც ფოტოგრაფია. დასავლეთში მიღებული ტერმინია და ეს ისეთივე საინტერესო პროფესიაა, როგორც რეჟისორი. უბრალოდ, განასხვავებენ კარგ და ცუდ ფოტოგრაფს და ჩვენთან იმას, ვისი საქმეც არ მოსწონთ და ხელოსნად მიაჩნიათ, ფოტოგრაფს უძახიან, ვინც კარგად მუშაობს - ფოტოხელოვანს. მე მგონი, ორივე ფოტოგრაფია. უბრალოდ, ერთი კარგია, მეორე - ცუდი.

- ახლა მახსენდება ერთი ფოტო: შესანიშნავმა ფოტოგრაფმა, ანრი კარტიე-ბრესონმა ალავერდობა გადაიღო და ვახტანგ რურუას აჩუქა. ამ ფოტოში ისეთი განცდაა, ისეთი რამ აქვს "ჩავლებული" ავტორს, რაც გურამ რჩეულიშვილმა მთელი თავისი ბიოგრაფიით განიცადა, თავის სამშობლოში, თავისი წუთისოფლით. სტუმარმა, ჩამოსულმა კაცმა დაინახა ის, რასაც აქაური ნიჭიერი მწერალი ხედავდა; რასაც გურამ რჩეულიშვილი ხედავდა.

- მეც ბატონ ვახტანგთან ვნახე ეს ფოტო. კარტიე-ბრესონის ალბომები მქონდა ნანახი და მაშინვე მივხვდი, რომ ეს ფოტოც მისი იყო. გამიხარდა. უდიდესი ფოტოგრაფია. სხვათა შორის, წელს შევხვდი არლიში. თუ არ ვცდები, 96 წლისაა: ნელ-ნელა დადის. უცნაური გრძნობაა, როცა უყურებ კაცს, რომელიც წლების განმავლობაში ფოტოებს იღებდა და მკაფიო დამოკიდებულება ჰქონდა ყველაფრისადმი. თან როცა იცი, რომ საქართველოში ნამყოფია და მძაფრად აქვს ნაგრძნობი აქაურობა. მე ნანახი მაქვს ჟურნალში დაბეჭდილი მისი ფოტო - მეტალურგი. ალბათ რუსთავში წაიყვანეს და იქ გადაიღო. ასეთი სტილის ფოტოები მაშინ ხშირად იბეჭდებოდა საქართველოში - მეტალურგები, მუშები... ერთი თვალის შევლებით თითქოს კარტიე-ბრესონის ფოტოც ერთი მეტალურგის სურათია. აღწერას თუ მოინდომებ, იმ პერიოდის ფოტოებიდან თითქოს არც განსხვავდება. მომღიმარი მეტალურგი - მხნე, ჯანმრთელი, ოპტიმისტი. მაგრამ სრულიად სხვანაირად, მე ვიტყოდი, სიურრეალისტურად ჰქონდა გაკეთებული. კარტიე-ბრესონს შეეძლო გაეთავისებინა იმ ქვეყნის სურნელი, სადაც ჩადიოდა. ასე ხდებოდა ყველგან - ესპანეთში, ინდოეთში, ჩინეთში. ასე მოხდა საქართველოშიც. მისი ფოტოები ყველგან იქაური ფოტოებია, მაგრამ ჩემი აზრით, ყველგან არის სიურრეალისტური, თავიდან მართლაც სიურრეალისტი მხატვარი იყო. მერე მხატვრობას თავი დაანება და ფოტოგრაფიას მოჰკიდა ხელი. მაგრამ ყველგან ეძებდა იმ სიურრეალიზმს, რომელიც არსებობს ყოფაში და ძნელი მისაგნებია. კარტიე-ბრესონი კი პოულობდა. აი, იმ ალავერდობის ფოტოშიც არის ყოფითი სიურრეალიზმი, რეალობა, რომელიც არის ალავერდი, "ვოლგა" და ოჯახი. "ვოლგა" გახსნილი კარებით თვითმფრინავს წააგავს. საქართველო ფოტოგენური ქვეყანაა. განვითარებულ ქვეყანაში რომ ჩადიხარ, იქ იმდენად მოწესრიგებულია ყველაფერი, რომ იძულებული ხარ, წესრიგი გადაიღო. მე, ყოველ შემთხვევაში, ასე ვარ. წესრიგის გადაღება გიწევს. ამიტომ იქაური ფოტოგრაფები გადასაღებად უწესრიგობას ეძებენ. უწესობას კი არა, უწესრიგობას. რაც უფრო მეტ უწესრიგობას გადაიღებ, იქ მით უფრო მეტად ფასობს. ჩვენთან ყველაფერი პირიქითაა. იმდენად მოუწესრიგებელია ყველაფერი, რომ ცდილობ, წესრიგი გადაიღო, კადრში მაინც მოაწესრიგო რაღაც. ამიტომ მგონია, რომ თბილისი გაცილებით მეტ საშუალებას იძლევა, იფიქრო, თუ როგორ უნდა გადაიღო.

- ჩემი აზრით, თქვენ ბრძანდებით ერთ-ერთი წარმატებული და კვალიფიციური ფოტოგრაფი. ძველ ფოტოებზე აღბეჭდილი ქალაქის გადაღება დღეს თქვენ გიწევთ...

- ძალიან რთულია დღეს ქალაქის გადაღება. ჯერ ერთი, სარეკლამო ფირნიშებმა ყველაფერი შეჭამეს. როცა ფოტოაპარატი არ გიჭირავს, მაშინ ამას ვერ ამჩნევ, მაგრამ როგორც კი კამერიდან გაიხედავ, ხედავ, რომ ეს ფირნიშები ყველაფერს ჭამს. რასაკვირველია, ქალაქში რეკლამაც უნდა იყოს და ფირნიშებიც, მაგრამ ყველაფერს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. დასავლეთში, ქალაქში რომ დადიხარ, ფირნიშები ყველგან თვალებში გეჩხირება, მაგრამ როგორც კი კამერას დაიჭერ, ყველაფერი თავის ადგილზე ჯდება, არაფერი არ არის ამოვარდნილი არქიტექტურიდან. შენობას რომ იღებ, ფირნიში თავის ადგილზეა. ჩვენთან პირიქითაა. გარდა ამისა, თბილისში გადაღებას ართულებს აკრძალვა, რომელიც ძველ ქალაქში არსებობს. არის ადგილები, სადაც გეუბნებიან, რომ აქ გადაღება არ შეიძლება. საერთოდ, ქალაქი ყოველდღე იცვლება. აქ ვერაფერს გააწყობ, მაგრამ, თუ ძველ ქალაქს ძეგლის სტატუსი აქვს, რაღაცები ხომ უნდა შენარჩუნდეს; თუ არა აქვს, მაშინ ეს უნდა ვიკითხოთ - რატომ? როინაშვილთან ყველაზე უფრო მომწონს მეტეხის ხიდი. აქ ისეთი ქალაქი ჩანს, ნებისმიერმა ადამიანმა რომ ნახოს, ვინც არ უნდა იყოს, შეუძლებელია, იქ წასვლის სურვილი არ გაუჩნდეს. ახლა გული მტკივა, რომ იქაურობა შეცვლილია, წისქვილები რომ აღარ არის, ამის მიზეზი გასაგებია და შეეგუება კაცი, მაგრამ მეტეხს რომ გალავანი ჰქონდა და რამდენიმე ათეული წლის წინ მოაცილეს, ეს სრულიად გაუგებარია და ამდენად, ძალზე მტკივნეული.

- რასაკვირველია, ძველი ქალაქი უნდა შენარჩუნდეს. ეს საზოგადოების ვალიცაა და ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაც.

- პირველად რომ ჩავედი ვენაში, იცით, როგორი შეგრძნება მქონდა? მეგონა, რომ ვინც იქაური სახლები დაიწყო და შეუკვეთა, იმას სულაც არ ჰქონია იმედი, რომ ამ სახლის დასრულებას მოესწრებოდა, მაგრამ შვილებისა და შვილიშვილებისთვის აშენებდა და ისეთი მკვიდრი სახლები დადგა, რომ არასოდეს დაინგრევა. მეორე, რამაც გამაკვირვა - სახელმწიფო ავალდებულებს ძველი სახლების ბინადრებს, რომ სახლს მიხედონ. თუ ამის თავი არა გაქვს, კეთილი ინებე და გადადი სხვაგან, ისეთ სახლში, რომლის მოვლა-პატრონობაც შეგიძლია. ამ სახლებს სახელმწიფოც უვლის და პატრონიც. ეს ალბათ სწორია.

- ეს მოწესრიგებული სახელმწიფოს ცხოვრების ელემენტარული ნაწილია.

- ყველა იღებს რაღაც ვალდებულებას და ასრულებს კიდეც. მერე საფრანგეთში, ექს-ან-პროვანსში ძალიან მომეწონა ერთი რამ: სეზანის სახლში ხალხი ცხოვრობს. ეს სახლი მუზეუმია. სურათები არ არის, მაგრამ ჩვეულებრივი სახლ-მუზეუმია, და იქ ადამიანები ცხოვრობენ. სახელმწიფომ ასეთი მოვალეობა დააკისრათ: ეს სახლი კი იყიდეთ და ცხოვრობთ, მაგრამ ეს არის მუზეუმი. შეგიძლიათ გაარემონტოთ, მაგრამ ყველაფერი ზუსტად ისე უნდა დატოვოთ, როგორც იყო, კედლები თეთრად უნდა შეღებოთ და მუხის ბოძებს ხელი არ უნდა ახლოთ. არ უნდა შეცვალოთ ინტერიერი. თუ სეზანის სახლში გინდათ ცხოვრება, ყველაფერი უცვლელად უნდა დატოვოთ. ამ სახლის ბინადრები გავიცანი. რომ იცოდეთ, როგორი სიამაყით და სიამოვნებით ცხოვრობენ ამ სახლში. ჩვენში ამგვარი დამოკიდებულება საერთოდ არ არსებობს. ალბათ მანამ გაგრძელდება ნგრევა, სანამ ამგვარი დამოკიდებულება არ გაჩნდება. თუ რაღაც ინგრევა და გადარჩენა აღარ შეიძლება, იმის ადგილას ისეთი დონის ნაგებობა მაინც დაიდგას.

- მაგრამ ერთიცაა, ვთქვათ, ძეგლი ინგრევა და ვეღარ ამაგრებ. მუსიკალური პარტიტურა ხომ შეიძლება მეორედაც შეასრულო და მესამედაც. თუ ყველაფერ ამას სახელმწიფოებრივად მიუდგები, თუ უნიკალური მნიშვნელობის ძეგლს ისე მიუდგები, როგორც ეკადრება ნორმალურ საზოგადოებას, მაშინ ხელმეორედ შეასრულე.

- რა თქმა უნდა. მითუმეტეს, რომ ეს რთული არ არის. არც ერთი სახლი არ არის რთული შესასრულებელი. მე მგონია, რომ ძველი ქალაქი აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს. ოღონდ, ვერ ვხვდები, რა მექანიზმით. გასაგებია, რომ ეს შეუძლია ხელისუფლებას, ეს მისი ვალია. მაგრამ არ ვიცი, ეს როგორ უნდა მოხდეს. იმას კი ვხედავ, რომ ყველაფერი ძალიან სწრაფად იცვლება და ამ ცვლილებას სწორი გეზი თუ არ მიეცი, ქალაქს წალეკავს.

- უცხოეთში გარკვეული რეჟიმები არსებობს. ერთი ქალაქის სხვადასხვა უბანში სხვადასხვა რეჟიმია, და ეს რეჟიმები არაერთგვაროვანია, მაგრამ ყველაფერი ისეა ორგანიზებული, რომ საბოლოოდ ყველაფერი თავის ადგილზეა. გარდა ამისა, იქ საზოგადოებრივი შეგნება მაღალია, მაგრამ საქმე ამ შეგნების ანაბარა არ არის მიტოვებული. დამარეგულირებელია მექანიზმი, რომელიც ამ ქალაქის რეჟიმში დევს. ერთია, რომ თვითონ ადამიანებს არ გაუჩნდებათ ამგვარი ზრახვები, იქ თითქმის გამორიცხულია, რომ ისტორიული ძეგლი ვინმემ თავის ნებაზე გადააკეთოს. მაგრამ, ეგეც არ იყოს, ამგვარი ძეგლის მფლობელთან შენობის ყიდვისთანავე იდება კონტრაქტი. თუ ქალაქის ისტორიულ ნაწილში, ძეგლში გინდა ცხოვრება, კონტრაქტს აფორმებ ძეგლთა დაცვის უწყებასთან და პასუხისმგებლობას კისრულობთ - შენც და სახელმწი-

ფოც. თუ ამ კონტრაქტის რომელიმე პუნქტს დაარღვევ, უზარმაზარი ჯარიმის გადახდა მოგიწევს. ჰოდა, ადამიანს აზრად აღარ მოსდის ამ პუნქტების დარღვევა.

- ჩვენთან ასე არ არის?

- რასაკვირველია, არა.

- არც კანონი არ არის?

- კანონში სრული ქაოსია, გენგეგმა იყო, თუ არ ვცდები, 2000 წლამდე, და მოძველდა. თვითონ გენგეგმის ავტორებიც ამბობენ, რომ საჭიროა ახალი. ძველი გათვლილი იყო გარკვეულ დრომდე და იმ დროს გავცდით. ახალი კი არ არის. მაგრამ ეს ხელს აძლევს დაინტერესებულ ჩინოვნიკებს - თავისუფალი ლავირების საშუალება აქვთ, თვითონ შეუძლიათ დააკანონონ ყველაფერი საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით. იკვრება სამკუთხედი: შემკვეთი-ჩინოვნიკი-არქიტექტორი და ამ ქაოსში მშვენიერად ახერხებენ, რაც უნდათ. ჩვენში რაღაც უცნაური ტენდენციებია, როცა, ვთქვათ, ყველაფერს გამართლებას უძებნიან. იურიდიულად შეიძლება, ვეღარც კი მიედავო, რადგან არსებული კანონმდებლობით ყველაფერი წესრიგდება; არსებული კანონმდებლობა ყველაფრის საშუალებას იძლევა. შენობებს კი არა, ცოდვებს უძებნიან გამართლებას. ჩვენში ხომ ცოდვებს აღარ ინანიებენ, ცოდვების გასაბათილებლად სხვა გზა მონახეს. შეიძლება, გაძარცვო ბიუჯეტი ან ხალხის საერთო საკუთრებიდან აიღო რაღაც, იქიდან სულ მცირედი მოახმარო ეკლესიის მშენებლობას და წმინდანად გამოაცხადებინო თავი. ასე ვცხოვრობთ დღეს...

- როგორ გგონიათ, რა ეშველება ყველაფერ ამას?

- მე მგონი, ხელისუფლება თვითონაც ხედავს, რომ ასეთი ფორმით ცხოვრება ჩიხში შევიდა, აღარ იციან რა ქნან, მაინც ებღაუჭებიან სავარძლებს, პრივილეგიებს. მათთვის ხომ პოსტი პრივილეგიაა, თუმცა საერთოდ, ნორმალურ საზოგადოებაში, პოსტი დიდი პასუხისმგებლობაა.

- ვალდებულებაა.

- ვალდებულებაა და პასუხისმგებლობა საზოგადოების, შენი ქვეყნის წინაშე. ჩვენთან კი ეს პრივილეგიად არის აღქმული და ამ პრივილეგიებს თავგამოდებით ებღაუჭებიან. საქმე ისაა, რომ ამ ადამიანებს საბჭოური პერიოდის შემდეგ ხელისუფლებაში დაბრუნება კი უნდოდათ, მაგრამ იმაზე აღარ უფიქრიათ, რომ საქმის ინიციატორობა თვითონ მოუწევდათ. საბჭოური მექანიზმი დღეს აღარ მუშაობს და მის გარეშე დაიბნენ. იმ ვითარებაში კარგად ეწერებოდნენ, ზოგი წარჩინებულ მუშაკად ჩანდა, ზოგი - ძლიერ მუშაკად.

- ვალდებულებები სხვანაირად იყო განაწილებული.

- ახლა საქმის გაკეთება თვითონ მოუხდათ და დილემის წინაშე დადგნენ. თუ გინდა, რომ საქმე აკეთო, უნდა იცოდე, როგორ; ეს საუკეთესო სახელმძღვანელოებით უნდა გქონდეს ნასწავლი, მთელი ცხოვრება უნდა სწავლობდე. ამ ხალხს კი საუკეთესო სახელმძღვანელოებთან არ ჰქონია საქმე. გამოყოლილი ამბიცია და ინერცია გადაეჯაჭვა ერთმანეთს, ამღვრეული წყლით ისარგებლეს და სკამებს ბედაურებივით მოასხდნენ; ოღონდ აღმოჩნდა, რომ მხედრები არ არიან. ბედაურები ცალკე დგანან, ესენი ცალკე წვალობენ, იტანჯებიან და ხალხსაც სტანჯავენ. მარტო თვითონ რომ იტანჯებოდნენ, ეს მათი პირადი პრობლემა იქნებოდა, მაგრამ, საუბედუროდ, საკუთარი პრობლემები მთელ ქვეყანას მოახვიეს თავს, ამიტომ ასე მგონია: თუ საზოგადოება ჯანსაღად მიუდგება თავის სატკივარს, ჯერ, რასაკვირველია, აღიარებს, რომ ქვეყანაში ეს სატკივარი არსებობს. მერე კვალიფიციური ადამიანები იკრიბებიან ან ხელისუფლება შეკრებს და იწყებენ მსჯელობას, როგორ უშველონ საქმეს; სამსჯავროზე გამოაქვთ პრობლემების მოგვარების გზები. ხშირად იღებენ სხვა ქვეყნების გამოცდილების აპრობირებულ მეთოდებს. ამაში სამარცხვინო არაფერია, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება გულდასმით გაიძახის, რას ამბობთ, რა სატკივარი, რა პრობლემა, პირიქით, დიდი წარმატებები გვაქვსო და გაუგებრობაში შედიან. ამიტომ აუცილებელია, ხელისუფლებაში მოვიდნენ განსწავლული ადამიანები, ვისაც თავის პროფესიაში მარტო დიპლომი კი არა აქვთ, არამედ თავისი საგანი მართლა უსწავლიათ და ამ საგანში ნამდვილად კვალიფიციურები არიან; ეს ხალხი უნდა მივუშვათ თავიანთ საქმესთან.

- პრობლემა ისაა, როგორ მივუშვათ?

- არჩევნების გზით.

- ფაქტია, რომ ჯერ ვერ მივუშვით, თუმცა არჩევნები სამჯერ გვქონდა.

- ვერ მივუშვით იმიტომ, რომ ტენდენციები სათავიდან მოდის.

- რომელი სათავიდან - სახელისუფლებო თუ საარჩევნო?

- საერთოდ, სახელისუფლებო სათავიდან, როცა იქ პროფესიონალიზმს მაინცდამაინც დიდ პატივს არ სცემენ, ამასვე კარნახობენ დაბალ იერარქიებსაც.

- გეთანხმები, რომ ეს ხალხი არჩევნებით უნდა მივუშვათ საქმესთან, მაგრამ ეს, ცოტა არ იყოს, თეორიულ ნათქვამად მეჩვენება. თუ ისევ ისეთი არჩევნები იქნა და ახლაც თუ ვერ მივუშვით, კიდევ ხუთი წელიწადი უნდა ვიცადოთ; თუ კიდევ ვერ მივუშვით... ამ მექანიზმს ვერ ვხვდები.

- მეც ზოგადად ვიტყვი... ჯერ ერთი, ვიცი, რომ არჩევნების გზა აპრობირებული გზაა უკეთესობისკენ შესაცვლელად. მეორე - ხელისუფლება რაც არის, საბოლოოდ გაირკვა. ბავშვისთვისაც კი ნათელია, რა ხელისუფლება ჰყავს დღეს საქართველოს.

- ყველასთვის ნათელია.

- დიდი გამოცდილება და გამჭრიახობა არ არის საჭირო, რომ მიხვდე, რაშია საქმე. მაგრამ თუ საზოგადოება ივარგებს, შევძლებთ, რომ საქმესთან მივიყვანოთ შესაფერისი ხალხი. თუ ასე არ მოხდა, ჩვენი ბეჩაობის ბრალი იქნება.

- აქამდე ვერ ვივარგეთ?

- ვერა. იმიტომ, რომ ვერ ვარღვევდით ამ მოჯადოებულ წრეს. თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოება უფრო დაბეჩავებული იყო. ახლა მხნეობა მიეცა საზოგადოებას.

- კარგია, თუ ეგრეა.

- თუ საზოგადოებამ თავისი უფლებების მოთხოვნა ისწავლა, თუ ჩვეულებრივმა მოქალაქემ თავისი უფლებების დაცვა ისწავლა, ის აღარ შეეგუება უვიც ადამიანებს. ამ უვიცებს ჰგონიათ, რომ მაგათი სამუდამო ვალი გვაქვს, რომ იქ უნდა იყვნენ, გამდიდრდნენ. ეტყობა, ჩვენს უფლებებს ხეირიანად ვერ ვითხოვთ.

- მართალი ხარ. მაგრამ როგორ უნდა მოვითხოვოთ?

- ერთი ძველი კარგი ნათქვამია: შენი ვაჟკაცობა ჩემი დედლობის ბრალი იყოო.

- ეგ ხომ ერთმანეთზეა დამოკიდებული. აი, ახლა ვლაპარაკობთ, რომ ხელისუფლება არ ვარგა და არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს. იმასაც ვამბობთ, რომ ამ ხალხის ხელისუფლებაში ყოფნა ჩვენი ბრალია. ახლა ისინიც რომ მოგვიბრუნდნენ და გვითხრან, ყველაფერი თქვენი ბრალი ყოფილაო?

- ამას კი არ ამბობენ, საქციელით ადასტურებენ. ჩვენ, როგორც საზოგადოებას, არ გვაფასებენ, რადგან ჩვენი ბრალია, რომ ვერ ვფასობთ. ჩვენი დღევანდელი საუბარი ხომ გახმიანებაა. ვაღიარებთ, რომ ვერ ვფასობთ, მაგრამ განზრახული გვაქვს, ვაიძულოთ, ანგარიში გაგვიწიონ ჩვენ - ადამიანებს, ვისაც კერძო საკითხი აწუხებს. სხვა პროფესიის ხალხიც შეიკრიბება და თავისას მოითხოვენ.

- მართალია, მაგრამ იცით, რა მაფიქრებს. როგორც კი კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე მიდგება საქმე, ის ხალხი, ვისაც ხელისუფლება არ მოსწონს, სწორედ გადაწყვეტის მომენტში ცვლის გადაწყვეტილებას.

- შეჩვეულ ჭირს გულისხმობთ?

- არ ვიცი, მაგრამ როგორც კი არჩევნები მოახლოვდება, იწყება ფუსფუსი ყველა მხრიდან, ქვემოდან, ზემოდან. ყველას უნდა ადგილის შენარჩუნება, იწყება რაღაც შეთანხმებები, ფორების აკრეფა. და ის ხალხი, ვინც მთელი ოთხი წლის განმავლობაში ფიქრობს, რომ ყველაფერი ცუდადაა, ბოლო წუთში სხვა რაღაცებზე იწყებს ფიქრს. და მთელი ის მეცადინეობა, პრობლემების და ვითარების გასახმიანებლად, სადღაც იკარგება. არ ვიცი, ეს რისი ბრალია. შეიძლება გახმიანების ბრალია, შეიძლება, მსმენელისა. ერთხელ რომ ყოფილიყო არჩევნები, შეცდომები გვეპატიებოდა, რადგან ამისი გამოცდილება არ გვქონდა - 70 წლის განმავლობაში ხომ არჩევნები არ გვქონია. მაგრამ პირველი გამოცდილება შევიძინეთ, მეორე, მესამე... სამჯერ თუ მოგატყუეს, მოუტყუებიხარ და ეგ არის. მე ასე მგონია.

- ჰო, მაგრამ პროგრესი არის. ხალხი უფრო ფრთხილი და გამჭრიახი გახდა. ადამიანის უფლებები დაფარული იყო.

- დაფარული იყო კი არა, არ ვიცოდით.

- არ ვიცოდით, რადგან არ გვჭირდებოდა, მაინც არავინ შეგვისრულებდა. მაგრამ ახლა ერთ რამეზე მწყდება გული. ხომ კარგი იქნებოდა, იმ ქუჩებში გვევლო, როინაშვილი რომ იღებდა, იმ ქუჩებში, რომლებზეც გრიშაშვილი წერდა. ამ ბედნიერებას მოკლებული ვართ. დააქციეს ის კუნძულები. ვინ დააქცია? ნუვორიშები მოვიდნენ ხელისუფლებაში. მათ ხომ ქალაქური ყოფის განცდა არ ჰქონდათ, რომ ჩამოვიდნენ, ამ ქალაქის სიყვარული და პატივისცემა არ ჰქონდათ, არც არაფერი შეუძენიათ, ერთი დღე არ უცხოვრიათ ქალაქური ყოფით. მათი ცხოვრება ასე მიდიოდა: კაბინეტი - მანქანა - აგარაკი. ეს ხომ არ არის ამ ქალაქის ცხოვრება, რომელიც მათთვის უცხო გარემოა, უცხო, არამშობლიური გარემოსადმი ადვილად იჩენ აგრესიას, იოლად იმეტებ, როცა კულტურის მატარებელი არა ხარ. თორემ კულტურული კაცი რომ ჩამოდის, იმან, შეიძლება, ჩემზე და თქვენზე უკეთ დაიწყოს აქაურობის მოვლა.

- ეგეთი ბევრი მაგალითი არსებობს.

- ესენი კულტურასთან საზიარებლად არ ჩამოსულან. ესენი ხელისუფლების მოსახვეჭად არიან ჩამოსულები. მთელი ცხოვრება იხვეჭენ, იხვეჭენ და არ დაიღალნენ. ახლა ჩვენ უნდა დავღალოთ, რომ წავიდნენ და მოსცილდნენ ხელისუფლებას.

- ძალიან კარგი.

- საქართველოს თანამედროვე ისტორიას უნდა მოსცილდნენ. იქიდან ვეღარ ამოეწერებიან, რაშიც ჩაეჭედნენ, მაგრამ მომავლის ისტორიას უნდა მოსცილდნენ. ამის იმედი მაქვს. საქმე საქმეზე რომ მიდგება ხოლმე, ექსტრემალურ სიტუაციებში შეიძლება, მეორე პლანზე ინაცვლებს ის, რასაც ჩვენი საქმე ჰქვია, რასაც შენ იღებ, რასაც მე ვწერ, რასაც ვიღაც ხატავს. მაგრამ ხელოვანს თავისი საქმე აძლევს ძალას. ვთქვათ, თემო მაჭავარიანი რომ ხატავს, რასაც ის განიცდის, ფასეულია. ვახტანგ რურუა რომ ხატავს, მისი ნამუშევარი განცდითაა სავსე. ასეთმა ადამიანებმა აქაურობის ფასი იციან. ერთიც მინდა ვთქვა. ქალაქთან დაკავშირებით ჩვენი მეცადინეობა ნაყოფს იღებს, არ ჩაინავლა, ჰაერში არ დაიკარგა; თუმცა ის შედეგი ჯერ არა ჩანს, რაც საბოლოო მიზნადაა ჩაფიქრებული, მაგრამ ამ თემამ მოძრაობა დაიწყო. ამაზე მხოლოდ ხუთი-ექვსი კაცი აღარ ლაპარაკობს. დიდძალი საზოგადოება შეუერთდა ამ საქმეს. ან შეიძლება, ჩვენ შევუერთდით. ამას მნიშვნელობა არა აქვს. ბელადობა ჩვენგან არავის უნდა, მხოლოდ სატკივარი გვაწუხებს. იმედი მაქვს, რომ უკვალოდ არაფერი ჩაივლის.

- ნამდვილად, მე გაცილებით უფრო რბილად ვლაპარაკობ, რადგან გულწრფელად მიმაჩნია, რომ შეუპოვრობით არაფერი გამოვა; უმჯობესია, ნელ-ნელა მიჰყვე საქმეს. ეს ჩემი აზრია. შეიძლება, არასწორი, მაგრამ მე ასეთი დამოკიდებულება მაქვს. უკვალოდ არაფერი არ ჩაივლის. ქალაქი ცოცხალია და მეტამორფოზას განიცდის, მაგრამ კარგიც და ცუდიც აუცილებლად შედეგს გამოიღებს. მიზანი, რომელზეც ახლა ვლაპარაკობთ, სწრაფად ვერ განხორციელდება. მართივად რომ ვთქვათ, ერთი არჩევნებით ამის მოგვარება არარეალურია.

- რა თქმა უნდა. საბოლოო მიზანი პარიზშიც კი არ არის მიღწეული. ეს მუდმივი პროცესია, ოღონდ სწორი მექანიზმები უნდა ჩაიდოს. ხშირად იმეორებენ, შევარდნაძე თუ არა, ვინ იქნებაო. განა არ ჯობია, ვიფიქროთ - რა იქნება? თუ სწორი პრინციპები ჩაიდება ფუნდამენტში, მერე ვერავინ ვეღარ დაშლის.

- საქმე ვიღაცაზე კი არა, რაღაცაზე უნდა იყოს დამოკიდებული, კანონზე უნდა იყოს დამოკიდებული. ალბათ თქვენი მეთოდი უფრო სწორია - აქტიური მეთოდი.

- ჩვენი მეთოდები ერთმანეთს ხელს არ უშლის, ავსებს.

- მე ოპტიმისტი ვარ. ტრაგედიად არ აღვიქვამ, თუ რამე ცუდი ხდება. ცუდი უნდა გამოვასწოროთ, კარგი - გავაკეთოთ.

- მოდით, თქვენს საქმეს დავუბრუნდეთ. დღეს ფოტოგრაფიის ბუმია. ამ საქმით ბევრი დაინტერესდა და ეს ალბათ ცუდი არ არის, კარგია.

- ძალიან კარგია.

- ლიტერატურასაც უამრავი ხალხი მიეძალა. თუმცა სიმრავლე ვერაფერს გააფუჭებს. თუ ვინმე კარგ მოთხრობას და ლექსს არ დაწერს, ამით ქვეყანა არ დაიქცევა.

- მითუმეტეს, თუ ის ცუდი და კარგი ნაწერი გაირჩევა.

- რასაკვირველია. დღეს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, თუ აქვს ამისი საშუალება, თავისი ნაწერები გამოსცეს. ეს ძალიან კარგია. ნებისმიერ ადამიანს თანაბარი შესაძლებლობა აქვს თავისი ნიჭის წარმოსაჩენად.

- დღევანდელი ფოტოგრაფია გაცილებით სჯობია იმას, რაც საბჭოთა პერიოდში იყო. მე ყველაზე საშინელი ის უძრაობის პერიოდი მგონია. მართალია, წინა პერიოდებში არ მიცხოვრია, მაგრამ წამიკითხავს. იქ იყო გარკვეული დამოკიდებულება. როცა ვიღაცას სჯიდნენ, ვთქვათ, მიხეილ ჯავახიშვილს, როცა მას ფიზიკურად ანადგურებდნენ, ამაზე საშინელი ხომ არაფერია, მაგრამ დამოკიდებულება მაინც არსებობდა. იცოდი, რომ ვიღაც ძლიერია და იმას ებრძოდი. უძრაობის პერიოდში ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ არც არავის სჯიან და არც არავის აინტერესებს, რა ხდება. ჩამყაყებული ვითარება იყო და იმ პერიოდში ფოტოგრაფია, ფაქტიურად, არ არსებობდა. გაცილებით უკეთესია, როცა არსებობს ბევრი ფოტოგრაფი და არის რაღაც დონე, თუნდაც საშუალო. როგორც წესი, სწორედ ეს საშუალო დონე ბადებს მერე ინტერესს გამოყოფისა. ინტერესს - რა არის უკეთესი. თუ ამგვარი ინტერესი არ არსებობს, საერთოდ, არაფერი არ იქნება. რაღაც იმიჯები შეიქმნება, ფოტოს დაარქმევენ, მაგრამ ის ფოტო არ არის. დღეს ბევრი დაინტერესდა ფოტოთი. რასაკვირველია, ყველა ფოტოგრაფი ვერ გახდება, მაგრამ თუ ყველა გაავსებს ალბომებს თავისი ფოტოებით, კარგისა და ცუდის გარჩევა მაინც ეცოდინებათ. ეს პერიოდი უკვე დადგა.

- ეს ფოტოები საზოგადოებისთვის თუ არ იქნება მნიშვნელოვანი, საკუთარ ოჯახებს მაინც შეუნახავენ.

- რა თქმა უნდა, ფოტოგრაფია დოკუმენტია და ეს დოკუმენტი ყოველთვის საინტერესოა. სულ არაფერი რომ არ იყოს გადაღებული, ეპოქას მაინც წარმოადგენს. ამიტომ მგონია, რომ დღეს რაც ხდება, ძალიან კარგია. ახლა გადასადგმელია მეორე ნაბიჯი - ეს არის საღი ინტერესი იმ ფოტოგრაფიისადმი, რომელსაც მხატვრულს უწოდებენ. ეს არის უდიდესი პოტენციალის მქონე საგანი. ესაა ნამდვილი ფოტოგრაფია, რომელსაც დაფასება სჭირდება.

- მარტო მხატვრულ ფოტოს კი არა, რეპორტაჟული ფოტოსაც დიდი ღირებულება აქვს.

- კარგი რეპორტაჟული ფოტოც მხატვრულია. ამას სჭირდება დაფასება. სამწუხაროა, რომ ქალაქში არ არსებობს ფოტოგრაფიის მუზეუმი. ვთქვათ, მუზეუმს შენობა სჭირდება, მაგრამ ხელოვნების მუზეუმი ხომ არსებობს, სხვა მუზეუმები ხომ არსებობს, და არ არსებობს ფოტოგრაფიის განყოფილებაც კი. ნებისმიერი უცხოელი რომ ჩამოდის, პირველ რიგში, ეძებს ღია ბარათს. არ ვიცი, შეიძლება, ეს ტრაფარეტული აზროვნების ბრალია, მაგრამ ჩამოსულს ყოველთვის უნდა, რომ ის სახლი, რომელსაც უყურებს, ახლა სურათზე ნახოს, შეიძინოს იაფად თუ ძვირად, ზედ რაღაც წააწეროს და ვიღაცას გაუგზავნოს. არადა, არ არსებობს ადგილები, სადაც ის ამ ღია ბარათებს იპოვის. საქართველოში, სადაც მუშაობდნენ როინაშვილი, ჟვანია, თიკანაძე, აუცილებლად უნდა იყოს ფოტოგრაფიის მუზეუმი. აქ უამრავი მასალაა, რომელსაც მუზეუმმა უნდა მოუყაროს თავი, დაალაგოს, ადგილი მიუჩინოს, ღირებულება განსაზღვროს. დასავლეთში ეს საქმეც მშვენივრადაა მოგვარებული. იქ ჩვენზე უკეთესი არც ფოტოგრაფები ჰყავთ, არც მწერლები, არც მხატვრები. მაგრამ სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურები წარმოაჩენს იმათ, ვის პოტენციასაც ხედავენ; და ისე წარმოაჩენს, რომ შენზე უკეთესი გგონია. ისე, რა თქმა უნდა, უკეთესია - შენზე მეტი წიგნი აქვს გამოცემული, შენზე მეტ ჟურნალშია დაბეჭდილი, შენზე მეტს უხდიან ნამუშევარში და შენზე უკეთესიც ხდება - წარმატებული და ცნობილი. აქ არის ამის პოტენცია, არის ამის მასალა და არ ხდება ამის თავმოყრა და რიგიანად წარდგენა საზოგადოებისათვის. ეს ხომ ვიღაცამ უნდა ითავოს, ამაზე ვიღაცამ უნდა იფიქროს... ახლა სწორედ ესაა გასაკეთებელი.

- ახლახან თეატრალურ სარდაფში ვნახე მირიან გუჯაბიძის კოლექციის გამოფენა. უამრავი ღია ბარათი იყო თავმოყრილი.

- რომელი წლები და როგორი ხარისხი! ეს არის პერიოდი XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საბჭოთა ხელისუფლებამდე. ვინც ამას აკეთებდა, იცოდა, როგორ აკეთებდა და რატომ. მაშინ ეტყობა, სხვანაირად ფასდებოდა ეს ყველაფერი. შარშან იტალიის საელჩოში გაიმართა ვიტორია სელას გამოფენა. მთას იღებდა - სვანეთს, ხევსურეთს. იმ ფოტოებმა გამაოცა. უზარმაზარი შრომაა გაწეული. მაშინ ფოტოგრაფია ეყრდნობოდა მინას. ნეგატივების ზომა იყო 4X30. თუნდაც ამის ნახევარი ყოფილიყო. წარმოგიდგენიათ, მარტო ეს მინა როგორ უნდა ათრიო მთაში, რომ აღარაფერი ვთქვა საჭმელზე, ვეება აპარატზე, ლაბორატორიაზე. იმ ნეგატივებს რომ გადაიღებ, იქვე უნდა გაამჟღავნო. რა აიძულებდა სელას, რომ ამხელა ტვირთით ჩამოსულიყო საქართველოში, ასულიყო მთაში და ეს ფოტოები გადაეღო. ეს არის საქმის უსაზღვრო სიყვარული, უსაზღვრო პატივისცემა შრომისადმი საერთოდ და იმის გააზრება, რომ დიდ საქმეს აკეთებ. იმ ფოტოებს წარწერები რომ არ ჰქონდეთ, შეიძლება, ვერც მიხვდე, რომ ეს საქართველოა, იმდენად შეიცვალა ყველაფერი, ხალხიც სხვანაირი გახდა. ვიტორიო სელა ამ საქმეს რომ აკეთებდა, ეტყობა, გრძნობდა, რომ გავიდოდა დრო და მის ფოტოებს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

- სამუდამო ფასეულობა შექმნა. კასტელიც ამას აკეთებდა. ოღონდ მაშინ ფოტოგრაფია არ იყო და ხატავდა პორტრეტებს, სახლებს, თავისებურ ფოტოებს ქმნიდა. ოც წელიწადზე მეტი იცხოვრა საქართველოში და ბოლოს დაწერა, საქართველო ჩემთვის შეყვარებული იყოო. ვიტორიო სელასთვისაც საქართველო მარტო ქვეყანა კი არა, კულტურა იყო. იცოდა, რას აკეთებდა, რა ფასეულობას ქმნიდა და ეს მისი მოთხოვნილება იყო.

- ასე მგონია, ახლა რომ ფოტოგრაფია კეთდება საქართველოში, მოყვარულთა ფოტოები იქნება ეს თუ პროფესიონალებისა, იმავე მნიშვნელობას შეიძენს დროთა განმავლობაში, რაც აქვს როინაშვილის, ერმაკოვის თუ იმავე კასტელის ნამუშევრებს. ეს უზარმაზარი მასალა რომ არ არსებობდეს, მიახლოებითი წარმოდგენაც არ გვექნებოდა, თუ რა ხდებოდა იმ ეპოქაში.

- ლიტერატურის ერთი ისტორიკოსი წერს, დუბლინი რომ დაქცეულიყო, პირისაგან მიწისა რომ აღგვილიყო, ჯოისის წიგნებით აღვადგენდითო. ეს ქალაქი მართლაც ზედმიწევნით დოკუმენტურად არის აღწერილი. ასეა ეს ფოტოებიც. მხატვრული ღირებულების გარდა, დოკუმენტურობითაც ფასობს.

- სხვათა შორის, "ულისე" ქართულად რომ გამოვიდა, მაშინ წავიკითხე, 1989-1990 წლებში. იმდენად იმოქმედა, რომ ჩემდა უნებურად, დავიწყე სერიის კეთება "ულისეს" გავლენით. მერე, ჩემი ფოტოები რომ გადავათვალიერე, აღმოჩნდა, რომ ის, რასაც მაშინ თბილისში ვიღებდი, ჩემდა უნებურად, ზუსტად ასახავდა რომანში აღწერილ ქალაქს. შეიძლება, ვინმეს აბსურდულად მოეჩვენოს ის ტექსტები, რომლებიც მივუსადაგე ფოტოებს, რადგან იქ ბაკ მალაგანზეა ლაპარაკი. მაგრამ ისე იკითხება, რომ ვერ გაარჩევ, თბილისზეა დაწერილი თუ დუბლინზე.

- ზემელის აფთიაქი ახლა ხომ აღარ არის. "ულისეში" წავაწყდი ასეთ ფრაზას: "აფთიაქები იშვიათად იცვლიან ადგილს". მერე ერთ ლექსში ვწერდი: "აფთიაქები იშვიათად იცვლიან ადგილს. ამ ქალაქში ესეც შეცვალეს".

- ახლახან გადავათვალიერე "ულისეს" გავლენით გადაღებული სერია. მომეწონა და ვიღაცას გავუგზავნე. პასუხად მომწერეს, შეიძლება, 2004 წელს დუბლინში ამ სერიის გამოფენა მოვაწყოთო. ძალიან გამიხარდა. ჯერ ერთი, ინგლისში არა ვარ ნამყოფი, ეგეც არ იყოს, დუბლინი რაღაცნაირად ჩემი გახდა იმ წიგნის მერე...

- ძალიან სასიამოვნოა. წარმატებას გისურვებთ.

გურამ წიბახაშვილის ფოტოები
ეკა ჭაფარიძის ალბომიდან "თბილისის სადარბაზოები"

ქალაქური ვრცელი

"უცნობი ოთხმოციანელები"

ზაალ სამადაშვილი

"თეატრალური სარდაფის" ბარში შევხვდით ერთმანეთს. არის ბელგრადში ასეთი არტ-სკლუბი რესპუბლიკის, ყოფილ ტიტოს სახელობის მოედანთან. ცალ-ცალკე მოვიდნენ. ჯერ მილუნკა სიმონოვიჩმა ჩამოირბინა კიბე. ძალიან მოკლე შორტები და მწვანე მაისური ეცვა, მხარზე სპორტული ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული. ჩანთიდან ჩოგნის ტარი მოუჩანდა. ეგზალტირებული იყო, მომესალმა თუ არა, მაშინვე იმის მოყოლა დაიწყო, როგორი ჩინებული პარტნიორობა გაუწია კორტზე ჩოგბურთით გატაცებულ ცნობილ მხატვარს. ნაადრევად შემჭკნარი სახე რომ არა, ვერ იფიქრებდი ორმოცი წლის ქალს თუ ელაპარაკებოდი. რას დალევთ-მეთქი, ვკითხე. სპირტიანი სასმელები უკვე ერთი კვირაა ავიკრძალეო, მითხრა და ფორთოხლის წვენი მოითხოვა ყინულით.

სტეფან მიხაილოვიჩი ძაღლის, სქელკისერა და მკერდგანიერი როტვეილერის თანხლებით მოვიდა. შინ არავინ იყო და იძულებული გავხდი წამომეყვანაო, მოიბოდიშა და მილუნკა გადაკოცნა. მიყვარს ულვაშიანი მამაკაცებიო, თქვა მილუნკამ და მე მომიბრუნდა, - თქვენო?.. სქელულვაშა და ზედმიწევნით სუფთად გაპარსული მიხაილოვიჩი სადღესასწაულოდ გამოწყობილ ფერმერს ჰგავდა. მან ძაღლს უბრძანა, იჯექიო, ჩვენს ჯიქებს შეავლო თვალი და თავისთვის წითელი ღვინო შეუკვეთა.

პეტარ კოიჩი ნასვამი გამოგვეცხადა. მთავარია მთვრალი არ იყოს, ნასვამს არა უშავსო, ნათქვამი ჰქონდა ჩემს რედაქტორს, ვისი დავალებითაც ვხვდებოდი ამ მწერლებს. კოიჩი ხელების აწევით მიესალმა დარბაზში მყოფ საზოგადოებას, უმეტესად ლუდის მოყვარულ სტუდენტებს და რწევით გამოემართა ჩვენკენ. მისი მოსვლით მიხაილოვიჩის როტვეილერმა გაიხარა ყველაზე მეტად, წკმუტუნითა და კუდის ქიცინით აულოკა სახე. კოიჩს თინეიჯერულად, კეპით უკან ეხურა ტყავის "კენგოლი"და მომწვანო-მონაცრისფრო თვალები ირონიულად უციმციმებდა. მილუნკას უთხრა, რა პატარა გოგოსავით დაიარებიო, ხოლო მე კი ხაზგასმული თეატრალურობით მეამბორა ხელზე.

სულ ბოლოს ალექს ნიკოლიჩი შემოგვიერთდა. დიდხანს ხომ არ გალოდინეთო, შეწუხებულმა იკითხა და ამოიოხრა, მოვკვდი ამ ნაკრძალებში სირბილით, პირდაპირ ვუკოვარიდან მოვდივარო. რედაქტორისგან ვიცოდი, რომ ნიკოლიჩი ბუნების დაცვის რომელიღაც საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობდა. კიდევ კარგი, რომ ამ არეულ ქვეყანაში ვიღაცას მაინც ახსოვს ტყე და ნადირიო, ჩაილაპარაკა სტეფან მიხაილოვიჩმა და ღვინოს გემო გაუსინჯა. ღვინოზე არც მე ვიტყოდი უარს, თქვა ნიკოლიჩმა. პეტარ კოიჩმაც მოინდომა დალევა, ოღონდ რუსული არყის... რაც ჩემდა საბედნიეროდ ნიკოლიჩმა გადააფიქრებინა, ჯერ გავესაუბროთ ამ ქალბატონს და მერეო, ურჩია მშვიდად და თაფლისფერ წვერზე ჩამოისვა ხელი.

სანამ დიქტოფონს ჩავრთავდი, ჩანთიდან მათი წიგნები ამოვიღე და ავტოგრაფები ვთხოვე. მილუნკა სიმონოვიჩმა "ავტოპორტრეტზე" მომიწერა ხელი, სტეფან მიხაილოვიჩმა - "შფოთიან ღამეებზე", პეტარ კოიჩმა - "მოგონებების მოლეკულებზე", ალექს ნიკოლიჩმა კი - "საოჯახო ქრონიკაზე".

წიგნები ჩანთაში რომ ჩავაბრუნე, ბარმენს ვანიშნე, მაგნიტოფონს ოდნავ მაინც დაუწიე ხმა-მეთქი. ხმის დაწევა ჩვენს საქმეს ვერ უშველის, თქვა პეტარ კოიჩმა და ქურთუკის ჯიბიდან კასეტა ამოიღო. ბლუზები? - ჰკითხა მილუნკა სიმონოვიჩმა. მარსია ბეილის შესრულებით, - ამაყად მიუგო მან და კასეტა ბარმენს გაუწოდა, ეს ჩადეო. მომინდა მეკითხა, რატომ უყვარს ბლუზი და ხომ არ უკავშირდება ეს მისი პროზაული ტექსტების სისადავეს, მაგრამ ცდუნებას ვძლიე და ის შეკითხვა დავსვი, პირველ ნომრად რომ მეწერა ბლოკნოტში - რატომ მოიხსენიებენ მათ "უცნობ ოთხმოციანელებად"...

"მოგვიხსენიებენ" - გადაჭარბებული ნათქვამია", თავი გადაქანა სტეფან მიხაილოვიჩმა.

"ძალიან გადაჭარბებული", დაეთანხმა ალექს ნიკოლიჩი, "ოდესღაც, ერთმა ჩვენმა კოლეგამ მოგვიხსენია ასე რომელიღაც მიმოხილვაში, ეგ იყო და ეგ..."

"ტიტოს დროს მაგრად უყვარდათ მწერლების თაობებად დაყოფა", გაიხსენა მილუნკა სიმონოვიჩმა.

"ახლაც უყვართ", განაცხადა პეტარ კოიჩმა.

"არა ვართ ისეთი პოპულარულები, რომ გაგვაერთიანონ და სახელი დაგვარქვან", განმარტა სტეფან მიხაილოვიჩმა.

"ერთმა მოგიხსენიათ ასე თუ ათმა, ფაქტია, რომ ამ სახელმა ჩემამდე, რიგით მკითხველამდე მოაღწია. იქნებ ამიხსნათ, რატომ "უცნობი ოთხმოციანელები" და არა, უბრალოდ - "ოთხმოციანელები?", დავსვი კიდევ ერთი მომზადებული კითხვა.

"ალბათ იმიტომ, რომ გვკითხულობდნენ და არ გვიმჩნევდნენ", მიპასუხა სტეფან მიხაილოვიჩმა.

ცოტა არ იყოს, მაკვირვებდა მისი აქტიურობა. ერთი შეხედვით, ისეთი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ყველანაირ შეკრებაზე უცხოდ რომ გრძნობს თავს.

"კრიტიკოსებს გულისხმობთ?" დავაზუსტე მე.

"ჰო, კრიტიკოსებს", თავი დამიქნია მან.

"თუკი არ გვიმჩნევდნენ, ესე იგი არ მოვწონდით", გაშალა ხელები ალექს ნიკოლიჩმა.

"კარგი იქნებოდა, შევემჩნიეთ", დანანებით თქვა მილუნკა სიმონოვიჩმა, "მეცოდინებოდა მაინც, როგორ გამომდის საქმე".

"ცხვირს ნუ ჩამოუშვებ, ჩემო გოგონა, ფორმაში ყოფნა კრიტიკოსების გარეშეც შეიძლება", გაამხნევა ქალი პეტარ კოიჩმა და ბარმენს მიუბრუნდა, ორმოცდაათი გრამი რუსული ჩამომისხიო.

"Louisiana... Louisiana!.." - ცაში ადიოდა მარსია ბეილი.

"ლიტერატორმა ზლატკო ვუიოვიჩმა, ვინც თქვენ "უცნობი ოთხმოციანელები" შეგარქვათ, ახლახან გამოაქვეყნა ესეი "ეს უცნაური, სენტიმენტალური ორმოცი წლისანი"... "უცნობობისა" არ იყოს, ხართ თუ არა სენტიმენტალურები?" ვიკითხე და მზერა რატომღაც პეტარ კოიჩს მივაპყარი. მას უკვე გადაეკრა არაყი და სიგარეტის მოსაკიდებლად ძველისძველ, გვერდებაკაწრულ "ზიპოს" აჩხაკუნებდა.

"ჯერ ერთი, ესეი კი არა, ესე", შემისწორა მან, "ვარ თუ არა სენტიმენტალური?.. ვარ. მეტსაც გეტყვით, სენტიმენტალურობას კომპლიმენტად მივიჩნევ... ადამიანები სენტიმენტალურობით განვსხვავდებით მხეცებისაგან..."

"სენტიმენტალური სულაც არ გახლავართ, ვერც ჩემს ნაწერებს დააბრალებს ვინმე ამას", თქვა სტეფან მიხაილოვიჩმა და ფუო, ფეხი დაუბაკუნა თავის ძაღლს, რომელსაც ყურების დაძაგვრაზე შეეტყო, რომ ბართან ახლოს მსხდომი ახალგაზრდების ხმამაღალი კამათი არ მოეწონა.

"პირქუში კაცი ხარ შენ", უთხრა მას მილუნკა სიმონოვიჩმა, "პირქუში და..."

"მე მკითხველს ენას ვერ მოვუჩლექ", არ დაამთავრებინა სტეფან მიხაილოვიჩმა და ჩემკენ გამოიხედა.

ალბათ თავი უნდა დამექნია თანხმობის ნიშნად, მაგრამ ვერ შევძელი, დანარჩენებისა მომერიდა.

"ნუ ვიჩხუბებთ", თქვა ალექს ნიკოლიჩმა, "ბოლოს და ბოლოს, ასაკის გამო მაინც შეგვეფერება სენტიმენტალურობა".

"ასაკი არაფერ შუაშია", თითი გააქნია პეტარ კოიჩმა, "არც ასაკი და არც ენის მოჩლექა... სიყვარულს თუ სიძულვილს ყველა ჩვენებურად გამოვხატავთ... მე მარსია ბეილის ამხანაგი ვარ, სტეფანი - მიკ ჯაგერის!.."

"მიკ ჯაგერის და ჯიმი მორისონის", დაამატა სტეფან მიხაილოვიჩმა.

ამოვისუნთქე, მეგონა იმ ახალგაზრდებივით აუწევდნენ ხმას.

"კარგ საქმეს აკეთებს ვუიოვიჩი", მითხრა ალექს ნიკოლიჩმა, "წიგნებზე და მწერლებზე წერა დღეს ყველას ეზარება".

"ახლა ეს დაატრიალე!" მოიხმო ბარმენი პეტარ კოიჩმა და ქურთუკის ჯიბიდან კიდევ ერთი კასეტა ამოაძვრინა.

"ამჯერად ვის მოვუსმენთ?" ჰკითხა მილუნკა სიმონოვიჩმა.

"ტომ უეიტსს", უპასუხა მან და მრავალტანჯული "ზიპოს" დახლზე დასკუპებით თითქოს წერტილი დაუსვა წარმოთქმულ ფრაზას.

"ტომ უეიტს..." გაიმეორა ალექს ნიკოლიჩმა, "ეგ ის არ არის, სიმღერების ტექსტებს გინზბერგი და ბეროუზი რომ უწერდნენ?"

"არ ვიცი", მხრები აიჩეჩა პეტარ კოიჩმა", "Cotton-club"-იდან გემახსოვრებათ, რამდენჯერმე ჩნდება ეკრანზე დიდი სიგარით ხელში".

"მახსოვს!" წამოიძახა მილუნკა სიმონოვიჩმა, "ერთადერთი კაცია მაგ ფილმში, ვისაც ჰოლივუდური გარეგნობა არა აქვს!"

"გინზბერგი და მეორე რა გვარი თქვი?" იკითხა სტეფან მიხაილოვიჩმა.

"ბეროუზი", უპასუხა ალექს ნიკოლიჩმა.

"ჰო, ბეროუზი... ეგენი ვინღა არიან?" სტეფან მიხაილოვიჩს აშკარად ეტყობოდა, რომ მართლა პირველად ესმოდა ეს გვარები, თუმცა ალექს ნიკოლიჩმა მაინც უთხრა ღიმილით, თავს ნუ ისაწყლებო.

"რა ვქნა, არა ვარ თქვენსავით განათლებული", თქვა სტეფან მიხაილოვიჩმა და გამოცლილი ჭიქა ბარმენს გაუცურა, შემივსეო.

"შეგიძლია გვითხრა, ინფორმირებული არა ვარო, თორემ განათლებული ნამდვილად ბრძანდები!" მხარზე ხელი დაჰკრა პეტარ კოიჩმა და თან ძაღლს დახედა, არ გამიბრაზდესო.

"ნელა, მხარი არ მომტეხო", როგორც იქნა, გაიღიმა სტეფან მიხაილოვიჩმა.

"სისტემატურად თუ წერთ, პროდუქტიულები თუ ხართ?" შევახსენე თავი ჩემს რესპონდენტებს. უნდა მეყოჩაღა, თორემ ფირი არ მეყოფოდა და ბლოკნოტში ჩამოწიკწიკებული კითხვები უპასუხოდ დამრჩებოდა.

"სისტემატურად რომანისტები წერენ", თქვა მილუნკა სიმონოვიჩმა, "ყოველ დილას, ნებისმიერ ხასიათზე, ნებისმიერ ამინდში".

"რომანი თქვენც გაქვთ დაწერილი", შევახსენე მე.

"ერთი რომანის დაწერა რომანისტობას არ ნიშნავს", მიპასუხა მან. "ერთი რომანისთვის თავის მობმა ყველას შეუძლია".

"როგორც ერთი ლექსისთვის..." დაემოწმა პეტარ კოიჩი.

"სისტემატურად წერას ვერც მე ვახერხებ და ძალიანაც განვიცდი ამას", თქვა ალექს ნიკოლიჩმა, "პროდუქტიულობაზე რა მოგახსენოთ... პროდუქტიულობა პროდუქციის შექმნაა, ანუ ხარისხიანად წერა..."

"რასაც სისტემატურად წერა უწყობს ხელს", დაამატა მილუნკა სიმონოვიჩმა.

"გიმნაზისტებივით ვლაპარაკობთ", კვლავ გაღიზიანდა სტეფან მიხაილოვიჩი, "უპრიმიტიულეს რამეებს ვამბობთ".

"თანაც ბრძნული სიფათებით", გაეცინა პეტარ კოიჩს.

"დალევა მომინდა", თქვა მილუნკა სიმონოვიჩმა და თვალი ბარმენისკენ გააპარა, მონიკელებული ონკანიდან ირლანდიურ "ჰარპს" რომ ასხამდა სქელძირიან შუშის კათხებში.

"ჩოგბურთელები არ სვამენ", უთხრა ალექს ნიკოლიჩმა.

"მწერლები ხომ სვამენ?" არ დაიბნა მილუნკა.

"ჩვენში მწერლები არ სვამენ, მწერლები ჩვენში ხალხს მოძღვრავენ..." პათეტიკურად განაცხადა სტეფან მიხაილოვიჩმა.

"ჯერ მოძღვრავენ, მერე კვარცხლბეკებზე დგებიან"... აჰყვა პეტარ კოიჩი.

"ლუდი მაინც დამალევინეთ?" ითხოვა მილუნკამ.

"ოღონდ პორტერი არა", ხმა გაიმკაცრა ნიკოლიჩმა.

"Time, Time, Time..." უეიტსთან ერთად წაიღიღინა კოიჩმა და თვალები მილულა.

როტვეილერმა დაიყეფა.

"არ მოეწონა ცუგას ჩემი სიმღერა", გული დაწყდა კოიჩს.

"შენ არაფერ შუაში ხარ", დაამშვიდა სტეფან მიხაილოვიჩმა, "დაიღალა, ქუჩაში უნდა"...

მილუნკა სიმონოვიჩი ნელ-ნელა წრუპავდა ლუდს და მზერაზე ეტყობოდა, რომ ყოველი ყლუპის შემდეგ რომელიღაც სხვა სამყაროს უახლოვდებოდა. მივხვდი, რომ ჩვენი შეხვედრა დიდხანს აღარ გაგრძელდებოდა და დარჩენილი შეკითხვებიდან ყველაზე ეფექტური შევარჩიე. შეკითხვა ასე ჟღერდა - დაიბადებოდა თუ არა ბელგრადში უმბერტო ეკო...

"უმბერტო ეკო, თუ უმბერტო ეკოსნაირი მწერალი?" მკითხა ალექს ნიკოლიჩმა.

"უმბერტო ეკო და უმბერტო ეკოსნაირი რამ გაჰყო ერთმანეთისგან?" მილუნკასგან განსხვავებით პეტარ კოიჩს სხვა სამყაროსკენ არ აუღია გეზი, სიტყვების გაწელვაზე შეეტყო სიმთვრალე.

ასეც შეიძლება ამ შეკითხვის გაგება-მეთქი, განვმარტე.

"ამ გარემოში უმბერტო ეკოსნაირის დაბადება უფრო სავარაუდოა, ვიდრე..."

"ვიდრე სტივენ კინგისნაირის", შეეშველა ნიკოლიჩს პეტარ კოიჩი და თვალი ჩაუკრა, ხომ მიგიხვდი გულის ნადებსო.

"თუნდაც", თქვა ნიკოლიჩმა.

"რატომ?" დავინტერესდი მე.

"სადაც გამომცემლები და ტელე-კინო პროდიუსერები კალმოსან ხალხს არაფერს არ უკვეთავენ, იქ მარტო ეკოები იბადებიან", მომიგო ნიკოლიჩმა.

"ეკოები და მორავიები"... კვლავ შეეშველა კოიჩი.

"თქვენი არ ვიცი და მე, მორავია მირჩევნია ეკოს", შეგვეხმიანა მილუნკა სიმონოვიჩი.

"მეც", დაეთანხმა კოიჩი, "ჩოჩარაზე" ვართ დაზრდილები ჩვენი თაობის ბიჭები, ბოლოს და ბოლოს..."

"რა კარგი სიტყვაა "მირჩევნია", რამდენად უკეთესია "ჯობია"-ზე", თქვა ალექს ნიკოლიჩმა და მოწონების ნიშნად ცერი შემართა.

სტეფან მიხაილოვიჩს ხმა არ გაუღია. ჩამჯდარი, ძაღლს უთათუნებდა ხელს კისერზე; მე მგონი, მასზე არანაკლებ ეჩქარებოდა ქუჩაში თავის ამოყოფა...

ცალ-ცალკე მოვიდნენ და ერთად წავიდნენ...

ლიტერატორ ვუიოვიჩისგან განსხვავებით, რომელმაც ამ მწერლების გაერთიანება სცადა, მე მათ დავფანტავდი და სულ სხვა ავტორებთან დავაწყვილებდი: მილუნკა სიმონოვიჩს - მარგერიტ დიურასთან, სტეფან მიხაილოვიჩს - "გაბრაზებულთა თაობის" რომელიმე წარმომადგენელთან, პეტარ კოიჩს - ჩარლი ბუკოვსკისთან, ხოლო ალექს ნიკოლიჩს, სულ ახლახან წაკითხულ ფილიპ დელერმთან, კაცთან, რომელსაც "არაფრისგან" ნოველის შექმნა შეუძლია...

ჰო, მართლა... წასვლისას პეტარ კოიჩმა ის ორი კასეტა მაჩუქა, ჩვენი საუბრის დროს რომ ატრიალებინა ბარმენს. როცა მათ ვუსმენ, ყოველთვის მილუნკა სიმონოვიჩი მახსენდება თავისი არაჩვეულებრივი უნარით - გადაბარგდეს სხვა სამყაროში და იქიდან ესაუბროს ადამიანებს...

■ ■ ■

ეს ტექსტი ნათარგმნია...

"Юность"-ის ფორმატის ყდამოხეულ რუსულ ჟურნალს ბაზარში, სანელებლების გამყიდველთან გადავაწყდი. მოხუცი ქალს პარკების გასაკეთებლად ედო გატიკნილ, სურნელოვან ტოპრაკებთან. ყველაფრის და ყველგან კითხვის ჩვევა ამჯერადაც გამომადგა. მთელმა რიგმა მსგავსებებმა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებასთან, აღმოჩენილმა ჟურნალისტი ქალის, ევსტახია ლაზარევიჩის წერილში, გადამაწყვეტინა მეთარგმნა იგი და მკითხველისათვის შემეთავაზებინა.

პერსონაჟები რომანისათვის

ავთო ვარაზი ირაკლი ფარჭიანთან და მეგობრებთან ერთად

წვიმა

დათო მაღრაძე

ვახო რურუას

და თბილი წვიმა -
ეშხი საყვარლის
წავა და მიწის სურნელს დატოვებს,
ჩამოთქეშილი ტრფობის ხარხარი
დაავიწყდება გამშრალ ნატბორევს.

და ისევ მოვა გრძნეული წვიმა,
გაიხათქუნებს გულზე კვიცივით,
ქალივით წავა
და როგორც წინათ
სხვის ქუჩას გაკრავს მისი სიცილი.

და მარტოობის მქისე ნაფაზი
წაბანცალდება ჭერში ლოთივით,
აივნის მთვარე
და მუხამბაზი
იცვლება ფიქრით და სინოტივით.

ცარიელი და მქრალი დარბაზი...
ღარიბი სუფრის ძველი მოტივი...
ხელს გამოგიწვდის, როგორც ძმაკაცი
ვარაზის სველი ნატურმორტივით.

ტროტუარებო, წერეთ თქვენი მემუარები

ოთხი კუთხე ანუ ერთი პიესის ოთხი მოქმედება

გალაქტიონ ტაბანაშვილი

ზოგიერთი უბანი იმდენად უსახურია, რომ იქ მდგარი სახლები უღიმღამოდ მოჩანს და უმალ გავიწყდება მათი არსებობა, მაგრამ განა ყველა ქალაქშია ისეთი უბანი, თავი რომ დაგამახსოვროს? ასეთ ადგილებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ და ძალუძთ, სრულად დაგვანახონ ქალაქის სახე, გვაგრძნობინონ მისი სული. ძველ თბილისში ცნობილი იყო მიხაილოვის (დავით აღმაშენებლის) პროსპექტისა და კიროჩნის (მარჯანიშვილის) ქუჩის გადაკვეთაზე არსებული მოედანი, თავისი ორიგინალობითა და კოლორიტით - "ოთხი კუთხე".

... ერთ კუთხეში იდგა აგურის კირხე (ლუთერანული ეკლესია), თითქოს სათამაშო კუბებით ნაგებს ჰგავდა. აქ დადიოდნენ საქმიანი ადამიანები - მეფისნაცვლის ჩინოსნები, რესპექტაბელური კოლონისტები, კლასიკური გიმნაზიის მასწავლებლები, ფირმების წარმომადგენლები, მათი მეუღლეები. ისმოდა "ავე მარია!" "მუთერ გათ!" და... თავი თბილისში კი არა, ბერლინში ან მიუნხენში გეგონებოდა...

მოპირდაპირე მხარეს მხიარული აბრები გიწვევდნენ რაჰმანოვების სპარსულ მაღაზიაში. ეს ადგილი "თბილ კუთხედ" ითვლებოდა. ვიტრინის მიღმა, მინის ქილებში ბრჭყვიალებდა მოსარკული ნიგოზი, ატმის ჩირი, შაჰინშაჰის ჰალვა, დაშაქრული ნუში, ნუღლი, შაქარყინული, რაჰათ-ლუკუმი... სპარსულ მაღაზიაში ასეთი წესი იყო: ყველას ყველაფრის გასინჯვა შეეძლო. მუშტარ მანდილოსნებს ტკბილად მოღიმარი მეპატრონე-სპარსელები შემპარავად ეჩურჩულებოდნენ: "ჰელი ჰუპ, ხანუმ! ქეიფ, ხანუმ!.. გასინჯეთ, ქალბატონო!" ასეთი მიღება მეტად სარფიანი გახლდათ. აქ ტკბილეულის არომატი ტრიალებდა...

"მესამე კუთხე" ეკუთვნოდა თბილისური თაიგულების მაგისტრს, წითურ ვასოს. ეტყობა, ღმერთს მიუმადლებია დიდი გემოვნება, რადგან მის ხელში ყვავილები ცოცხლდებოდა და მეორე სიცოცხლეს იწყებდა. ვასო თაიგულს გთავაზობდათ და თან რუსულად დამღეროდა:

Сам играет,
Сам танцует,
Сам поет!

ჰაერში მარჯვედ შეათამაშებდა მშვენიერ თაიგულს, რომელიც ცისარტყელასავით გაიელვებდა. იმდროინდელ თბილისში ოჯახი არ არსებობდა, ვისაც ვასოს თაიგული არ ჰქონდა შინ: მისეული მიხაკი, ვარდი, ქრიზანთემა, კესანე თუ ჰორტენზია ამშვენებდა აივნებსა და ოთახებს. ლურჯ ჰორტენზიებს ბათუმიდან უგზავნიდნენ საგანგებო მუყაოს ყუთებით. ვასო ეთაყვანებოდა ამ ყვავილს და ლექსსაც უკითხავდა, ოღონდ რუსულად:

Голубые гортензии, вы не в стиле эпохи,
Вы картинно эффектны, голубые гортензии.

ვასოს ყვავილებს თბილისელებისთვის შეუდარებელი სიხარული მოჰქონდა. ეს კუთხე ალმასივით ბრწყინავდა, აქ ყვავილები მღეროდნენ. ამ თავისებურ ოაზისში ქალაქელები ისვენებდნენ, ვასო კი თაიგულებით ჟონგლიორობდა:

Мать мой рыжий,
Отец рыжий,
Сам я рыжий стал.
С женой моей, темно-рыжей
Рыжий пап венчал.

მეოთხე კუთხეში მოდების სალონი "შიკი" იყო. უკანასკნელ პარიზულ მოდაზე ჩაცმულ-დავარცხნილი მანეკენები გამვლელებს ეპატიჟებოდნენ, - "შემობრძანდით! ჩაიცვით!" მუშტარი ბევრი ჰყავდა "შიკს", რომელიც ეკუთვნოდა ჰერ ალშვანგს. მას ქალაქის სხვადასხვა ადგილას ჰქონდა თეთრეულის მაღაზიები, ნატიფი გემოვნების მყიდველთათვის აქ დიდი არჩევანის შესაძლებლობა იყო: თვალს ახარებდა აბრეშუმი თუ ბატისტი, მაქმანი თუ ფარჩა...

ჰერ ალშვანგი ზორბა კაცი იყო. სამი კაცი ხელს ძლივს შემოაწვდენდა. რეკლამისთვის მუდამ ბატისტის პერანგი ეცვა, ფაეტონში ძლივს ეტეოდა. ხშირად შედიოდა "ვეტცელის" სასტუმროში მდებარე კულინარიის მაღაზიაში, რომელიც რესტორანივით, მარმარილოთი იყო მოპირკეთებული და თეთრად ქათქათებდა. ალშვანგს აქ ელოდა ნუგბარი კერძები. იგი ორად გლეჯდა შემწვარ ბატს ვაშლებში, წამში სანსლავდა, და ზედ აყოლებდა ნახევარ ვედრო საგანგებოდ მოტანილ მტკვრის წყალს. მსუნაგ ვაჭარს ქალაქელებმა "გარგანტუა" შეარქვეს.

ასეთი იყო დაუვიწყარი თბილისის ეს ოთხი კუთხე, ერთი პიესის ოთხი მოქმედება...

P.S. თბილისის ეს განუმეორებელი ადგილი 1945 წელს პლეხანოვის პროსპექტისა და მარჯანიშვილის ქუჩის რეკონსტრუქციას შეეწირა...

თბილისის ფორუმი

ეს მოედანი ომმა შვა. მის მახლობლად განლაგებული იყო ბატონის მოედანი, რომელსაც XVII-XVIII საუკუნეებში ამშვენებდა მეფე როსტომის, ვახტანგ VI-ის, დედოფლების, უფლისწულების, მეფის ასულების, ქართველი არისტოკრატების სასახლეები. აქ მდებარე ქართველი მეფეების სასახლით აღფრთოვანებული იყო ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც თბილისში XVII საუკუნის 70-იან წლებში იმყოფებოდა. იგი აგრეთვე აღნიშნავდა - თბილისი მჭიდროდ დასახლებული ქალაქიაო.

მჭიდროდ იყო დასახლებული თანამედროვე ერეკლეს მოედანი. ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური გათხრები, რომელიც აქ ჩატარდა. მაგრამ იმ დროიდან, ფაქტობრივად, არაფერი შემორჩენილა. აქაურობა 1795 წელს მოსპო და გაანადგურა აღა-მაჰმად-ხანმა.

1800 წლის ქალაქის გეგმაზე, რომელიც შეადგინა პორუჩიკმა ჩუიკომ, ამ ტერიტორიაზე აღნიშნულია პატარა მოედანი, სადაც იდგა ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის ეკლესიები. ამ კოლორიტულ ადგილს მაშინ შეარქვეს... სალაყბო. ეს ძველი თბილისის ფორუმი იყო - თავისებური საინფორმაციო წყარო. ოფიციალურ დოკუმენტებში კი აქაურობა მოხსენებულია, როგორც "ცარიელი ფუძის ადგილი".

ამ ადგილის თავისებურებაზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გაზეთი "ТИФЛИССКИЕ ВЕДОМОСТ"-ის დროჟამით გაყვითლებული ფურცლები, დათარიღებული 1830 წლით: "В семь часов утра Салакбо по обыкновению покрыта была густыми толпами народа разного звания, начиная от промотавщихся армянских маркитантов до первостатейного грузинского тавада (князя). Здесь постоянные Тифлисские жители и приезжие из провинции судят и рядят между собой о всякой всячине, о делах судебных, тяжебных, хозяйственных, торговых, заключают между собой различные сделки, займы, продают, бывают и ворованные вещи и пр. Рассказывают друг другу политические известия, частные происшествия и народные слухи, хвалят и осуждают по своему произволению жизнь и поведение знакомых и незнакомых, и отсюда, как от главного источника распространяются по разным направлениям все амбави (вести)".

"სალაყბო" წარმოადგენდა ძველი თბილისის თავისებურ სამყაროს, რომელიც ქალაქის არც ერთ სხვა უბანში არ მეორდებოდა. მის არაჩვეულებრიობაზე მეტყველებს შემდეგი ანეკდოტი: ერთ მშვენიერ დღეს სალაყბოს ერთი მუდმივი სტუმარი შინ ბრუნდებოდა, ჩვეულებისამებრ, მოედანზე შეიარა. მშვენიერი ძველი შანდალი შესთავაზეს. ზუსტად ისეთი ნივთი მასაც ჰქონდა. გახარებულმა კაცმა შანდალი შეიძინა. მივიდა შინ და... სახლი გაძარცული დახვდა...

საკუთარი შანდალი უყიდია!

ერეკლე მეფის მოედნის ტერიტორიის პირველსახის აღდგენა შეუძლებელი იყო. როგორც აღვნიშნეთ, იგი მთლიანად განადგურდა. XIX საუკუნეში ოფიციალურად ხან გუბერნატორის მოედანი ერქვა, ხან ეგზარქოსისა. კომუნისტებმა ერთი პერიოდი ბებელის სახელიც შეარქვეს.

ქართველ მეფეთა და მათი ოჯახების სასახლეები განლაგებული იყო თანამედროვე მოედნის აღმოსავლეთ ნაწილში. იქვე იყო სასახლის ბაღი. ნანგრევების ადგილას ზუსტად ორასი წლის წინათ (1802 წელს) აიგო ორი შენობა. ერთი ეკუთვნოდა გუბერნატორს, მეორეში კი მოთავსებული იყო ადმინისტრაციული დაწესებულება, ე.ი. საგანგებო საკრებულო.

XIX საუკუნის შუა ხანებში ეს ადგილი გადაეცა სამღვდელოებას და 1844 წელს აქ აშენდა დიდი შენობა, რომელშიც ბინა დაიდო საქართველოს ეგზარქოსის სამსახურმა და სინოდის კანტორამ. კომუნისტების დროს ამ შენობაში იყო თბილისის მილიციის სამმართველო. დღეს საქართველოს საპატრიარქოა.

მოედნის ჩრდილოეთ ნაწილში იდგა ძველი თბილისური სახლი, რომელსაც "სიმონის სასახლეს" ეძახდნენ. გადმოცემით კი, როდესაც 1710 წელს აშენდა სასახლის წმ. გიორგის ეკლესია, უფლისწულმა სიმონმა მის გვერდით ააგო პატარა სასახლე, რომელიც 1795 წელს სპარსელებმა დაანგრიეს. 1796 წელს საქართველოს უკანასკნელმა მეფემ გიორგი XII-მ აქ ააშენა დროებითი სახლი. ერთი ვერსიის თანახმად, ამ სახლში მისი სიკვდილის შემდეგ, რუსეთში გამგზავრებამდე, ცხოვრობდა მარიამ დედოფალი. სახლიდან მარიამ დედოფლის გამოსახლების დროს აქ მოკლეს გენერალი ლაზარევი, ვისაც დავალებული ჰქონდა დედოფლის გამოსახლება...

შემდგომში სასახლეში ცხოვრობდა ერთი რუსი ოფიცერი. 1840 წელს ეს ადგილი მიჰყიდეს ვაჭარ სალამბეგოვს. სწორედ მან ააგო შენობა, სადაც შემდგომ თეატრის, მუსიკის და კინოს მუზეუმმა დაიდო ბინა. შემდგომ ეს სახლი დაანგრიეს... ახლა ამ ადგილას გაშენებულია ბაღი.

ერეკლე მეფის მოედანს ამშვენებს ორიგინალური შადრევანი, რომელიც პარიზელმა ქართველებმა მიუძღვნეს ქალაქს.

ყურადღებას იპყრობს აგურის შენობა, რომელიც მეფე როსტომის სასახლის მეურნეობას ეკუთვნოდა. აქ იყო მეფის აბანო. 1804 წელს იგი გადააკეთეს ზარაფხანად, სადაც იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით იჭრებოდა ქართული მონეტა. მონეტები იყო 10, 20, 40-კაპიკიანები. სულ ქართული მონეტები 1.059.743 მანეთის და 76 კაპიკის რაოდენობის გამოუშვეს.

ზარაფხანა არსებობდა 1835 წლამდე, მისი დახურვის მიზეზი მოტივირებული იყო იმით, რომ ერთიანი რუსული მონეტების შემოღება უფრო დააახლოებს ეკონომიურად და პოლიტიკურად კავკასიის ხალხს.

აქვე ზარაფხანის ნაცვლად გაიხსნა მსინჯავი პალატა.

მოედნის სამხრეთით იწყება ერეკლეს ქუჩა, სადაც ძველად იყო რასტაბაზარი ანუ გრძელი ბაზარი, როგორც მას შარდენი უწოდებდა.

აი, ამგვარი იყო ძველად სალაყბო - თბილისის ფორუმი. მას ასე ვახტანგ კოტეტიშვილი უწოდებდა.

ოსკარ შმერლინგი - "სალაყბო". ნახატი გამოქვეყნდა მე-19 საუკუნეში, თბილისის სატირულ ჟურნალში "ფალანგა"

ერთი სახლის ისტორია

სახლი "სამაიას" ბაღთან

ფრაგმენტი მოგონებათა წიგნიდან "შუქურები ბურუსში"

მერაბ ღალანიძე

... ეს ის დროა, როცა ოპერის გვერდით აღარ ვცხოვრობ, - ეს მეორე კლასის კიდევ ერთი სიახლეა: ჩემი ახლანდელი სახლი რუსთაველის მოედანთან, "ზემელზე", "სამაიას" ბაღის პირდაპირ დგას.

სახლსა და სკოლას შორის, სკოლასა და სახლს შორის უამრავი აღმოჩენა მელოდა., არა მარტო ჩემს შერწყმას ქალაქის სივრცესთან და, ამავე დროს, ჩემს განუწყვეტელ შინაგან მოძრაობას (აღმართი - დაღმართი), არამედ ირგვლივ განფენილ სამყაროთა სიმრავლესაც. ყოველდღე ტროლეიბუსის ფანჯრიდან ხარბად და დაუზარებლად სკოლა თითქმის მთაწმიდის გორაზე იდგა, სახლი თითქმის მტკვარს გადმოჰყურებდა, ხოლო გზა მათ შორის არა მარტო თბილისის ისტორიულ-სიმბოლურ არსს გამოხატავდა, ვაკვირდებოდი რუსთაველის პროსპექტზე გამკრთალ შენობებს და ხეებს, მოსეირნეებს და მოჩქარეებს, შეხვედრებს და გაღიმებებს.

იმ მოკლე გზის მანძილზეც - გაჩერებიდან შინისაკენ - რამდენიმე სამყაროს გასწვრივ უნდა ჩამევლო, რომელთაგანაც ყალიბდებოდა და დედდებოდა ჩემი ყოფა და ფიქრი.

ტროლეიბუსიდან ფეხის ჩამოდგმის უმალ ჭერამდე გადატენილი წიგნის მაღაზიის წინ აღმოვჩნდები ხოლმე, რომელიც მელიქ კაზარიანის სახლის ქუჩის გასწვრივ სართულზეა მოთავსებული (წიგნის მაღაზიების სამყარო ჯერ წინაა, მაგრამ უკვე ახლოვდება!), მის გვერდით კი, ბავშვების დიდ-დიდ ფოტოებიან სტენდთან, თეთრთმიანი, შავგრემანი მამაკაცი დგას, - მთელს ქალაქში სახელგანთქმული ფოტოგრაფი მჯოიანი, - მაჰარაჯას თუ ფაკირის გარეგნობით, - რომელსაც სადარბაზოს სიღრმეში შეფარული თავისი სამფლობელოდან გამოუბიჯებია. მისი თვალისმოკვრისას ეჭვი არ შეგეპარებათ, რომ იგი მხოლოდ ყურადღების ასაცილებლად, თვალის ასახვევად და თავის შესანიღბავად მისდევს ფოტოგრაფობას, თორემ სტუდიის მიღმა მიმალულ ჩაბნელებულ ოთახში იგი თავის ნამდვილ საქმეს და მოწოდებას ემსახურება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ამ "არაოფიციალური" საქმიანობის შესახებ - იგი საკმაოდ შეძლებულ კაცად იყო მიჩნეული - უფროსებს, რა თქმა უნდა, სრულიად სხვაგვარი წარმოდგენა აქვთ და მათს ამ წარმოდგენას, ჩემგან განსხვავებით, არაფერი აქვს საერთო იდუმალთმეტყველებასთან ან მონუსხვა-მოჯადოების უნართან.

ფოტოატელიეს გვერდით კი თეატრია: უზარმაზარ შუშებს მიღმა მოზარდ მაყურებელთა თეატრის აფიშები და სპექტაკლების ფოტოებია გამოფენილი. ყოველ მათგანს თვალდახუჭულად ვცნობ, მაგრამ გზად მაინც ხანგრძლივად ვჩერდები ვიტრინის წინ. ყოველი სპექტაკლი იმდენჯერ მინახავს, ლამის ზეპირად ვიცი, ყოველი მსახიობის სახელი და გვარი შეუცდომლად მახსოვს, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რა ნერწყვისყლაპვა მელის, როცა ნაცრისფერ სტენდზე ახალი აფიშა გამოჩნდება წარწერით - ანონსი, და ერთი სული მაქვს, როდის შეიტანენ ამ ახალ სახელწოდებას - ჯერჯერობით სრულიად ბუნდოვანსა და ამოუცნობს - სპექტაკლების ყოველკვირეულ განრიგში. პირველსავე საღამოს თუ არა (პრემიერაზე მოხვედრა ცოტათი ძნელია ხოლმე!), მეორე-მესამე წარმოდგენაზე ბილეთის შემმოწმებელმომხევს მივაშურებ და ვთხოვ, გელა რევაზიშვილის სახელით დარბაზში შემიშვას. სპექტაკლი ერთი განცხრომაა, მაგრამ შესვენებაზეც არანაკლები გულის აძგერება მელის, - გვერდითა დერეფნით, სადაც გავლა მხოლოდ რჩეულთათვის, მხოლოდ თეატრს ზიარებულთათვისაა ნებადართული, საგრიმიოროში მოხვედრა და რამდენიმეწუთიანი სტუმრობა ხწორედ ამ გელა რევაზიშვილთან, მამაჩემის ძველ ნაცნობთან თუ მეგობართან, რომელიც თავის კოლეგებთან ერთად ირონიულ-მფარველობითი ღიმილით მეგებება. მათი ასე ახლოს ნახვა არა მარტო საამაყო-სანეტარო განცდაა, - იმ წუთებში ნახევრად კოსტუმირებულ, ნახევრად როლიდან გამოსულ მსახიობებს ხომ ყველაზე იდუმალ, ყველაზე მალულ სივრცეში წავუსწრებ ხოლმე - ხელოვნებისა და ცხოვრების, თეატრისა და რეალობის, წარმოსახულისა და ნამდვილის ზღვარზე.

წიგნის მაღაზიის, ფოტოატელიეს და თეატრის შემდეგ ნივთიერი სამყარო იწყებოდა, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი და თვალშისაცემი გამომხატველი თბილისის ერთ-ერთი უდიდესი და ერთ-ერთი საუკეთესო გასტრონომი იყო (მისი ვიტრინებისა და დახლების ნაბიჯ-ნაბიჯ გაღარიბება - სრულ გამოცარიელებამდე - საბჭოთა სისტემის კრახისაკენ თავქვე დაცემას საკმაოდ ზუსტად და მეტყველად ასახავდა). კუთხის გასტრონომის შემდეგ პროსპექტიდან ჩვენს ქუჩაზე უნდა ჩამეხვია - ელბაქიძის დაღმართზე, სადაც გზად ორი ადგილი უფროს მამაკაცებს ეკუთვნოდათ: ერთი საპარიკმახერო იყო (თავად მე დედაჩემს ბავშვთა საპარიკმახეროში დავყავდი პროსპექტის თავში, იმჟამინდელ ლენინის მოედანთან), მეორე კი - რესტორანი "ყაზბეგი"; ერთიდან მწკლარტე ოდეკოლონის სუნი გამოდიოდა, მეორედან - მწკლარტე ღვინისა, მაგრამ მათ შორის შეყოვნებისას, თვალების მინაბვისას და სურნელებათა დაგემოვნებისას, სუნთქვა მეკვრებოდა ხოლმე - იქ საფუნთუშე იყო, სადაც საღამოობით, მომლოდინეთა შორის მდგომი, თვალებგაფაციცებული შევყურებდი, როგორ წყება-წყებად ლაგდებოდა თაროებზე ოცდაათკაპიკიანი, მრგვალი, ყვითელ-მოყავისფრო პური, - რბილი, სურნელოვანი, ცხელი, პირის დამთუთქავი.

■ ■ ■

აქ კი უკვე ჩვენი ძველი, დიდი სახლი დგას, სახლი-ლაბირინთი, რომელიც აღმართებსა და ჩაღმართებს სხვადასხვა დონეზე ერწყმის, ქუჩებს სხვადასხვა მხრიდან უერთდება; ვერასდროს მიხვდები, რამდენსართულიანია ის - განსხვავებული მხრიდან განსხვავებული სიმაღლისა ჩანს, არასოდეს იცი, რომელ სართულს ხედავ და კიდევ რამდენია მის ქვეშ შემალული. ქუჩიდან ჩვენს სართულზე მოსახვედრად რამდენიმესაფეხურიანი კიბის ავლა იყო საჭირო, მაგრამ ეზოს მხრიდან თუ მოუვლიდით, აივნების შემაერთებელი ხის კიბით მესამე სართულზე უნდა ასულიყავით. ჩვენს ქვემოთა სართული გადასასვლელი დერეფნით ეზოში მდგომ ორსართულიან, აივნიან სახლს უკავშირდებოდა (ჩვენი სახლის გამორჩეული არქიტექტურული სტრუქტურა რამდენიმე ქართულ ფილმს შემოუნახავს, მაგრამ ვერც ის და ვერც მისი გარშემო - კომუნიზმის დაცემამდე სულ რამდენიმე წლით ადრე - ვერ გადაურჩა ტოტალიტარისტულ მოედანთმშენებლობას და მის ადგილას რესპუბლიკის მოედანი აშენდა). სახლის უკანა ფერდობზე წიწვები იყო შეფენილი, ფერდობი კი ქუჩას უერთდებოდა, რომლის გადაღმა ახალაშენებული სასტუმრო "ივერია" იდგა, - იმ დროს თბილისის ყველაზე მაღალი შენობა.

სახლიდან სკოლისაკენ მიმავალს ქუჩის ის მონაკვეთი უნდა ამევლო, რომელიც ჩვენი სახლის გვერდითა კედელზე აღბეჭდილი უზარმაზარი მოზაიკური პანოთი იწყებოდა, - საქართველოს ისტორიული ძეგლების რუკით და, თუ მახსოვრობა არ მღალატობს, აშოტ კურაპალატისა და თამარ მეფის ძველი პორტრეტების პირებით. ტროლეიბუსის გაჩერებაზე მისულს კი (- ეს სხვა, ქვედა გაჩერება იყო, სახელგანთქმული კაფე "მეტროს" მოპირდაპირე მხარეს), ძველთაძველი, გვერდზე გადახრილი მუხის ქვეშ მიწევდა დგომა, რომლის განსაკუთრებული, "ჟამთამეტყველი" მნიშვნელობა ყველას მოეხსენებოდა (- მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელობა ჩემთვის უცოდინარობის ბურუსში იძირებოდა, რაც მის ღირებულებას ჩემს თვალში, შესაძლოა, კიდეც ამდიდრებდა; თუმცა ეს ხე, ვგონებ, რაღაც ფაქტით აკაკი წერეთელთან იყო დაკავშირებული). ყოველ შემთხვევაში, აშკარა იყო, რომ სკოლისაკენ ჩემი გზის დასაწყისი და დასასრული *ისტორიით* იყო აღბეჭდილი. თავად გზა კი ყოველ დილით, ზამთარზაფხულ, ჩემი მარტოხელა, ბავშვური, თვითნასწავლი ლოცვით იყო აღსავსე.

ავტორი ბესელია. ფოტოზე

■ ■ ■

თავად ჩვენი ბინაც სახლ-ლაბირინთის ნაწილი იყო: ბინას ჯერ ორი, ხოლო შემდგომ - აივნის მოშენების ანუ ამოშენების შემდეგ - სამი შესასვლელი ჰქონდა. ერთი მათგანი გამოდიოდა საერთო სადარბაზოში, მეორე - საერთო სამზარეულოში, მესამე - ხისკიბიან საერთო აივანზე. ეს სივრცეები ერთმანეთს ვიწრო დერეფნებით და გასასვლელებით უკავშირდებოდა, რომელთა კედლებში შემალული პაწაწინა საკუჭნაოები და კედლების წინ აღმართული უზარმაზარი კარადები ცვალებადობასა და მოულოდნელობას, სიმჭიდროვესა და სიღრმეს ანიჭებდა იქაურობას. თვით ჩვენი დიდი ოთახის ერთი ფანჯრიდან გვერდითა, დაბალ აივანზე შეიძლებოდა ჩახტომა, რომელიც უკვე სხვა ბინაში (სადაც ჩემზე ოდნავ უმცროსი ორი მშვენიერი გოგონა ცხოვრობდა) და იმ ბინიდან სხვა შესასვლელში გაგიყვანდათ, მეორე ფანჯარა კი სამ სართულს ქვემოთ სამ კედელს შორის მოქცეულ პატარა ბაღს გადაჰყურებდა. მთელი ჩვენი სართული ეგრეთ წოდებული "კომუნალური ბინების" იმ სტუქტურას ასახავდა, რომელიც საბჭოთა რეჟიმმა ერთ დროს ერთიანი, ფართო "ბურჟუაზიული" საცხოვრებლების დაშლითა და დანაწილებით ჩამოაყალიბა.

საბჭოთა რეჟიმის მკვეთრი წარმომადგენელი, უტყუარი სიმბოლო და მყარი დამცველი კი გვერდით გვყავდა: წვრილ, ყანჩა ფეხებზე შემდგარ ამ უკვე შებერებულ, გამხდარ (და გამხმარ) ქალს, რომელსაც პირში განუწყვეტლივ პაპიროსი "ყაზბეგი" ჰქონდა გაჩრილი, მე როზა დეიდას ვეძახდი, უფროსები კი, ფრთხილად და თავშეკავებულად - როზალია არტიომოვნას. თუ არ ჩავთვლით ბუნდოვან მეზობელ მარინას, რომელიც წელიწადში ორჯერ ან სამჯერ თუ გამოკრთებოდა, სწორედ ამ მარტოხელა სომეხ ქალთან ვიყოფდით საერთო სამზარეულოს, ხელსაბანს და საპირფარეშოს. საღამოობით, სამსახურიდან დაბრუნებული, - ჩვენსკენ ზურგით, ცხელი წყლით სავსე ტაშტში ფეხებჩაყოფილი, - იგი თავის მაგიდასთან იჯდა ხოლმე; მის წინ, კედელზე, პოლიტბიუროს წევრთა კოლექტიური სურათია გაკრული, სურათის თავზე - საბჭოთა კავშირის ფერადი რუკა; ისმის ჭლექიანი ხველა და ღრმა სუნთქვა; ვახშამი მას უკვე დაუმთავრებია, აბოლებს და გაზეთ "პრავდას" კითხულობს; შემდგომ წამოდგება, ქოშებს წამოიცვამს, ნიჟარაში აფურთხებს და თავის შეხედულებებს გვიზიარებს იმ დღის საზოგადოებრივ მოვლენათა შესახებ (იგი აღშფოთებულია ჩინეთის პოლიტიკის ან სახაროვის საქციელის გამო), - მისი შეხედულებები, როგორც წესი, "პრავდის" ციტატებს წარმოადგენს. ხანდახან იგი გადაწყვეტს, ჩემს მიმართ გულის სითბო გამოხატოს და ამიტომ ჩემკენ მოიწევს თავზე ხელის გადასასმელად ან მოსაალერსებლად, მე კი უნდა მოვინდომო, რომ არ გამოვამჟღავნო მისი ძვალტყავა, ნაცრისფერი ხელების, გრძელი, კაუჭა ცხვირის და ჩაგუბული ხმის შიში. სიფრთხილისა და სიუცხოვის გრძნობა კიდევ უფრო მიძლიერდება, როცა ბებიაჩემები მოგვიანებით, უკვე წამოზრდილს, მკრთალად მიმანიშნებენ, რომ ავბედით წლებში იგი თითქოს პროფესიული დამსმენი და დაკითხვა-წამებათა მონაწილე ყოფილა. სიმართლე რომ ითქვას, არ ვიცი, რამდენად მართალია ეს შემზარავი ბრალდება, - არ გამოვრიცხავ, რომ ის ბებიაჩემების ცნობიერებაში არცთუ უსაფუძვლოდ აღმოცენებული იმ დედუქციის შედეგს წარმოადგენდეს, რომ კომუნიზმის ერთგული მიმდევრისაგან ყოველგვარ სისაძაგლეს შეიძლება ელოდო. მაგრამ მამაჩემსაც ეშინოდა მისი და, მიუხედავად აშკარა არაგულწრფელობისა, მაინც მის მიმართ - როგორც უკვე ასაკოვანი და მარტოხელა ქალბატონის მიმართ - ყურაღებას და მზრუნველობას გამოხატავდა, - სადილსა თუ ვახშამს, როგორც მახსოვს, იგი ჩვენგან ინაწილებდა ხოლმე (რაც დედაჩემის დამსახურება და მონდომებაც იყო), მაგრამ იგი ჩვენს გვერდით აღმოჩნდებოდა განსაკუთრებით საზეიმო შემთხვევებშიც, - მაგალითად, როცა თბილისში ცნობილი საბჭოთა ჯამბაზი, ოლეგ პოპოვი, ჩამოვიდა, მამაჩემმა საგანგებოდ და ძნელად მოსაპოვებელი ბილეთებით ოჯახთან ერთად ჩვენი მეზობელიც მიიწვია ცირკში, მაგრამ ეს კოლექტიური "კულტურული მსვლელობა" კინაღამ დრამატულად დამთავრდა: როზალია არტიომოვნას, რომელსაც თურმე ალერგია ჰქონია ცხენების სუნის მიმართ, ლოჟაში ისეთი მომაკვდინებელი ხველა აუტყდა, რომ იძულებული გახდა, თითქმის მთელი წარმოდგენა ცირკის დერეფანში გაეტარებინა.

რაც უფრო გადიოდა დრო - მე ვიზრდებოდი, მას კი სიბერე უტევდა - იგი სულ უფრო სასაცილო ხდებოდა. ასაკის მატებასთან ერთად ხომ ყოველგვარი ალქაჯები და ავსულები სულ უფრო ნაკლებად აღძრავენ შიშს და საბოლოოდ მათ კომიკურ პერსონაჟებად გარდაუვალი გადაქცევა ელით...

■ ■ ■

გზაზე თოვლი დევს და ყოველი ჩემი ნაბიჯი ნაკვალევს ტოვებს. ქუჩის ერთ მხარეს მაღალი ნაძვებია ჩამწკრივებული, რომელთა სიმწვანე ნელ-ნელა უჩინარდება ფანტელებს შორის, მეორე მხარეს კი ჩაღმართია, რომლისგანაც თავი შორს უნდა დავიჭირო, რათა ფეხი არ ჩამიცურდეს. ნაქსოვი წითელი ხელთათმანებიდან ხელს ვითავისუფლებ და თოვლის გროვას ვიღებ, რომელიც გახურებული თითების შეხების უმალ დნება, მაგრამ ზონარზე დაკიდებული ხელთათმანიც სველდება და წყლით იჟღინთება. შინ ასე მყუდროდ თბილოდა, გარეთ კი დილის ყინვა აჭერს, - ახლა უკვე ხელებზეც მცივა და ვეღარც მაღალი ჩექმები მითბობს ფეხებს. მაგრამ ვგრძნობ, რომ მარტო არა ვარ, - გვერდით სითბო, სიმყარე, საიმედოობა იგრძნობა.

თოვლიანი გზა კი, რომელზეც ღრუბლებს შორის გამომკრთალი სხივი ირეკლება, ისევ გრძელდება.

გახუნებული აფიშა

"ამხანაგური წრე"

მარიკა წულაძე

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ანუ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, დაიწყო თეატრის ისტორიაში პირობითად სალონების პერიოდად წოდებული მონაკვეთი. ამ დროისთვის თეატრალური ხელოვნების ნიმუშები სწორედ მოწინავე ადამიანთა სალონებში იბადებოდა. სალონებში ხვდებოდა ერთმანეთს საზოგადოების მაღალი ფენა. უზიარებდნენ ერთმანეთს შეხედულებებს ამა თუ იმ ლიტერატურულ, მუსიკალურ, თეატრალურ და ა.შ. მოვლენებზე. კითხულობდნენ, ეცნობოდნენ ახალშექმნილ ნაწარმოებებს. ნახულობდნენ და თვითონვე მონაწილეობდნენ კიდეც დრამატულ ქმნილებებში. ასე გაეცნენ, მაგალითად, გრიბოედოვის პიესას "ვაი ჭკუისაგან" და არა მარტო ამ პიესას. შემდგომში სწორედ სალონებში გაჩნდება ქართული პროფესიული თეატრის შექმნის იდეა, მაგრამ მანამდე ქართველობა ევროპული ცხოვრების წესს ეწაფებოდა, თითქოს "დაგუბებულ წყალში" არსებობდა; იღებდა განათლებას, იღებდა მშვიდი ცხოვრების "ნაყოფს" და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მეჯლისებით და სალონებით სრულად იკმაყოფილებდა სურვილებს. ნუთუ მეტი არაფერი უნდოდა ქართველთა მოაზროვნე ფენას, დროსტარებისა და ხანდახან ქართული ეროვნული მუხტის ფარულად გამოვლენისა?! ნუთუ მეტი არაფერი აწუხებდა და ყველაფერი აკმაყოფილებდა გარეშე მტერთან ბრძოლებისაგან დამშვიდებულ ამ გარემოში?! სალონები, მეჯლისები, საღამოები, შეხვედრები თუნდაც საპატივცემულო ადამიანებთან...

ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო: პეტერბურგის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ საქართველოში ბრუნდება სოლომონ დოდაშვილი (1805-1836), რომელიც თავის ბინაზე მუსიკალურ საღამოებს მართავს. სოლომონ დოდაშვილი თვითონაც მშვენივრად უკრავდა ფორტეპიანოზე, კარგად უძღვებოდა საღამოებს, მაგრამ ამ შეხვედრებს უფრო მიმზიდველსა და მომხიბლავს ხდიდა ისიც, რომ სოლომონ დოდაშვილს ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევდა მეუღლე, ელენე კობიაშვილი. სოლომონ დოდაშვილის "უღლის გამწევი", გუბერნიის არქიტექტორის, ინჟინერ ნარიშკინის ნაშვილები იყო. თვითონ სოლომონი იონა ხელაშვილისადმი მიწერილ ბარათში ასე ახასიათებდა მას:

"ქალი იგი ესრეთ არის აღზრდილი, რომელ ძნიად იპოების ჰორიზონტსა ზედა საქართველოსასა, რომელსაცა საქმე აჩვენებს. იგი არს პოლკოვნიკის ქალი, მამა გარდაცვლილია და დედა ჰყავს ქართველი რომლისამე ჯავახოვისა.

ქალმან იცის რუსული, ქართული და ფრანციცული ენები, ღრამატიკა, რიტორიკა, არითმეტიკა და ღეომეტრია, ტანცაობა. საკეთილშობილო შეკრებულებაში იმყოფებოდნენ ყოველნი გვამნი, მან იტანცავა და შემდგომად შესრულებისა მხედართ ღუბერნატორი და მმართველი საქართველოისა დაჯდა მასთანა და იმეტყველა რომელთამე საგნებისთვისა, რომელსაცა საუბრობა მოეწონა".

"ქალი, რომელ ძნიად იპოების ჰორიზონტსა ზედა საქართველოსასა" - ასე ახასიათებს მას სოლომონ დოდაშვილი; ამგვარად, ასეთი ქალის გვერდით და მისი დახმარებით, თუ გვერდში დგომით, რა თქმა უნდა, შემდგომში საზოგადო მოღვაწედ ქცეული სოლომონ დოდაშვილი საღამოებს ქართული ნაღები ფენისთვის მიმზიდველს გახდიდა.

მუსიკალური საღამოები შემდეგ გადაიზარდა ლიტერატურულ საღამოებში, ხოლო 1829 წელს (1832 წლამდე 3 წელია დარჩენილი) სოლომონ დოდაშვილი "ამხანაგურ წრეს" აარსებს.

რა იყო ეს "ამხანაგური წრე"?!

დოდაშვილმა ეს გუნდი შეადგინა იმ დროის თბილისის სასწავლებლის მოწაფეებისაგან. ამ რიცხვში შედიან იმ დროის "კეთილშობილთა სკოლის" მოწაფენი, სასულიერო სემინარიის მოწაფენი და სხვანი. მისი წრის წევრებად ითვლებოდნენ: ალექსანდრე ჩიქოვანი, ვახტანგ ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, დავით მაჩაბელი.

გიორგი ერისთავი ოჯახით

სოლომონ დოდაშვილი კრებებს მართავდა თავის სახლში, გოლოვინის პროსპექტზე, სადაც შემდეგ არტისტული თეატრი დაბინავდა. შემდგომში იქვე იყო სტამბა და რედაქციაც.

"ვახშამი ჩემს ბინაზე გაიმართა" - წერდა დოდაშვილი, - "ჩვენ აქ წავიკითხეთ მაჩაბელოვის თხზულებანი და ვმსჯელობდით გამოგვეყო ფული, ამ თანხით შეგვეძინა ბიბლიოთეკა და სტამბა, ვამბობდით აგრეთვე ნიჭიერი მოწაფეები გაგვეგზავნა უნივერსიტეტში და დაგვენიშნა მათთვის სტიპენტია."

ერთ-ერთ ასეთ შეკრებაზე კი სოლომონ დოდაშვილმა წრის წევრებს უკვე შემდეგი სიტყვებით მიმართა:

"ქართველებო, გაახილეთ თვალები, ნუ გძინავთ, ნუ ლოთობთ, მამულებს ნუ ფლანგავთ, იზრუნეთ მომავლის ცხოვრებისათვის, თორემ მომავალში ჩვენ ყველანი გასაკიცხნი გავხდებით და ჩვენი შთამომავლობა არ გვაპატივებს, კიცხვით მოგვიხსენიებენ."

როგორც ვხედავთ, ჩვეულებრივი ლიტერატურული წრე და ლიტერატურული გაერთიანება, ქართველთა ცხოვრების წესით გულნატკენ ადამიანთა გაერთიანებად გადაიქცა და სოლომონ დოდაშვილი ამ ადამიანთა წარმმართველი გახდა. ასე რომ, "დაგუბებული წყალი" მნიშვნელოვნად პირველად შეირჩა...

1832 წლის იანვრიდან სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურულმა წრემ საკუთარი ნაბეჭდი ლიტერატურული თარგმანის გამოცემა დაიწყო: "ტფილისის უწყებანის" დამატება "სალიტერატურო ნაწილი" ზემოთ დასახელებული წრის დაუღალავი შრომის შედეგი იყო.

ქართველთა ცხოვრების წესით შეწუხებულ ადამიანთა წრე შემდეგში თანდათანობით შეერია იმხანადვე დაარსებულ "ფარულ საზოგადოებას" - ეს უკვე მათი მოღვაწეობის ახალი ეტაპი იყო - "ამხანაგური წრის" მსჯელობის და მოქმედების ფარგლებში მოექცა არამარტო ქართული საზოგადოების ცხოვრების პრობლემები, არამედ სოციალურ-პოლიტიკური საკითხებიც: იწერებოდა ლექსები და პოემები რუსეთის მონარქიის წინააღმდეგ მიმართული ლექსები და პოემები საქართველოს გათავისუფლების შესახებ. ასე რომ, იქმნებოდა ერთგვარი არალეგალური მხატვრული ლიტერატურა, რომელიც იკითხებოდა ოჯახებში და ხელიდან ხელში გადადიოდა. თითქოს საქართველოს ცხოვრების "გამხმარ ხეზე" ახალმა ყლორტმა იწყო ამოხეთქვა. იქმნებოდა ფონი არსებული ცხოვრების შესაცვლელად... და ბოლოს ყველაფერი პირველი პროკლამაციის დაბეჭდვით დაგვირგვინდა, რომელიც დოდაშვილის სტამბაში დაიბეჭდა და მისივე ამხანაგური წრის დაწერილი იყო. პროკლამაცია შემდეგი ლექსით ბოლოვდებოდა:

"მაისის თვესა იქმნას ძახება,
გამოხატული ქართველთ უფლება,
აღვიპყრათ ხელსა იგი მახვილი
მივცეთა მტერსა შიში ძლიერი,
შემოვიკრიბოთ გულმს მხურვალენი
ვეცეთ, ვეძგერნეთ გაგულებულნი
განვდევნოთ სოფლით ძალით
მოსულნი
ჩვენ მამულისა მაოხრებელნი.
ქართველნო, ხართ სადმე თუ არა,
არვინ არ იცის, მოიგეთ გონება."

ამგვარად, პროკლამაციაში მოწოდებაა აჯანყებისკენ "მაოხრებელთა" წინააღმდეგ. უკვე გამქრალია ილუზია, თითქოს ყველაფერი კარგად არის, თითქოს სიმშვიდეში მოვა ცხოვრების გაუმჯობესება, თითქოს მხოლოდ განათლების შემოსვლა (როგორც ამას ფიქრობდა ალექსანდრე ჭავჭავაძე) საზოგადოებას გააკეთილშობილებდა და საქართველოს ზნეობრივად და ფიზიკურად გადაარჩენდა.

"დაგუბებული წყალი" შეინჯღრა და უკვე ფონის პოვნას ცდილობდა გადინებისათვის - 1832 წლისთვის დაგეგმილი იყო აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ, რომელშიც იმ პერიოდის საქართველოს მოაზროვნე, საუკეთესო ახალგაზრდობა აპირებდა მონაწილეობას...

მაგრამ, მაგრამ, მაგრამ... 1832 წლის 9 დეკემბერს შეთქმულება გასცეს, სხვა შეთქმულთა შორის სოლომონ დოდაშვილიც დააპატიმრეს და, რა თქმა უნდა, ამ წრემ სამუდამოდ შეწყვიტა მუშაობა.

მოაზროვნე ქართველთა ნაწილი რუსეთის სხვადასხვა ადგილას გადასახლებაში გაფანტეს, ზოგი კი უბრალოდ თავიდან მოიშორეს - სიკვდილით დასაჯეს.

ასე რომ, "ამოხეთქილი ყლორტი" ამოჭრეს.

რა დარჩა?!

დარჩა საზოგადოება, რომელიც იძულებული იყო, ისევ შეგუებოდა არსებულ ვითარებას და ამ ვითარებაში რაიმე მაინც გაეკეთებინა სასიკეთო მომავლისათვის. ნაწილმა ეს მაინც მოახერხა. თუმცა ამაზე შემდეგ.

ლიტერატურული სახეცვალება



ლევან ხარაულიძის ფოტო

ნოდარ ებრალიძე

ზაზა კვერცხიშვილი 2
ნოდარ ებრალიძე 3
ლია სტურუა 5
ირაკლი სამსონაძე 6
იმირ მამედლი 7
დათო ბარბაქაძე 8
ზურაბ კიკნაძე 10
ელიზაბეტ ბიშოვი 10
ანდრო ბუაჩიძე 12
რეზო ყარალაშვილი 13
კლაუს ვალთერი 15
ტონინო გუერა 16

ლიტერატურული სახეცვალება

ნოდარ ებრალიძის ნოველები

ზაზა კვერცხიშვილი

ლევან ხუროძელიძის ფოტო

"თბილისური შეძახილების" ციკლზე ფიქრისას ჩნდება ცთუნება შევთხზა საგანგებოდ (პოლემიკურად) გამძაფრებული კითხვა, რომელიც ამ მოთხრობების მნიშვნელობას წარმომაჩენინებდა: "იცით, ვინ შექმნა უკანასკნელი წლების ქართულ მწერლობაში ყველაზე "თანამედროვე", მოულოდნელი, მოდერნისტული (იმ ფარგლებში, სადაც "მოდერნიზმი" წერის ხერხთა სიახლეს ნიშნავს) ან, თუ გნებავთ, "პოსტმოდერნისტული" ნაწარმოებები?" - კაცმა, რომელიც ისე შორს დგას ყველაფერი ამისკენ სწრაფვისგან, როგორც, ალბათ, არავინ ჩვენს ლიტერატურაში.

ან კიდევ, დავსვა ანტონიმებით აგებული ასევე რიტორიკული კითხვა, მოთხრობების ახლა უკვე მხატვრული თავისებურებების დახასიათებას რომ გააადვილებდა: "ვინ დაწერა ბოლო პერიოდში ყველაზე ნატურალისტურ-დოკუმენტური და, ამავე დროს, ფანტასმაგორიული, ყველაზე ტრადიციული და ყველაზე მოდერნისტული, ასკეტურად (ენათმეცნიერულად) მშრალი და პოეტური გზნებით სავსე ნაწარმოებები? (ე.ი. ვინ შექმნა ის, რასაც, თავისი არსით, უნდა წარმოადგენდეს ნამდვილი პროზა - დიდი ხელოვნება?)" - 70 წელს მიღწეულმა კაცმა, რომელიც ლიტერატორთა შორის ყოველთვის დიდი პატივისცემით სარგებლობდა, მაგრამ ბელეტრისტობაში აქამდე "შემჩნეული არ ყოფილა".

ნოდარ ებრალიძე ცნობილი იყო როგორც პუბლიცისტი, ცხენებისა და ცხენოსნობისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ნარკვევების ავტორი და, აგრეთვე, როგორც მთარგმნელობითი ხელოვნების დიდოსტატი (კერძოდ, მის მიერ თარგმნილი ლევ ტოლსტოის "ყაზახების" ენობრივი ქსოვილი სტილის მცირერიცხოვანი გურმანებისთვის რჩეული დელიკატესია).

და კიდევ, ლიტერატურულ საზოგადოებაში ლამის ლეგენდად არის ქცეული ნ. ებრალიძის ფანატიკური სიყვარული ცხენებისადმი და მისი უმაგალითო უპრეტენზიობა - დაჟინებული სწრაფვა ჩრდილში ყოფნისკენ.

მაგონდება ათიოდე წლის წინანდელი ამბავი. ნოდარმა მაშინ მეჯინიბედ დაიწყო თბილისის იპოდრომზე მუშაობა (ცხოვრების ეს ეპიზოდი აღწერილი აქვს ნოველაში "სიკვდილი ბაშტეში"). ოცამდე ცხენი ებარა და მთელი ეს პატარა რემა თავლის გვერდით შემოღობილში ჰყავდა გამოყვანილი, რათა ფეხის გაშლის საშუალება მიეცა. ჩვენ იქვე ვიდექით და ვსაუბრობდით. გაგებული მქონდა, რომ ნოდარი ერთ-ერთი ახალდაარსებული "აკადემიის" წევრად აირჩიეს, იმხანად სოკოებივით რომ წამოყვეს თავი. "გადაჭრილი უარით გავაბრუნე, - მითხრა მან, - მგონი ეწყინათ. ავუხსენი, რომ არც ჩემი ცხოვრების წესით, არც გარეგნობით, არც, თუ გინდა, ჩაცმულობით, აკადემიკოსი არა ვარ, ძმაო. მეჯინიბე ვარ, აკადემიკოსი - არა".

სულაც არ ვაპირებ მისი გადაწყვეტილების ჰეროიზებას. ჩემს ნაცნობთა შორის ბევრი ადამიანი მეგულება, ვინც მსგავსადვე მოიქცეოდა, ხოლო რომელიმე მეტისმეტად უმნიშვნელო აკადემიის შემთხვევაში ასეთ "გმირობას" მეც გავწვდებოდი. ოღონდ ნოდარი ერთადერთია, ვინც თავლას და ბაშტეს - თავის ადგილს ამ წუთისოფელში - ამქვეყნად არსებულ არც ერთ აკადემიაზე არ გაცვლიდა და, ამასთან, ოდნავადაც არ დაწყდებოდა გული, რომ თავისი პიროვნული არსითაც და მისი ყველა გარეგნული გამოხატულებითაც მეჯინიბეა და არა აკადემიკოსი.

მოთხრობებს მივუბრუნდეთ. ბატონ ნოდარს თითქმის ოცდახუთი წელიწადია ვიცნობ. მის შემოქმედებას ყოველთვის ინტერესით ვადევნებდი თვალს: ლიტერატურულ და სპორტულ ჟურნალ-გაზეთებში გაბნეულ საკმაოდ იშვიათ სტატიებსაც და თარგმანებსაც საგანგებოდ დავეძებდი და ვინახავდი. და მაინც, გულწრფელად უნდა ვაღიარო - ვერ წარმოვიდგენდი, იგი თუ ასეთი ძლიერი, ასეთი ნაღდი, ასეთი "ახალგაზრდული" პროზის შექმნას შეძლებდა.

ნოდარ ებრალიძემ დღემდე სულ ხუთი ნოველა გამოაქვეყნა, ხუთივე - ჟურნალ "არილში". სამი მათგანი ("ზადიკნუტ!", "სოროკ!" და "ხოზოგეპეუ!") "თბილისური შეძახილების" ციკლში არის გაერთიანებული ("არილი" 2002, №2, 2002, №5). დანარჩენი ორიც ("სიკვდილი ბაშტეში" და "ჩელა") აშკარად ერთიანი ციკლის შემადგენელ ნაწილთა შთაბეჭდილებას ახდენს, რომელსაც, ალბათ, "ცხენი და მისი წუთისოფელი" შეიძლება ეწოდოს.

ვერ ვიტყვი, რომ ამ მოთხრობების სიახლის ამბავი "მეხივით გავარდა" ჩვენს მწერლობაში, ან თუნდაც, ზოგიერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის ბესტსელერებთან შესადარი რეაქცია მაინც გამოიწვია. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, შეუმჩნეველიც არ დარჩენილა. ჯერ ერთი, შარშან გაზაფხულზე "არილმა" საგანგებო პრემიით აღნიშნა "ზადიკნუტ!" და "სოროკ!", როგორც არსებობის ხუთი წლის მანძილზე მის ფურცლებზე დოკუმენტური პროზის ჟანრში გამოქვეყნებული საუკეთესო ნაწარმოებები. შიდასაჟურნალო ჯილდოსთვის შეიძლებოდა დიდი ყურადღება არც მიგვექცია, რომ არა თვით ამ ჟურნალის ადგილი და მდგომარეობა დღევანდელ კულტურულ ცხოვრებაში - "არილი" წარმოადგენს ერთგვარი მიზიდულობის ცენტრს ყველაფერ იმისთვის, რაც კი ახალი და ნიჭიერი იქმნება ქართულ მწერლობაში (ოღონდ, განსაზღვრება "დოკუმენტური", თუმცაღა ფაქტობრივად ზუსტია და ვერაფერში შეედავები, რამდენადმე ავიწროებს ჩარჩოებს და ამ ნოველების ვერც მნიშვნელობაზე, ვერც მხატვრული ზემოქმედების ძალაზე სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის).

გარდა ამისა, სწორედ ჟურნალის იუბილესადმი მიძღვნილ ბანკეტზე მოვისმინე ერთი "იდეური პოსტმოდერნისტისა" და "ულტრაავანგარდისტის" (ნაკითხი და ნიჭიერი, მაგრამ ხელმოცარვებით ცოტა არ იყოს გაბოროტებული ახალგაზრდა კაცის) საშინლად ჰიპერტროფირებული ჩივილი იმის გამო, რომ იმ დროს, როცა ახალი მიწების პროფესიონალი მაძიებლები წლობით უშედეგოდ ეძებენ სულ მცირე უცნობ კუნძულსაც კი, ვიღაც გეოგრაფიის არმცოდნე კოლუმბები უცაბედად მთელ კონტინენტს გადაეყრებიან ხოლმე, არადა საკუთარი აღმოჩენის მნიშვნელობასაც კი ვერ ხვდებიან (ცხადია, "კონტინენტის" ხსენება უკიდურესი გადაჭარბებაა, - სხვა რომ არაფერი, თვით ნოველების მინიატურული ზომა უპირისპირდება ამგვარ მეტაფორას. მაგრამ უეჭველია: ის, რასაც ნ. ებრალიძემ მიაკვლია, ჭეშმარიტი ხელოვნების აქამდე აუთვისებელი ნაყოფიერი მიწა აღმოჩნდა).

და კიდევ, სულ ახლახან ჩვენს გაზეთში გამჭრიახი და გულისხმიერი ანდრო ბუაჩიძე ამავე ორი მოთხრობის გამო წერდა: "ეს არის სრულიად თავისებური ჟანრის პროზა. მემუარული, ესეისტური, ფაქტობრივ-დოკუმენტური ფრაგმენტების მონაცვლეობა მიზანდასახულ მხატვრულ ეფექტს ქმნის. ეკლექტიკა, რომელიც თანამედროვე პროზის "მშვენებად" ითვლება და რომელსაც მეტწილად "ხელოვნური შეკოწიწებით" ქმნიან ხოლმე შედარებით ახალგაზრდა თაობის მწერლები, აქ ისე ბუნებრივადაა მიღწეული, რომ გაკვირვებას იწვევს. შთამბეჭდავია ამავე დროს ენობრივი სისავსე და სისადავე".

ვერაფერს იტყვი, ყველაფერი ზუსტად და კარგად არის დანახული: შემადგენელი ელემენტების მხრივ, ე.ი. ფორმალური თვალსაზრისით, ნოველების "პოსტმოდერნისტულობაც" არის აღნიშნული (ოღონდ, სისრულისთვის, ჩამონერილ "მენიუს" კიდევ რამდენიმე ინგრედიენტი უნდა დაემატოს: საენათმეცნიერო ძიებანი, ეთნოგრაფიული ჩანახატები, ფართო დიდოსტატური მონასმებით დახატული პორტრეტები...) და სულისკვეთების მხრივ, ე.ი. არსებითი თვალსაზრისით, ამის საპირისპირო პოლუსზე ყოფნაც: იქ ეს ელემენტები დახლეჩილ ცნობიერებას ასარკავს, აქ ყველაფერი ჰარმონიულ მთლიანობად დუღაბდება.

ორივე ციკლის თითო ნოველას შევეხები.

"სიკვდილი ბაშტეში" ("არილი", 2001, №16) - ზედმიწევნით დოკუმენტური მოთხრობა, რომლის ყველა პერსონაჟი და სამოქმედო ადგილი ნატურიდან არის პედანტური სიზუსტით გადმოხატული. ყველა და ყველაფერი მეცნობა, გარდა მთავარი გმირისა: კვიცი "წოპე", რომლის სიკვდილსაც აღწერს ნაწარმოები, საბედნიეროდ, თვალით არასოდეს მინახავს.

მაგრამ უკვე დასაწყისშივე, სწორედ დოკუმენტურობის გულისგულში, ამ უშნოდ აწოწილი კვიცის უცნაურ თვალებზე საუბრისას, რომლებიც ავტორს ხელმოკლე თანაკლასები გოგოების მზერას აგონებს, ტილოს ქუსლებმოქცეულ ფეხსაცმელებს რომ დააფრატუნებდნენ გამხდარი, გრძელი ფეხებით, ჩნდება ზღაპრულობის მცირე, თითქმის შეუმჩნეველი ელემენტი: ამ იისფერი დიდი, შუბლიდან ლამის ყვრიმალის ძვლებამდე ჩამოსული თვალების მზერაში, ცხენებთან ურთიერთობაში გამობრძმედილ ბერეიტორ ქალს გაოცების სიტყვას რომ ამოათქმევინებს, დაფარულია რაღაც არაცხოველური, რაღაც პირველადამიანური (შეიძლება ითქვას, ფიროსმანისეული, რაც არის კიდეც მსუბუქად მინიშნებული). და ამას თან სდევს ტკივილისა თუ განგაშის გრძნობა: ეს არსება განწირულია, საამსოფლოდ არ არის გაჩენილი.

შემდეგ მოდის ვახტანგ მეექვსის "ცხენის კარაბადინისადმი" მიძღვნილი იპოლოგიურ-ნყაროთმცოდნეობითი მონაკვეთი, რომელიც ისე ბუნებრივად და ლაღად არის ჩასმული ნოველის ქსოვილში, რომ უნებლიედ გახსენდება მსოფლიო ბელეტრისტიკაში ასეთი ფილოლოგიურ-ისტორიული წიაღსვლების ("თამაშების") დამამკვიდრებელი სწორუპოვარი არგენტინელი დიდოსტატი - აქაც ყველაფერი საეტალონო დონეზეა შესრულებული.

ზემოთ ნახსენები ზღაპრულობის ელემენტი ნამდვილ ფანტასმაგორიად გადაიქცევა მოთხრობის ფინალში, სადაც თითქმის ნატურალისტურად არის აღწერილი სიკვდილის აგონია: პატარა არსება, ტკივილისგან თავს კედლებს რომ ახლის, ვერც ტანჯვას გაექცევა, ვერც მეჯინიბის ხელებს და განწირულების მოკლე ადამიანურ სიტყვას ამოიგოდებს.

შუაღამე გადასულია. მეჯინიბე ბაშტედან გამოდის, კარს ღიას ტოვებს... და უკვე ვეღარ გაარჩევ, რაც ახლა ხდება, რეალობაა თუ კოშმარული ჰალუცინაცია გრძელდება:

"კვიცი გამოჰყვა, დამშვიდებულიყო; ნელა გაუყვა დერეფანს. ბაშტეებს აკვირდებოდა. იქედან კვიცები და ფაშატები გულგრილად აყოლებდნენ თვალს. ბოლოში შემობრუნდა. კვლავ რწევით წამოვიდა, ღია კარებში შევიდა და მშვიდად გაუჩერდა დედას, რომელიც მისკენ აღარც იყურებოდა".

კვიცი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მის აშკარად არაცხოველურ, ადამიანურ სულს ჯერ კიდევ შესწევს ძალა რამდენიმე წუთით ფეხზე წამოაყენოს მკვდარი სხეული და მთელი მისი ესოდენ მშვენიერი სამყარო - თავლა - უკანასკნელად შემოატაროს.

"სოროკ!" - ნოდარ ებრალიძის საუკეთესო მოთხრობა.

ომისა და ომისშემდგომი პერიოდის გათოშილი, უსიხარულო თბილისი და გაკრიალებული, ნათელი სპორტდარბაზი ბესიკის

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ქუჩაზე, როგორც ხატი სულ სხვა, საოცნებო, ბედნიერი ცხოვრებისა. სახლიდან სკოლაში გაყოლებული საუზმე და ბიჭების ყიჟინა "სოროკ!" ("არილი", 2000, №2) - პაროლი, რომლის შემდეგ დღიური ულუფის დაგლეჯა-დანაწილება იწყებოდა.

და ამ სივრცეში თითქოსდა სულ სხვა სამყაროდან მოხვედრილი ჭაბუკი - ავტორის ყოფილი თანაკლასელი რ.კ. (სწორედ ასე, ინიციალებით ვეცნობით): არისტოკრატული კეთილშობილებითა და დიდსულოვნებით სავსე და როგორღაც უხამსად, ავარულად თავისუფალი, უშიშარი და ურცხვი, მიმზიდველი და დამაფრთხობელი...

ავტორი აღწერს სამად სამ შეხვედრას რ.კ.-სთან და ამ სამი, თითქოსდა ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფრაგმენტით ახერხებს დახატოს ახალი ქართული პროზის ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი და მაგნიტური პერსონაჟის ცოცხალი, დასრულებული პორტრეტი.

ამასთან პირველ ეპიზოდზე საგანგებოდ მინდა შევჩერდე (ჯერ მხოლოდ პერსონაჟის სიკეთეს ვხედავთ, სხვა თვისებები მერე გამომჟღავნდება. მოქმედება ხდება ზემოთ ნახსენები სპორტდარბაზ-სამოთხის შესასვლელთან. უნდა გვახსოვდეს, რომ ავტორს არასოდეს დასცდენია მაგიური მოთხოვნა "სოროკ!" და, ამის გამო, თანატოლთა ნუგბრიდან ფინჩხალიც არ რგებია):

"ერთხელაც ასე ვიდექით დარბაზში შესასვლელი პატარა კარების წინ, ბაქანზე, 6 თუ 7 ბიჭი და რ.კ.-ც გამოჩნდა, გაღიმებული, ხალისიანი; ალერსით მოგვიკითხა; ძველი მერვესკოლელები სიხარულით მივესალმეთ (კარგა ხანი იყო გასული, რაც სკოლაში აღარც დადიოდა). უფროსი ხალხიდან ჯერ არავინ ჩანდა. რ.კ.-მ დიდი ფუნთუშა ამოიღო ჯიბიდან; ყიჟინას ვერ ვიტყვი, მაგრამ უმალვე გაისმა უკვე ჩვენი მოწიფული ასაკის შესაფერისი დარბაისლური "სოროკ!" ფუნთუშა დანაწილდა. "ეს კიდევ ისე დარჩა", - ჩემი მისამართით თქვა უბოროტო მაღალმა ბიჭმა. "არა უშავს, მაგისთვისაც მაქვს რაღაც", - ღიმილით შეეპასუხა რ.კ., კოჭებამდე ჩამოფართხუნებული პალტოს ჯიბეში ხელი ჩაიყო, ქაღალდში საგულდაგულოდ შეხვეული ლუკმა ამოიღო და თავისი ხელით პირთან მომიტანა. ეს იყო, ალბათ, ტორტის პატარა ნაჭერი (ქალები რომ "ბისკვიტს" ეძახიან) და ზემოდანაც დატკბილული ნუშის გული ედო. სახტად დარჩენილმა ბიჭებმა კრინტის დაძვრაც ვერ მოასწრეს. ალბათ, თვითონ ამ წამის სიდიადეს ვერ შეჰბედა ბრბოს შეძახილმა... 55 წელიწადი მაინც გავიდა ზამთრის იმ საღამოდან და ახლაც არ დამვიწყებია მაინც "სოროკის" წყალობით გაჩენილი იმ ანაზდეული ლუკმის გემო - ჯერ ბისკვიტი ჩამადნა, მერე ნუშს გადასხმული თაფლი თუ ხილფაფა, ბოლოს კი მოხალული ნუშიც ჩახრამუნდა".

აქ კარგად ჩანს, როგორ გადადის რეალობის ნატურალისტურ-დოკუმენტური, ნატურალიზმამდე მისული აღწერა თითქმის მითოსურ თხრობაში: "ბანალური" ბისკვიტის ამბავს ასე არავინ მოგიყვება. ასე, ალბათ, ძლიერი სიყმილით დაოსებული ისრაელელები გადასცემდნენ თაობიდან თაობას ციური მანანის გემოს.

და კიდევ: ნამდვილად ღირს წლობით დაითმინო ნუზლის, სიტკბოების, სიხარულის წყურვილი, რათა, ბოლოს, შეიძინო უუბრალოეს ცხოვრებისეულ სიამეთა ასეთი ძალით განცდისა და ბაჯაღლო ოქროთ გადადნობის ნიჭი (რაც, უეჭველია, ერთგვარ სულიერ ალქიმიკოსობას გულისხმობს).

ნოდარ ებრალიძის მოულოდნელი ლიტერატურული სახეცვალება ჩვენთვის ყველასთვის დიდი იმედის აღმძვრელია: ესე იგი, თუ ჟამს არ დამორჩილდები, ჯერ კიდევ ყველაფერი შეიძლება მოხდეს... ჯერ კიდევ ყველაფერი შესაძლებელია!..

P.S. სტატია უკვე დაწერილი იყო და ნოდარ ებრალიძეს იპოდრომზე დავუთქვით შეხვედრის დრო ამ პუბლიკაციისთვის ფოტოილუსტრაციის შესაქმნელად. ჩვენი ლიტერატურული დამატების გამოსვლამდე ორი დღე რჩებოდა, გაზეთის ფოტოგრაფს კი უკვე სახვალიო ნომრისთვის გამოუჩნდა სასწრაფო საქმე. ამიტომ, მე და მალხაზ ხარბედია იპოდრომზე წავედით ლოდინის გამო ბოდიშის მოსახდელად და ფოტოგადაღების ერთი დღით გადასადებად. ბატონ ნოდარს წყენა არ დამჩნევია. საუბარი მაშინვე გადაიტანა კავკასიის შესახებ გამოცემულ ახალ წიგნებზე. გვითხრა, რომ ერთ გამოკვლევაში წააწყდა მ. ვორონცოვის სადღეისოდაც აქტუალურ მაქსიმას და ამოიწერა კიდეც იგი. შემდეგ ციტატის მოსაძებნად ქურთუკიდან დიდი ბლოკნოტი ამოიღო, რომელშიც რამდენიმე შუაზე გაკეცილი ხელნაწერი გვერდი ჰქონდა ჩადებული. მახოს დაგეშილმა თვალმა მაშინვე შენიშნა "ნადავლი" და - ჩვენთვის ახალი ხომ არაფერი დაგიწერიათო? - ჰკითხა. - ჰო, რამდენიმე დღეში გადავათეთრებ და მოგიტანთ - აღიარა ნოდარმა. ბედისწერის ასეთი სიურპრიზის ხელიდან გაშვება გაუმართლებელი "უყაირათობა" იქნებოდა ნებისმიერი გამოცემისთვის და მახოც არ მოეშვა - შეიძლება ახლავე წავიკითხო?

ასე აღმოჩნდა გადაუთეთრებელი "შოპენი იარმუკაზე" ამ ნომრის მასალებში.

პროზა

შოპენი იარმუკაზე

"დუმილით ვერ ავუვლით გვერდს ვერც სამგლოვიარო მარშს შოპენის პირველი სონატიდან, სპეციალურად რომ იქნა ინსტრუმენტირებული და შესრულებული შოპენის დაკრძალვის სამგლოვიარო ცერემონიის დროს. მართლაც, შეუძლებელია ალბათ სხვა ბგერათა პოვნა იმ სულისშემძვრელი გრძნობის, იმ ცრემლის გამოსახატავად, რომელთაც უკანასკნელი განსასვენებლისკენ უნდა გაეცილებინათ ადამიანი, ვინც ასე სრულყოფილად მიხვდა, როგორ უნდა გამოიგლოვონ უდიდესი დანაკარგები.

... მართლაც, ყველა არაჩვეულებრივი, გასაოცარი გრძნობა, რაც კი შეიძლებოდა საკუთარი დაღუპვის გამოგლოვებისას გასჩენოდა მთელი ერის ძაძითმოსილ კორტეჟს, თითქოს ამ კორტეჟის თანმხლებ სამგლოვიარო ზარში იყრის თავს...

... კაცს ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ერთი გმირის სიკვდილს კი არ დასტირიან, ვისი სისხლის ასაღებადაც ქვეყნად სხვა გმირები რჩებიან, არამედ მთელი თაობა გაწყვეტილა და ქალები, ბავშვები და ღვთისმსახურნიღა დარჩენილან ცოცხლად.

...

ამ ქრისტიანული ილიონის ცოცხლად დარჩენილ მცხოვრებთა გულში ტანჯვის სიმწარესა და სულმოკლე მჭმუნვარებას ამაყი რწმენა სპობს, მათი ნაღველი ყოველგვარ ადამიანურ სისუსტესაა მოკლებული. ის სისხლით და ცრემლით გაჟღენთილ მიწას სწყდება, ცაში იჭრება და უზენაეს მსაჯულს ისეთი მხურვალე ვედრებით მიმართავს, მსმენელებს ლამის გულები დაუსკდეთ თანაგრძნობისაგან."

ფერენც ლისტი, "შოპენი"



ნოდარ ებრალიძე

ეგებ ამიტომაც თედოს ბალღობიდანვე შეუყვარდა შოპენის მუსიკა. ჯერ მოულოდნელად ჩაეწვეთა. მერე მთელი ბავშვური ტკივილითა და გრძნობით შეიწოვა. ისე "მუსიკა" გაბუქული ნათქვამი გამოვიდა. უფრო ზუსტი იქნებოდა - სამგლოვიარო მარში. ჰო, სამგლოვიარო... და აუცილებლად სასულე ორკესტრის შესრულებით. მერე, რომ წამოიზარდა კი არა, ხანშიც შევიდა, საერთოდ, მუსიკის მოსმენას დაეჩვია, და ქუჩის სასულე ორკესტრებიც კარგა ხნის გადავარდნილი იყო, მაშინაც ყურში ედგა ამ მარშის დაგუდული მოთქმა, დიდი მრგვალი ბარაბნის ბუბუნი, ლიტავრების მჭახე ჟღრიალი, საყვირის გამოკვეთილი ჰანგი; და თუ აუცილებელ სპილენძის უზარმაზარ "ბასსაც" მიათვლით, ორკესტრიც ეგ იყო. ვოლტორნა ხან გაერეოდა, ხანაც სულ არ ჩანდა (ფლეიტა-ჰობოებს, ტრომბონებს, კორნეტებს, კლარნეტებს ვიღა მოიკითხავდა). მარში კი მაინც მარშობდა, ქუჩაც, მთელი უბანიც (გინდ აზიურად მოგჩვენებოდა, გინდ ევროპულად) ამ გლოვას აყურადებდა. თედოს უბანზე, იარმუკაზე, გადიოდა გზა კუკიის სასაფლაოსკენ - ვორონცოვის ხიდის გავლით. სოლოლაკიდან, მთაწმინდიდან, თვითონ ამ უბნიდან (თუმც საკმაო ნაწილი ავლაბრის მხარეს უფრო იმხრობდა) სწორედ ამ დადგენილი ტრასით, მტკვარგაღმა მიუდიოდათ უკვე დაკანონებულად აღიარებული საბჭოური სამოთხიდან იდეოლოგიურად ჯერაც დაუკონკრეტებელ შავეთში გადასული მიცვალებულები.

ვინ ახსენა ამ მარშთან შოპენის გვარი, არც ახსოვდა. შეიძლება არც არავის უთქვამს. წაკითხულიდან დაუკავშირა, ლექსების კრებულიდან, გაზეთში საჯარო პანაშვიდებისა და დაკრძალვების აღმნერი ინფორმაციებიდან.

სწორედ ამ შოპენის გამო სასულე ორკესტრებს დაუახლოვდა. ომის დაწყებამდეც - რუსეთ-გერმანიის დიდ ომზე მოგახსენებთ - ბევრი იყო ქალაქში. დემონსტრაცია იქნებოდა, სამხედრო რაზმის გავლა, უამისოდ არ ჩაივლიდა. ერთხელ თავის კბილა კარის მეზობელმა მაისობის წინ ახარა, ხიდს ზემოთ რომ სანაპიროზე, მტკვარზე ჩასასვლელთან მოედანია, მთელი გარნიზონის სამხედრო ორკესტრები შეყრილან და რეპეტიციას გადიანო. აბა, იქ იჯერებ გულსო.

მეორე დღეს არც შეხმაურებია ალბერტას; სკოლიდან გულამოვარდნილმა მოირბინა თუ არა, ჩანთა მიაგდო და სანაპიროსკენ გაიქცა. ღმერთო დიდებულო! ასეთი უშველებელი ორკესტრი ჯერ არ ენახა! მთელი ის მოედანი მემუსიკეებს გაევსოთ. მისვლამდე ჯარისკაცური ჩექმების სუნი ეცა, შავი საცხიც არ დაჰნანებოდათ. წინა რიგში მედაფდაფენი იდგნენ. დოლებზე კი არა, მხარიღლივ ჩამოკიდებულ დაფებზე ლამაზი წვერწამახული ჯოხებით დამკვრელები (სულ უწვერული ჭაბუკები), მერე იმათ უკან ფანფარისტები. ასეთი გრძელი, ოქროსფერი უკლავიშო საყვირები თედოს პიონერთა ოთახებშიც ენახა. მეტწილად უქმად იდო, იშვიათად თუ გამოჩნდებოდა თამამი, ღონიერი ყმაწვილი, რომელიც მას ხმას ამოაღებინებდა. რაღაც უხამს ზმუილს, ზოგჯერ ყროყინს გამოაცემინებდნენ ხოლმე. არც აქ გამოუჩენიათ მაინცდამაინც თავი. დოინჯშემოყრილმა არმიელებმა უცებ მიუმარჯვეს ბაგეებს, რაღაც წამოაყვირეს და მერე მათთვის აღარავის მოუცლია.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ზოვენი იარმურკაზე

მესამე გვერდიდან



ფანფარები და დაფები რაა, ორკესტრის შუაგულში ცხენის ძუით დამშვენებული ძველი რომაული საკრავებიც თუ რეგალიებიც ერია. წიგნებსა და სახელმძღვანელოებში ჰქონდა ნანახი. თედო სმენას ბაძავდა, რომ მათგან გამოცემული რაიმე მუსიკალური ბგერისთვის, უბრალოდ ხმოვანებისთვის მოეკრა ყური, მაგრამ სხვადასხვა ჯურის ჩასაბერ საყვირ-საკრავების ღრიალში არათუ ზარების წკარუნი, ფლეიტა-კლარნეტების სტვენაც კი არ ისმოდა; იდგა ერთი გრუხუნი, გრიალი, ჟღრიალი და ეს საააღლუმო მარშები იკლებდნენ მთელ სანაპიროს, გაღმა-გამოღმა მხარეებს, და, რადგანაც ერთი ათეულსაც კი არ ჩაუვლია საპარადო ნაბიჯით, ეს მზეზე მოელვარე გნიასი რაღაც გამოუთქმელ უაზრობად ეჩვენებოდა თედოს. ალბერტას რომ გახედა, შეატყო, ის სულ ასე არ ფიქრობდა. აღტაცებული შესცქეროდა აშკარად თავისი თვისტომის გარეგნობის ცქვიტ, მომღიმარ კაპელმაისტერს, რომელიც თეთრთათმანებწამოცმული მეტყველი ხელებით ხან დაადუმებდა ორკესტრს, რაღაცას შეუსწორებდა, მერე ისევ ააგრგვინებდა და ისეთი ნეტარება და გზნება გადაეფინებოდა სახეზე, თითქოს აგერ სადღაც ხიდის ყურიდან ან ზემოდან წითული, ღაჟღაჟა მარშლები შემოაგელვებდნენ თეთრონ ბედაურებს და მერე, ურა-აა-ა-ს გადაძახილის შემდეგ, კოლონები დაიძრებოდნენ დაჭედილი ჩექმების ტლაშანით.

“გვეყოფა, წავიდეთ ახლა”, - უთხრა მეზობელს. “ხედავ, რა მაგარი დირიჟორი ჰყავთ, ალბათ დაასაჩუქრებენ პარადის შემდეგ”, - მიუგო სახეგაბადრულმა ალბერტამ. “... ხვალ გასვენებების დღეა, ისე როგორ ჩაივლის, ერთი-ორი მაინც არ ჩაატარონ, აი, მაშინ კი დაისვენებს ყური”. მთელი უბედურება ის იყო, რომ თედოს მუსიკალური სმენა არც უნდა ჰქონოდა. ყოველ შემთხვევაში, ჰანგს ვერ იმახსოვრებდა. დაკვრის დროს კი გრძნობდა ყოველ ბგერას, მაგრამ შემდეგ ვეღარ აღიდგენდა; წაღიღინებას ვინ ჩივის, თავისთვისაც კი გულში ვერ გაიხსენებდა, რაც არ უნდა ეწვალა. ამიტომაც ამაოდ აღარც ცდილობდა და მოთმინებით ელოდა ახალ შესრულებას.

მეორე დღეს კი, გაკვეთილების შემდეგ, ქუჩაში ისეთი ფეხბურთი გაჩაღდა, გასვენებები ყველამ დაივიწყა (სხვებსაც ეგულებოდათ სეირი: გვირგვინები, ბაირაღი, ორდენებიც - ეს ომის დროს). ფეხბურთი ხომ memento vivere-ა! (“გახსოვდეს სიცოცხლე!”). მაგრამ თედომ როგორც კი პირველი აკორდები გაიგონა, ლამის კარები, გოლი მიატოვა, მაგრამ იცოდა, რომ ამას არ აპატიებდნენ და მხოლოდ ცალი თვალით ახედა ზევით ამავალ ქუჩას. ბაღის მიახლოებაზე დაეწყოთ დაკვრა. ღატაკი ორკესტრი იყო. ხუთიოდე კაცი. ეგებ ამიტომაც თავის პარტიას ყველანი განსაკუთრებული ერთგულებით ასრულებდნენ. “რა ტყუილად იხეთქავდნენ გუშინ ფილტვებს, - გაიფიქრა თედომ, - ნამდვილი მარში ესაა”. პირველი ხელი ჩამთავრდა თუ არა, თამაში მიატოვა. მხოლოდ ალბერტა აჰყვა ზევით. იგი ისედაც არ თამაშობდა ფეხბურთს. არც უყვარდა და, მგონი, ყაირათსაც იქმდა. “სულელური თამაშია, - უთხრა ერთხელ, - ფეხსაცმელებიც იხევა, შეიძლება აღარც დაგჭირდეს, ეგრევე ფეხიც მოგტეხონ, ან შუშა ჩაუმტვრიონ ვინმეს, შენ დაგაბრალონ და ჩაგასმეინონ კიდეც”. ოპერაში კი წაჰყვა. ადრეც ყოფილიყვნენ. მაგრამ ბალეტზე პირველად წავიდნენ. თედომ დაიჟინა. სახელმა მოხიბლა - “შოპენიანა”!!! აი, აქ გავძღები მარშის მოსმენითო. მაგრამ მოტყუვდა. სამგლოვიარო მარში სულ არ შეეტანათ შოპენის გაორკესტრებულ მუსიკაზე დადგმულ ბალეტში - ვალსები, მენუეტები, პოლონეზ-მაზურკები კი, იცოცხლე, გრიალებდა და თებერვლის მზვარეში თედოს ქუჩაზე საწვიმარი მილებიდან გადმოკიდებული ყინულის ლოლუებივით წვეთწვეთად იღვენთებოდა. თავისი მარში კი ვერ გაიგონა. “არ შეიძლება, - ანუგეშა ალბერტამ, - აქ ოპერაა, პანაშვიდი ხომ არაა, ან გასვენება. ხალხი გასართობად მოდის, გასამხიარულებლად”.

და კვლავ თავისი ქუჩა-უბანი ეგულებოდა თედოს შოპენის საკონცერტო დარბაზად. კვიპაროსებთან ჩავლილ ორკესტრს ხავერდოვნება ემატებოდა; მერე მტკვრისკენ - აქერონტისკენ გაუხვევდნენ და შორიდანღა აღწევდა ბოლო აკორდები... თითქოს დავიწყების მდინარისკენ მიმავალ ჩაგუბებულ ჰანგს თან მიჰქონდა იმ ცოდვიანი დღეღამეების შფოთი და ურვა: საქელეხედ ნაყიდი ჭედილის ვიღაცის მხმობელი, უპასუხო პაუზებით სასოწარკვეთილი, უილაჯო ბღავილი, ბაზრისპირა ყაყანი, ბაღის მეძავების, ქურდბაცაცებისა და ჩარჩების ბილწი აშიკობა, ბუჩქებთან ჩამსხდარი ყომარბაზების ჩახრინწული შესახელება კამათლებისა და გაგორების შემდეგ საკუთარ ბაყვზე ხელის გამეტებით ტყლაშუნი, ფეხზე მოვაჭრეების დასარბევად სამხედრო ჰოსპიტლებიდან გამოპარული უკვე მოკეთებული მეზღვაურების რიოში “პალუნდრა!” თვით ის საზარი ბღავილიც კი, რომელიც საიდანღაც სარდაფიდან ამოვარდა, მერე ქვემო ქუჩაზე გაიწელა და ზეითკენ მიწყდა. ვინ გამოაღო ზამთრის იმ ღამეს შუქშენიღბვის გამო ჩაგმანული დარაბები და ფანჯრები, არავინ იცის, ოღონდ დილით უკვე ყვებოდნენ, რომ უბნის უწლოვან მეძავს, ავარა-ქურდობის მაძიებელსაც, ნახშირივით შავ, თითქოს მაზუთით თმაშეღებილ როზას სასტიკად ეძია შური თავის ძუნწ, ნიადაგ მუქთი კუბოს მოწადინე კლიენტზე. ის თახსირი კაცი იმ ღამის შემდეგ არავის უნახავს. ცოტა ხნით გოგოც გადაიკარგა, მაგრამ ეფემერული ლეგენდა მაინც შეითხზა, სადაც დაშნასა და წამოსასხამს სამართებელი და ტელეგრეიკა ცვლიდა. თვითმხილველებიც კი გაჩნდნენ, რომელთაც მშრალი ხიდიდან თავისი თვალით დაენახათ, როგორ გადაირბინა თმაგაწეწილმა როზამ თავისი სისხლიანი ნადავლით სანაპირო ტრასა და მტკვრისპირა თავშესაფრებისკენ გაუჩინარდა წყვდიადში.

ეს თავშესაფრები, ძელმიწურები, ომის პირველი სანაპიროს ეწერსა და ალექსანდრეს ბაღშიც, მაგრამ თუმც გერმანელებმა კავკასიას მოაღწიეს და თბილისსაც წუილით გადაუფრენდნენ ხოლმე მათი თვითმფრინავები, ერთი ბომბიც არ ჩამოვარდნილა. თედო მეშვიდე კლასში იყო, როცა მათს ამოსავსებად (ძელები ზამთრობით მოსახლეობამ გამოტკვირა) სკოლიდან წამოიყვანეს...

... “ახლა სადღა ისმენ, თედო, ტრაურის მარშებს?! წავიდა ის მოდა, ახლა ეგ ამბავი სხვა ტემპში ხდება, ორკესტრი და ჩქარი მუსიკა კი ამ საქმეს აღარ უხდება”, - უთხრა ყუბანისპირა დიდი ქალაქიდან მშობლების დასახედად ჩამოსულმა ალბერტამ. 50-იან წლებში წავიდა ხელოსნისთვის უკეთესი ბედის საძიებლად. ცოლის ბიძებმა წაიყვანეს. “ქართველები არიან იქ? - ჰკითხა თედომ. - არაფერი დაგვიწყნია”. “არა, ამ ხუთმეტ წელიწადში ერთხელ თუ შევხვდი, აეროპორტში; არა, არ არიან”. “ჰოდა, ყოჩაღ, ნიჭიერი ბიჭი იყავი ყოველთვის”...

ისე აღარ აუვლიდა ბაღს, რომ შოპენი არ მოჰგონებოდა. იმ ომის შემდეგ, სანაპიროს გაღმა, მტკვრისპირა ბაღში დიდი საჩოგბურთო სტადიონი გაიხსნა. თედო უკვე მოწიფულობაში დილაუთენია იქ იყო ხოლმე. ერთხელაც მისმა შეჩვეულმა პარტნიორმა, დახვეწილმა მხატვარმა და მოთამაშემ, ერთი უცხოელი, ჩეხი, მოიწვია მოედანზე. შუა ხნის ათლეტური, ნაპატიები ვაჟკაცი იყო. მხატვარი უკეთეს ტენისს კი თამაშობდა, მაგრამ სტაბილურობა აკლდა და ჩეხმა მოუგო. მერე ბინდდებოდა, როცა სამივენი ერთად წამოვიდნენ. ბაზარს რომ მიუახლოვდნენ, მხატვარმა ოდნავ შეახო ხელი იდაყვზე სტუმარს და ბაზრის გვერდით ყრუ ქუჩისკენ გაიყოლა ორივე. “ა-ა, ვიპიტ?!” - გაგებული კაცის კმაყოფილი ღიმილით შეესიტყვა ჩეხი. მაგრამ მხატვარი არ სვამდა და თანაც სახელოსნოში მიიჩქაროდა. საზამთროების დახლთან მხიარულ, გულღია კახელს უზარმაზარი ყარფუზი ამოარჩევინა, ალესილი ყამა გამოართვა და იქვე დახლზე გაჭრა. უცხოელი ჯერ შეცბა, მაგრამ ნატენისარსა და ნაშხაპარს მაშინვე ეამა სურნელოვანი, ხრაშუნა ნაჭრები და ღიმილი აღარ მოშორებია სახეზე. თედო და ჩეხი ერთად წამოვიდნენ; მსუბუქი საუბარიც აეწყოთ. “აი, აქ, ადრე, გადიოდნენ მტკვარგაღმა სამგლოვიარო პროცესიები. უმრავლესობას პატარა ორკესტრები ახლდა, შოპენის მარშს უკრავდნენ. ჩემი ბავშვობის უძვირფასესი მოგონებაა”. თედო წამოწითლდა, ვნახე, რა, მეც სალაპარაკო ამ ცხოვრებაშემტბარ ევროპელთანო. ეგებ იმას მოაყოლა, რომ წაკითხული ჰქონდა, ბავშვობაში შოპენის პირველი და ერთადერთი მაესტრო ჩეხი პიანისტი იყოო, თანაც პრაღას, ჩეხოსლოვაკიას მაშინ სხვა შარავანდი ადგა; როგორც მოელოდა, სტუმარი გაკვირვებით შეაცქერდა. მისთვის ეს დღე მშვენივრად აეწყო. ნაშუადღევამდე რაღაც ოფიციალური საქმეები მოამთავრა. მერე ჩოგბურთში მორწყულ-დახვეტილ მოედანზე საინტერესოდ მოთამაშე, მაგრამ უპრობლემოდ დასამარცხებელი და, როგორც შეატყო, რესპექტაბელური პარტნიორიც შეხვდა, ერთად ამდენი საზამთროც არასოდეს ეჭამა, ჯერ ახალი დაღამებული იყო და ვინ იცის, მოგზაურის ბედი კიდევ რას უმზადებდა რუსეთის ამ უცნაურ ქვეყანაში... თედომ შეატყო, რომ შოპენის მოგონება სულაც არ შედიოდა უცხოელის ტურისტულ პროგრამაში, თავაზიანად დაემშვიდობა და შინისკენ გამოუხვია.

სმენა რომ ჰქონოდა, იმ მელოდიას მაინც წაუღიღინებდა; მტვრიან კვიპაროსებს ახედა (ბაღის ღობეც კარგა ხნის აყრილი იყო და ზედ ქუჩის პირას იდგნენ). მაგრამ, როგორც ზევით ვთქვი, ღმერთს მარტო მოსმენის ნიჭი მიეცა. გლოვის ორკესტრს კი გზაშარაზე უკვე აღარავინ აღირსებდა; ამის დროც წასულიყო მოუბრუნებლივ.

ლია სტურუა

ლტოლვა სამოთხისკენ

იმდენი ტალახი და სისხლი მასხეს,
რომ რაც უნდა მავლონ
კათარზისში, როგორც ლილაში,
ქათქათა თეთრი ვერ გავხდები,
მიწა კი მიმიღებს,
მიწა დედაა,
ცა - გაუცხოებული მამა
და ანგელოზი შვილების ფონზე,
ჩემს ხაზგასმულობას ვერ აიტანს,
როცა თავზე წითელი თმასავით
ნერვები მაქვს გადავარცხნილი...
მე კი იასამანი ჩავისუნთქე
და იმ კაცთან მეჩქარება,
რომელსაც ჰაერი გაუთავდა,
ბროლის ჭიქაში ჩადეს მისი სული,
სადაც მე არ შემიშვებენ,
მაგრამ გამჭვირვალე კედლიდან
დავინახავთ ერთმანეთს,
ერთი იასამნით ვისუნთქებთ
და სამოთხეც ეს იქნება...

მატარებლიდან არსაითკენ

მატარებელი. ნელი, მშვიდი,
ზომიერად ჭუჭყიანი,
წარსულის გადმონათში...
თვითმფრინავიდან, რომელიც
ასჯერ უფრო შეეფერებოდა
ჩემს აჩქარებულ ნერვებს,
აქ ჩამომაგდეს
გარესამყარო ეჭყლიტება
მის ფანჯრებს,
ერთ სიბრტყეში დგანან
დაბრეცილი სახლები და
გეომეტრიული მთები,
ცა ისეთი დაბალია,
ბავშვს რომ გაეხარდება
თავის ნახატში,
გამხდარი წურბელები
მზეს ასხედან და სისხლს სწოვენ,
სადღაა შუადღე,
მაღალწნევიანი, დოლების რიტმივით?
ზამთრის მოლოდინი უფრო მაშინებს,
ვიდრე თვითონ ზამთარი...
მხოლოდ, ხორბლის ნათესები
მაღალი და ყვითელია,
ერთი კი დამცხება მათ დანახვაზე,
შევალ საკუთარ თავში
და აღარ დავბრუნდები...

■ ■ ■

რამდენიმე ქილა რძის
და თეთრი პურის უკან,
როცა ცოცხალი იყო დედა,
რომლისთვისაც შეიძლებოდა
ყველაფერი მომეყოლა,
ისიც კი, რა მარტო დავრჩი
მისი სიკვდილიდან დიდი ხნის მერე,
მომისმენდა, რაღაც გაუგებარ
საჭმელს მომიტანდა,
იქნებ, სულაც შაქარმოყრილ ვარდებს,
მაგრამ როცა დაინახავდა,
როგორ მიჭირს
მზისთვის თვალის გასწორება
და მხრების შეშვერა თოვლისთვის,
როცა ბოდიშს მოვუხდიდი იმის გამო,
რომ დაბადებიდან
ბრონეულის ხეზე უფრო ვიყავი
გამობმული ჭიპლარით, ვიდრე მასზე,
რაღაც ძალიან მშვიდ
და ხავერდოვან გზას გამონახავდა
ჩემი ამქვეყნიდან წასვლის,
როგორც ლოგინს მიშლიდა
სულ რამდენიმე ქილა რძის
და თეთრი პურის უკან...

პოეტური ლიცენცია

მხოლოდ ნოტებს ვკითხულობ,
მუსიკას აღარ ვუსმენ,
მაგრამ ის ქაღალდზეც მფრინავია.
ხუთივე ხაზი ჩიტით ბოლოვდება
და ცაში ადის
შაბათს, როცა სამყაროს
აშენება დაამთავრა,
ხელთ არავითარი მასალა
აღარ ჰქონდა და სევდა დაეუფლა,
რომ, ისევ, ფაიფურის ლამბაქივით
ბრტყელ ცას უნდა მიეყინოს,
მაშინ ხომ არ შექმნა
მუსიკა ღმერთმა?
როგორ მშველის ეს მეტაფიზიკა,
რომ თავი კედელს არ ვახალო,
ვილაპარაკო, როგორც ოდესღაც,
დალაგებულად,
თანაბარი, შეკრული ხმით,
რომელიც არსად არ გაიხევა
და შიშველ ფალცეტს არ გამოაჩენს...

ნულარ ჩააქრობთ!

ყველამ ისწავლა წერა, ხატვა,
ბგერების ჰარმონიაში
მბრძანებელი ჯოხით დგომა,
მოზარდივით კუთხოვანი აზრების
მოგლუვება
ინტელიგენტურ გარემოში ჩასაწერად,
მაშინ როცა
აზრი უნდა აფეთქდეს!
ჩემს საწყალ სამშობლოში
ყველა მწერალი ფეთქებადი იყო,
გული და გონება არ ავალებდათ
ცივილიზაციის წონასწორობა დაეცვათ -
გახლეჩილი ლეღვი და ბროწეული,
ზედმეტი სიტკბოსგან ფორმადაკარგული,
ატმების და ვაშლების ევროპული
სიმეტრიის გვერდით...
ამ ნიადაგზე ამოდიოდნენ ტაძრებიც,
ცხენის ნესტოებივით მთრთოლვარე
და არა მკაცრი კონსტრუქციები...
ახლა, მიძინებულ, ჭკუადამჯდარ
გარემოში ჭიქა ყავაც კი,
უფრო რიტუალურია,
ვიდრე სიფხიზლის მომტანი...
ნუ დავიძინებთ! თუმცა ძილი
ყველაზე კარგად მოგვეფონებოდა
უმწეობისგან და შიშისგან დაღლილებს...
როგორ აქრობდნენ ჩვენს აფეთქებულ პოეტებს:
რუსთაველს, ვაჟა ფშაველას,
ბარათაშვილს, გალაკტიონს!
გახლეჩილ ლეღვის და ბროწეულის
შუქი ავუნთოთ მათ ხსოვნას,
რომელიც მშვიდობიან ცაზე
კი არ წერია,
არამედ ელვით განათებულზე,
ამბოხებულზე...

ლევან კიკალიშვილის ნახატები

ფერფლისფერთმიანი და ყორნისფერთმიანი

ირაკლი სამსონაძე

ბესო ბერაძეისა ფოტოები

ბუნებრივი ფერი არ ვიცი, მაგრამ ერთს ფერფლისფრად ჰქონდა შეღებილი თმა, მეორეს ყორნისფრად. კარის მეზობლები იყვნენ. ფერფლისფერთმიანი ხუთოთახიანში ცხოვრობდა, დიდი ჰოლითა და შემოსასვლელით. მაინც მოუძებნეს ქალებმა ხინჯი, თავის გემოზე გადააშენ-გადმოაშენებინეს ქმრებს.

თავიდანვე დამეგობრდნენ. ასაკიც უწყობდათ ხელს და სოციალური მდგომარეობაც. ფერფლისფერთმიანი 34 წლის იყო, მაგრამ ამბობდა, რომ 30-საა. ყორნისფერთმიანი 30-სა იყო, მაგრამ ამბობდა, რომ 28-ის არის. თბილისელები - ფერფლისფერთმიანი დიდუბელი. ყორნისფერთმიანი დიღმის მასიველი. უმაღლესდამთავრებული დიასახლისები, თითო-თითო შვილით - ფერფლისფერთმიანს ათი წლის ვაჟი, ყორნისფერთმიანს რვა წლის გოგონა. საშუალო ფენას ეკუთვნოდნენ. ამაზე ისიც მეტყველებდა, რომ მიუხედავად ევრორემონტისა, მათ საცხოვრებელ რაიონს მაინცდამაინც პრესტიჟული ვერ ეთქმოდა. დიდ დიღომში დასახლდნენ. ქმრები კი ამშვიდებდნენ, რომ აწყობილ-დალაგებულ ქვეყნებში სწორედაც გარეუბნებში ცხოვრობს შეძლებული ხალხი და თუკი მანქანაც გაქვს, მაშინ საერთოდ რა პრობლემაა, მაგრამ მოგეხსენებათ, გარეუბანს მაინც გარეუბანი ქვია. მანქანები მართლაც ჰქონდათ. ფერფლისფერთმიანის ქმარს ბაზრობაზე ნაყიდი ოპელი. ყორნისფერთმიანის ქმარს ბაზრობაზე ნაყიდი ოპელი. იმასაც და ამასაც. მხოლოდ სხვადასხვა ფერისა. პირველს მუქი შინდისფერი. მეორეს სველი ასფალტისფერი. ფერფლისფერთმიანის ქმარი კერძო სარეკლამო სააგენტოში ოცდაორპროცენტიან ნილს ფლობდა, ყორნისფერთმიანის ქმარი ორ სამარშრუტო ტაქსს, თავ-თავის ხაზითურთ და ოთხმოცლარიან ჯამაგირს ენერგეტიკის სამინისტროში.

ჯერ ფერფლისფერთმიანმა დაასრულა რემონტი. დაახლოებით სამ თვეში ყორნისფერთმიანიც გადმოვიდა. გაეცნენ. ყავა მიირთვეს. ისაუბრეს თავ-თავის ოჯახზე, რემონტზე, მეზობლებზე. ორივე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დანარჩენი მეზობლები სათვალავში ჩასაგდებნი არ იყვნენ. პირველმა შეხვედრამ სასიამოვნო შეგრძნება დატოვა მათში. მხოლოდ იმის გამო არა, რომ ერთმანეთი ტოლად და სწორად მიიღეს. არა. რაღაც სხვაც იყო მიზეზი. თითქოს იმის რწმენა, რომ განგება მფარველობდა მათ და სწორედ ისეთს უგზავნიდა მეზობლად, როგორსაც თავად ინატრებდნენ. ამით აღტკინებულნი და გამლღვალნი საღამოთი უფრო მიუთბნენ ქმრებს. შთაბეჭდილებებიც გაუზიარეს და კიდევ ერთხელ დაირწმუნეს თავი, რომ ღირდა გარეუბანში ცხოვრება.

კაცების ჯერი დადგა. იმ დღეს თითქმის ერთდროულად შემოაყენეს ეზოში მანქანები. ერთმანეთს კეთილმოსურნედ გაუღიმეს:

- ნაღდი ვისკი მაჩუქეს, - თქვა ყორნისფერთმიანის ქმარმა, - მარტომ როგორ დავლიო, ყელში არ გადადის.

- თუ ნაღდია, უკეთესი სასმელი არ არსებობს. - თქვა ფერფლისფერთმიანის ქმარმა.

- ჩვენს ხელში არაა? დეგუსტაცია გავუკეთოთ. - მიუგო ყორნისფერთმიანის ქმარმა.

ფერფლისფერთმიანი და მისი ქმარი ყორნისფერთმიანმა მისაღებში შეიპატიჟა და მსუბუქი ვახშმით გაუმასპინძლდა. - ორი სახეობის ძეხვი (თხლად დაჭრილი). შებოლილი ყველი. ძვირფასი ვიჩინა. ზეთისხილი. ვისკი მაღალ ჭიქებში. კაცებმა ისაუბრეს სამსახურზე, რემონტზე, გაკვრით პოლიტიკაზე, მეზობლებზე. ორივემ დაასკვნა თავისთვის, რომ დანარჩენი მეზობლები სათვალავში ჩასაგდებნი არ იყვნენ. არ იზიდავდათ დომინოსა და ჯოკერის თამაში კორპუსის შესასვლელთან მოწყობილ მაგიდაზე.

ყორნისფერთმიანის ქმარი რაღაცნაირი შემწყნარებლური ირონიით მიმართავდა ცოლს. ყორნისფერთმიანს სიამოვნებდა, როცა სხვები არაპრაქტიკულ, გაფანტულ ქალად თვლიდნენ და სტუმრების თანდასწრებით აღიარებდა კიდეც ქმრის უპირატესობას ყოფით საკითხებში. საკმაოდ მომხიბვლელი იყო ამ დროს. თავისივე უსუსურობას შეგუებული, ძალიან თბილი და შინაურული ღიმილით პასუხობდა ქმრის შენიშვნებს, რაც კიდევ უფრო მეტ სიმყუდროვეს სძენდა ისედაც მყუდრო საღამოს. ამგვარი დამოკიდებულება ფერფლისფერთმიანისა და მისი ქმრისთვისაც არ იყო უცხო. ფერფლისფერთმიანსაც უყვარდა, როცა არაპრაქტიკულ, გაფანტულ ქალად მიიჩნევდნენ სხვები. ამიტომ, ქმრის შემწყნარებლურ ირონიაზე, ისიც საკუთარ უსუსურობას შეგუებული, მომხიბვლელი ღიმილით პასუხობდა. ესენიც და ისინიც.

- არაუშავს ბიჭია. - თქვა ფერფლისფერთმიანის ქმარმა, როდესაც შინ წავიდნენ.

- ნორმალური კაცია. - თქვა ყორნისფერთმიანის ქმარმა, როდესაც მარტონი დარჩნენ.

- მე უფრო მსუქანი ვარ თუ ის? - ჰკითხა ფერფლისფერთმიანმა ქმარს.

- ის. - უპასუხა ქმარმა.

- მე უფრო მსუქანი ვარ თუ ის? - ჰკითხა ყორნისფერთმიანმა ქმარს.

- ის. - უპასუხა ქმარმა და ქალს ხელი წაატანა.

თანდათან უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ხან ისინი ეპატიჟებოდნენ ამათ. ხან ესენი იმათ. კაცები დილაადრიანად გადიოდნენ შინიდან. ქალები ბავშვებს ისტუმრებდნენ სკოლაში, სათავისო საქმეს მოილევდნენ და ყავის სმასა და ნელთბილ საუბარში კლავდნენ დროს.

მერე გადაწყვიტეს, დილაობით ერბინათ. იმ ასაკში იყვნენ, როცა სიმსუქნისკენ არის მიდრეკილი ქალი. ძალიან წუხდნენ ამის გამო. ფერფლისფერთმიანმა ვარდისფერი სპორტული ფორმა შეიძინა, ყორნისფერთმიანმა მუქი მწვანე. ბოტასები თეთრი არჩიეს. ერიდებოდათ ყველას დასანახად სირბილი; ამიტომ ადრე იღვიძებდნენ, ერთმანეთს შეეხმიანებოდნენ და მათი კორპუსის პირდაპირ მდებარე ფეხბურთის მოედანზე მიდიოდნენ, რომელსაც წრიულად ერტყა მოასფალტებული სარბენი ბილიკი. გვერდიგვერდ, ერთ რიტმში დარბოდნენ, თითქოს უხილავ, მსუბუქ ეტლში არიან შებმულნიო. ფერფლისფერთმიანი ვარდისფერ სპორტულებსა და თეთრ ბოტასებში. ყორნისფერთმიანი მუქ მწვანე სპორტულებსა და თეთრ ბოტასებში. მართლაც ფაშატებს ჰგავდნენ; ჯიშიან, თანაბარი ღირსების მქონე, სხვადასხვა ფერის ფაშატებს. ხუთ წრეს სირბილით ურტყამდნენ მოედანს. ერთ წრეს სიარულით. შემდეგ გახალისებულნი, თანამოაზრეობის შეგრძნებით უფრო დაახლოებულნი, გზადაგზა სიცილით მიდიოდნენ შინისკენ. ბავშვებს აღვიძებდნენ. სკოლაში ისტუმრებდნენ. სათავისო საქმეს მოილევდნენ და ერთმანეთს მიაშურებდნენ.

ერთი ზაფხული ქობულეთში გაატარეს ოჯახებით. თავ-თავისი მანქანებით წავიდნენ. ჩოგნები წაიღეს. მართალია, არ იცოდნენ ჩოგბურთის თამაში და ვერ ითამაშეს, რადგან იმათი მოერიდათ, ვინც თამაში იცოდა, მაგრამ მაინც წაიღეს ჩოგნები. როგორც წაიღეს, ისე ჩამოიტანეს თბილისში. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. სხვა გასართობი მოძებნეს, აჭარული ხაჭაპური და კეფალი. ზღვა. მზის ჩასვლა. ფიჭვის ხეები. ნიჟარები და ლამაზი ქვები. როგორც არის ხოლმე, საერთოდ, ზღვაზე. კაცები შემწყნარებლური ირონიით მიმართავდნენ ცოლებს. ისინიც, ძველებურად თამაშობდნენ არაპრაქტიკულ, გაფანტულ ქალებს, მაგრამ, რადგან ყოველდღიური ურთიერთობა აკავშირებდათ, დროდადრო ისეთები იყვნენ, როგორიც სინამდვილეში იყვნენ - უაღრესად პრაქტიკულები და კაპასები. ხდებოდა ისეც, რომ სახალხოდ ამჟღავნებდნენ უხეშობას ქმრების მიმართ. კაცები, იმის შიშით, რომ მათი სიკაპასე უფრო მეტად გამოაჩენდა თავის ნამდვილ სახეს, უჩუმდებოდნენ ქალებს, ერთს კი გადახედავდნენ მკაცრად, და შემდეგ ერთმანეთის გასაგონად ჩაილაპარაკებდნენ: - სულელია ეს შობელძაღლი.

ასე მიდიოდა მათი ცხოვრება, სანამ ყორნისფერთმიანის ქმარს დასაჭერად არ გაუხდა საქმე. ჯერ ერთი სამარშრუტო ტაქსი გაყიდა ხაზითურთ. მერე მეორეც. არ მოეშვნენ. ფერფლისფერთმიანმა უთანაგრძნო ყორნისფერთმიანს. ახლა, ძირითადად, ფერფლისფერთმიანის სამზარეულოში ისხდნენ, იქ სვამდნენ ყავას და ფერფლისფერთმიანის სიგარეტს ეწეოდნენ. თუმცა, დარბოდნენ ჯერ კიდევ დილაობით. იმ ხალისით ვეღარ, მაგრამ მაინც დარბოდნენ. ყორნისფერთმიანი ხანდახან მწარედ ჩაილაპარაკებდა რაღაცას, რაც ფერფლისფერთმიანს ხასიათს უფუჭებდა. ყორნისფერთმიანის ქმარს მზერა დაეკარგა და სმას უმატა. ყორნისფერთმიანმა აშკარად გაცხადებული გაღიზიანებით დაიწყო ქმარზე ლაპარაკი. ფერფლისფერთმიანი თანაგრძნობით მისჩერებოდა მეგობარს, ყურადღებითაც უსმენდა, მაგრამ, დროთა განმავლობაში, ერთსა და იმავეზე საუბარმა თავი შეაწყინა და რამდენიმეჯერ ისე ძალუმად მოუნდა დამთქნარება, რომ მხოლოდ დიდი ძალისხმევის ფასად მოახერხა თავის შეკავება. მერე აღარც ამას ერიდებოდა. ემთქნარებოდა და ამთქნარებდა კიდეც. ბოდიშის მოხდით, პირზე ხელის მიფარებით, მაგრამ მაინც ამთქნარებდა. ყორნისფერთმიანმა მტკივნეულად განიცადა თავისი გასაჭირისადმი ასეთი გაუცხოებული თუ გარიდებული დამოკიდებულება კარის მეზობლისგან. გაბრაზდა. გადაწყვიტა, რომ აღარასოდეს სტუმრებოდა მათ, მაგრამ დიდხანს ვერ გაუძლო. ისევ თვითონ მიაკითხა - რაღაცნაირი გაბოროტებული სიჯიუტით, რაღაცნაირი გულსმიუკარებელი ურცხვობით. ახლა უფრო მეტ ხანსაც კი ატარებდა ფერფლისფერთმიანთან და ამით უცნაურ სიამოვნებას გრძნობდა, რადგან დანამდვილებით იცოდა, რომ ტანჯავდა მას.

- სულელია და იმიტომაც დაემართა, რაც დაემართა. - უთხრა ფერფლისფერთმიანს ქმარმა.

ფერფლისფერთმიანმა ღრმად ამოისუნთქა. მართალია, იღლებოდა ყორნისფერთმიანთან ურთიერთობით, მაგრამ მაინც განიცდიდა სინდისის ქენჯნას თუ რაღაც ამის მაგვარს. ეტყობა, ამიტომ უფრო იღლებოდა. აღარც კი იცოდა, რისგან იღლებოდა. იღლებოდა კი ნამდვილად და ამაში ყორნისფერთმიანის დადანაშაულებას ცდილობდა. ახერხებდა კიდეც, რადგან თავად ყორნისფერთმიანი აძლევდა ამის საბაბს.

მერე ყორნისფერთმიანის ქმარმა ბინა გაყიდა და დაჭერას გადაურჩა. ფერფლისფერთმიანმა და მისმა ქმარმა გამოსამშვიდობებელი საღამო მოუწყვეს მეზობლებს. ყორნისფერთმიანის ქმარი დათვრა. მისი ცოლი სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და აშკარად ემჩნეოდა, რომ ტირილი ყველაფერს ერჩია ახლა. თუმცა, არ უტირია. იცოდა, რომ ეს ბოლო შეხვედრა იყო ამ ბინაში და არ უნდოდა ფერფლისფერთმიანის მოგონებაში ასე წელში გატეხილი და მიწასთან გასწორებული დარჩენილიყო. ეს კია, რომ მთვრალი ქმრის შემხედვარეს სიავე გაუკრთებოდა ხოლმე თვალებში. ალბათ იმაზე ფიქრობდა, რას და როგორ ეტყოდა კაცს, რათა უფრო მეტი ტკივილი მიეყენებინა მისთვის და ამით შვება ეგრძნო. საღამომ მძიმედ ჩაიარა. როდის როდის წავიდნენ.

- ძლივს. - თქვა ფერფლისფერთმიანის ქმარმა.

- მეცოდება, მაგრამ დავიღალე. - თქვა ფერფლისფერთმიანმა.

ახლა ფერფლისფერთმიანი მარტო დარბის მოასფალტებულ სარბენ ბილიკზე. იქნებ ამ მარტოობის ბრალიცაა, რომ უაღრესად მომართული თუ მიზანდასახული გამომეტყველება ცივ ნიღბად აჰკვრია სახეზე. ყორნისფერთმიანის ბინა კი წაბლისფერთმიანმა და მისმა ქმარმა შეიძინა. ბუნებრივი ფერი არ ვიცი, ქალს წაბლისფრად აქვს შეღებილი თმა და მეც ამიტომ ვარქმევ წაბლისფერთმიანს.

იმირ მამედლი

ვეფხვის ნაწოლი

გუშინწინისწინ, გუშინწინ, გუშინ
რომ ვყოფილიყავ შენი წაწალი,
შემოგრჩებოდი იმგვარად გულში,
ვით ბალახებში ვეფხვის ნაწოლი.
და გავყვებოდი ხელში მზის შუშით
სხივს ჰორიზონტის გასწვრივ გაწონილს.
აყვავდებოდა ჟინი, ვით ნუში,
აზრს შეერთვოდა აწონ-დაწონილს.
მოგადგებოდი ჩუმი, პირქუში,
დავიღლებოდი როცა წანწალით,
ჩავინთქმეოდი წმინდა და მრუში
ვეფხვის ნაწოლში, როგორც წაწალი.

წვიმა გარიჟრაჟზე

ბინდი გაირღვა,
ნელა თენდება,
სადღაც ცის კარი ოდნავ გაიღო.
ქვრივს რომ მეუღლე გაახსენდება,
ისე იჟინჟღლა და გადაიღო.

დრო

დიდხანს ვიცეკვე ის ცეკვა როა,
ის ცეკვა როა ცელქი ქარისა,
მუხლებითა ვგრძნობ, რომ უკვე დროა,
გადავიხადო საზანდარისა.

ჩემთვის უცხოა ჩუმი სარკაზმი,
უცხო არაა ღია თამაში.
მე ბაღდადურის მივეც “ზაკაზი”
და ლეკურისა მომაქვს შაბაში.

მანძილი ჩემი სახლიდან სამსახურამდე
კილომეტრებით არა,
სიმღერებით თუ გავზომავთ,
ნახევარი სიმღერაა
ჩემი სახლიდან სამსახურამდე.
მთავარი პირობა:
მანქანით თუ მივდივარ და
რადიომიმღებიც თუა ჩართული.

მოწყალება

მათხოვარმა ფული სთხოვა.
ხურდა არა მაქვსო.
მე დაგიხურდავებო,
მიუგო მათხოვარმა და
დაუხურდავა.

ხურდა მათხოვარს ჩაუყარა
ბარტყის პირივით დაფჩენილ მუჭში
და გზა განაგრძო
ვალმოხდილმა ადამიანმა.

დამცველი

ქალები დგანან
ჩვენი სულების მყიფე სიმშვიდის
სადარაჯოზე,
და მას იცავენ,
და მას იცავენ მარტოობისგან,
ქალის სურნელზე,
ქალის ხმაზეც კი რომ დაფრთხება და
გაიძურწება ხოლმე უჩუმრად.

თავს დასტრიალებს ქალი მამაკაცს,
რომ საიდანმე არ მოეპაროს
მარტოობა ამ სუსტ არსებას.

უსაზღვროების სევდა

ნეტავი სულაც არა მცოდნოდა,
რამე თუ იყო იმ მთების იქით,
ნეტავი აქვე დავტეულიყავ
აზრით და ფიქრით.
ნეტავ ეს მთები
მხოლოდ ეს მთები
მეხატა ჩემი შავი ფანქარით
ნეტავი ეს გზა არ დამეხატა,
რომელზეც ახლა მივქრი
მანქანით.
ნეტავ ოცნების სადღეგრძელო
არ დამელია მესამე ჭიქით...
ნეტავი სულაც არა მცოდნოდა,
რამე თუ იყო იმ მთების იქით...



ზღურბლს იქით

შევხვდით თუ არა
სიტყვა ამინდზე ჩამოგვივარდა.
სანამ კიბეებს ავათავებდით
გვეყო ეს თემა.
ოთახის კართან შემოგველია
დარიც, ავდარიც.
ზღურბლს იქით რაღაც სხვა იწყებოდა,
და იმ რაღაცას აღარც მზე ერქვა,
არც წვიმა, თოვლი,
არც ქარი და არც ქარიშხალი.

უმთავრესი

მთავარი არის,
ზურგიდანაც იმას თუ ვგავარ,
ვინც ვარ წინიდან.
მთავარი არის,
წინიდანაც იგივე თუ ვარ,
ვინც ვარ ზურგიდან.
სხვა დანარჩენი,
სააქაო-საიქიოს მსგავსებაც კი
მეორადია.

სახლი



მე და ეს ცხენი,
ცხენი და ხენი
ბინადარნი ვართ ამ სამყაროსი;
მე და ეს ჯორი,
ჯორი და ღორი
ბინადარნი ვართ ამ სამყაროსი;
მე და ეს ქალი
და ქალის ქმარი
ბინადარნი ვართ ამ სამყაროსი;
მე და ეს მწერი
და მწერის მტერი
ბინადარნი ვართ ამ სამყაროსი.

ბედმა ყველანი ერთად შეგვყარა
და უვალ გზებზე ერთად გვატარა.
ამიტომ არის ეს დიდი სახლი
ასე პატარა.

დათო ბარბაქაძე

ლექსები ციკლიდან: „ტბის სანაპიროს სიმღერები„

ტბის სანაპიროდან შინ ვბრუნდები და ჩემთვის ვეკამათები გამვლელის სიტყვებს

ამ ქუჩის იქით მიმდინარეობენ სხვა ქუჩები
და მათ იქითაც მიმდინარეობენ სხვა ქუჩები მოღრუბლული გალერეების,
წუნდებულების სენტიმენტალიზმით, რომლის ნარჩენები
ასე ფრიად უღირს სახელმწიფოს, რომელიც თითქოს არსად არის
და თვალს გვიკრავს ყოველ მოსახვევში, როგორც ონავარი ბავშვი,
რომელიც თითქოს არსად არის ცელქი ღიმილით, რაღაც ისეთით,
რამაც უკვე უღვთოდ გაიმარჯვა
და მიამიტი ხტუნვა-ხტუნვით განაგრძობს ამ საქმეს
წინაშე კაცთა მეცნიერთა და ზეპურთა დედათა, ქუჩებში,
რომლებიც მიმდინარეობენ სამოთხის კართან უარყოფილი სულებივით;
სახლებში, რომლებიც ჰაეროვანი გაქროლება არიან სიცრუის,
ქვიშაზე ნაგების მკვიდრად, უსასრულოდ;
ბაღებში, რომლებიც შენივთებული ფიქრებია სულელთა და ბრიყვთა, -
დაე, იწარმოებოდნენ ისინი ყოველგან,
სადაც სათნოების აზრი აპრიორულია ნებისმიერ ბრუნვაში
და ღმერთშიც; დაე, ასე სწვდებოდნენ ერთურთის სიკვდილს და სიმუნჯეს

ღატაკთა სულები გარდასულ და გარდმოსულ დროთა, ცხადია, ქუჩებში
და გაჩერებებზე მისაბლული ადამიანების მიმდებარე ტერიტორიებზე
დაცულ ისტორიულ ძეგლებში, სახელდებულებში რატომღაც ტაძრებად,
სახლებად უფლისა, რომლის ჩრდილშიც გადაყრილან
მშრომელები ამაყი წესრიგის,
დაკანონებულის დიად კაცთა მიერ ხან ასე, ხან ისე.
და მათ ეს შეძლეს, ჩემო სიყვარულო:
რომ ყოველი გრძნობა და ნაყოფი,
მომხიბლავი შემხვედრი ყოველი,
იყოს ხაფანგი და არა უმეტესი,
სადიდებლად მათი ამ წესრიგის, აწონილის ხან ასე, ხან ისე;
რომ ყოველი კოცნა ან შეხება გარდაიქმნებოდეს ფულად და მოგებად,
საწარმოო ურთიერთობების ფუნქციად, აგურად,
რათა, რა თქმა უნდა, სადმე და ოდესმე...
აი, რატომ ტირის ყველა სიტყვა, წარმოთქმული
მიერ ჩემი ხორცის, გაჩენიდან როდემდე, ძვირფასო?
აუწყობელი სათაური როგორც და მე როგორც,
“მე” როგორც, ჩვენს ფიქრში და ყველას ფიქრში როგორც.
მაგრამ, ღმერთო ჩემო, რამდენ იმის ხელშიც,
ვისაც ფრიად უღირს ესთეტიკა დანისლული გალერეების და
იქ გამქრალ ბაგეთა,
გაუჩინარებული სუნთქვის და სიურჩის,
რომლითაც მერე, აი, ასე დაქსელილია
რამდენი მინდორი ამ ქუჩებით,
ვერშეხებით ფეხისა მიწასთან ვერსად, ვერც სიზმრებში,
ვერც ურთიერთობების ღიმილში ან ცაში,
რომელიც ჩვენივე შიშებმა ჩამოხსნეს,
იქნებ სულაც არაფრის გამო,
ჩვენშივე ჩაკარგულ ხმოვანთა და თანხმოვანთა გამო,
და ცუდ სათაურთა გამო იმ შიშებმა,
რომლებიც სად არ დაგვეძებენ აღნიშნულებს ბევრგან და ბევრგან;
რომლებიც, დაე, იწარმოებოდნენ
ერთმანეთში გარდასულ სიტყვათა წაშლილ ბილიკებზე,
უსინათლო ბავშვების ფიქრებში,
კედლებს შეტოვებულ ფერად ასოებში, წაუკითხავში ხელთა მიერ,
რომლებმაც ისინი გამოსახეს იქნებ სულაც არაფრის გამო,
რაც შეიძლება უღირს კიდეც თავის ბნელ სოროში
იმას, სახელმწიფოს, მოთამაშეს ფერადი ბურთებით,
ჩვენი შთაგონებით. შენ კი ამბობ, რომ ის ტირის არაფრის გამო.

თვალს ვადევნებ ტბის ზედაპირზე იხვების დაშვებას და მახსენდება დაუვიწყარი ჩემი მეგობარი, რომელმაც ერთ დროს თავი ჩამოიხრჩო

შორი გაქცევები ტირილიდან სიცილში
სიცილიდან მეგობრის წიგნივით გადაშლილ ბალახში თუ ხავსში
საიდანაც მოუგვარებელ საქმეებში
საიდანაც მაცქერალი სულ სხვა გაქცევები სულ სხვაგან
სხვა მიზნით და სხვადასხვა გზით ოდესღაც შენში თავმოყრილი სულ სხვა
გაქცევების პირისპირ და თვალწინ
მალე თავმოყრილნი ერთმანეთის შორ გაქცევებში ტირილიდან სიცილში თუ
ხავსში
საიდანაც მაცქერალი ფრაგმენტები რამდენი შენი სახის რამდენი შეხების
სიცილთან და ტირილთან სხვების
შენში გავლით გადარჩენილების საიდან და საით
მოუგვარებელი მათი სურვილებით მოწესრიგებული სულ სხვა სურვილები სულ
სხვაგან და სხვათა
მაცქერალთა ოდესღაც თუ ოდესმე შენში
შენი საქმეების შორ გაქცევებში მოუგვარებელ სულ სხვა საქმეებში
მალე აღნიშნულში ფრაგმენტებად ნაგროვებ სიცილთა შორ ხავსში
შეკრულში სხვადასხვა გზით დევნილ გაქცევათა მაცქერალ სულ სხვა გაქცევებში
მიტოვებულებში მიერ გაქცეულთა ოდესღაც შენში და თავმოყრილებში შენშივე
შენგანვე მაცქერალ სულ სხვა გაქცევათა თვალწინ
მეყვსეულად მოუგვარებელი სულ სხვა საქმეების წაშლათა თანხლებით გადაშლილ
ბალახში თუ ხავსში
საიდანაც შენშივე
სულ სხვა გაქცევების კვლავ გასახსენებლად შენივე შორი გაქცევების თვალწინ და
თავმოყრით
ფრაგმენტების ნაჩქარევი წაშლით ბალახებად
ხავსად ან სიცილად რამდენ ამ სახეში
ხილულში
სულაც უხილავში რამდენი ცრემლიდან ტირილის თუ სიცილის
სულ სხვა გზით ჩქარი სვლით
საიდანაც მაცქერალი სულ სხვა სურვილები
მოუწესრიგებელ სურვილებთან შეხებით დევნილნი სულ სხვა სურვილებში
ფრაგმენტებად თავმოყრილ სიცილთა შეხებად ხავსთან ან ბალახთან
ვარგისთან საკვებად და სიტყვად და გაქცევად სულ სხვა გაქცევებში
სულ სხვა ცრემლების და გაქცევების თვალწინ
წასაშლელად სულ სხვა შეხებების კვალის და ბალახის
ნასიზმრალის შორ გაქცევებად მოუწესრიგებელ სურვილებში მოწესრიგებული
სურვილების თვალწინ და ჩქარი სვლის სხვა გზებით
ქცეულით შორი გაქცევების სიტყვებად ცრემლიანი სიცილის თუ ტირილის
თვალწინ
ფრაგმენტებში ნაჩქარევი წაშლისა გაქცევის მაცქერალ სულ სხვა გაქცევათა
გაქცეულთა შორი გაქცევებით სულ სხვა გაქცევებში
გადაშლილში შეხებებად ხილულ ან უხილავ სიცილში
სულ სხვა გაქცევათა უხილავ ტირილში ხავსისა
უხილავ ტირილში ცრემლისა
შორ
უხილავ ცრემლში ჩქარი სვლისა
უკვე აღარ აღნიშნულისა ხელით
გადაშლილით არსაით და არსად

გაწვიმდა და ქოლგიანი ადამიანები, თალხი დღის შუაგულში, ტბის სანაპიროს გავლით, თავ-თავიანთ გზებს მიუყვებიან

ოუც თარიჰმენს

ჩვენი ჩუმი და შეუქცევადი ისტორიები დახატულია სხვათა მიერ არა კედლებზე და ტილოებზე, არამედ ცაში.

ჩვენი ჩუმი და შეუქცევადი ისტორიების დამხატველთა ჩუმი და შეუქცევადი ისტორიები დახატულია ჩვენს მიერ წყლით და ცეცხლით.

ჩვენთვის უცნობ ამ მხატვართა ბედის შესახებ მოგვითხრობენ ჩვენს მიერ ბევრგან დახატული ისტორიები, გაბნეულები ცაში, გაბნეულები უწყლოდ და უცეცხლოდ.

ჩვენთვის უცნობი ეს მხატვრები კითხულობენ ჩვენს ბედს ძველ, გახუნებულ ისტორიებში, რომლებსაც ისინი აბინავებენ ვიწრო დერეფნებში და აგურით ნაგებ ოთახებში, ცასთან ახლოს.

სხვათა ჩუმი და შეუქცევადი ისტორიები, გასაყიდად გამოფენილი სულ სხვათა მიერ, დახატულია, ჩვენდა გასაკვირად, სულ სხვათა მიერ და უკვე წაკითხულია ჩვენს მიერ სულ სხვაგან და სხვა დროს.

ჩვენ ვიხსენებთ სულ სხვა დროს და სხვაგან შესრულებულ ჩვენს წაკითხვებს და ვხედავთ ჩვენივე ჩუმ და შეუქცევად ისტორიებს, რომლებსაც სხვები ხატავენ სულ სხვაგან და სხვა დროს.

ჩვენი ჩუმი და შეუქცევადი ისტორიები თვალს ადევნებენ მხატვრებს, რომლებმაც ისინი დახატეს წყლით და ცეცხლით ცაში.

ეს მხატვრები ჩვენ არ ვართ.

ეს მხატვრები ჩვენ ვართ.

ჩვენ ვხატავთ სხვათა მიერ დახატულ ჩვენს ჩუმ და შეუქცევად ისტორიებს, რომელთა ბედი უცნობია ჩვენთვის უცნობი მხატვრებისთვის, რომელთა ნახატებს ვაბინავებთ ძველ, გახუნებულ ისტორიებში, ცასთან ახლოს.

ისტორიები, რომლებიც ჩვენთვის უცნობ მხატვართა ბედის შესახებ მოგვითხრობენ, გაბნეულია ვიწრო დერეფნებში და აგურით ნაგებ ოთახებში, რომლებიც უკვე აღარ არსებობენ.

მხატვრები, რომლებიც აღარ არსებობენ, ხატავენ ჩვენს ჩუმ და შეუქცევად ისტორიებს, რომლებიც აღარ არსებობენ და სულ სხვა მხატვრებს, რომლებიც ასევე აღარ არსებობენ, მოუთხრობენ ჩვენი ბედის შესახებ, რომელიც აღარ არსებობს, მაგრამ რომელსაც იხსენებენ სულ სხვა მხატვრები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ.

ჩვენ ვხატავთ ცაში უწყლოდ და უცეცხლოდ გაბნეულ მხატვართა უცნობ ისტორიებს, რომლებიც მოგვითხრობენ სულ სხვა მხატვართა მიერ მოთხრობილ სულ სხვა მხატვართა ისტორიებს, რომელთა გახუნებულ გვერდებზე უკვე აღარ იკითხება ჩვენი ბედი, რომელსაც სულ სხვა მხატვართა ჩუმი და შეუქცევადი ისტორიები შეიცავენ სულ სხვაგან და სხვა დროს.

ჩვენს მიერ ბევრგან დახატული ისტორიები იკითხება წყლით და ცეცხლით ცაში.

ჩვენს მიერ დახატული უხილავი ისტორიები, დახატული ჩვენთვის უცნობ მხატვართა მიერ და გასაყიდად გამოფენილი სულ სხვა ხალხის მიერ, მოგვითხრობენ ვიწრო დერეფანთა და აგურით ნაგებ ოთახთა შესახებ, სადაც ახლა სხვები ცხოვრობენ.

უკვე გამქრალ ამ ისტორიებს კითხულობენ მხატვრები და პოეტები უშუალოდ ცაში.

ეს პოეტები და მხატვრები ჩვენ არ ვართ.

ეს პოეტები და მხატვრები ჩვენ ვართ.

ტბის სანაპიროს მწვანე მინდორზე გულაღმა ვწევარ და მახსენდება გუშინდელი ჩემი ნაცნობი თანამემამულე, რომელმაც სუპერმარკეტში საპონი მოიპარა

უცნობო თანამემამულევ, შენი ცოდნა შრომის, მოპარვის, მოპარული ნივთების ცოდნის, მათი შერჩევის და შიშის ამ რეალურ, დიდ მაღაზიებში, რეალური ამ ხალხის თვალებში, მოიხსენოს უფალმა ჩვენმა წყალობით და მოწყალებით მისით, მოხედოს მოწყალებით მვედრებელთა მისთა, რომელნი ყოვლითა გულითა ჰხადიან მას, დანახულნი გამოხედვებში უფერული მანეკენების, რომლებიც არც მიწის არიან და არც ცის; მოყოს ყური თვისი და ისმინოს ხმა ყოვლისა ერისა მისისა, მოიხსენოს ხეების შრიალი და უხილავი მდევარი ევროპის შუაგულში, შენი გულის დაბნეულ, დამარცხებულ ტერიტორიაზე, უცნობო თანამემამულევ, მოპარულო შენს სამშობლოში, შორს აქედან, ძლიერი, უწარსულო ქართველების მიერ; განამრავლოს იგინი ღმერთმა, მშვიდობით დამყარებულ ჰყოს, წარმართთა ზედა მოსვლისაგან განათავისუფლოს და უძღებისა ჯოჯოხეთისა ბჭეთაგან უკუნისამდე დაიცვას; შენგანაც დაიცვას, გადაგდებულო აქ, ევროპის შუაგულში მიმოფანტულ სუპერმარკეტებში, რომლებიც სწრაფად იმახსოვრებენ რამდენი შენი თანამემამულის გულისცემის აჩქარებას მოსაპარ ნივთებთან, სრულ სიცარიელესთან შეხებისას; ღუთივ-დაცული შენი სამშობლოს დაბინძურებულ არტერიებთან შეხებისას რომელიმე ასტრალურ სივრცეში; შენ, ჭუჭყიანი, უცნობი ხელების ძლევამოსილებით წართმეულო იმედების მოზომილ, განლევად საკუთრებას, დაგდებულო მსუბუქად და ქართული სილაღით აქ, ევროპის შუაგულში, შორს სამშობლოს რესტორნებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან, რომლებიც უდანაკარგოდ, უშენოდ, უჩვენოდ, ინახავენ ქართულ სულს, ქართულ სიამაყეს, მშობლიური ფესვების სიდამპლის უმაღლეს შეგნებას, ნაქებს ეროვნული პოეტების ნასუქი პირით, ჩახლეჩილი მათი სახეებით, რომლებიც შენსავით მოუპარავთ; შეიწყალოს და განაძლიეროს უფალმა ისინი, დაბრკოლებულნი შენითა დიდითა მცონარებითა, უმეცრებითა, უკრძალველობითა და უდებობითა, მათდა მიმართ შენი ბოროტად ქცევითა; შენი სიარულიც დაიცვას უფალმა, აქ, შუაგულ ევროპაში, აუხსნელი სისუფთავით შემაშფოთებელ ქუჩებში, თვალიერება და სიმრავლე განაზრებათა, აღტაცება მაღაზიებით, როგორც მუზეუმებით ან უღრუბლო მომავლით; გარიგება არავისთან, არაფერთან, გრილი ნიავის დატოვება გარეთ, დიად უნივერმაღში ფეხშებიჯებული უცნობი ყვითელი მოქალაქის ნაგაზის თვალწინ; წარგზავნილო მსახურებად, მსგავსად შენთა ობოლთა მოძმეთა, რომელნი მოგზაურობენ გინა დგანან გინა ზღვასა შინა მავლობენ, და რომელნიც ყოვლისა განსაცდელისაგან დაიცვას უფალმა; შენ, მოპარვის უარყოფის სახელით წამრთმევთა მიერ გაგდებულო სხვაგან და სხვაგან, თუნდაც აქ, შუაგულ ევროპაში, ექსპერიმენტების მზიურ ველზე, სასაკლაოზე უცხოთა და სხვათა; აცხოვნოს და შეიწყალოს უფალმა მოხუცებულნი და ყრმანი, ობოლნი და ქვრივნი, და მდებარენი უძლურებასა და დახსნილობასა შინა, მწუხარენი, განსაცდელთა შინა მყოფნი, ტყვეობასა და საპყრობილესა შინა მყოფნი ამ ქალაქში, როგორც ერთ დიდ თაიგულში, დანახულში ციდან ან სიზმრიდან, რომელსაც შენი ფულიანი, უწარსულო მემამულეების შორეული ყნოსვა უნაზესი სიტურფით აგნებს თუნდაც ცხრა მთას იქით, თუნდაც ცხრა ზღვას იქით, მსუნთქავი, მქშინავი; უფალმა აცხოვნოს და მწვალებელთა და უარის-მყოფელთაგან, უღმრთოთა და წარმართთაგან დაიცვას მათი ზანტი გამოხედვა ოჯახებიდან, სუფრებიდან, შვილივით ნაზარდი ვაზის ნაჟურიდან, სულის ნარწყევიდან, დიადი გარიგებებიდან დამკვრელებთან, მხატავებთან, კალმოსნებთან, მაიმუნებთან, სამშობლოს სადარაჯოზე ასულ მკვლელებთან; უფალმა მოაქციოს ბოროტისაგან იგინიც, გაღიმებული, უცხო ენით მოარული მოქალაქეები უცხო, აუხსნელი შუაგული ევროპის აქ, და თურქეთის სადღაც, ამერიკის იმპერიის სადღაც, ნებისმიერი შესაძლო ადგილის მიწაზე, მიწის ქვეშ, ათასი უფსკრულის ხახაში; მოპარული ნივთებიდან, შენივე მოპარული არსებობიდან დანახული მათი უღრუბლო სახეები, მათი ჩარაზული კარი; შენი გულის ჩარაზული კარიც; შენი სიცივე, საშიში, სასტიკი; სულისმოთქმა ყოველი ახალი დამცირების, დაცემის წინ; შენი ქარი, მოპარული შენი ცხოვრების - როგორც უსარგებლო ნივთის - დამტარებელი გასაყიდად ან დასანარცხებლად შენივე გულის ფერგადასულ ფსკერზე; მეგობარო ათასი საქმის, ათასი ასეთი წაშლის და გაგების; კრისტალურ ასფალტზე მძიმედ დაგდებულო ეროვნული, მსუბუქი მოგვერდით; მაღალი სატყნავი ღირებულების ობიექტად შენი ყოფნიდან ანაცვლებულო ერთი საფეხურით მაღლა, ძლიერთა სამშობლოდან შორს ყოფნისკენ და საცვლების, საპნების, კბილის ჯაგრისების მოპარვისკენ, და, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, დაცემისკენ შენი ფულიანი, ძლევამოსილი თანამემამულეების თვალში, რომლებსაც არცხვენ, სახელს უტეხ, რომლებიც შენ არასდროს, არასდროს არაფერს გპარავდნენ, არამედ გართმევდნენ კარგად, ძარღვიანად, და აკეთებდნენ კარიერას, ხელოვნებას, ნაგავს, შენი სისხლის ძეხვს, შესათავაზებელს სატყნავი ღირებულების მქონე შენი შვილებისთვის; მოიხსენოს უფალმა თვალები ამ უკანასკნელთა, აკვიატებული ფიქრივით თანამდევი ვიტრინებთან, თაროებთან, არაფრის პირისპირ; შენი მუნჯი სამშობლოს პირისპირ, რომელიც შენ ხარ; შენი იმ ფიქრების პირისპირ, რომლებსაც ვერ ხედავ, რომლებიც უშენოდ განაგრძობენ დაფიქრებას ამ ყველაფერზე, გარემოცულზე სისასტიკით შენი ამაყი მემამულეების, რაც ექვემდებარება ახსნას, განმარტებას, ანალიზს, სინთეზს, გულისამრევი ადამიანების გულისამრევ განაზრებებს, გადასულს რესტორნებიდან ტელევიზორებში, ტელევიზორებიდან სიცარიელეში, საიდანაც - უკანვე ან ქუჩებში და სასამართლოებში, დამცირებული ადამიანების დროულ, საჭირო გაცინებებში, საჭირო ოთახებში და სადღეგრძელოებში, რომლებიც დაიცვას უფალმა; ხოლო უარმყოფელნი ამ ყოველივესი, ჭეშმარიტებისა გზათა შეცდომილნი, წვალებათაგან დაბნეულნი, ნათლითა ცნობისა მისითა განანათლოს და მოაქციოს მართალსა სარწმუნოებასა ზედა; დაგიცვას და გიპატრონოს შენ, რომელიც ვერასდროს, ვერასდროს გაზომავ მანძილს, რომელიც განვლო უღმერთობამ, რათა ეყვავილა აქ, დედამიწაზე; გამკვალავმა რა გზების, რათა მოსულიყო ჩემამდე, შენამდე! ეყვავილა თავებში იმ ხალხის, რომელიც აქ ცხოვრობს, შუაგულ ევროპაში, ქვით ნაგები სახლების ველზე; ლაპარაკობს შენთვის ფარულ, უცხო ენაზე და შენთვის უცნობ, ცალმხრივ კონტრაქტს დებს ათიათასობით, ასიათასობით შენსავით ბრიყვი, უსუსური ადამიანის უსუსურ ვნებასთან - მოიპარონ სიცარიელე, რათა მერე გარდაქმნან ფულად, რომელიც ზოგჯერ მართლაც არის უზრუნველმყოფელი სიცოცხლის, წვალების უსაზღვრო წყურვილის ყველგან და აქაც, შუაგულ ევროპაში, სადაც შენ არ ხარ არავისთვის, არ აკლდები გულში სულ არავის, წამითაც კი არა; სადაც უნდა დაგიცვას უფალმა, რომელსაც ახსოვხარ, როგორც მთლიანობა, დაშლილი უსუსური ტვინის შეკითხვებად და ამ შეკითხვების ჩახშობად სისხლში, სულში, სიცოცხლეში; როგორც კუპრივით შავი ღვინო, ფანტაზიის საკანალიზაციო მილით შეღწეული დემოკრატიული სატუსაღოს უღრუბლო კედლებში, ნაგებში უკვდავი, მუმიფიცირებული ფასეულობებით; როგორც ამაყი ქართველები, თავიანთი მოწადინებითვე შეთხრილნი საკუთარ ამაყ უკანალში, რომელიც დაამტკიცოს, აღამაღლოს უფალმა ჩვენმა, მისცეს მას ძლევა ბოროტთა აგარიანთა ზედა, აღამაღლოს ყანწი მისი და მიანიჭოს მდიდარნი მოწყალებანი მისნი; რამეთუ ღირს არს ჭეშმარიტად, ღირს არს ჭეშმარიტად, ღირს არს ჭეშმარიტად!

დეკემბერი, 2001 – აგვისტო, 2002
მიუნსტერი, გერმანია

კიდობანი

ზურაბ კიკნაძე

ლევან ხეჩინაშვილის ფოტო

იყო ორი წნული, ერთმანეთის მსგავსი სკივრი, სჯობს კიდობანი, სხვადასხვა სახლში. ნაჩქარევად ავსებული. ერთ ბედში გაერთიანებული კიდობნები. შიგთავსი? ვინ იყვნენ მისი მობინადრენი, შეფარებულნი საყოველთაო კატასტროფას, რამაც მისი პატრონები შეიწირა? ერთგან პირველშემსვლელი არცთუ იოლად აღიქვამდა ოთახის მარტივ სივრცეს. რას უნდა მისწვდენოდა მისი მზერა იმ ჩაბნელებული კუნჭულების განჭვრეტამდე, რომელნიც თითქოს არასდროს განათებულან დასაბამიდან, თუ არა პირდაპირ კედელს, კედელზე ორ სავსებით ერთნაირ ფოტოსურათს, ორ პროფილს ახალგაზრდა კაცისა, ცოცხალი იყო თუ დაღუპული, ამას ვერავინ გაარკვევდა, არც უცდიათ იმ ხანებში, როცა მოკანკალე ხელმა მიუჩინა სურათს ადგილი, რომ სამარადისოდ შერჩენოდა როგორც ღერბი იმ კედელს და შედუღებოდა. არც მზეს დაეკრა, არც ქარიშხალს დაებერა, არც წვიმის თქეშს გადაერეცხა, არ გახუნებულიყო სამარადჟამოდ. მის ძირში იდგა წნული კიდობანი. შემომსვლელი მაგიდისა და კარადის ვიწროებში გზას ჩაუხერგავდა წიგნთა გროვა, წნული კიდობნიდან იატაკზე რომ ინაცვლებდა ხანგამოშვებით, რათა მის უძირო ფსკერს ახალ-ახალი მარგალიტები გამოეჩინა. თუ ჰქონდა რაიმე მასზე სანუკვარი ოთახის ბინადარს? ამ მიუკვლეველ და ამოუწურავ საგანძურზე უფრო ძვირფასი, რომელსაც - ეჰ, ამ ნეშტს, ამ ნაშთებს - ბურთულის ბჟუტვაზე უნდა ებრწყინათ - თავდახსნილთ, შემოხიზნულთ, თავიანთი პატრონის ხვედრგაზიარებულთ, პატიმართ წნული კიდობნისა, ვინმე მხსნელის მომლოდინეთ.

კიდობნები, ორივენი, აქაც და იქაც, იდგნენ როგორც უფსკერონი და ამოურწყავნი: ყოველთვის გამოაჩენდნენ ახალს და ძველსაც, უკვე აღმოჩენილს, ახალი კუთხით, სხვაგვარი იერით დაგანახებდნენ. რადგან ერთია პირველი ხილვა, სხვაა - მეორე და მესამეც, ალბათ მეოთხეც და ასე უსასრულოდ. თანდათანობითი გაცნობა ბინადრებთან: იყვნენ მათ შორის გულდახურულნიც, მათი ყდები არაფერს სანუგეშოს არ გიქადდნენ, არ გაძლევდნენ იმედს, რომ ოდესმე გაიღიმებდნენ, სამუდამოდ დარჩებოდნენ აუხსნელი ბეჭდებით დაბეჭდილნი. გადაშლაც კი არ უცდია არც ერთს, არც მეორეს, არც აქ, არც იქ. არც ერთს არ უკვირდა ეს დამთხვევა, დამთხვევა არა ყდების, არამედ მათი გამოხედვისა და მისგან გამოწვეული განცდისა. ისინი მიუკარებელნი იყვნენ. რას ინახავდნენ პირქუშ ყდებსა და თითქოს ხალისით მობრინჯაოებულ ყუებს შორის? ოდესმე თუ გამოელაპარაკებდნენ ერთმანეთს? ახლა მწყრალად იყურებოდნენ. ეწყვნენ ერთმანეთზე და ერთმანეთის გვერდით, უბრად: ერთმანეთს თუ არ ანდობდნენ იმ ყველაფერს, რაც მათ თავის დროზე უშურველად გაანდეს.

გახსნისას ნიავდებოდა უფსკრულის ჰაერი, ამოჰქონდა შმორშეპარული სურნელება, დახურვისას ისევ თან ჩაჰქონდა. მზის სხივი, როცა კი ერთგან შემოაღწევდა, ხილულს ხდიდა მას, რაც უხილავი იყო, თითქოს მანამდე არც კი არსებობდა. ეს იყო ის, რასაც მტვერს უწოდებდნენ. ნათლის მოფენა-განათლება მათ არსებობას გამოიხმობდა სიბნელიდან. შეეძლო მზის უხილავ სხივს, ხილულად ექცია უმცირესი ნაწილაკები და მათი მეშვეობით თავადაც ხილული გამხდარიყო - მარადიული, უხრწნელი სუბსტანცია წარმავალისა და უწესრიგოდ მოფარფატის მეშვეობით. მაინც ისინი, უბრნი და გაუცხოებულნი აუცილებლობით მოითხოვდნენ, საჭიროებდნენ ერთმანეთს, მათ აახლოებდა მტვრად ქცევისთვის განწირული კიდობანი. ერთი აქ, მეორე იქ. იყო წვევანი: წამო, ვნახოთ ფსკერი. თუმცა ფსკერი გვიან გამოჩნდა, როცა იდუმალება უკან იხევდა, რაც გარდაუვალი იყო. შიში თუ რიდი პირველაღმოჩენისა გასული იყო; სახურავის ოდნავ გადაწევა, შიგ ჩაჭვრეტა მოგონების საგანი ხდებოდა, მათი ბიოგრაფიის ნაწილად იქცეოდა.

ირღვეოდა ის წესრიგი, პირველჩაწყობისას იმ ნაჩქარევი ხელით რომ დამყარდა. სხვა ხელის ქვეშ ექცეოდნენ ქვემონი ზემოთ და ზემონი ქვემოთ, იცვლიდნენ მეზობლებს. Ecce Homo - შიშისმომგვრელი, პირქუში, სადღაც შიდა შრეებში ნამყოფი პატიმარი, ახლა მტვერთან ერთად გაშუქებულიყო. და ბევრნი სხვანი, ერთად ყოფნით დაღდასმულნი, რასაც მათივე ყდანი და ყუანი ამხელდნენ ერთმანეთის მკრთალი ანაბეჭდებით. თავისუფლად შობილნი, თითოეული თავის კუთვნილ ფართზე ოდესღაც ხალვათად მდგარი, აწ ბნელში ჩაჭედილი, ვინ როდის დატოვებდა დროებით თუ უხანო თავშესაფარს, სადაც წყვილ-წყვილად თუ ეულად, ერთმანეთის მცნობნი თუ უცხონი, მტერ-მოყვარენი, შეეფარნენ. როგორც შეიყარნენ, ისე გაიყრებოდნენ მომლოდინენი სხვა ხელში მოსახვედრად. Habent Sua Fata Libelli. მათაც ჰქონიათ თავიანთი ბედი... "კაცი ვინმე იყო სოფელსა მას შინა ავსიტისასა..." იწყებოდა და ეხატა კაცი, ეს ავსიტელი, ფოლიანტის ორ ხმელ და შავ, ხრიოკიან კარბაში მოქცეული თავისი უცხო სახით და თავგადასავლით, მიუკარებელი, ყველას და ყველაფერს განრიდებული; ყოველი შემხვედრისგან ჭკუანასწავლი, მერე გაკიცხული და შეჩვენებული, ყველას ბედის მტვირთველი ამ კიდობანში და მის გარეთ, სადაც მათთვის ადგილი არ დარჩენილიყო; აქ განისვენებდა თავის კარგა ხნის გადაუშლელ საცხოვრისში, ისიც მომლოდინე, რომ კვლავ თავიდან დაიწყებდა... კიდობნის შიგთავსის მჩხრეკელიც ელოდა მის პატრონს მუდამ იმის შიშით და სირცხვილით (*ო, სანკტა..!*), რომ დღეს თუ ხვალ გარესკნელის წრეებიდან დაბრუნებული შეამჩნევდა არეულ წყობას, სადაც აღარ დახვდებოდა ზემოურები ზემოთ და ქვემოურები ქვემოთ, და ის წიგნიც ავსიტისა, ფსკერის ღრმა ფენიდან ზედაპირზე ადგილგადანაცვლებული... და არც საუკუნეთა გზაჯვარედინზე დამარცხებული მოხუცის ორი იდენტური სახე-პორტრეტი, ორ სხვადასხვა ადგილას განმეორებით (ტიპოგრაფიული ტავტოლოგია!) ჩაკერებული, რომელთაგან ერთი ფარულად გადანაცვლებულიყო სხვა ყდაში თითქოს ისტორიის განსაახლებლად, რომ შიგ ჩარჩენილს გამართლება ეპოვა. ცოდვის სირცხვილი უკრძალავდა მის გადაშლასაც კი, რომ თავის ორეულთან დაებრუნებინა, რომ პატრონს მრთელი და პირნათელი დახვედროდა. პატრონს კი დაბრუნება არ ეწერა.

პერიოდული, გახშირებული ახდა-დახურვით იცვითებოდა, ირღვეოდა კიდობანი, ცვივოდა მის შიგნით და გარეთ გამომშრალი სელის ნამუსრევები. ეს იმის ნიშნად ჩანდა, რომ იწურებოდა იძულებითი თავშეყრის ხანი და რომ, საბოლოოდ, გარეთ გამოსული მისი ბინადარნი გაიფანტებოდნენ; და თითოეული მათგანი, თავ-თავისი ბედის კვალზე, კვლავ სადღაც, ოდესმე ახალ ერთობაში გაერთიანდებოდა.

თარგმანი

სიყვარულის ძალისხმევა

მოგონებები მარიანა მურზე

ელიზაბეტ ბიშოპი

მარიანა მურის "ლექსების კრებულის" 1951 წლის გამოცემაში შესულია ერთი ლექსი, რომელსაც თავდაპირველად "ძალისხმევა და სიყვარული" ერქვა. ამ წიგნის ჩემეულ ეგზემპლარში მარიანამ "და" გადახაზა, ხოლო "სიყვარული" ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში ჩასვა. ეს შესწორება ძალიან მომეწონა, ამიტომ ჩემს მოგონებებსაც ამ ლექსის შესწორებული სახელწოდება - "სიყვარულის ძალისხმევა" დავარქვი.

მარიანა მურს პირველად 1934 წლის გაზაფხულზე შევხვდი, მაშინ ვასარის კოლეჯს ვამთავრებდი. მარიანა კოლეჯის ბიბლიოთეკარმა - მის ფანი ბორდენმა გამაცნო. პირველად კი მისი პოეზიის შესახებ რამდენიმე წლით ადრე შევიტყვე ერთი ჩემი სკოლისდროინდელი მეგობრისა და დედამისისაგან. ისინი ჩემზე გაცილებით ნაკითხები იყვნენ და ლიტერატურული გემოვნებაც უფრო დახვეწილი ჰქონდათ. წავიკითხე მურის ყველა ლექსი, რაც კი ხელში ჩამივარდა. მცირე ჟურნალებსა თუ კოლეჯის ბიბლიოთეკის ანთოლოგიებში გამოქვეყნებული ლექსები. მსგავსი პოეზია არასოდეს წამეკითხა. მაშინვე გადავწყვიტე, რომ უკეთესად გამეცნო, მაგრამ ვერსად მივაგენი მის "დაკვირვებებს", მურის ლექსების ეს კრებული არც კოლეჯის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა და ძალიან მინდოდა მენახა.

რამდენადაც სწორედ მის ბორდენმა წარმადგინა მარიანა მურთან, მინდა, რამდენიმე სიტყვით ისიც მოვიხსენიო. ის ფოლ რივერ ლიზი ბორდენის დისწული იყო და კოლეჯში ხმები დადიოდა, რომ ლიზი ბორდენის სენსაციურმა კარიერამ დამთრგუნველი ზეგავლენა მოახდინა ფანი ბორდენის პიროვნებაზე. ის მეტისმეტად მორცხვი და თავშეკავებული გახლდათ და ძლივს-გასაგონი ხმით ლაპარაკობდა; მაღალი და გამხდარი იყო, ყოველთვის ყავისფერი ან ნაცრისფერი ტანსაცმელი ეცვა და ძველმოდური, - ყველასაგან გამორჩეული - მშვიდი შეხედულება ჰქონდა. თანაც უჯაჭვო ველოსიპედით დადიოდა. მახსოვს, როგორ ვუყურებდი ხოლმე ბიბლიოთეკისაკენ მიმავალს, ამაღლებულ სკამზე გამართულად იჯდა და ნელა ატარებდა ამ უცნაურობას, რომელიც ქალის ფიგურას უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ ველოსიპედს, და მას სპეციალურ საყრდენზე აჩერებდა (მაშინ ჩვენ ველოსიპედებს საკეტით არ ვამაგრებდით).

გაგრძელება მე-11 გვერდზე



მარიანა მური

ერთხელ, შენობაში თვალს რომ მიეფარა, მისი ველოსიპედიც კი შევამოწმე, რომ გამერკვია, რა მექანიზმით მუშაობდა, თუმცა ვერაფერი გავუგე, ისე კი, მართლაც უჯაჭვო აღმოჩნდა.

ბიბლიოთეკართან იშვიათად გვიხდებოდა შეხება. ათასში ერთხელ რომელიმე წიგნის ძებნისას ვინმეს მის ბორდენის გამოქვაბულივით ჩაბნელებულ ოთახში შეაგზავნიდნენ. იქ წიგნები გროვად ეყარა. თავის მაგიდაზე ფურცლები რომ არ არეულიყო, მრგვალი გლუვი ქვებით ამაგრებდა, საკმაოდ დიდი ქვები იყო, ალბათ, ზღვის სანაპიროდან მოტანილი, და ერთხელ, როცა ჩემმა ამხანაგმა ერთ-ერთი ქვა მოუწონა, მის ბორდენმა ძლივსგასაგონი ხმით უთხრა: "მოგწონს? შენი იყოს" და ის საკმაოდ მძიმე ნაცრისფერი ქვა გაუწოდა.

ერთხელ მეც გამაგზავნეს მის ბორდენის ოთახში წიგნისათვის. აღარ მახსოვს, რა წიგნი იყო... ცოტა ხანს ვილაპარაკეთ და ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე და ვკითხე, რატომ არ ჰქონდათ ბიბლიოთეკაში მშვენიერი პოეტის, მარიანა მურის "დაკვირვებები". ბორდენი შეყოვნდა და თბილად მკითხა: "მოგწონს მარიანა მურის ლექსები?" ვუთხარი, რომ ძალიან მომწონდა, მაგრამ ბევრი არ მქონდა წაკითხული. მის ბორდენმა მითხრა, რომ მურს ბავშვობიდან იცნობდა და ამას მოაყოლა ის შეკითხვა, რომელმაც მთელს ჩემს ცხოვრებაზე მოახდინა გავლენა: "გინდა, მასთან შეხვედრა?" მე საშინლად, უფრო სწორად - ავადმყოფურად მორცხვი ვიყავი და ბევრჯერ ამირიდებია თავი მარიანაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ადამიანების გაცნობისათვისაც, მაგრამ მის ბორდენს მაშინვე თანხმობა მივეცი. მან მითხრა, რომ შეხვედრის შესახებ ბრუკლინში მისწერდა პოეტს და თან სიხარულით შემომთავაზა "დაკვირვებების" საკუთარი ეგზემპლარი.

მის ბორდენისგან ნათხოვარმა "დაკვირვებებმა" ბევრ რამეზე ამიხილა თვალი. მოვიხიბლე ლექსებით: "ოქტოპური" - მყინვარის შესახებ; "პეტრე" - კატის შესახებ და "ქორწილი". ისინი დღესაც, პირვანდელივით მატყვევებენ, როგორც ენისა და კონსტრუქციის სასწაულებრივი ნიმუშები. მიკვირდა, რატომ არავის არასოდეს დაუწერია აქამდე საგნების შესახებ ასე ნათლად, გარკვეულად და განსაცვიფრებლად?! თუმცა ამავე დროს გამაოცა იმ ფაქტის აღმოჩენამ, რომ მის ბორდენი, რომელიც, მოგვიანებით გავიგე, რომ მურების ოჯახის ძველი მეგობარი იყო, აშკარად არ იზიარებდა ჩემს აღფრთოვანებას ამ ლექსების მიმართ. წიგნს რამდენიმე რეცენზია ერთვოდა ბოლოში, რამდენიმე კი არა - ძალიან ცოტა, რომლებიც "დაკვირვებების" გამოცემის წელს, 1924-ში იყო დაწერილი. მათი უმრავლესობა - არაკეთილგანწყობილი, ზოგი კი, უბრალოდ, არაპროფესიული იყო; ერთგან მურის ლექსის ფრანკლინ ფ. ადამსისეული პაროდიაც კი იყო დაბეჭდილი. უფრო მეტიც, მის ბორდენიც კი საჭიროდ არ თვლიდა, თავისი მეგობრის წიგნი კოლეჯის ბიბლიოთეკაში მოეთავსებინა (იმავე წელს მესის ბუკინისტურ მაღაზიაში საკუთრად შევიძინე "დაკვირვებები").

დადგა დღე, როცა მის ბორდენმა მურისაგან პასუხი მიიღო და მაცნობა, რომ ის თანახმა იყო შაბათს ნაშუადღევს ნიუ-იორკში შემხვედროდა. მოგვიანებით გავიგე, რომ მარიანა მის ბორდენს იძულებით დაეთანხმებინა ჩემთან შეხვედრაზე. როგორც ჩანს, კეთილი მის ბორდენი ხშირად უგზავნიდა ვასარელ გოგოებს, ხან თვითონ მურს, ხან - დედამისს, მაგრამ ისე მოხდა, რომ ვერც ერთმა ვერ დაიმსახურა პოეტის კეთილგანწყობა. ალბათ ამ გამოცდილებით თუ აიხსნება ის სიტუაცია, რომელშიც მარიანა მურთან ჩემი პირველი შეხვედრა შედგა: მის მური ნიუ-იორკის სახალხო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შემავალი კარის მარჯვნივ, სკამზე უნდა დამხვედროდა. მური შეხვედრებს უფრო უარეს პირობებშიც ნიშნავდა ხოლმე - მოგვიანებით შევიტყე, რომ თუ ის წინასწარ იყო დარწმუნებული, რომ მისი გაცნობის მოსურნე არ მოეწონებოდა, მაშინ შეხვედრას ცენტრალური სადგურის საინფორმაციო ჯიხურთან უთქვამდა ხოლმე, სადაც დასაჯდომი ადგილი არ იყო და ამიტომ, შეეძლო შეუმჩნევლად წასულიყო. მე კი მურის შესახებ მის ბორდენმა ცოტა უფრო მეტი ინფორმაცია მომანოდა. მითხრა, რომ ის უცნაური, ბავშვური და გულმოწყალე ადამიანი იყო, რომელსაც მკვეთრი წითელი თმა ჰქონდა, ხუმრობა უყვარდა და როგორც მოსალოდნელი იყო, ცხოველების სახელებით მიმართავდა მეგობრებსა და ოჯახის წევრებს.

ამ შეხვედრის ძალიან მეშინოდა, მაგრამ გავბედე, ჩავიცვი ახალი საგაზაფხულო პიჯაკი და მატარებლით ნიუ-იორკისკენ გავეშურე. მის მურის ფოტო ნანახი არ მქონდა. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ წითელი თმა ჰქონდა და ფართოფარფლებიან შლიაპას ატარებდა. ამიტომ მეც წითელთმიან`კუშტი შესახედაობის მაღალ ქალბატონს ველოდი. დანიშნულ ადგილზე დროზე ადრე მივედი, მაგრამ ის უკვე იქ დამხვდა (რაც არ უნდა ადრე მისულიყავი, მარიანა ყოველთვის პირველი იყო შეხვედრის ადგილას); შორიდანვე შევნიშნე, რომ არც ისე მაღალი იყო და სულ არ ჰქონდა მრისხანე შესახედაობა. მარიანა მაშინ 47 წლის იყო და ეს იმ დროს უსაშველოდ ხანდაზმულ ასაკად მეჩვენებოდა. მისი თმის ფერი თეთრიდან მოჟანგისფროვარდისფერში გადადიოდა, ხოლო ასეთივე ფერის წარბები უკვე გათეთრებოდა. განიერი შავი შლიაპა სწორედ ისეთი იყო, როგორსაც მოველოდი. იმ დღეს ლურჯი ტვიდის პიჯაკსა და შავსაყელოიან მამაკაცურ პერანგში იყო გამოწყობილი; ამ პერანგს "პოლოს მოთამაშის პერანგს" ეძახდნენ. უცნაურ ეფექტს ახდენდა, თითქოს 1909 წლის Bryn Mawr-ის სტილში ეცვა, მაგრამ ამავე დროს მოდურად გამოიყურებოდა. მე სკამზე ჩამოვჯექი და მარიანამ ლაპარაკი წამოიწყო.

მეჩვენება, რომ მთელი შემდგომი 35 წლის მანძილზე მარიანა სულ ერთნაირად, ერთ ტონალობაში მელაპარაკებოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ამის თქმა სისულელეა. იმ წლებში ნიუ-იორკიდან შორს ვცხოვრობდი და მას იშვიათად ვნახულობდი ხოლმე. მარიანა მური მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მთხრობელია - ერთდროულად გართობს, გასწავლის, გაჯადოებს და თავს გამახსოვრებს. მის საუბარს, მისივე პოეზიის მსგავსად, ადვილად გამოარჩევთ სხვა ნებისმიერის თხრობისაგან. არ მახსოვს, იმ პირველი შეხვედრისას რაზე საუბრობდა, ვნანობ, დღიური რომ არ მქონდა. რადგან, საბედნიეროდ, არაფერი ვიცოდი იმ ხელმოცარული ვასარელი მოსწავლეების შესახებ, რომლებსაც მურთან შეხვედრაში არ გაუმართლათ, თანდათან დავწყნარდი და თვითონაც რაღაცაზე ვილაპარაკე. არ ვიცი, შთაგონება იყო თუ სხვა რამ, მაგრამ ნაწილობრივ, ამ რაღაცას მივაწერ მარიანასთან შეხვედრისას რომ გამიმართლა.

რინგლინგ ბრაზერსისა და ბარნუმ-ბეილის ცირკი იმ გაზაფხულს ნიუ-იორკს ესტუმრა და მის მურს შევთავაზე (მთელი წლის მანძილზე ერთმანეთს "მის"-ით მივმართავდით), მეორე შაბათს ჩემთან ერთად წამოსულიყო. მე არ ვიცოდი, რომ ის თვითონაც ხშირად დადიოდა ცირკში და არაფრის გულისთვის არ გამოტოვებდა წარმოდგენებს. და როცა ჩემს წინადადებას დათანხმდა, ფეკიფსში უზომოდ ბედნიერი დავბრუნდი დღის მატარებლის ჭუჭყიანი ვაგონით.

ცირკი

მედისონ სქვეა გარდენში დილაადრიან მივედი, რადგან გადაწყვეტილი მქონდა, წარმოდგენის დაწყებამდე ერთი საათი ცირკის ცხოველების დათვალიერებაში გამეტარებინა, მაგრამ მარიანამ მაინც მიმასწრო. თან უამრავი რამ წამოეღო: თითო ხელში თითო ლურჯი ნაჭრის ჩანთა ეკავა და ორი უზარმაზარი ქაღალდის პარკი. ერთი პარკი მე დამაჭერინა. მითხრა, რომ პარკებით გამხმარი შავი პური მოჰქონდა სპილოებისათვის, რადგან ეს პური მათი საყვარელი საჭმელი იყო (მერე ვიფიქრე, ბარემ თეთრი პური უფრო ეყვარებოდათ სპილოებს, მაგრამ მარიანა მათ ჯანმრთელობაზე თუ ფიქრობდა, როცა შავი პური წამოიღო...). როცა შიგნით შევედით და ქვედა სართულისკენ დავეშვით, სადაც უკვე ისმოდა ცხოველების ხმები (და სუნიც იდგა), მარიანამ ცირკში წამოსვლის ძირითადი მიზეზი გამანდო. მის ძმას, ვარნერს, სპილოს თმისაგან დაწნული სამაჯური ეჩუქებინა, რომელიც დას ძალიან მოსწონდა. ოქროს მომჭერებით ერთმანეთზე იყო გადაბმული შავი თმის ღერების ორი-სამი კონა. ერთი კონა სამაჯურიდან ამოვარდნილიყო და დაიკარგა. მარიანას ჩანთაში ფრჩხილის ორი მაკრატელი ედო. მისი გეგმის მიხედვით, მე პურით უნდა მიმეტყუებინა სპილოები და თუ გაგვიმართლებდა და ზედამხედველები ვერ შეგვამჩნევდნენ, მარიანა თავისი მაკრატლით პატარა სპილოს თავზე რამდენიმე ღერ თმას შეაჭრიდა თავისი სამაჯურის შესაკეთებლად. რამდენადაც ვიცი, თმა მხოლოდ მცირეწლოვან სპილოს ამოსდის კეფაზე.

მარიანა მართალი აღმოჩნდა. სპილოებს გამხმარი შავი პური მოეწონათ და ახმაურებულნი ერთმანეთს ასწრებდნენ მის შეჭმას. მწკრივის თავში გავჩერდი და მოზრდილ სპილოებს პურის ნაჭრებს ვუყრიდი, მის მური კი სწრაფად წავიდა მწკრივის მეორე ბოლოსკენ, სადაც პატარა სპილოები იყვნენ. დედებმა ისეთი ალიაქოთი ატეხეს პურის ჭამისას, რომ ზედამხედველი ჩემკენ წამოვიდა. მე კი, ამ დროს, თვალის კუთხიდან ვხედავდი, ფეხისწვერებზე აწეული მის მური როგორ გადაიხარა გალიისკენ მაკრატლით ხელში. სპილოებს უხეში თმა აქვთ და მარიანას იმდენი ხანი დასჭირდა თმის მოსაჭრელად, რომ ვიფიქრე, ამ საქმიანობას აღარასოდეს დაამთავრებდა. მაგრამ, მარიანამ თავისი საქმე გააკეთა და გახარებულებმა დანარჩენი პურიც ზარზეიმით დავუყარეთ სპილოებს და სხვა ცხოველებისკენ წავედით. მარიანამ ჩანთა გახსნა და ნაჭერში შეხვეული სამოოთხი უხეში მონაცრისფრო სპილოს თმის ღერი მაჩვენა.

არ შემიძლია გალიაში ჩამწყვდეული ცხოველების ყურება, განსაკუთრებით - პატარა გალიებში და მით უმეტეს, ცირკის ცხოველებისა, მაგრამ ჩემი აზრით, მარიანა, რომელიც ალბათ იმავეს გრძნობდა, ისე იყო მათით დაინტერესებული და იმდენი იცოდა მათ შესახებ, რომ ცხოველების ყურებისას ყოველგვარი რისხვა და თანაგრძნობა დროებით ავიწყდებოდა. მახსოვს, იმ დღეს, ერთმა სიმპათიურმა გველმა, რომელიც შემინულ გალიაში დაცოცავდა, თავი ასწია ჩვენთვის რომ შემოეხედა. "შეხედე, მიცნო! - თქვა მის მურმა, - გასულ წელს რომ ვნახე, ეტყობა, ვახსოვარ". მე ეს ნათქვამი ხუმრობად მივიღე, მაგრამ ალბათ, მასში სიმართლის წილიც ერია. მერე ზევით ავედით და დაიწყო ჩვენი ექვსრაუნდიანი სამუშაო. დავაცარიელეთ სანოვაგით სავსე ლურჯი ჩანთები, სადაც ბლომად იყო მაგრად მოხარშული კვერცხი (თანაც მხოლოდ გულები), ფორთოხლის წვენით სავსე თერმოსები და კიდევ ბევრი შავი პური, მაგრამ ამჯერად - ახალი და კარაქწასმული.

ცირკში იმ პირველი ვიზიტის დროს (იქ კიდევ რამდენჯერმე ვიყავით), დამამახსოვრდა ერთი მამაკაცი, რომელსაც წარმოდგენაზე შვილები - ორი ბიჭი და გოგონა ჰყავდა წამოყვანილი. წარმოდგენა დიდხანს გაგრძელდა და ბავშვებს დაღლა შეეტყოთ. მარიანა მკვეთრი მოძრაობით, რომელიც მას საერთოდ ახასიათებდა, წინ გადაიხარა და მამაკაცს შესთავაზა, რომ თუ გოგონას საპირფარეშოში წაყვანა სჭირდებოდა, ის დიდი სიამოვნებით გააკეთებდა ამას.

ინგლისურიდან თარგმნა
მანანა მათიაშვილმა

ახალგაზრდა პოეტები სტუმრად მარიანა მურთან (მარცხნივ სილვია პლათი)

აღსარების სიცხიანი ხარვეზი

ანდრო ბუაჩიძე



სამოცდაათიან წლებში ჩვეულ წესად მქონდა ქცეული წიგნის მაღაზიაში შევლა. დავუყვებოდი, ვთქვათ, ლესელიძის ქუჩის თავდაღმართს და ავი დარი იდგა თუ კარგი, სულერთია, შემჩნევისთანავე შევაღებდი ვიწრო მაღაზიის კარს. ეს თავისებური აზარტი იყო, - თაროებზე წლობით ნაგროვებ წიგნებს შორის ზოგჯერ არამცთუ უბრალოდ ახალგამოცემულ, არამედ უჩვეულოდ მიმზიდველ წიგნს მოვკრავდი თვალს და ღრმა შინაგანი ინტუიცია მკარნახობდა, რომ ეს წიგნი საინტერესო გამოდგებოდა.

ასე წავაწყდი ვოვა მაჩაიძის წიგნსაც. ანოტაციაში ეწერა: "ვლადიმერ მაჩაიძე ოცდაექვსი წლისა გარდაიცვალა. ბევრი გაუმხელელი ფიქრი და ოცნება წაჰყვა თან უდროოდ დაღუპულ ჭაბუკს".

ეს ფრაზა ინტერესს აღძრავდა და გიბიძგებდა საიმისოდ, რომ ლექსებს გაცნობოდი. იქვე, მაღაზიაშივე გადავიკითხე რამდენიმე ლექსი და მივხვდი, მართლაც რაღაც უჩვეულოსთან მქონდა საქმე. უჩვეულო ჩემთვის თავისთავად პოეტური ნიჭიერება იყო, - მოკლებული ყოველგვარ პოზას და მანერულობას, - ნამდვილი და უტყუარი ღირებულების მქონე.

მოგვიანებით ეს თხელი კრებული ჩემს მეგობრებსაც ვაჩვენე. იმხანად ჩვენ მცირე სეროებს ვმართავდით და როგორც იტყვიან, ხარკს ვუხდიდით პოეტური ზეშთაგონების სხვადასხვაგვარ გამოხატულებებს.

ვოვა მაჩაიძის ლექსებისადმი აღძრულ გრძნობას კი უკვე ხარკი აღარ ეთქმოდა, იმდენად წრფელი იყო.

ქაშვეთის მოპირდაპირე მხარეს, რესტორან "გრემის" ნახევრად ბნელ სარდაფში წავიკითხე ერთი ლექსი, რომელიც ასე მთავრდებოდა: "მოხველ - არავის არ დაენანე. წახვალ - არავინ დაგენანება". ლექსმა მძაფრი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე და ვოვა მაჩაიძის სახელი ჩვენი სტუდენტური ხანის განუყრელ მეგზურად იქცა.

სტუდენტობის მერეც არაერთხელ მსმენია ვოვაზე ნათქვამი სიტყვა, ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას, მაგრამ ერთი რამ აშკარა იყო: ყველას აღელვებდა მისი პიროვნება, მისი ტრაგიკული ხვედრი და პოეზია.

არსებობს შტრიხები, არსებობს ფრაგმენტული მოგონებები ამ უცნაურ, ბოჰემურ კაცზე. ერთი მისი ამხანაგი იგონებდა: "შევიკრიბეთ, წავედით, დავლიეთ. სასმელი რომ გაგვითავდა, გამოვედით, ვდგავართ რუსთაველზე და ვმარჩიელობთ, გეგმებს ვაწყობთ, რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ. ყველანი ჯიბეგამოფხეკილები ვართ, არადა, დალევა გვინდა. ვოვა დუმს. ვეკითხებით, რა ვქნათ, რას იტყვი? ვოვას მსხვილ ულვაშებში ეღიმება და გვპასუხობს: რა უნდა ვქნათ, არაფერი, სახლებში წავიდეთ."

ოთხმოციანი წლების მიწურულს ვოვას მეგობარმა, ჩვენგან ასევე ტრაგიკულად და ნაადრევად წასულმა (მანაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე) ნიკა მჭედლიშვილმა მათხოვა თავისი ფაქიზი ხელით გადაწერილი ვოვა მაჩაიძის ნაწარმოებები. ორი ცისფერყდიანი ე.წ. "საერთო რვეული" იყო, ერთში ლექსები გადაეწერა, მეორეში - მოთხრობები. სხვათა შორის, ვოვას მოთხრობები ლექსიკით, ფრაზეოლოგიით, უცნაური სახეებით, შინაარსითაც წააგავდა მისსავე ლექსებს. ეს რამდენიმე მოთხრობა მაშინვე წავიღე ჟურნალ "ცისკარში" და გამოქვეყნდა კიდეც. პატარა წინასიტყვაობა წავუმძღვარე.

მახსოვს ისიც, რომ ნიკა მჭედლიშვილს ვთხოვე დაეწერა რამე ვოვაზე. გაეღიმა და უარი მითხრა. მისთვის ვოვა და მისი სამყარო ისეთი ინტიმური და შეუცვლელი იყო, რომ ხმამაღლა, ყველას გასაგონად საუბრის სურვილი არ ჰქონდა. ნიკამ ფოტო მაჩვენა, რომელიც საკმაოდ ღრმად აღმებეჭდა მეხსიერებაში. ფოტოზე გამოსახული გახლდათ ვოვა თავის ორ მეგობართან ერთად. ისინი ისე შეხმატკბილებულად გამოიმზირებოდნენ სურათიდან, რომ ჩანდა, დროის იმ მონაკვეთში რაღაც საერთო მიზანი ამოძრავებდათ. რა შეიძლებოდა მათ შორის საერთო ყოფილიყო? "ბიჭური საქმეები", ბოჰემური ცხოვრების წესი, სასმელი, ნარკოტიკი, საზიარო ბედი და ხვედრი. ყველაფერი, ოღონდ არა სულიერება, არა პოეზია, არა ლექსები. აქ ვოვა მაჩაიძე მარტო იყო. ვოვა მაჩაიძე მარტოსული კაცი იყო. ეს მარტოობა იმთავითვე მისჯილი ჰქონდა, რადგან გამოუთქმელი ნაღველი, ჯავრი, წუხილი არ ასვენებდა. ჩემი აზრით, ის იმ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნოდა, რომლებიც ვერ ეგუებიან შემხვედრ წინააღმდეგობებს და კი არ ცდილობენ, არამედ სასოწარკვეთილებამდე მიღწეული ჟინიანობით ესწრაფვიან გაურკვეველის გარკვევას, აუხსნელის ახსნას, მიუწვდომლის ჩაწვდომას. დარწმუნებული ვარ, ვოვა მაჩაიძისთვის ლექსების თხზვა ღრმად ინტიმურ გრძნობათა გამოთქმის ერთადერთ გზად იქცა. ეს ამ ნაწარმოებების აღსარებით ინტონაციაშიც მკაფიოდ ჩანს. ზოგჯერ ისეთი ტკივილით აღბეჭდილ სიტყვებს წარმოთქვამს, რომ ყოველგვარი პოეტური ეგზალტაცია ქრება: "ვერ ვპოვე აზრი, ურჩი ქარი სანთელსაც მიქრობს, ყველას გევედრებით - მირჩიეთ რამე".

ვოვა მაჩაიძის ლექსები ალისფერ სინათლეს ასხივებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამ ლირიკული ტემპერატურის გამომასხივებელი კაცი ცეცხლის რკალშია მოხვედრილი და ხსნას ეძებს.

ვოვას ლექსწერა მარტივია, აქ არის ტექნიკური ხარვეზები, ამოვარდნილი რითმა, ტრივიალური ფრაზა, დარღვეული რიტმი, ბურუსით მოცული ფრაგმენტები, მაგრამ აქვე არის განფენილი ის "ნივთიერება", რომელიც თითქოს ადუღაბებს, კრავს, მაგნეტიზმს ანიჭებს ვრცელ პოეტურ პასაჟებს. ეს "ნივთიერება" პოეზიაა, ხელშეუხები და უხილავი, მაგრამ საგრძნობი და ღრმა განცდის მომგვრელი. ერთ-ერთ შთამბეჭდავ ლექსთაგანი იყო უიღბლო კაცის ლირიკული ტონალობით გამჟღავნებული ამბავი. ჭირისუფლები ზღვაში დამხრჩვალ თავისიანს ეძებდნენ, მაგრამ იპოვეს სულ სხვა მსხვერპლი ბედისწერისა, რომელსაც არავინ არ დაეძებდა. თავისთავად უსაზღვრო, რაღაც კოსმიური მარტოობის თემა ვოვა მაჩაიძისეულია, მაგრამ ტეხილი შტრიხებით შესრულებული ეს ლექსი ამავე დროს ყოფიერების სიღრმეში ჩამალული საიდუმლოებების შიშსაც აღძრავს: "ტანისამოსთან ერთად დატოვა სანაპიროზე სული და ბედი. სკაფანდრიანის თოკს დაათოვა ცრემლი და გაშრა თვალები დედის. როგორც მუხლებზე ცოდვილი ქალი - მზე ეგდო ზღვაში და აღთქმას დებდა. ამოიტანეს სულ სხვა, საწყალი, რომელსაც არავინ არ დაეძებდა."

ჩემში ყოველთვის შეძრწუნებას იწვევდა ფრაზა "სკაფანდრიანის თოკს დაათოვა ცრემლი და გაშრა თვალები დედის". ამ ფრაზის მომდევნო, პათეტიკური ტონალობის მეტაფორა თითქოს კონტრასტულ ფონს უქმნის მოულოდნელ ფინალს, რომელშიც უთვისტომო დამხრჩვალის სახე-ხატი ამოიზიდება. რაზეა ეს ლექსი? იმაზე, რომ არსებობს სრული დავიწყება, სრული გარიყვა, ბედისწერისეული უარყოფა. აქ შეიძლება გაგახსენდეს მარკუს ავრელიუსის შემზარავი უშუალობით წარმოთქმული სენტენცია იმის თაობაზე, რომ დადგება დრო, როცა შენ ყველა დაგივიწყებს და შენი მხრივ, შენც ყველას დაივიწყებ.

ვოვა მაჩაიძის პოეზიაში სიყვარულის თემა არ არის დისონანსივით შემოჭრილი, მოულოდნელი და გონებით გამოხმობილი. მისი პოეტური ვნებათაღელვის მთელ ციებ-ცხელებას ბუნებრივად ერწყმის სიყვარული, როგორც ტკივილი, როგორც ვნება, როგორც ურთიერთობათა რთული შინაარსით დამტვირთავი გრძნობა, რომელიც ღრმა სექსუალობიდან იღებს სათავეს: "როცა განვლიე თხუთმეტი შუკა, და როს შევიგრძენ ნამდვილი სექსი, კვლავ დავიბადე ოთხი წლით უკან, არა ტირილით, არამედ ლექსით." თავბრუდამხვევ ვნებასთან ერთად ლექსი გრძნობადი სფეროდან დაძრული ასოციაციებით იქსელება, შეგრძნებები უკიდურესობამდე გამძაფრებულია, გამახვილებულია და აპოთეოზს აღწევს, მერე კი მეხსიერებას შემორჩენილი განცვიფრება ვერაფრით ვეღარ მალავს თავს: "სველი სიცივე, წვიმა და წვიმა, და წვეთთა დაკლაკნილ ხაზთა, თამაში სახეზე, კედლებზე, მინებზე - უაზრო სიმშვიდის განცდა. რატომღაც დუმილი ჩამოწვა, ფითრი და სიცივე შირმის, შეეშრო ბაგეებს სასურველს, გათოშილს - სურნელი უმწიფარ ჭერმის... ეს წამით... და ისევ სურვილით შეირხა მკლავებში უცნობი ქალი, გველოდა ღამე და გველოდა სიგიჟე, ვნებათა შფოთიან ალის... ეს იყო გუშინწინ და დღესაც ვინახავ მტვერს თრობამორეულ ყვავილის... ვინ იყავ? სადა ხარ? ვინა ხარ? ვინა ხარ? ნაილი! ნაილი! ნაილი!"

ავსტრიელი გერმანულენოვანი პოეტი ფრანც ვერფელი ამბობს, შემოქმედი კაცისთვის ყველაზე სახიფათო ნორმალურობაა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ შემოქმედი

გაგრძელება მე-13 გვერდზე

არანორმალურ არსებად იქცეს. აქ უბრალოდ ნაგულისხმევია შთაგონებით შეპყრობილი ადამიანის წინააღმდეგობრივი ბუნება, ხასიათი, რომელიც შეუძლებელია ყოველთვის გაწონასწორებული იყოს.

ვოვა მაჩაიძე სწორედ უკიდურესი სულიერი ძაბვის, აღტკინების, ზეაწეული მგრძნობელობის პოეტია. ამიტომაც ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც მის ლექსებს ახლავს, ბუნებრივად აღიქმება. ეს ექსტაზში წარმოთქმული აღსარებები ლექსების მჭიდრო სამოსელში ვერ თავსდება. სამოსელი აქა-იქ გამორღვეულია და ჩამოფლეთილი.

არ შემიძლია არ გავიხსენო შესანიშნავი ლექსი "გაქცევა". ამ ლექსში თითქოს თავი მოიყარა ვოვა მაჩაიძის ლექსწერის ყველა კომპონენტმა. ეს ლექსიც, როგორც თვითონ პოეტი იტყოდა, "შეშლილობამდე გულახდილი" კაცის დაწერილია. აქაც იგრძნობა არითმიული მაჯისცემა, აქაც თხელი ლიბრი აქვს გადაკრული მეტაფორებს და მოულოდნელი ფინალი აგვირგვინებს ტექსტში უკუფენილ ფაბულას.

რას მოგვითხრობს პოეტი თავის ექსტაზით აღბეჭდილ ლირიკულ ლექსში?

წვიმს. წვიმაში დგას ლირიკული გმირი და პაემანზე ელოდება სატრფოს. თითქოს ყველაფერი ნაცნობია და ტრივიალური. მაგრამ არა! ვოვა მაჩაიძესთან წარმოუდგენელია ტრივიალობა. მისი ტემპერამენტი ვერ ეგუება ყოველივე ბანალურს და გაცვეთილს. და მართლაც, მთელი დღის ლოდინის შემდეგ შეხვედრის დათქმულ თუ მოსალოდნელ ადგილას გმირი ხედავს წვიმით გალუმპულ ხელჯოხიან, წვერმოშვებულ ბერიკაცს. ბერიკაცი ხელჯოხის კაკუნით მიბარბაცებს ქვაფენილზე, მერე კი უეცრად ეცემა. და ლირიკულ გმირს ეუფლება სრულიად უცნაური დანაშაულის განცდა. ძნელი სათქმელია რატომ, მაგრამ იგი გრძნობს, - რატომღაც ამ უმწეო კაცის წინაშე დამნაშავეა. ალბათ იმიტომ, რომ წაქცეული ყველამ შეშლილად შერაცხა და ზურგი შეაქცია. ლირიკული გმირი სხვათა განურჩევლობას საკუთარ დანაშაულად აღიქვამს... ბერიკაცი კი ითმენს მოზღვავებულ გულგრილობას, დამცინავ ღიმილებს, წვიმის წვეთების ტკაპატკუპს და გარინდული წევს ქვაფენილზე. და პოეტი გამორბის იმ ადგილიდან, სადაც შეყვარებულს ელოდა... გამორბის, რადგან აღარც ლოდინი შეუძლია უკვე და აღარც შეხვედრა.

პოეზია, რა თქმა უნდა, პროზაულ თხრობას არ ემორჩილება, მაგრამ მე საგანგებოდ გადმოვეცი ლექსის ფაბულა, რათა მერე უშუალოდ პოეზიასთან შეხებით გარკვეულწილად კონტრასტული შთაბეჭდილება შემექმნა. ვოვა მაჩაიძის ამ ლექსს წვიმიანი დღის განწყობილება ახლავს. წვიმასთან ერთად მქრქალი ბურუსიც მოძრაობს ლექსში. აქაც, როგორც სხვა ლექსებში, ოდნავი ლიბრი აქვს გადაკრული სტრიქონებს, ოღონდ შედარებით გამჭვირვალე: "მთელი დღე გელოდი... წვიმაში ბარბაცით წაიქცა სნეული კაცი, რომელიც შეშლილის სახელით გარიყეს და მაინც არ არის მარტო. წვერები. ხელჯოხის უმწეო კაკუნი, თვალები მღვრიე და ბაცი, ყველასგან უხილავ ცხოვრების მირაჟის მდგმურების დუმილსღა დარდობს. და დანაშაულს, რომელიც არასდროს არ ჩამიდენია, ვიცი, ჟრჟოლით და ბურუსით დაუყვა სიცივე იისფრად დაძენძილ ძარღვებს. რატომღაც, რაღაცით არ ვიყავ მართალი, ვით შენი ბავშვური ფიცი, ბეჩავთან, რომელიც ღრმა დაბნეულობით უფრთხოდა ბრბოსმიერ ბალღებს, დამცინავ ღიმილებს ითმენდა მხრები და პიჯაკი სნეული კაცის, წვიმდა და წუხილის კანკალით წყდებოდნენ ბგერები უფერულ წვეთთა. მივრბოდი, ვედრებით მეძებდა კაკუნი, თვალები მღვრიე და ბაცი... ო, უკვე მე აღარ შემეძლო ლოდინი და აღარც შეხვედრა შენთან."

ალბათ ცალკე საუბრის თემაა ვოვა მაჩაიძის დამოკიდებულება გალაკტიონისადმი. ფრაზათა ინტონაციით, ბგერწერული აქცენტირებებით, ზოგადი თემატური მოტივებით ვოვას თხელი კრებული ისე ირეკლავს გალაკტიონის უზარმაზარ სამყაროს, როგორც სარკის ნატეხი მზის სხივებს. მაგრამ ამ ანარეკლში ამავე დროს არის ერთი თვალისმომჭრელი სხივი, რომელიც უშუალოდ ვოვა მაჩაიძისეულია. გავიხსენოთ, ვთქვათ, ისეთი ლექსები, როგორებიცაა "მეზობლის ნათელ ლოჯიიდან" ან "წითელი ღამე... შავი ალი სიმარტოვისა..." აქ ისეთი შერწყმაა პროზაული და პოეტური მომენტების, რომ სწორედ პიროვნულ, ვოვასეულ ელფერს ანიჭებს ყველა იმ მხატვრულ აქსესუარს, რომელიც ლექსშია განფენილი. ვოვა მაჩაიძისთვის პოეტი მედიუმი იყო, პოეზია კი ხელოვნება, რომელთან მიკარებაც ზეშთაგონების გარეშე შეუძლებელია. მეორე მხრივ, უხეში რეალობა ურღვევდა ფაქიზ სულიერ წონასწორობას და სწორედ ეს რღვევა აღიბეჭდა მის პოეზიაში. სწორედ ამ რეალობამ შემოიტანა მოულოდნელი პროზაიზმები და ცხოვრებისეული პარადოქსები დახშულ ნირვანაში. და აი აქ გაჩნდა კონტრასტული შტრიხი, ერთგვარი ბზარი თუ ზიგზაგი, რომელსაც პოეტმა თვითონ "აღსარების სიცხიანი ხარვეზი" უწოდა.

2X1

შეხვედრები ჰერმან ჰესესთან

ოჯახის უფროსის გამოცდილებიდან

წელს მსოფლიო ჰერმან ჰესეს 125-ე იუბილეს აღნიშნავს. სწორედ ამ მწერალს ეძღვნება დღეს ჩვენი ლიტერატურული დამატების უკვე ტრადიციულად ქცეული რუბრიკა 2X1.
1984 წელს, გერმანიაში, ქალაქ კალვში, ჰერმან ჰესეს მესამე საერთაშორისო კოლოქვიუმი ჩატარდა. მონაწილეთა თანხმობით რეფერატები წიგნად გამოიცა – "შეხვედრები ჰერმან ჰესესთან". ამ კრებულმა ერთი ნიშნით მიიპყრო ჩვენი ყურადღება – ჰესესთან შეხვედრების შესახებ გერმანელ ავტორებთან ერთად ქართველი ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი რეზო ყარალაშვილი მოგვითხრობს.
ეს ტექსტი აქამდე მხოლოდ გერმანულის მცოდნე მკითხველისათვის იყო ცნობილი. მოხარულნი ვართ, რომ მისი ქართულ ენაზე გამოქვეყნების პატივი ჩვენ გვხვდა წილად, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ ქ-ნ ნანა შენგელაიას და ნინო და ოთარ ყარალაშვილებს.

რედაქცია

რეზო ყარალაშვილი

ჩემი პირველი შეხვედრა ჰერმან ჰესესთან ფრიად მისტიკურ ვითარებაში მოხდა. მერვე თუ მეცხრე სემესტრი იყო და თემა უნდა დაგვწერა რომელიმე გერმანულენოვანი პოეტის შესახებ, რომელიც ჩვენს სასწავლო პროგრამაში არ შედიოდა. ვიჯექი ერთ დღეს ჩემს ოთახში და ჩვენი გერმანისტიკის პროფესორის, მიხეილ კვესელავას იმხანად პოპულარული სახელმძღვანელოს, "ფაუსტის პარადიგმების" საგანთა საძიებელს ვფურცლავდი, იმ იმედით, რომ იქ ვინმე პოეტს ვიპოვნიდი, რომელიც ჩემს მიზნებს შეესაბამებოდა. და ვინაიდან ბოლოდან დავიწყე კითხვა, პირველს "ჰესეს" გადავაწყდი (რადგან ქართულში "ჰ" ანბანის ბოლო ასოა), და რაღაცნაირად მომეწონა. შესაბამისი ადგილების ძებნა დავიწყე და ლამაზ და იმედისმომცემ სათაურებქვეშ – "მინის მარგალიტი", "დიდი ერთი", "ბულბულის მეტაფიზიკა", "ვიშნუს ღიმილი" და "მესამე არარა" – წავიკითხე ჩემთვის მანამდე უცნობი პოეტის, მისი დიდი რომანისა და მრავალფეროვანი აღმოსავლური კავშირების შესახებ. პირველი შთაბეჭდილებით სასიამოვნოდ მეჩვენა, თითქოს თომას მანის მსგავსი აღმოვაჩინე, რომელსაც ყველანი დიდ პატივს ვცემდით, სულის საკითხებში გარკვეული კაცი, რომელსაც ღმერთთან და ცხოვრებასთან ურთიერთობაც გარკვეული ჰქონდა. სახელი დავიმახსოვრე, რომ ოდესმე ეს პოეტი უკეთ გამეცნო. თუმცა, ეს ჯერ შეხვედრა არ ყოფილა; ისეთი რამ იყო, ვინმე რომ არაჩვეულებრივი ადამიანის შესახებ გიამბობს, რომელიც გაიცნო და რომელმაც მასზე შთაბეჭილება მოახდინა. შეხვედრა მოგვიანებით შედგა, ამის შესახებ კიდევ მოგახსენებთ. ის თემა ჰესეს შესახებ არ დამიწერია, კაფკაზე დავწერე, მის შემოქმედებაში ღმერთთან და სამყაროსთან დიალოგის შეუძლებლობის შესახებ – ეს თემა იმხანად დიდად მაღელვებდა.

ოთხი თუ ხუთი კვირის შემდეგ ერთ დღეს ანტიკვარიატის მაღაზიაში წიგნებში ვიქექებოდი, და როცა რამდენიმე სვეტი გადავათვალიერე, უცებ ჭუჭყიანი ლურჯი გარეკანიდან ნაცნობმა სახელმა შემომანათა – დემიანი. ჰერმან ჰესეს მიერ შექმნილი ემილ სინკლერის ახალგაზრდობის ამბავი. წიგნი, თუკი მას კიდევ წიგნი ეთქმოდა, ერთობ გაქუცული და ცხიმიანი იყო, უკანა ყდა საერთოდ აკლდა - ეგრევე ეტყობოდა, რომ უწინდელი მფლობელები დიდად არ სწყალობდნენ, ხშირად ქვაბის და ტაფის დასადგმელად იყენებდნენ და შემდეგ სხვა ფუჭ ქაღალდებთან ერთად გაამწესეს წიგნის მაღაზიაში. სხვა დროს ნამდვილად გადავდებდი, რადგან ჭუჭყიანი და გაცვეთილი წიგნები ბავშვობიდან არ მიზიდავდა. ამჯერად კი სახელმა ისე მომნუსხა, რომ წიგნი ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მაინც ვიყიდე, იმ აზრით, რომ წაკითხვის შემდეგ ისევ გავასხვისებდი. ეს რომ ასე არ მოხდებოდა, ალბათ ხვდებით. იმავე საღამოს ჩავუჯექი ნახმარ და ბოლოებგაქუცულ ფურცლებს და როცა ბოლო გვერდი ჩავიკითხე, ფანჯრის მიღმა უკვე გარიჟრაჟი იყო. თითქოს მეხი დამეცა; ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ვიღაცამ ჩემი საკუთარი ამბავი მომითხრო და იმას მოფინა ნათელი, რაც შინაგანად მაღელვებდა, რაც ჩემში იყო და მე კი არ მქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ვინმესთვის გამეზიარებინა.

ამასთან უნდა ითქვას, რომ მარტოობაში გავიზარდე და ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მოზრდილები – მშობლები, მასწავლებლები და უფროსები – ვერ მიგებდნენ. არა იმიტომ, რომ მოზრდილებს ჩემთან ლაპარაკი არ სურდათ, უბრალოდ მათი ენა ჩემისგან განსხვავდებოდა, და თუ საქმე საუბრამდე მიდიოდა, ჩვენი სიტყვები ერთმანეთს ცდებოდა; ჩემი ტკივილი მათი ტკივილი არ იყო, და ჩემი გამოსვლები მათ მიერ ქარაფშუტობის შედეგებად და ასაკით განპირობებულ ნორმებიდან გადახრად აღიქმებოდა. გამგონე უნდა ვყოფილიყავი, მორჩილი, სხვების გამოცდილებას უნდა დავჯერებოდი, მაშინ როცა თავად მინდოდა გამოცდილების მიღება, თუნდაც ეს ძვირად დამჯდომოდა. მაგრამ ასეთი განცდები ყველას ჰქონია, ამიტომ ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს.

ასე თუ ისე, მაშინ ჰესეში ვიპოვნე ადამიანი, რომელიც მზად იყო, ჩემთან ელაპარაკა, სერიოზულად მიღებდა და ცხოვრების მიმართ მოთხოვნებში მაძლიერებდა. მის წიგნებს ვეძებდი და ხარბად განვაგრძობდი კითხვას. რაღაცეები სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ვიპოვნე – კლინგზორი და ტრამალის მგელი. ერთმა მეგობარმა მოსკოვიდან კნულპი გამომიგზავნა, და ერთ დღესაც ფოსტით ბატონ ვალტერ ბიოლიხის წერილი მომივიდა, რომელიც იმხანად გამომცემლობა "ზურკამპის" რედაქტორი იყო და ელიზაბეტ ბორხერის შუამდგომლობით მთავაზობდა, ჰერმან ჰესეს წიგნებით მოგამარაგებო. წავიკითხე ჰესეს წერილები, მოგონებები და ჩანახატები, წავიკითხე "დამსვენებელი" და "მოხილვა დილის ქვეყნისა", და იმედგაცრუებული არასდროს დავრჩენილვარ, მასთან არასდროს შევხვედრივარ სიყალბეს, და ასე მოხდა, რომ იმხანად მისი წიგნები ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი დახმარება და საყრდენი გახდა.

შემდეგ კი ყველაზე დიდი შეცდომა დავუშვი: ჰესე სადიპლომო თემად ავირჩიე, და ყველაფერი დამთავრდა. რადგან იმ დროს, როცა მის წიგნებში ვიქექებოდი და მის შემოქმედებას ვუღრმავდებოდი, იმ დროს, როცა უამრავ თანამედროვე ნაწარმოებს ვკითხულობდი და მრავალ ჭკვიანურ წიგნს ვსწავლობდი, ნელ-ნელა ქრებოდა ჩემი მეგობარი ჰესე და მისი ხმა სულ უფრო სუსტად მესმოდა, სანამ დიალოგის სუბიექტიდან, რომელიც იყო, უცებ კვლევის ობიექტად არ იქცა და სამუდამოდ არ გაჩუმდა. დღეს იმას ვერ ვიტყვი, რომ მისი შემოქმედების მეცნიერულ შესწავლას, ინტელექტუალურ თამაშს, რომელსაც იმხანად ვეწეოდი, სიამოვნება არ მოუტანია და შინაგანად არ გავუმდიდრებივარ; უბრალოდ უწინდელი მეგობრობა და ურთიერთგაგება, ბედნიერების მომტანი საუბრები და სასტიკი წინააღმდეგობები დამთავრდა. დრო გადიოდა; ორი წიგნი დავწერე ჰესეს შესახებ და ათეულობით სტატია, მხოლოდ მის სამწერლო გამარჯვებებს კი არა, მის სისუსტეებსა და დამარცხებებსაც გავეცანი და მეგონა, რომ მას ვეღარასოდეს შევხვდებოდი, როგორც ავსტრალიაში ან სამხრეთ

გაგრძელება მე-14 გვერდზე

შეხვედრები ჰერმან ჰესესთან

მეცამეტე გვერდიდან

ამერიკაში წასული მეგობრის დაბრუნებისა აღარ სჯერათ ხოლმე.

და მაინც შევხვდი. ამ დროს ცოლი ვითხოვე და თავადაც მამა გავხდი. ვეცადე, ისე გამეზარდა ჩემი შვილები, როგორც მე თავად ვისურვებდი გაზრდას. ვცდილობდი პატარაობიდანვე ისე მოვპყრობოდი, როგორც პიროვნებებს და მათი აზრი, რაც არ უნდა მცდარად და მიუღებლად არ უნდა ჩამეთვალა, ყურად მეღო. ჩვენს სახლში არ არსებობდა "უნდა ქნა!", და მშობლებსა და შვილებს შორის სერიოზული უთანხმოება თითქოს არ მომხდარა. მაგრამ მერე და მერე შევნიშნე, რომ ჩემი ვაჟი, რომელიც მათემატიკას სწავლობდა, სულ უფრო ჩაიკეტა და დიალოგებს თავს არიდებდა, რომ მან ჩვენი ცხოვრების წესიდან რაღაცეებზე უარი თქვა და რომ ჩვენც ვეღარ ვიწონებდით მის ქცევას. ასე, ვერ გამეგო, რატომ უნდა ჩაერთო ფირსაკრავი ისეთ ხმაზე, რომ ზედა მეზობელთან ფანჯრის მინები ზრიალებდა, ან როგორ შეეძლო ჩემს ვაჟს ასე უდრტვინველად ეფლანგა დრო და შეგნებულად ფუჭად გაეტარებინა მთელი ღამე მნიშვნელოვანი გამოცდის წინ, როგორ შეეძლო საერთოდ მთელი დღეები და კვირები ყველაზე პრიმიტიული დროსტარებისთვის, ნახევრად უცნობ ადამიანებთან ურთიერთობისთვის და უსულგულო საუბრებისთვის შეეწირა. მან, თავის მხრივ, ერთხელ ბრალად დამდო, რომ ხელოვნურ ცხოვრებას ვეწევი, თითქოს წიგნების მიხედვით ვცხოვრობ, მაშინ როცა ადამიანი ნამდვილ და მართალ არსებობას უნდა მიეცეს, ბოლომდე მივიდეს ყველაფერში. ავტორიტეტი, მოვალეობის განცდა, საკუთარ თავზე მუშაობა და წესრიგი მისთვის ცარიელი სიტყვები იყო, და ამ დროს ლაპარაკი იყო გონიერ ბიჭზე, რომელიც ბავშვობიდან ეზიარა სულიერებისა და მსხვერპლის გაღების სიხარულს. ახლა კი მისთვის ყველანაირი სულიერება ბრტყელი და მოსაწყენი სიტყვები იყო, უსიცოცხლოდ და მკვდრად ეჩვენებოდა, და ამ აზრს მტკიცედ იყო ჩაჭიდებული. ამ ცვლილებამ ჩვენს შორის სხვისთვის უხილავი გაუცხოება გამოიწვია, რასაც მტკივნეულად განვიცდიდი, რადგან ამის მიღმა მთელი ჩემი ცხოვრების, ჩემი პრინციპებისა და იდეალების უარყოფას ვგრძნობდი. სწორედ ამ დროს მოხდა ხელახალი შეხვედრა.

ზაფხული იყო, და ქალაქში მარტონი ვიყავით, ჩემი ვაჟი და მე. მე, როგორც ხდება ხოლმე, საჩქარო საქმე მქონდა დასამთავრებელი და დილიდან ღამემდე ჩემს ოთახში ვიჯექი. ჩემს ვაჟს პრაქტიკა ჰქონდა და ორ დღეში ერთხელ მათემატიკის ინსტიტუტში იყო მისასვლელი, დანარჩენ დროს თავისუფალი იყო. და ამ დროს იმაში იყენებდა, რომ ყოველდღე უამრავი ახალგაზრდა მოჰყავდა სახლში, ან თვითონ მოდიოდნენ, მეზობელ ოთახში მუსიკას რთავდნენ, ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ, სულ არ ადარდებდათ საქმიანი მამის არსებობა და გულით მხიარულობდნენ. ცხადია, ასეთ ვითარებაში ვერცერთ სტრიქონს ვერ დავწერდი; ისიც ცხადია, რომ უგუნებოდ ვიყავი. ერთიორჯერ, საღამოს, სტუმრების



ჰერმან ჰესე

წასვლის შემდეგ, ვილაპარაკეთ, მაგრამ უშედეგოდ. ითქვა, რომ მას ისევე უშლის ჩემი სიჩუმის მოთხოვნა, როგორც მე მიშლის მისი ხმაური, და იბადება კითხვა, რომელია უფრო მნიშვნელოვანი, ჩემი სამუშაო, თუ ის ცხოვრება, რომელიც ყოველდღე ჩვენს მისაღებ ოთახში ჩქეფს. ლოგიკურად ამის საწინააღმდეგოდ არაფერი ითქმის, და მეორე დღესაც იგივე განმეორდა. თუმცა, უსამართლო ვერ ვიქნები: იყო საათები, როცა ჩემი ვაჟი სახლში არ იყო, და იყო საათები, როცა სტუმრები ჩვეულებრივზე დაბალ ხმაზე რთავდნენ მუსიკას, მაგრამ მუშაობა მაინც არ შემეძლო; რადგან ხელის შეშლის გარდა სულ ჩემი ვაჟის დარდი მქონდა, რომელიც კვირიდან კვირამდე ცდებოდა. და ისე მოხდა, რომ ერთ დღეს, დაძაბული ფიქრისა და თავის მტვრევის შემდეგ დაღლილი, წიგნს დავწვდი და გადავშალე, იმის იმედით, რომ გულს გადავაყოლებდი. და ჰოი, საოცრებავ! მისი ხმა გავიგონე, დაკარგული მეგობრის ხმა. ეს ხმა ნათელი იყო და მშვიდი, გარკვევით და დამაჯერებლად ჟღერდა და ისეთი სიმშვიდითა და ნათელით ამავსო, რომლის აღწერაც დღეს აღარც შემიძლია.

"სიდჰართჰას" ვკითხულობდი, კერძოდ, იმ ადგილს, სადაც ბრაჰმანის ვაჟი მამას თავის გადაწყვეტილებას ამცნობს, რომ სახლს ტოვებს და სამანებთან ერთად ტყეში მიდის. უცნაურია, აქამდე არასოდეს მიმქცევია ყურადღება ამ მამისთვის, მისი ტკივილი და დარდი არ გამიზიარებია, მე მთელი ყურადღება და აღტაცება მის ვაჟს მივუძღვენი, გამარჯვებულსა და მოგებულს. არადა, ვაჟის მამა იყო, იქნებ უფრო დიადი და კეთილშობილი, უფრო გამგებიანი და უფრო დიდი მსხვერპლის გამღებიც, ვიდრე ვაჟი, რომელიც შემდეგ, როგორც ვიცით, დაბნეული ედევნება სიდჰართჰას და იმის ძალა არ ყოფნის, რომ თავი დაანებოს. იმ სცენის ორი გვერდი, რომელსაც მე ვკითხულობდი, ბევრად უფრო მეტი განცდითა და დრამატიზმით იყო სავსე, ვიდრე დანარჩენი ასი. ეს სწავლული მამა იყო, წმინდა წერილების და მათი სიბრძნის მტკიცე რწმენით, აქ საუკუნეობრივი ტრადიცია იყო, ნათელი და წმინდა, დაწრეტილი წყალივით, აქ იყო გადმოცემების უმიზეზო ერთგულება და მორჩილება. და აი, მოდის ვაჟი, გულამღვრეული, ამაყი და დაუკმაყოფილებელი, და ყველაფერს უარყოფს, რაც სხვისთვის მთელი ცხოვრების ტოლფასია. გულზე ხელი დაიდეთ და აღიარეთ, შეძლებდით კია ამ მამის ადგილზე საუბრის წარმართვას? ჩუმად, შეძრული ზის მოხუცი, რომელმაც ყველა სურვილი და ოცნება, ყველა იმედი ვაჟს დაუკავშირა, და კარგა ხნის დუმილის შემდეგ ამბობს: "ბრაჰმანს უხეში და ბრაზიანი სიტყვები არ ეკადრება. მაგრამ ჭმუნვას შეუპყრია ჩემი გული. მე აღარ მსურს შენგან ამ თხოვნის გაგონება." არა, არც არავინ ელოდა, რომ მამა სხვაგვარად უპასუხებდა თავის ვაჟს. ორივე თავისას ადგა, ორივე თავისას ამტკიცებდა, დიალოგი ვერ შედგებოდა. და მაშინ იწყება ყველაზე საოცარი – ნახევარი გვერდი დუმილი, დუმილის ღამე, და მხოლოდ ამ დუმილში შედგება მამა-შვილის საუბარი. ვხედავთ, როგორ მიდის მამა დასანოლად, ვხედავთ, როგორ წვება, მაგრამ ძილი არ ეკარება. ბრაჰმანი დგება, სახლიდან გადის, სარკმელიდან ვაჟის ოთახში შეიხედავს და ისევ წვება, გულდამძიმებული. მერე კვლავ დგება, კვლავ და კვლავ, მთელი ღამის განმავლობაში. ათასი აზრი გაუელვებს, ათასი შიში და ღელვა, დარდი და საზრუნავი, განუწყვეტელი საუბარია. და გამთენიისას შედის ჭაბუკის ოთახში: "შენ," თქვა მან, "ტყეში წახვალ და სამანა იქნები. თუ ტყეში სულიერებას იპოვნი, მოდი და მასწავლე სულიერება. თუ იმედის გაცრუება იქნება, დაბრუნდი და კვლავ ერთად შევწიროთ ღმერთებს მსხვერპლი. ნადი ახლა და აკოცე დედას, უთხარი, სად მიდიხარ. ჩემთვის კი დროა, მდინარესთან წავიდე და პირველი განბანა ჩავატარო."

და მე ვკითხე ჩემს თავს, რამ აიძულა მამა, რომელიც აშკარად ბოლომდე არ იზიარებდა და ვერ იგებდა შვილის გადაწყვეტილებას, დაეთმო, ნება დაერთო და დიალოგზე წასულიყო. რადგან დიალოგი სხვა არაფერია, თუ არა დათმობა, სხვისი – საწინააღმდეგოს, უცხოს, ერთი შეხედვით მიუღებლის აღიარება. და აქ მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს – სიყვარული.

ამ სულშიჩამწვდომი სცენის წაკითხვის შემდეგ, რაც არ უნდა მკრეხელურად ჟღერდეს, მარიამი გამახსენდა, Mater dolorosa, ის ადგილი, სადაც თორმეტი წლის იესო ტაძარში რჩება და ის, დედა, შეშინებული ეძებს, და პოულობს, და ეკითხება: "ეს რა გვიყავი, შვილო? მამაშენი და მე შეწუხებულნი დაგეძებდით!" და ის გაოცებული მიუგებს: "რატომ მეძებდით? ნუთუ არ იცით, რომ მამის სახლში უნდა ვიყო?" და შემდეგ წერილში ნათქვამია: "ხოლო მათ ვერ გაიგეს მისი ნათქვამი." დიახ, ასე წერია: "ვერ გაიგეს." მაგრამ ისიც წერია: "დედამისმა კი გულში ჩაიმარხა ყოველივე ეს." და ეს ნიშნავს, რომ მან ეს მიიღო – თავისი მოსიყვარულე გულით, ცოცხალი სიღრმით, თავისი რწმენით.

და მე განვაგრძე ჰესეს ინდური წიგნის კითხვა. და კვლავ მესმოდა ახლობელი ხმა: "შენი ვაჟი, საყვარელო, შენი დარდი იქნება. ახალგაზრდა ფრინველი სხვა ცხოვრებას, სხვა ბუდეს შეეჩვია. შენსავით არ გაქცევია სიმდიდრეს და ქალაქს ზიზღისა და მოყირჭების გამო, თავისი ნების საწინააღმდეგოდ დათმო ეს ყველაფერი."

და შემდეგ: "ძალას არ ატან, არ სცემ, არ უბრძანებ, რადგან იცი, რომ რბილი მაგარზე ძლიერია, წყალი კლდეზე ძლიერია, სიყვარული სძლევს ძალადობას. ძალიან კარგი, გაქებ. მაგრამ ხომ არ ცდები, როცა გგონია, რომ არ აძალებ, არ სჯი? განა შენი სიყვარულით არ გყავს შებოჭილი? განა ყოველდღე არ არცხვენ, ყველდღე არ ამძიმებ შენი სიკეთითა და მოთმინებით? განა შენ არ აძალებ ამაყ და განებივრებულ ბიჭს ორ ბანანიჭამიასთან ერთად ქოხში ცხოვრებას, რომელთათვისაც ბრინჯიც კი სასუსნავია, რომელთა აზრები მისას არასოდეს დაემთხვევა, რომელთა გულიც მოხუცი და ჩუმია და განსხვავებულად სცემს? განა მისთვის ეს ყველფერი ძალადობა და სასჯელი არაა?"

როცა წიგნი გადავდე, ოთახში შუქი შემოდიოდა. მეზობელი ოთახიდან მხიარული სიცილი ისმოდა და როჯერ ვოტერსის ხმა: "Mama's gonna keep you right here under her wing / She won't let you fly but she might let you sing". ვიწექი და ვისმენდი და სიხარული დამეუფლა, გამოუთქმელი სიმშვიდე და ნათელი დამეუფლა, და ვიფიქრე: თუკი დღეს ქვეყნად განსაცდელი არსებობს, ეს დიალოგის ნაკლებობის ბრალია, ეს კი სხვა არაფერია, თუ არა სიყვარულის ნაკლებობა.

მერე ავდექი და ბოლომდე დავწერე ჩემი ნარკვევი.

გერმანულიდან თარგმნა
ანა კორძაია-სამადაშვილმა

შეხვედრა ჰერმან ჰესესთან

კლაუს ვალთერი

ყველა თავისებურად იღებს გამოცდილებას, და ეს წიგნებსა და მწერლებსაც ეხება. იმის მოსაყოლად, როგორ მივედი ჰესემდე, ერთი-ორი სიტყვით ჩემს ბიოგრაფიასაც უნდა შევეხო. გავიზარდე ცენტრალური ევროპის მთიან სოფელში, ომსა და ომისშემდგომ პერიოდში. სკოლა ოთხკლასიანი იყო, იქ ვიყავი 1951 წლამდე. შემდეგ ერთ-ერთ ახალ საშუალო სკოლაში მოვხვდი, რომლებმაც გდრ-ში უწინდელი გიმნაზიები შეცვალა. გადასვლა გაჭირდა: ჩვენ, სოფლის სკოლებიდან მოსულ ბავშვებს, აშკარად გვაკლდა ის ცოდნა და განათლება, რომელსაც აქ მოითხოვდნენ. თავად სკოლა იმდენად არ მთრგუნავდა, რამდენადაც ჩემი საკუთარი ბრალის გრძნობა იმის გამო, რომ აქაური მოთხოვნების დაკმაყოფილების უნარი არ მქონდა. ეს თითოეულის ბუნებაზეა დამოკიდებული, როგორ შეხვდება ასეთ სიტუაციას: მე რაღაც უკმარისობა მტანჯავდა, ცუდად ვიქცეოდი, გაკვეთილებს ვაცდენდი, თავს ვარიდებდი, როგორც შემეძლო. დილით პატარა ბიბლიოთეკაში ვიჯექი ხოლმე. მფლობელი, რომელსაც წიგნის მაღაზიაც ჰქონდა, ალბათ გრძნობდა იმას, რაც მემართებოდა, იმას, რაც მე თვითონაც ბუნდოვნად მესმოდა. ერთ მშვენიერ დღესაც მაგიდაზე ყავისფერი ტომი დამიდო. გარეკანზე ეწერა: “ჰერმან ჰესე – პეტერ კამენცინდი / ბორბალქვეშ”, პროგრესული გერმანელი მწერლების გამოცემა, რომელიც მხოლოდ შემდეგ იქნა გამომცემლისა და ავტორის მიერ ლეგალიზებული – ამ ამბების შესახებ ჰესესა და “ზურკამპის” მიმოწერიდანაა ცნობილი. ახლაც კარგად მახსოვს, რომ კითხვა წიგნის მაღაზიაშივე დავიწყე, რატომღაც ჯერ ჰანს გიბენრათის ამბავს მივადექი, და იქ ჩემი საკუთარი ამბავი თუ რაღაც მსგავსი აღმოვაჩინე. ორივე წიგნი წავიკითხე და ყველაფერი, რის შესახებაც იქ საუბარი იყო, საკუთარ თავს დავუკავშირე. უცებ მივხვდი, რომ სკოლის აღარ მეშინია. მაშინ ვფიქრობდი, რომ ჰანს გიბენრათიდან პეტერ კამეცინდისკენ მიმავალ გზაზე ვიდექი – ეს ხომ სულ სხვა გზაა. შეიძლება ბანალური ამბავია, შეიძლება ასეთი რამ ათასჯერ მომხდარა, მაგრამ იქნებ ის ამ ავტორების თვისებაცაა.

მრავალმა აღმოაჩინა ჰესე კრიზისის ჟამს, ამის ამოკითხვა მის წერილებში შეიძლება. მეც გავბედე და ჰესეს მივწერე. დღეს აღარ მახსოვს, რა მივწერე, ჩემი პრობლემები გავუნდე თუ უბრალოდ იმის გარკვევას ვეცადე, მართლა არსებობდა თუ არა. რამდენიმე კვირის თავზე ყვითელი კონვერტი მომივიდა, ერთი-ორი ნაბეჭდი გვერდით, “გულითადი მოკითხვა ჰ. ჰესესგან”, ეწერა “საკითხავი წუთებისთვის”. სკოლის დამთავრებისას ერთი წლით ბიბლიოთეკაში პრაქტიკაზე გაგზავნილმა ერთი-ორი ნარკვევი დავწერე ჰესეზე, - გასაოცარია, მაგრამ გამოაქვეყნეს. საბედნიეროდ, იმხანად არ ვიცოდი, რომ ჰესე ბრაზითა და ირონიით ეკიდებოდა ამ წერილებსაც და ფელეტონისტებსაც, ამის ცოდნა ალბათ გულს მომიკლავდა. ცხადია, ჰესეს გავუგზავნე ეს ნარკვევები და კვლავ ჩვეული კეთილმოსურნეობით მომდიოდა ნაბეჭდი ფურცლები, ღია ბარათები, სანამ 1961 წელს არ მოვახსენე, რომ მის შესახებ დიდი კრებულის გამოცემას ვაპირებდი და 1962 წლის დასაწყისში ღია ბარათი არ მომივიდა: “გაოცებით ვკითხულობ იმას, რომ ჰ.ჰ.-ს შესახებ ლიტერატურის გამრავლება გინდათ. მე ვთვლი, რომ ეს არაა საჭირო, მაგრამ არ ჩავერევი, ეს ჩემი საქმე არაა. დეკემბრის შუა რიცხვებიდან შეუძლოდ ვარ, ხან შეუძლოდ, ხან ცუდად, ამან კიდევ უფრო დამაშორა გარესამყაროს. მეგობრული მოკითხვით, თქვენი ჰ. ჰესე”. ეს პირადად მისგან მიღებული უკანასკნელი ცნობა იყო.

შესაძლოა, ჩემზე დღესაც აქვს გავლენა იმ არასწორ წარმოდგენებს, რომლებიც, ვთქვათ, გდრ-ში ეგონ შვარცმა ჩამოაყალიბა თავის ნარკვევებში ჰესეს შესახებ: მის მიმართ ინტერესი გამოწვეულია “გარკვეული, დასავლეთის კვალდაკვალ მოჩანჩალე, ანტიმოდერნისტური მოთხოვნებით, იმით, რომ მმართველთა დიქტატის საპასუხოდ მიმართეს კულტურულ მემკვიდრეობას, ისევე, როგორც ცალკეულ, რჩეულ, დასავლელ ჰუმანისტებს - ჰესეც პოპულარული გახდა და ბესტსელერის ავტორების რანგში იქნა აყვანილი.” სინამდვილეში კი ყველაფერი უფრო რთულია და ასეთი გამარტივებული ფორმულით ვერ განისაზღვრება. რასაკვირველია, ორმოცდაათიანებში და სამოციანების დასაწყისშიც, პოლიტიკურ საკითხებს პოეტ ჰესეს შეფასებაშიც მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა. მაგრამ ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვის, რომელთაც მამები და ძმები ომში დავკარგეთ – ომი კი სულ ათიოდე წლის წინათ დასრულდა, ჯერ კიდევ გვახსოვდა, - ასეთი “დაკავშირება” თავისთავად იგულისხმებოდა. ჩვენ ლიტერატურაში ვეძებდით პასუხს არამარტო ჩვენს საკუთარ, ძალიან პიროვნულ კითხვებზე, არამედ დროის კითხვებზეც. ცხადია, ამით ჰესეს გავლენის მხოლოდ ერთი მხარე განისაზღვრებოდა, მაგრამ დღეს, როცა უკან ვიხედები, ვფიქრობ, რომ თავად ჰესემ, რომელიც განზე იდგა ასეთი პოლიტიკური მიდგომისაგან, არც იცოდა და ვერც წარმოედგინა, რომ, როგორც ჩანს, იმ დროის მრავალი ადამიანის აზრებსა და გრძნობებში მხოლოდ ოფიციალურ მხარეს ხვდებოდა.

რაც უფრო ახლოს ვეცნობით – ამ შემთხვევაში ეს მეც მეხება – ჰესეს შემოქმედებას, მით უფრო ხმამაღლა წამოიჭრება კითხვები, რომელთაც ის სვამდა. ჩვენ ახალი გზები უნდა ვიპოვოთ მისი შემოქმედებისკენ, ამოვიცნოთ მისი გავლენის მასშტაბები. ასე, 1975 წლისთვის უკვე გეგმაც კი არსებობდა, რომ ეს კითხვები ფილმში წამოჭრილიყო. ამ დროს მხოლოდ “ჰუმანისტების დიდებით” აღარ ვიფარგლებოდით, საუბარი იყო შემოქმედებისა და ცხოვრების პრობლემატიკის დიფერენცირებულ წარმოჩენაზე. დასავლეთის ქვეყნებზე, და ასევე სოციალისტურ სახელმწიფოებში ჰესეს მზარდი გავლენის ფენომენი მხოლოდ გაუგებრობის შედეგად არ გვესახებოდა; ამას ალბათ საფუძვლად მორალისტური კონცეფცია უდევს, რომელიც ჰესემ “პეტერ კამენცინდზე” დაყრდნობით თავად დაწერა: “ვფიქრობ, აქ ვიპოვნეთ წვერი იმ წითელი ძაფისა, რომელიც მთელს ჩემს შემოქმედებას გასდევს. მე არ დავრჩენილვარ კამენცინდისეულ უცნაურ განდეგილად, ჩემი განვითარების განმავლობაში არასოდეს გავქცევივარ დროის პრობლემებს, და თუმცა ჩემი პოლიტიკური კრიტიკოსები ასე თვლიან, არასოდეს მიცხოვრია სპილოს ძვლის კოშკში; მაგრამ ძირითადი და მხურვალე პრობლემა ჩემთვის არასოდეს ყოფილა სახელმწიფო, საზოგადოება ან ეკლესია, არამედ ცალკეული ადამიანი, პიროვნება, ერთადერთი, არანორმირებული ინდივიდი.” ჩვენი ფილმიც ასეთი გამონათქვამის შესაბამისად ეწყობოდა. ამისთვის ჰაინერ ჰესეს დავეკითხეთ, ასევე ქართველ ლიტერატურათმცოდნეს, რეზო ყარალაშვილს. ესაა ჰესე – ის ხედავდა ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებას, აღწერდა პერმანენტულ კონფლიქტს, რომელიც ასე მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი მის შემოქმედებაში, მაგრამ თავისთვის ის ცვლილების ერთადერთ გზას, ერთადერთ შესაძლებლობას ხედავდა – ინდივიდუუმისკენ მიმართულ ჰუმანიზმს, შველას გვიანბურჟუაზიული ნგრევისა და მარტოობის სამყაროში.

ის სამყაროში, რომელშიც მე ვცხოვრობ, სავსეა კონფლიქტებითა და წინააღმდეგობებით. იდეალისტურმა წარმოდგენებმა, რომ სხვა, ახალი საზოგადოებრივი სტრუქტურები ასევე ქმნიან ახალ ადამიანს, ისევე ფუჭად ჩაგვიარა, როგორც ადრე წაკითხული წიგნების უბიწობამ. ჩვენს ფილმში მწერალი მაქს ვალტერ შულცი მოყვა, როგორ გადაიკითხა “მინის მარგალიტებით თამაში”, და სხვათა შორის ესეც თქვა: “ამჯერად ამ მაღალმხატვრული, ქრონიკის მსგავსი განათლებისა და აღზრდის პარაბოლის მიღმა ვეძებდი ავტორს, ჰერმან ჰესეს, მისი აზროვნების და თამაშის წესის იდეალისტურ სიწმინდეს, მის მიამიტობას და არამიამიტობას. ამჯერად ყველაზე მეტად მომხვდა გულზე იოზეფ კნეხტის სიკვდილი... წასული მაგისტერ ლუდის სიკვდილი ამ წიგნში რეალიზმის გამარჯვებაა. ჰესეს ეს სხვაგვარად რომ გადმოეცა, გულგრილი დავრჩებოდი... აღარ მინდა იოზეფ კნეხტის მსგავსი ვიყო. მაგრამ დავრწმუნდი, რომ ის იმისთვის მჭირდებოდა, რომ სხვანაირი გავმხდარიყავი.”

ჩვენი ერთსაათიანი დოკუმენტური ფილმი, რომელიც გდრ-ს ტელევიზიამ 1977 წელს ორჯერ გაუშვა, დახმარების მცდელობა იყო. ამ შემთხვევაში ლიტერატურის ისტორია არ გვაინტერესებდა, იმას ვცდილობდით, რომ ფართო საზოგადოებისათვის ჰესესკენ მიმავალი გზები გვეჩვენებინა. ვფიქრობ, რომ თუმცა ჩემს შეხებას ჰერმან ჰესესთან უშუალო შეხვედრას ძნელად ვუწოდებთ, ის ჩემთვის განვითარების ბიძგია. არც ჩვენი კოლოქვიუმია მხოლოდ გახსენება; ის, რომ ჩვენ ჰესესთან მისვლის და ჰესესგან კვლავ ამქვეყნად დაბრუნების ალბათ განსხვავებულ გზებზე ვსაუბრობთ, მიმაჩნია არა ნოსტალგიურ მოგონებად, არამედ საუბრად, რომელიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს სწორედ ახლა, ჩვენს დროში.

გერმანულიდან თარგმნა
ნატო თოთლაძემ

კარადა

ტონინო გუერა

გულში ჩავიდე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, მამაჩემის კარადაში შემეღწია და იქაურობა გადამექექა. დრო შევურჩიე და, როცა მამა სახლიდან გავიდა, მის საძინებელში შევიპარე, დარაბა მივხურე და სინათლე ავანთე. ფანჯარასთან ღუმელში ცეცხლი გუზგუზებდა და ტრუსის მქისე სუნი იდგა. ძველისძველი სოფლური კარადა საწოლთან იყო მიდგმული. ქვემოდან რომ ავყურებდი მის ამოღარულ შავ ორნამენტებს, უჩვეულო შიში მიპყრობდა, თითქოს რაღაც ავბედით არსებასთან მქონოდეს საქმე. გულდასმით დავუთვალიერე ფართო და უცნაურად დაღვლარჭნილი საკლიტე ჭუჭრუტანა, შიგ მოღუნული მავთული შევყავი და ჩხიკინი დავიწყე, მაგრამ საკეტის ენა ვერ დავძარი. ნერვიულობისგან ოფლმა დამასხა - დრო საშინელი სისწრაფით გამირბოდა, მე კი ისევ კლიტეს ვეჩხირკედელავებოდი და ვერაფერს ვუხერხებდი. კომოდს ვეცი და უჯრა გამოვწიე. შიგ ორი ძველი გასაღები დამხვდა. მინდოდა ახლა ამით მეცადა ბედი, მაგრამ პირველივე მათგანი ისე ღრმად შევჩხირე, რომ ის საკლიტეში ჩაქვავდა და ძვრა ვეღარ ვუყავი. დრო აღარ მქონდა, მამაჩემი წუთი წუთზე უნდა დაბრუნებულიყო, ამიტომ გადავწყვიტე, ღონე არ დამეშურებინა და როგორმე გამომეგლიჯა გასაღები. ფეხები კარადას მივაბჯინე და კარი მთელი ძალით გამოვქაჩე. მეხუთე ცდაზე იგი მოულოდნელად გაიხსნა, კარადიდან უამრავი წვრილ-წვრილი ნივთი გადმოიყარა და მთელ ოთახში მიმოიფანტა. წარმოიდგინეთ, როგორ გავოგნდი, როცა ვნახე, რომ ეს იყო ასანთის ცარიელი კოლოფები, ჩამწვარი სანთლების ნარჩენები, თმის სამაგრები, ძველი ღილები... მოკლედ, ურიცხვი რაოდენობის ხარახურა. სწორედ ამ ნაყარნუყარში ვიქექებოდი, როცა ზურგსუკან კარმა გაიჭრიალა - მამა დაბრუნდა. ფეხზე წამოვხტი და გაბრაზებით ვუყვირე:

- როგორ არა გრცხვენიათ, თქვენი ასაკის კაცი ამ ნაგავს რომ ეზიდებით ქუჩიდან?! - და სირცხვილისგან ჭკუადაკარგული გიჟივით გამოვვარდი ოთახიდან. მაშინ მისდამი სიბრალულის ნატამალიც კი არ მიგრძვნია, არადა მამაჩემმა ხომ მხოლოდ იმიტომ დაიწყო ამ არასმაქნისი წვრილმანების აკრეფა, რომ სხვა ვერაფრით დაისაქმა თავი. მამა ისე იქცეოდა, თითქოს საერთოდ არაფერი მომხდარიყოს, ჩემთან ამ ამბის შესახებ სიტყვაც კი არ დასცდენია. კარადა გამოასუფთავა, თავისი ხაბა-ხუბა კი ღუმლებთან პატარ-პატარა გროვებად ააკოკოლავა. თითქოს სურდა, ყველასთვის თვალნათლივ დაენახვებინა, რომ მის კოლექციას თავიდანვე მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა: დილაობით ღუმლის გასახურებლად იყო მოქუჩებული და შენახული. მეორე თუ მესამე დღეს კი მამა გულის უმძიმესმა შეტევამ წააქცია და ექიმმა გვითხრა, რომ მისი გადარჩენის არანაირი იმედი არ უნდა გვქონოდა. მე და დედაჩემი დღედაღამ სასთუმალთან ვუსხედით და მორჩილად ვუსრულებდით ყველაფერს, რასაც იგი გვანიშნებდა. მამა ძალიან მძიმედ სუნთქავდა და, მისთვის ტანჯვა რომ შეგვემსუბუქებინა, სახეზე მარაოს ვუნიავებდით. დროდადრო, შესასვენებლად, მარაოს დავკეცავდი ხოლმე. ამ დროს მისი თავისკენ ვიხრებოდი და ყურში ჩავჩურჩულებდი, რომ დიდებული რამ მოიფიქრა, როცა ასანთის ცარიელი კოლოფების, ძველი ღილებისა და დაღვენთილი სანთლების შეგროვება დაიწყო. ოღონდ, მამას, მგონი, არაფერი ესმოდა; თვალებს აცეცებდა, ხან ერთ საგანს მიაშტერდებოდა, ხან - მეორეს, მაგრამ მისი ამღვრეული მზერა, ალბათ, ვეღარაფერს არჩევდა. ერთხელ დილით, მამა მოულოდნელად ქვეშაგებმა შეაწუხა - ტანზე ისე მაწვება, თითქოს ტყვიისა იყოსო. თავდაპირველად, ზეწარი ცოტათი ავუწიე და ისე მეჭირა ხელით, მკერდზე რომ არ შეხებოდა, მაგრამ როცა შევნიშნე, ესეც აღიზიანებდა, კოჭებამდე გადავხადე. ახლა მამას აღარაფერი ეხურა, თბილი ნიფხავ-პერანგის ამარა იწვა. მგონი სწორედ ის დილა იყო, მისმა საქციელმა ინტერესი რომ აღმიძრა: რაღაცით რომან "ჯადოსნური მთის" ერთი უმნიშვნელო პერსონაჟი მომაგონა. იმ დღიდან უნებლიეთ ვათვალთვალებდი მამას - როგორ სვამდა წყალს პატარ-პატარა ყლუპებად, აქოშინებისას აბებს როგორ ყლაპავდა. თანდათან დაკვირვებათა საკმაო მარაგი დამიგროვდა და ვფიქრობდი, რომ აქედან საინტერესო მოთხრობა გამოვიდოდა: ერთი პროვინციული წვრილვაჭრის ამბავი, რომელსაც წარმატებაც უნახავს და ხელმოცარვაც, ხოლო სიცოცხლის ბოლოს ცარიელი კოლოფების შეგროვებას მიჰყო ხელი. ასეთ დროს თავს გარეშე დამკვირვებლად ვგრძნობდი, ავადმყოფის ყოველ მოძრაობასა და სიტყვას რომ შეისწავლის, და სასოწარკვეთა მამის უნუგეშო მდგომარეობის გამო თითქმის უკვალოდ მიქრებოდა. დროდადრო ვცდილობდი წინასწარ გამომეცნო, რას მოიგუნებებდა მომაკვდავი და სულ იმის მოლოდინში ვიყავი, როდის წამოაყრანტალებდა რამეს. გამოცდასაც კი ვუწყობდი ხოლმე: განგებ ვუსვამდი ისეთ კითხვებს, გულისამაჩუყებელი, მაღალფარდოვანი პასუხი რომ მიმეღო. ერთხელ, შუაღამისას, მამა მოულოდნელად ალაპარაკდა ლაფნიჭამია ხოჭოებზე: ამდენ მერქანს რომ მიაძღებიან, ნეტავ, მონელებას როგორ ახერხებენო.

- წყალს სულ არ სვამენ, არა! - დაინტერესდა იგი.

ჩვენ ამ საკითხის გარჩევა დავიწყეთ და სიკვდილის ზღურბლზე გამართული ეს გულუბრყვილო საუბარი რაღაც უსაზღვროდ საინტერესოდ მეჩვენა. ვცდილობდი გვიან ღამით ხანმოკლე ძილის საათებშიც კი მეთვალიერებინა მამა. ის ნელა და მძიმე-მძიმედ სუნთქავდა, ოდნავ გაღებული პირიდან ხრინწნარევი სტვენა ამოსდიოდა. გულწრფელად ვიტყვი: იმის გააზრებისას, თუ რაოდენ უადგილო და სამარცხვინო იყო ჩემი საქციელი, საშინელ სინდისის ქენჯნას ვგრძნობდი, მაგრამ თავს მაინც ვერაფერი მოვუხერხე: შეიძლება ითქვას, საკუთარი ნება-სურვილის საპირისპიროდ ვმოქმედებდი, თითქოს რაღაც დაუძლეველმა მანკიერებამ დამიმორჩილაო. თანდათან რეალობისადმი ყოველგვარი ინტერესი დავკარგე და ყველაფერი მარტოოდენ მომავალი მოთხრობის, რომანისა თუ სცენარის მასალად გადაიქცა. ამგვარი რამ ადრეც მომსვლია - მახსოვს, რომში სწორედ ასეთმა განწყობამ მომიწამლა მარიასთან ურთიერთობა: სულ ისეთ ოჯახებში დამყავდა სტუმრად, სადაც თავს უხერხულად იგრძნობდა. მე კი ვიჯექი, ვაკვირდებოდი და ვტკბებოდი მისი ხან გულუბრყვილო, ხანაც სასაცილო მანერების ჭვრეტით. სწორედ ამ საგულდაგულო დაკვირვებებიდან იშვა ჩემი, ალბათ, საუკეთესო მოთხრობა. ახლა ტვინს მიღრღნიდა კითხვა: იქნებ, სხვა ადამიანებიც ასევე იქცევიან-მეთქი; ვფიქრობდი მამაზე, რომელიც ომის დროს ისე იყო სპეკულაციასთან დაკავშირებული მაქინაციებით გართული, რომ, მოგებას დახარბებულმა, სრულიად ვერაფერი გაიგო ხალხის ტრაგედიისა; ვფიქრობდი დედაზე, რომელმაც მთელი ცხოვრება ეკლესიას შეალია; ვიხსენებდი ჩემს მეგობრებს და სულ უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ ადამიანთა უმეტესობა ცხოვრებას ან საქმიანი, ან შემეცნებითი ინტერესების პრიზმიდან უყურებს. მამაჩემის საწოლს ხშირად მივწევდი ხოლმე ფანჯარასთან, რათა მას ქვემოთ მდინარის ხეობისთვის ემზირა. მთელი ხეობა, სანაპიროს კენჭნარიცა და ჩინარებიც, რძისფერი ნისლის ზღვაში იყო ჩაძირული. ალაგ-ალაგ მეურმეთა სილუეტებს დალანდავდი და განუწყვეტლივ მოძრაობდნენ ფარებანთებული სატვირთო მანქანები. ავტომობილები უკვე ისე მომრავლდა, რომ ცხენების რიცხვს გადააჭარბა.

- აი, ცხენებსაც გაუდის ყავლი, - ვუთხარი ერთხელ მამას, - მალე საერთოდ გაქრებიან.

- ეგრეა, ცხენებიც გაქრება და გოგორა ბორბლებიც, - გამომეპასუხა იგი.

და ჩვენ უამრავი ისეთი საგანი ჩამოვთვალეთ, რასაც უეჭველი გადაშენება უწერია. მახსოვს, ვსაუბრობდით და ვფიქრობდი, რომ ყოველ ადამიანს სიკვდილისას თავისი სამყაროც მიაქვს სამზეოდან. აი, თუნდაც, მამაჩემს მიჰყვებოდა ტვირთმზიდი ცხენები და გოგორა ბორბლები, კარადის თავზე დასამწიფებლად შემოწყობილი კომში და საუბრის, სიცილის, ხუმრობის განუმეორებელი მანერა; და სულ ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად იცვლიდა იერს ხალხი. ვთქვათ, მამაჩემის დიდი, ბრტყელი ყურები, საიდანაც ბალანია ამობუჩქული - ეს ყურები ხომ, თითქოს, საგანგებოდ საოპერო მუსიკის სასმენად არის შექმნილი. ახლა ასეთ ყურებს სადღა წააწყდები? სულ სხვა ხალხი წამოვიდა. ცხადია, მაშინ აბსურდული ფიქრები მიტრიალებდა თავში, მაგრამ იყო მათში რაღაც საღი მარცვალიც.

- იმას ერნესტინა ერქვა, - მითხრა მამამ, როცა ჯდომით დაღლილი გაჭირვებით მიწვა ბალიშზე.

- ვის, მამი?

- აი, იმ ფაშატ ცხენს, ჩემს ჯეილობაში რომ მყავდა. მაშინ მდინარეზე ყინულს ვამტვრევდი და რიმინის საავადმყოფოებში დამქონდა.

- ეგ როდის იყო?

- ეჰ, დიდი ხნის წინ. ჯერ კიდევ წინა ომამდე.

პასუხად რაღაც ჩავიბურდღუნე. ვიცოდი, რომ მამა ახლა თავის ბავშვობაში იყო გადასახლებული, როცა საკვებად მხოლოდ პური და ზეითუნის ზეთი ჰქონდათ, როცა ეგონათ, რომ აეროპლანები პაპიროსის ქაღალდისგან არის გაკეთებული, ხოლო ამერიკაში გამგზავრება სამუდამო განშორებას ნიშნავდა.

- სიკვდილი, ალბათ, დიდებული მგზავრობაა, - წაიჩურჩულა მამამ.

- ჰო, ნამდვილად ეგრე იქნება, მამი, - დავუდასტურე მე.

საბედნიეროდ, კრიზისმა გაიარა: ავადმყოფობა უკვე ისე აღარ აწამებდა მამას. ახლა, როცა სიკვდილს გადაურჩა, შემეძლო სინდისის ქენჯნის გარეშე მეთვალთვალა მისთვის. ოღონდ, ფეხზე წამოდგომა და სიარული ჯერ კიდევ არ შეეძლო, ასე რომ, მისი სამყარო ერთი ოთახით შემოისაზღვრა. თუმცაღა, სარეცელს მიჯაჭვულისთვის ესეც საკმაოდ დიდი სივრცეა. ასე მაგალითად, შევამჩნიე, რომ იგი უკვე რამდენიმე დღეა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ყინვებს გადარჩენილი ბუზების გადაადგილებას. ისინი მუდამ სარკიდან პირსაბანისკენ მიფრინავდნენ, იქიდან კი გრძელი გზა ედოთ კარადის თავზე დალაგებულ კომშამდე. მამას გრძელი ჯოხი მოვუტანე, რათა ჰაერში მოზუზუნე ბუზებზე ნადირობით შეექცია თავი. რამდენიმე დღის განმავლობაში იგი მონდომებით იქნევდა ჯოხს, დიდი ნადირობის ჟინით ატანილი. მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ ასე ვერაფერს გახდებოდა. ამიტომ, საწოლზე რამდენიმე კამფეტი დავულაგე სატყუარად და, ჯოხის ნაცვლად, ხელსახოცით შევაიარაღე, რის შემდეგაც მამამ სამი ბუზის მოკვლა მოახერხა, ხოლო მეოთხე მაღვიძარა საათის ზანზალაკში იპოვნა სიცივით გათოშილი.

მაშინ ვიგრძენი, რომ ჩემს პერსონაჟს შესაძლოა თავისი დღე და ჟამი ბუზებზე უაზრო ნადირობაში გაელია... და რაღაც დროით, ისევ ჩვეულებრივ ბიჭად გადავიქეცი, სასთუმალთან რომ უზის გამოჯანსაღების გზაზე დამდგარ მამას.

თარგმნა მიქელ ირემაძემ